რატი
აბულაძე

პოლიტიკური ცვლილებების დროა

თბილისი
2018

ელექტრონული მმართველობის კვლევითი აკადემია

რატი აბულაძე

პოლიტიკური ცვლილებების დროა

წიგნი აგებულია 2012-2018 წწ-ში გამოქვეყნებული სტატიების საფუძველზე. მასში მოცემული შეხედულებები და შეფასებები ეყრდნობა მეცნიერულ კვლევასა და ანალიზს

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018

ეძღვნება საქართველოს
ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს

წიგნი აგებულია 2012-2018 წწ-ში მედიაში გამოქვეყნებული იმ პუბლიცისტური წერილებითა და ინტერვიუებით, რომლებმაც საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

კრებულში მოცემულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ეკონომიკურად შეფასებულია პოლიტიკური მოვლენები, აკადემიურად ნაჩვენებია პრობლემების გადაჭრის გზები. ავტორის შეფასებები არგუმენტირებულია მეცნიერული კვლევებითა და ანალიზით.

რედაქტორი:

იოსებ არჩვაძე – ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

ელექტრონული მმართველობის კვლევითი აკადემია
© რ. აბულაძე, 2018
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN

რედაქტორის წინათქმა

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კრებული **„პოლიტიკური ცვლილებების დროა!“** წარმოადგენს რატი აბულაძის ბოლო შვიდი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სტატიების კრებულს, ის თავიდან ბოლომდე მაინც ერთი შინაარსობრივი დატვირთვის, ერთიანი პათოსითაა გამსჭვალული და აბსოლუტურად შეესაბამება სათაურად გამოტანილ ფრაზას. დიახ, ქვეყანა, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტია აშენებს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, დგას სერიოზული შიდა თუ გარე გამოწვევების წინაშე, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ პრობლემათა სრული და ობიექტური შეფასებით, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც უკვე აქვს დაგროვილი ჩვენნაირ ან ჩვენზე რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში, წინ წასულ ქვეყნებს, და მათზე ადექვატური რეაგირებით.

ავტორი კარგად იცნობს თანამედროვე ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების მასშტაბებს და მათ იერარქიას, პოლიტიკური სისტემის მდგომარეობას, თავის პუბლიკაციებში ხაზს უსვამს მეცნიერების, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების როლს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ქვეყნის განვითარების დინამიზმის უზრუნველყოფაში. იგი არ ერიდება პრობლემებისა და ნაკლოვანებების, აგრეთვე მათზე ინსტიტუციური პასუხიმგებლობის მატარებელთა დასახელებას, პრობლემათა დაძლევის კონკრეტული გზებისა და საშუალებების შემოთავაზებას. ყოველივე ამას აკეთებს მაღალ აკადემიურ დონეზე. თითქმის ყველა განხილულ საკითხზე მის მიერ შემოთავაზებული შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება სახელისუფლებო, პოლიტიკური თუ სამეურნეო ვერტიკალის სხვადასხვა დონეზე მყოფთა მიერ მხოლოდ წაადგებოდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობასა და განვითარების მეტ დინამიზმს. თუმცა, აღნიშნულის თაობაზე გარკვეულ სკეფსის ქმნის ის გარემოება, რომ თუ ავტორისვე სიტყვებს დავესესხებით, "ძველი პოლიტიკური გარემო კარგი ბუნებისაა, თუმცა შეზღუდული ენერგიითა და ზღვრული შესაძლებლობებით".

ნებისმიერი ბეჭდვითი პუბლიკაციის წარმატების ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი - საკითხის აქტუალობა და ავტორის კომპეტენტურობა - უდავოა. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაწერილია თანამედროვე საქართველოზე - მის პრობლემატიკაზე, ავტორისეული ხედვები, დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ქვეყნების მიერაც. - გლობალურად, მასშტაბურად და იმავდროულად, ეროვნული ინტერესების შესატყვისად მოაზროვნე პოლიტიკოსებისა და ხსენებულ თემატიკაზე მოღვაწე მეცნიერების დეფიციტი ხომ წმინდა ქართული მოვლენა და „ფენომენი“ არ არის...

იოსებ არჩვაძე, 2018

რეზიუმე

წიგნში ნაჩვენებია პოლიტიკური გარემოს აკადემიურობის ზრდისა და მძლავრი პოლიტიკური სისტემის შექმნის ხელშემწყობი მიდგომები.

კრებულში ნაჩვენებია 2012-2018 წლების საქართველოს პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა, შეფასებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები, წარმოჩენილია მეცნიერ-მკვლევარების როლი სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

ნაშრომში ხაზგასმულია "აკადემიური ჯარისკაცების" საჭიროება სახელმწიფო მმართველობაში, მმართველობითი გარემოს გარდაქმნის აუცილებლობა, ახალი პოლიტიკური რესურსის ფორმირების მნიშვნელობა, ძლიერი პოლიტიკური სიტყვისა და სტრატეგიული უნარ-ჩვევების მქონე მმართველობითი სივრცის საჭიროება, გლობალური პოლიტიკოსებისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პირების ეროვნული მნიშვნელობა.

კრებულის ანალიზი, შეფასება და რეკომენდაციები ემსახურება მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნას, ძლიერი მმართველობითი გარემოს ჩამოყალიბებას, ერთიანი და კოორდინირებული საზოგადოების ფორმირებას.

რატი აბულაძე, 2018

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა 2

რეზიუმე 3

პირველი ნაწილი. ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები 8

1.1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შეფასება და რეკომენდაციები 8

1.2. ციფრული საფრთხეები და პრევენციის მექანიზმები 13

1.3. პოლიტიკურად მოტივირებული ციფრული საფრთხეები 15

1.4. კიბერტერორიზმის ეკონომიკური გავლენა 18

1.5. ციფრული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის 20

1.6. რატომ ვერ ითვისებს ქვეყანა ინტერნეტ-ბაზრის პოტენციალს 32

1.7. რატომ სჭირდება ქვეყანას “ელექტრონული მთავრობა“ და რა სარგებელს მოუტანს სისტემა მოქალაქეებს 33

1.8. ბავშვებისათვის აუცილებელია ჯანსაღი ინტერნეტ-გარემო 37

1.9. რატომ საჭიროებს ქვეყანა სოციალური კომერციის განვითარებას 38

1.10. ტერორიზმის პრევენციისათვის საქართველო კიბერარმიას არ ფლობს 43

1.11. რატომ დაგვიანდა კიბერრეზერვის (კიბერარმიის) შექმნა ქვეყანაში 48

1.12. ტერორიზმის ეკონომიკა 52

1.13. ციფრული მონეტარული პოლიტიკის გამოწვევები 53

1.14. ელექტრონული მმართველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში 56

1.15. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის საბიუჯეტო დაფინანსება რეგიონში ლიდერობისათვის არ არის საკმარისი 58

1.16. ელექტრონული მმართველობის განვითარება საჭიროებს საბიუჯეტო დაფინანსების ზრდას 60

1.17. სოციალური სტანდარტების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში 63

1.18. ეროვნული ბანკის აქტივობამ ვალუტის კურსის სტაბილიზაციაზე დროული გავლენა ვერ მოახდინა 69

1.19. დეველოპერული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში 71

1.20. ხელისუფლება თეორიულად გრძნობს და სტატისტიკურად აღიქვას პრობლემებს 73

1.21. არჩევნებამდე ოპოზიციურ არხებად შერაცხულ ტელევიზიებთან თანამშრომლობა მიმზიდველი არ იყო 77

1.22. მოგების გადასახადის რეფორმის გავლენის სიდიდე გაურკვეველია 79

1.23. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შეფასება 81

1.24. ინტერ რაოსა და ყაზსტრანსგაზის სამართლებრივი პრეტენზიები 83

1.25. რატომ ვითარდება თბილისის შემოგარენი 85

1.26. მთავრობა, სამოქალაქო და კორპორაციულ სექტორთან „ვერ თანამშრომლობს“ 86

1.27. ქვეყანაში ბიზნესისა და აკადემიური გარემოს თანამშრომლობა აუცილებელია 88
1.28. ახალგაზრდა თაობის ეკონომიკური ფასეულობა 90
1.29. ახალგაზრდა თაობის როლი თანამედროვე გამოწვევებში 92
1.30. პოპულისტური ჟანრის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა 95
1.31. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური შესაძლებლობები გასააქტიურებელია 98
1.32. ქვეყანას სჭირდება ადგილობრივი ინვესტირების ხელშემწყობი გარემო 100
1.33. არის თუ არა მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმა ეკონომიკის განვითარების გარანტი 102

მეორე ნაწილი. 2012-2018 წლების საქართველოს პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა 106
2.1. ქართულ პოლიტიკას გლობალური გავლენა არ გააჩნია 106
2.2. საქართველოს პოლიტიკური არქიტექტურა 108
2.3. პოლიტიკური სივრცე შესაცვლელია 112
2.4. ქართული საზოგადოების პოლიტიკური მოლოდინი 115
2.5. ქართული პოლიტიკური ძალაუფლების შედეგები 118
2.6. ახალ პოლიტიკურ ეპოქაში არსებული ძველი პოლიტიკა 121
2.7. ქართული პოლიტიკის რესურსი 126
2.8. ვინ უნდა იყოს პარლამენტში 131
2.9. ვინ უნდა ზომავდეს პოლიტიკოსის კვალიფიციურობას 135
2.10. ქართული პოლიტიკა ხელს ვერ უწყობს საზოგადოების ძლიერებას 137
2.11. რატომ ეშინია ბიზნეს პოლიტიკური ცვლილებების? 139
2.12. არსებული პოლიტიკური დაპირებები აუფასურებს ქართული პოლიტიკის იმიჯს 141
2.13. პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის უთანხმოება - კონსტიტუციაში არსებული გაურკვევლობა თუ პრობლემების სინდრომი 144
2.14. საარჩევნო დაპირებების უწყვეტი ნაკადი 145
2.15. პოლიტიკური დებატების ხასიათი 146
2.16. სამთავრობო მმართველობის პრობლემები 148
2.17. სუსტი მმართველობის საფუძველია მოდიფიცირებული წესები, გაუფასურებული სიტყვები და ორაზროვანი კანონები 153
2.18. მმართველობითი პრობლემები: პროფესიონალების დეფიციტი თუ „ვინ ვის იცნობს" ფაქტორი? 157
2.19. მმართველობითი ეთიკა საქართველოში 161
2.20. რატომ გაურბის საქართველოს ხელისუფლება პროფესიონალების წინა პლანზე წამოწევას 165
2.21. რატომ არსებობს ადმინისტრაციული და პოლიტიკური ქაოსის საშიშროება 168
2.22. უიმედობა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი 170
2.23. რა შეეძლო გაეკეთებინა მთავრობას 174
2.24. ქვეყანა საჭიროებს მმართველობით სტანდარტებს! 176
2.25. „ოდეერის" ინსტიტუტი „ლუსტრაციის კანონმა" უნდა ჩაანაცვლოს 179

2.26. რა გაზრდის პოლიტიკური სიტყვის ფასს 182
2.27. მძლავრი საზოგადოება ქმნის მდგრად სახელმწიფო სისტემას 185
2.28. საქართველო საჭიროებს „მარშს პოლიტიკური ცვლილებებისათვის“ . 188
2.29. ქართული საარჩევნო გარემოს პორტრეტი.. 191
2.30. კანდიდატების დაპირება უფრო მეტია, ვიდრე ამომრჩეველს სჯერა 193
2.31. ქართული „ეჭვების პოლიტიკა“ 196
2.32. რატი აბულაძის ინტერვიუ –IPN-ზე 198
2.33. მთავრობის PR აქტივობა სუსტია... 206
2.34. ქვეყნის მართვის სტილი “ირონიულია” 208

მესამე ნაწილი. მეცნიერ-მკვლევარების როლი სახელმწიფოს აღმშენებლობაში 210
3.1. უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი აუთვისებელია 210
3.2. მეცნიერ-მკვლევარებთან (არ) თანამშრომლობის შედეგები საქართველოში 214
3.3. მძლავრი სახელმწიფოს სისტემა მეცნიერ-მკვლევარებისაგან იქმნება 216
3.4. მეცნიერების ხელშეწყობის გარეშე საქართველო ბუნებრივ ინერციაშია 219
3.5. ინტერნეტ-გარემოს განვითარებისათვის საჭიროა კვლევითი ინსტიტუტის შექმნა 225
3.6. რატომ საჭიროებს საქართველო „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არსებობას“ 229
3.7. საქართველოს გამოწვევების დაძლევის გზა მეცნიერებაზე გადის 234
3.8. პოლიტიკური გარემო აკადემიური უნდა იყოს... 237
3.9. “სოციალური ქსელი ჩემი აკადემიური პორტფოლიოა”- ინტერვიუ რატი აბულაძესთან 240
3.10. პერსონა - რატი აბულაძე 247

P.S. რატი აბულაძე 250

პირველი ნაწილი. ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები

1.1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შეფასება და რეკომენდაციები

თანამედროვე საქართველოში ადგილი აქვს დემოკრატიზაციას, ევროპეიზაციას, ციფროვიზაციასა და ძალაუფლების გადანაწილებას. ეს პროცესი ხორციელდება „ბუნდოვანი" სტრატეგიების ფონზე.

მოცემული სტატიის მიზანს წარმოადგენს არსებული რეალობის ფონზე საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის-საქართველო 2020" (შემდგომში სტრატეგია) ცალკეული მიმართულებების შეფასება და კონკრეტული რეკომენდაციების წარდგენა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატე-გიით ნაჩვენებია 2020 წლისთვის „მიმზიდველი და ოპტიმისტური" საპროგნოზო მაჩვენებლები და ქვეყნის პრიორიტეტები, რომელიც არ არის დაკონკრეტებული და არგუმენტირებული. ასევე, „ბუნდოვანი და ზოგადია":

- ***ეკონომიკური ზრდის მიღწევის გზები (ეტაპების მიხედვით);***
- ***განვითარებისათვის საჭირო კონკრეტული ინსტრუმენტები;***
- ***განსახორციელებელი პროცესები;***
- ***განვითარების ფაზები ეტაპების მიხედვით;***
- ***საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსი;***
- ***ასახული არ არის ვის მიერ და ვისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით, როგორი პოლიტიკური პროცესებია განსახორციელებელი სასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგის მიღწევისათვის.***

მიგვაჩნია, რომ სტრატეგიაში საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკვანძო საკითხებზე:

- მიზანშეწონილია ქვეყნის საჯარო სამსახურებში დაიხვეწოს არსებული ადამიანური კაპიტალისადმი მიდგომა, უცხოეთიდან მოწვეული ადამიანური რესურსის ნაცვლად აქცენტი გაკეთდეს „არსებული კადრების" ეფექტურ მართვასა და რაციონალურ გამოყენებაზე, კერძოდ, კი ქართველ მეცნიერ-მკვლევარებსა და მათ პოტენციალზე;
- მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ იფიქროს გლობალურად, მაგრამ იმოქმედოს ლოკალურად. მაგალითად, გლობალური ბაზრისა და ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში, იმისათვის, რომ ქართული კომპანიები არ აღმოჩნდეს არაკონკურენტულ მდგომარეობაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს მათ დაცვაზე; რადგანაც ევროკავშირში შესვლა ადგილობრივ მწარმოებლებს არათანაბარ

მდგომარეობაში ჩააყენებს, შესაბამისად ნაციონალური ბიზნეს სექტორის დაცვისათვის საჭიროა სამთავრობო შეღავათები და სუბსიდირება. აღნიშნული ღონისძიება გლობალური კომპანიებისათვის „ხელოვნურ“ ბარიერს შექმნის (გლობალური კომპანიები გამოირჩევა მაღალი განვითარების დონითა და კონკურენტული უპირატესობით). მიზანშეწონილია საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ცალკეულ სექტორში სახელმწიფოს ინტერვენციაც;

- ქართული საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობისათვის საჭიროა პოტენციური და ფაქტობრივი საექპორტო ბაზრების წარმოჩენა, მათი ანალიზი, საერთაშორისო/რეგიონალურ ბაზრებთან წვდომისა და გლობალური კავშირების განვითარების კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და მიღწევის გზების დასახვა;
- საექსპორტო პოტენციალის შეფასებისას კარგი იქნება გაანალიზდეს პოტენციური ბაზრები, ბაზრის სიდიდე, ბაზრის სავარაუდო წილი, დისტანცია, მოცემულ ბაზრებზე არსებული იმიჯი (ქართული პროდუქტის/ მომსახურების, წარმოების და ა.შ.), ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეფასდეს არსებული გეოგრაფიული ბაზრები, ბარიერები და კონტრასტი;
- საქართველოს „საექსპორტო ინტერესი“ უნდა იყოს სწრაფი ინდუსტრიალიზაციის ქვეყნები, მსხვილი აზიური ბაზრები, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები (ინდოეთი, ინდონეზია, ბრაზილია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი, ჰონკონგი, მექსიკა, მალაიზია), კავკასიის რეგიონის ქვეყნები. აღნიშნული ქვეყნების ბაზრის ათვისება გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის მკვეთრ ცვლილებას;
- აგრარული პროდუქტების ექსპორტის ხელშეწყობისათვის, აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ ქმედით ღონისძიებებზე, როგორიცაა აგრარული პროდუქტის ექსპორტიორი კომპანიებისათვის შეღავათების, სუბსიდირების, გადაიარაღებისა და ტექნიკა-ტექნოლოგიებზე საბაჟო განაკვეთების შემცირება-ხელშეწყობის ღონისძიებები;
- საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობისათვის კარგი იქნება შეფასდეს და გაიზომოს საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესების ხარისხი - ეკონომიკური, პოლიტიკურ და სოციალურ ჭრილში. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესების კონკრეტული გზები და საშუალები. შეფასდეს ელექტრონული მმართველობის მეგა მიმართულებები ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ და სოციალური კუთხით. საჯარო მმართველობის ეფექტურობის ამაღლებისათვის მიზანშეწონილია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს ელექტრონული მთავრობის სისტემის განვითარებასა და ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაზე;

- პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს გრანტების ზრდა მეცნიერების პოტენციალის გაძლიერებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება; მეცნიერ-მკვლევართათვის უნდა შეიქმნას ინფრასტრუქტურა და ფინანსური ბაზა, იმისათვის რომ მათ მოახდინონ თავიანთი ცოდნისა და იდეების კომერციალიზაცია და გარდაქმნა ინოვაციაში;
- სრული სურათის ასახვისათვის, საჭიროა შეფასდეს და გაანალიზდეს არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების, კვლევითი ლაბორატორიების, რესურსების მდგომარეობა, დადგინდეს პროგრესისათვის საჭირო რესურსების რაოდენობა; განისაზღვროს პრიორიტეტული სფეროები და მისი უზრუნველმყოფი სივრცე, ინფრასტრუქტურა, სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის (რამდენია საჭირო) მომზადების გეგმა და ა.შ;
- უმაღლესი განათლების გარემო საჭიროებს სტიმულირებას - შემოქმედებითობის, ავტორობისა და ინოვაციის ზრდის მიზნით. იმის უზრუნველყოფას, რომ შემოქმედმა ადამიანმა თავიანთი მუშაობით მიიღონ ფინანსური და სხვა სარგებელი;
- ქვეყანა საჭიროებს ინვესტირების საშუალო დონის (ბოლო 10 წელიწადში არსებული საშუალო დონე) შენარჩუნების კონკრეტულ გზებსა და მექანიზმებს. საჭიროა მეტი არგუმენტაცია, თუ რატომ გახდება საქართველო ინვესტირების ხელსაყრელი პლატფორმა და რა პირობებით მოახდენს კაპიტალის აკუმულირებას, რომელი რესურსები იქნება ინვესტორებისათვის შეთავაზებული, რა პირობებში. მხოლოდ „სურვილის“ ჩვენება არ არის საკმარისი ინვესტიციების ზრდისათვის;
- მიზანშეწონილია სტრატეგიულ გეგმაში ეკონომიკურ მაჩვენებლებში გაიზომოს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის სრულად საჭირო ფინანსური რესურსი, პრიორიტეტების (ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის) მიხედვით შეფასდეს სფეროები და რეგიონები, გაიზომოს სატრანზიტო პოტენციალი, მისაღები სარგებლის მოცულობა, დრო და მასშტაბი;
- ეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა გაიზომოს თუ რამდენით გაიზრდება მოძრაობის ინტენსივობა, ტვირთბრუნვა, ტვირთების მოცულობა (მაგალითად, ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის სფეროში). რამდენი ინვესტიციაა საჭირო ამ სფეროს სრული მოდერნიზებისათვის;
- სტრატეგიამ უნდა აჩვენოს ეკონომიკის აქტივობისა და დასაქმების ზრდის ლოკომოტივი სექტორი/დარგი, კონკრეტულად რა ღონისძიებების გატარებით მიიღწევა ეს ზრდა;
- **საქართველოში 1990 წლიდან, საშუალოდ წელიწადში ერთხელ ან 2-ჯერ ტარდება არჩევნები:** საპარლამენტო, საპრეზიდენტო, თვითმმართველობის ორგანოს-საკრებულოს ან მერის არჩევნები.

კერძოდ: 1990 წლიდან დღემდე საქართველოში ჩატარდა 22 არჩევნები: აქედან 6 საპრეზიდენტო, 8 საპარლამენტო (1 გაუქმდა), 7 აჭარის უმაღლესი საბჭოსა და 4 ადგილობრივი თვითმმართველობის (cesko.ge). შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიზომოს პოლიტიკური ცვლილებების ეკონომიკური შედეგები. კერძოდ, ცვლილებების შედეგად რა რაოდენობისაა სახელმწიფო მომსახურების დანაკარგები, მისი მოცულობა მშპ-ში; რა უღირს ეკონომიკას მთავრობის ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს დასაქმებულთა რაოდენობაზე (სამუშაო ადგილების დაკარგვით), გრძელვადიან პრო-ექტებსა და გარიგებებზე, სამომხმარებლო და საქმიან ნდობაზე;

- დოკუმენტში უნდა აისახოს გეოპოლიტიკური რისკები, პოლიტიკური რყევები ან თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ განხორციელდება, გათვალისწინებული იქნას დაგეგმილი მაჩვენებლებიდან გადახრა;
- პოლიტიკური ცვლილებები უნდა შეფასდეს მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერსპექტივაში. ქვეყანაში უნდა შემუშავდეს დოკუმენტი და შეიქმნას საგარანტიო მექანიზმები, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ცვლილების პირობებში ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორებს მისცემს ბიზნეს რეგულირებისა და კონტროლის დონის შენარჩუნების გარანტიებს;
- მაჩვენებლებში უნდა შეფასდეს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და მოდერნიზების სრული ხარჯი. გაანალიზდეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭირო ხარჯი, დრო, რესურსი, მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი;
- ცნობილი არ არის სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურისათვის საჭირო კაპიტალდაბანდება, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქ-ტურის მოდერნიზების პოლიტიკის შედეგი ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ, რამდენით გაიზრდება წარმოება, პროდუქტიულობა, კონკურენტუნარიანობა;
- აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მიგრაციის პრობლემებსა და პრევენციიის ღონისძიებებზე, სასარგებლო იქნება „სათვისტომოების პოტენციალის“ ათვისება;
- საქართველოს ეკონომიკური ზრდა საჭიროებს: ქალაქებისა და ურბანიზაციის ეფექტურ მართვას;
- ქვეყანამ უნდა დააბალანსოს რეგიონალური განვითარება, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, შიდა ინვესტირებაზე, შიდა პოტენციალის (მეცნიერ-მკვლევარები) გამოვლენასა და გამოყენებაზე; აღმოფხვრილი უნდა იქნას შიდა „ინვესტირების სიძუნწის“ გამომწვევი მიზეზები;
- ეკონომიკაში ICT-ის მაქსიმალურად და ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა წარმოდგენილი უნდა იყოს ციფროვიზაციის სტრატე-გიით, ციფროვიზაციის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნით (დღეს

გლობალური ციფრული ეკონომიკის მოცულობა შეადგენს 24.4 ტრლნ დოლარს);

- ციფროვიზაციის პოლიტიკის გატარება ბიუროკრატიას (სახელმწიფოს საკვანძო როლს) უფრო ეფექტურს ხდის; მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ბიუროკრატიის ხარისხი ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორია. სახელმწიფო მომსახურება ყველა ეკონომიკური საქმიანობის არსებითი ნაწილია; სახელმწიფო მომსახურების ეფექტურ წარდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს მიკროეკონომიკური თვალსაზრისითაც) (წყარო: International Growth Centre);
- ქვეყანაში საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის ინტერესი ფოკუსირდება ციფრულ ინდუსტრიაზე (ინფორმაცია, მედია, ტელეკომუნიკაცია). ციფრული ბიზნესი ხდება წარმატებული ბიზნეს მიმართულება, რომელიც ფართოდ იდგამს ფესვებს. შესაბამისად, სტრატეგიულ მიმართულებაში უმჯობესია ხაზგასმული იყოს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება (Cloud Computing, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიები, ბიომედიცინა, ენერგია და სხვა);
- ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოში მცხოვრებ ულარიბეს მოსახლეობაზე მიმართულ პროგრამებზე. ასევე, რეგიონსა და ცენტრს შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური და ციფრული უთანასწორობის პრევენციის ღონისძიებებზე;
- უკიდურესად ღარიბი მოსახლეობისათვის, სოციალური დახმარების ზრდასთან ერთად, უმჯობესია შემუშავდეს სპეციალური პროგრამები (ინდივიდუალური). ოჯახების სიღარიბიდან ამოსვლის მიზნით, საზოგადოების, ბიზნეს სექტორისა და სახელმწიფოს ერთობლივი თანამშრომლობით უნდა გატარდეს სპეციალური ღონისძიებები. მთავარ პრიორიტეტად იქცეს უკიდურესად ღარიბი ოჯახების წყლით, საკვებითა და ენერგიით უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს ახალგაზრდა ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველმყოფი ღონისძიებები და შეღავათები. მაგალითად, ახალგაზრდა ოჯახებისათვის გამოყოფილი იქნას გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი საკრედიტო ხაზი - ბიზნესის კეთების, ცოდნისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ასეთი მიდგომა ახალგაზრდებისათვის პერმანენტული განვითარების ხელშემწყობ პირობებს შექმნის;

ქვეყანაში იწერება სტრატეგიები, რომელიც მუშავდება უცხოელების მიერ, ეს სტრატეგიები მიზანშეწონილია შემუშავდეს ქართველი მეცნიერ-მკვლევართა მიერ, რათა ეს სტრატეგიები ფოკუსირებული გახდეს ადგილობრივ შესაძლებლობებზე, რესურსებზე, მოთხოვნებსა და წეს-ჩვეულებებზე. ამით თავიდან იქნება აცილებული სტრატეგიის აპრიორული ცოდნის მიდგომა და ექნება აპოსტერიორი მტკიცებულება.

დაბოლოს, დასკვნით სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ლოკალიზებისა და ჰერმეტულობისათვის აუცილებელია ეფექტიანი პოლიტიკური და სტრატეგიული მიდგომა. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სტრატეგია უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ განსაზღვრული აქტორების მიერ, არამედ არსებული ინტელექტუალური კადრების მეშვეობით. პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის" ფარგლებში, უნდა ჩაერთოს ყველა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელი, მეცნიერ-მკვლევარი, ასევე ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

www.commersant.ge, 24.თებერვალი, 2014 წელი

1.2. ციფრული საფრთხეები და პრევენციის მექანიზმები

ინტერნეტ-ტექნოლოგიები აფართოებს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას, ისე საფრთხეებს, იწვევს სოციალურ ცვლილებებს, ზრდის საზოგადოებრივ გაურკვევლობას, წარმოაჩენს სახელმწიფოს კიბერ საფრთხეებსა და მოწყვლად ადგილებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით 10 წელიწადში მოსახლეობის 90% იქნება ინტერნეტში ჩართული, ხოლო ინტერნეტ-საგნების შექმნით ციფრული და ფიზიკური სამყარო გაერთიანდება და ერთიან ინტეგრირებულ კიბერსივრცედ გარდაიქმნება.

უნდა გავითვალისწინოდ ისიც, რომკიბერსივრცედ მხოლოდ „ინტერნეტი" აღარ უნდა განვიხილოთ, რადგან ინტერნეტ-ქსელში ჩართულია საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სხვადასხვა სახის საგნები, აქსესუარები და თითქმის მთლიანი ფიზიკური სივრცე. ეს კი ნიშნავს, რომ კიბერსაფრთხეები პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს არამხოლოდ ციფრულ სივრცეში, არამედ ფიზიკურ სივრცეში ხალხის ცხოვრებაზე. აღნიშნული მოცემულობა ზრდის, როგორც კეთილდღეობას, ისე საფრთხეებს.

IBM-ის 2016 წლის კვლევის შედეგებით, გამოკვეთილია კიბერიერიშით დაზარალებული სფეროები, მათ შორის:

- **ჯანდაცვის სფერო** (ელექტრონული მედიცინის ბარათები შეიცავს ინფორმაციას მოქალაქის პირადი მონაცემების, საკრედიტო ბარათის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური უზრუნველყოფის ნომრისა და სხვა იდენტიფიცირების შესახებ. მაგალითად, 2015 წელს, ჯანდაცვაში 100 მლნ ჩანაწერი იქნა დაკარგული);
- **მრეწველობა** (მანქანათმშენებლობიას, ელექტროტექნიკის, ტექსტილის, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება);
- **საფინანსო მომსახურება** (ბანკები, მობაილ ბანკი, საკრედიტო ბარათი, საინვესტიციო ფონდები);

- **სახელმწიფო მმართველობა** (საჯარო მოსამსახურეებზე არსებული ინფორმაციის გაჟონვა, შპიონაჟი);
- **ტრანსპორტირება** (ავიაკომპანიის, ავტობუსის, მეტროს, რკინიგზის, საზღვაო ტრანსპორტის სფეროში არსებული ინფორმაცია). აღნიშნული დარგი ემსახურება მსოფლიო ვაჭრობას, მის გარეშე მსოფლიო ეკონომიკა ადვილად ჩამოიშლება.

ინტერნეტის უნივერსალურ სივრცეში, ყველა ქვეყნისათვის ერთნაირია კიბერსაფრთხები ფორმები, თუმცა განსხვავებულია პრევენციის ღონისძიებები და საფრთხეების მასშტაბები.

Deloitte-ის კვლევის ანგარიშით, ინტერნეტ-გარემოს დინამიური განვითარების პარალელურად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა სახელმწიფოს კიბერდაცვაც, რადგან:

- განსაკუთრებული ზრდით ხასიათდება კიბერდანაშაულები, რომლის დიდი ნაწილი აღურიცხავია. საზოგადოებისათვის უცნობია კიბერდანაშაულების ფორმები, კანონდამრღვევი ინტერნეტ-კომპანიების შემოწმების გზები და ადვილად ზარალდება;
- ინტერნეტ-ბაზარი, რომელიც ვითარდება ფიქსირებული, ინტერნეტ და მობილური მოწყობილობების გამოყენებით, ქმნის 24 ტრლნ ეკონომიკას. რაც კიბერკრიმინალებისათვისაც მიმზიდველია;
- ტერორიზმის მასშტაბები ფართოვდება კიბერტერორიზმის საფუძველზე. რაც გავლენას ახდენს ინტერნეტ-ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობაზე;
- იზრდება ინტერნეტში ჩართული საგნები, რომელიც ზრდის როგორც კეთილდღეობას, ისე საფრთხეებს.

დღეს, თანამედროვე ინტერნეტ-ინჟინერინგის ფუნდამენტურ საფიქრალს კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს. ინტერნეტ-უსაფრთხოების კომპანიის RAPID7-ის მიერ წარმოდგენილი „ნაციონალური დაუცველობის ინდექსით" განსაზღვრულია 50 ქვეყანა, რომელიც არაუსაფრთხო ქსელებითა და ინტერნეტ-არხების გამო, კიბერშეტევების სამიზნეა. აღნიშნულ რეიტინგში ლიდერობს ბელგია, ტაჯიკეთი და სამოა. ხუთეულში შედის ავსტრალია და ჩინეთი. ათეულს აბოლოებს ეთიოპია. მოცემულ სიაში, საფრანგეთს უკავია 13-ე ადგილი, აშშ-ს 14-ე ადგილი, რუსეთს 19-ე ადგილი, აზერბაიჯანს 22-ე ადგილი, თურქეთს 29-ე ადგილი, ისრაელს 43-ე ადგილი, გერმანიას 47-ე ადგილი, ხოლო 50-ე ადგილზე არის ვიეტნამი.

ქვეყანაში კიბერსაფრთხეების გარდა არსებობს სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელიც საჭიროებს ტაქტიკურ მიდგომებს. მაგალითად, შეიძლება განხილული იქნას საერთაშორისო ორგანიზაცია The World Economic Forum-ის კვლევა, სადაც აღნიშნულია საზოგადოებისათვის საჭირო ციფრული უნარ-ჩვევები:

- **ციფრული იდენტიფიცირება:** ციფრული თანამშრომლობა, ციფრული მოქალაქეობრიობა, ციფრული მეწარმეობა;

- **ციფრული უფლებების დაცვა:** სიტყვის თავისუფლება, ინტელექტუა-ლური საკუთრების დაცვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;
- **ციფრული წიგნიერება:** კომპიუტერული უნარ-ჩვევები და აზროვნება, კონტენტის შექმნა, კრიტიკული აზროვნება;
- **ციფრული კომუნიკაცია:** ონლაინ თანამშრომლობა, ონლაინ კომუნიკაცია, ციფრული „ნაკვალევი";
- **ციფრული უსაფრთხოება:** უსაფრთხოების კოდების დაცვა, ინტერნეტ უსაფრთხოება, მობილური უსაფრთხოება;
- **ციფრული დაცვა:** კონტენტის რისკი, კონტაქტების რისკი, სამომხმარებლო რისკი;
- **ციფრული მოხმარება:** კომპიუტერთან მუშაობის დრო, საზოგადოების ჩართულობა, ციფრული კეთილდღეობა და ჯანმრთელობა;
- **ციფრული ემოციური ინტელექტი:** სოციალური და ემოციური ცნობიერების ამაღლება, ემოციების რეგულირება / მართვა, ემპათია.

ჯამში, კიბერსივრცის დაცვის საკითხები მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის ნაციონალურ თუ საერთაშორისო დონეზე, შესაბამისად ითხოვს:

- იურისდიქციის პრობლემატიკის მოწესრიგებას. ციფრული სივრცის საერთაშორისო სამართლის კონცეფციის თეორიტიზირებას;
- კიბერთავდასხმის შემთხვევაში კონკრეტული ღონისძიებების გატარებას;
- ტრანსნაციონალური თანამშრომლობის საჭიროებას;
- კიბერსაფრთხეების პრევენციაზე ზრუნვას საზოგადოების სამივე სექტორის თანამშრომლობით (სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორი).

www.cyber.kvira.ge, 12 ივლისი, 2016 წელი

1.3. პოლიტიკურად მოტივირებული ციფრული საფრთხეები

არსებითია, რომ პოლიტიკურად მოტივირებული კიბერდანაშაულები მიმართულია მასობრივი ქაოსის, მმართველობითი და პოლიტიკური კრიზისის შექმნის, პოლიტიკური ნდობის შემცირების, სახელმწიფო სისტემის მდგრადობის შესუსტებისკენ.

სამწუხაროდ, მსოფლიოში შეუძლებელია ზუსტად შეფასდეს კიბერკრიმინალის შედეგები, მონაცემთა დაკარგვის მასშტაბები, კიბერთავდასხმის შედეგად მიყენებული მორალური თუ მატერიალური ზიანი, პოლიტიკური თუ ფინანსური მიზანი, თაღლითობისა და კიბერშეტევების ზუსტი სტატისტიკა (თუმცა კვლევა და ანალიზი მუდმივად წარმოებს). საქართველოში კი არც ვიცით კიბერპრობლემების სრული სურათი, არც კიბერგარემოს კვლევა და ანალიზი არ წარმოებს.

მაშინ, როდესაც კიბერკრიმინალი მყარად იდგამს ფესვებს, სახელმწიფო უწყებები, სამართალდამცავი ორგანოები, კერძო და სამოქალაქო სექტორი ერთიანი ძალისხმევით უნდა იბრძოდეს კიბერუსაფრთხოებისათვის. ამიტომ, საჭიროა ქვეყანაში მუდმივად წარმოებდეს კიბერ რისკების კვლევა და ანალიზი, მათ შორის:

- კიბერდანაშაულების შემთხვევების რაოდენობისა და მონაცემთა დაკარგვით გამოწვეული ზიანის ოდენობის აღრიცხვა;
- კიბერ ტერორიზმისა და კიბერთავდასხმების პრეცედენტების გავლენა ქვეყნის იმიჯზე;
- კიბერსაფრთხეებთან ბრძოლის მექანიზმების ფორმირებისათვის საჭირო რესურსი;
- ინტერნეტ-ბიზნესის უსაფრთხოებისათვის საჭირო რესურსი (ფინანსური, ინფრასტრუქტურული, ადამიანური);
- სახელმწიფოს კიბერუსაფრთხოებისათვის საჭირო საბიუჯეტო რესურსი (აშშ-მა კიბერუსაფრთხოების მიზნით, 2016 წელს, 14 მლრდ დოლარი გამოყო).

ჩვენ კარგად გვესმის, რომ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს ბიუჯეტი მცირეა. შესაბამისად, კონკრეტული მიზნების შესრულებისათვის (ამ შემთხვევაში კიბერთავდაცვის მიზნით)ბიუჯეტიდან თითოეული ლარის გამოყოფამდე ბიუჯეტი ჯერ წყაროების მოძიებას ითხოვს. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ქვეყნის ბიუჯეტი დიდი ხანია კარგავს იმ სოლიდურ შემოსავლებს, რაც ინტერნეტ-ბაზრის ათვისებით შეიძლება მიეღო ქვეყანას (რაც ჩვენს მიერ აღნიშნულ მოცემულობაში ბიუჯეტის შევსების წყაროს წარმოადგენს).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომკიბერსივრცის სრულფასოვანი დაცვის მიზნით, საჭიროა ქვეყანაში დამკვიდრდეს მეცნიერ-მკვლევარებთან თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში:

- სახელმწიფოსა და სამეცნიერო სექტორის თანამშრომლობით წარმოებდეს კიბერ საფრთხეების ინტენსიური კვლევა, ანალიზი და შეფასებები;
- სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნით მუშავდებოდეს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების ხელშემწყობი კონკრეტული პროგრამები (განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები და კონკრეტული პროგრამების შეთავაზებით შემუშავდეს დაფინანსების კონკრეტული მოდელი);
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აქტივიზირების ხელშეწყობით უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოების ინფორმირება და აგიტაცია-პროპაგანდა;

გლობალური კიბერსაფრთხეების გარდა, ხაზგასასმელია აღინიშნოს საქართველოს პოლიტიკური კიბერსივრცის ლოკალური გამოწვევები, მათ შორის:

- ინფორმაციული ზეგავლენის მქონე ტექნოლოგიებით გავრცელებული არაზუსტი ინფორმაციები. ქვეყანაში არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ ეთიკური სტანდარტებით ფასდება, ხოლო არაზუსტი ინფორმაციის გამავრცელებელს კანონით არ სჯიან;
- დაბრალება-ცილისწამებისა თუ შანტაჟის ტექნოლოგია, რაც ნეგატიურ პოლიტიკურ კამპანიას მიეკუთვნება. აღნიშნულ მოცემულობას შეცდომაში შეჰყავს ამომრჩეველი და ქმნის პოლიტიკურ ქაოსს. შედეგად კი ისევ ძველი პოლიტიკა სარგებლობს;
- საკადრო პოლიტიკის არაეფექტიანობაზე საუბარი „უსამართლო კრიტიკად" ფასდება. ქვეყანაში აყალიბებენ ერთგვარ აზრს, თითქოს პოლიტიკური გარემო და არსებული პოლიტიკური რესურსი არის შეუცვლელი, ხოლო ახალი პოლიტიკური რესურსი არის გამოუცდელი და მერკანტილური ინტერესების მქონე. ასევე, დაკნინებულია ახალგაზრდა კადრების როლი, იგნორირებულია მეცნიერ-მკვლევართა რესურსი. ჯამში, ვერც თვითონ ქმნიან მძლავრ სახელმწიფო სისტემას და არც სხვას აძლევენ გასაქანს;
- პოლიტიკური და ადმინისტრაციული ქაოსის გადაფარვა ხდება მოძველებული პოლიტიკური ტექნოლოგიებით, გაძლიერებული აგიტაცია-პროპაგანდით, ახალი პოლიტიკური რესურსის იგნორირებით, „ტაშ-ფანდურითა და პოლიტიკური შეფასებების" საფუძველზე პოლიტიკურად სასურველი აზრის ჩამოყალიბებით;
- ჯამში, ძველი პოლიტიკური ტექნოლოგიების შედეგს წარმოადგენს საზოგადოების უნდობლობა, გაუფასურებული პოლიტიკური რესურსი და სიტყვა.

ჯამში, როგორც სახელმწიფოს კიბერსივრცის თავდაცვისუნარიანობის ზრდის მიზნით, ისე საზოგადოების უსაფრთხოებისა და გარემოს ჯანსაღებისათვის, საჭიროა:

- კიბერსივრცის საფრთხეებზე ზრუნვა საზოგადოების სამივე სექტორის თანამშრომლობით :
- სახელმწიფოს კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ერთი უწყება (რომელიც საზოგადოებას კიბერგამოწვევებზე გაუწევს კონსულტაციას, გამოიძიებს ინტერნეტ-კრიმინალს, შეამოწმებს საეჭვო საიტებს, ბავშვებს დაიცავს არასასურველი კონტენტისაგან, დაიცავს ინტერნეტ-მომხმარებლების უფლებებს);
- კიბერპატრულის, კიბერრეზერვისა და კიბერარმიის შექმნა, რომლის კოორდინაციაც უნდა განახორციელოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურმა;
- მკაცრი საკანონმდებლო კონტროლი განხორციელდეს კიბერაქტივობაზე, კიბერკრიმინალის მასშტაბისა და დონის შესაბამისად;
- ინტერნეტ-საზღვრების იურისდიქციის პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა (მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ მხოლოდ სხვა ქვეყნების იმედად ვიყოთ);

დაბოლოს, ქვეყანაში საუბრობენ მხოლოდ კიბერსივრცის თავდაცვითი ღონისძიებებსა და პრევენციის მექანიზმებზე, თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც რომ სახელმწიფოს, ასევე სჭირდება კიბერთავდასხმისა თუ თავდაცვის გეგმა ქვეყნის უსაფრთხოების ძლიერებისათვის (მხოლოდ კიბერკრიმინალთან და კიბერტერორიზმთან ბრძოლის მიზნით).

www.marshalpress.ge, 14 ივლისი, 2016 წელი

1.4. კიბერტერორიზმის ეკონომიკური გავლენა

ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ტექნოლოგიებზე. ამასთან, კიბერეკოსისტემის კასკადზე სულ უფრო იზრდება კიბერთავდასხმების პრეცედენტები.

აღსანიშნავია, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს კიბერთავდასხმების ზრდასა და ინტერნეტ-ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირებას შორის.

დღეს, კიბერთავდასხმები წარმოადგენს ინფორმაციული ომის ახალ ფურცელს. იგი არის მზარდი საფრთხე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებს.

არსებითია აღინიშნოს, რომ კიბერთავდასხმები ქმნის სახელმწიფოს დასუსტების პირობას, სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური გავლენით. იგი დიდ გავლენას ახდენს საფინანსო ბაზრებზე, სახელმწიფოს რეპუტაციასა და ნდობაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალურ ეკონომიკურ დანაშაულებში, კიბერკრიმინალი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური დანაშაულია. PWC-ს კვლევის ანგარიშით (Global Economic Crime Survey, 2016), გლობალურ ეკონომიკურ დანაშაულებში პირველ ადგილს იკავებს აქტივების უკანონო მითვისება 64%, მეორე ადგილზეა კიბერკრიმინალი 32%-ით, ხოლო სამეულში შედის მექართამეობა და კორუფცია 24%-ით.

კრიმინალის გლობალური მასშტაბები და მისი წილი მსოფლიოს მშპ-ში საკმაოდ სოლიდურია, მათ შორის გლობალურ მშპ-ში: ტრანსნაციონალური დანაშაულების წილი შეადგენს 1.2%-ს, ნარკოტიკების - 0.9%-ს, კიბერკრიმინალის - 0.8%-ს, გაყალბება/საავტორო უფლებების დარღვევა- 0.89%-ს, ხოლო საზღვაო პირატობა - 0.02%-ს.

2014 წელს, მსოფლიოში, კიბერკრიმინალის ზარალი აღწევდა 445 მლრდ დოლარს, ხოლო დღეს 1 ტრლნ დოლარს. პროგნოზით, მსოფლიოში, კიბერკრიმინალის დანაკარგები 2019 წელს 2 ტრლნს მიაღწევს.

გლობალური ინდექსით (global peace index), 163 ქვეყნის კონფლიქტი, ტერორიზმი და პოლიტიკური არასტაბილურობა 2015 წელს შეფასდა 13.6 ტრლნ დოლარით.

ტერორიზმის გავლენის შეფასებისათვის, შეიძლება განხილული იქნას The Institute for Economics and Peace (IEP) -ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელმაც

162 ქვეყნის საფუძველზე წარმოადგინა გლობალური ტერორიზმის ინდექსი (კვლევა მოიცავს მოსახლეობის 99,6%-ს, ტერორიზმის ფსიქოლოგიურ გავლენას, დანაკარგებს, ზარალს, საკუთრების დაზიანებას). აღნიშნული ინდექსის მაღალი დონე აჩვენა შემდეგმა ქვეყნებმა: ერაყი, ავღანეთი, ნიგერია,პაკისტანი, სირია, ინდოეთი, იემენი, სომალი.

The Symantec -ის ანგარიშით, კიბერკრიმინალის შედეგად, პლანეტის მოსახლეობამ დაკარგა 158 მლრდ დოლარი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის ანგარიშით, ძალადობრივი დანაშაულები და მკვლელობები 2014 წელს შეფასდა 1.7 ტრლნ დოლარით, ხოლო ტერორიზმის გლობალური ეკონომიკური გავლენა 2000-2014 წწ-ში 4.9 მლრდ დოლარიდან 52.9 მლრდ დოლარამდე გაიზარდა .

მსოფლიოში, 50 წლის განმავლობაში, 475 სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მათგან 236 ინციდენტი წარმატებით დასრულდა. 2010 წლიდან დღემდე 19 სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მათგან 9 ინციდენტი წარმატებით დასრულდა (წარუმატებელი აღმოჩნდა სახელმწიფო გადატრიალება თურქეთში).

სხვადასხვა შეფასებით, გლობალური უთანასწორობის გადაჭრა და ძალადობის შემცირება საჭიროებს 1.36 ტრლნ დოლარს. აღნიშნული კი შეადგენს მსოფლიოს საკვები პროდუქტების ექსპორტის ექვივალენტს. პროგნოზით, მომავალ 5 წელიწადში 1 ტრლნ დოლარი იქნება დახარჯული გლობალური კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

კიბერკრიმინალი წარმოადგენს საკმაოდ მზარდ ინდუსტრიას, რომლის სარგებელი დიდი, ხოლო რისკები დაბალია. სხვადასხვა შეფასებით, კიბერკრიმინალის პრევენციაზე, გლობალური ეკონომიკის გაწეული დანახარჯები 575 მლრდ დოლარს აჭარბებს.

მხოლოდ გაეროს მიერ სამშვიდობო ოპერაციებზე გაწეულმა დანახარჯმა 8.27 მლრდ დოლარი შეადგინა (ბოლო ერთ წელიწადში).

ჯამში, შეიძლება აღინიშნოს, რომ კიბერთავდასხმების ზომებისა და თანმდევი შედეგების (ზიანის) მასშტაბების ანალიზის აქტუალობის მიუხედავად, კიბერკრიმინალის ეკონომიკური გავლენის რაოდენობრივი შეფასება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ეს კი მსოფლიოს ქვეყნებში, კიბერთავდასხმებით გამოწვეული დანაკარგების გაზომვის შეზღუდული შესაძლებლობითაა გამოწვეული.

ფაქტია, რომ კიბერსაფრთხეები გადაიჭრება ნაციონალურ დონეზე. ამისათვის თითოეული ქვეყანა ქმნის კიბერინციდენტებზე რეაგირების ჯგუფს, ინტენსიურად იკვლევს და ანალიზებს საფრთხეებს, ამუშავებს კიბერკრიმი-ნალთან ბრძოლისა და კიბერსივრცის უსაფრთხოების შენარჩუნების მეთოდებს.

ხაზგასასმელია კიბერთავდასხმებთან და კიბერტერორიზმთან ბრძოლის აღიარებული მეთოდები:

1. *პროგრამების, პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;*
2. *კიბერჯგუფების შექმნა და ინციდენტებზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება;*

3. *ბიზნეს უწყვეტობისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის, სამივე სექტორის კოორდინირებული კიბერაქტივობა;*
4. *სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება;*
5. *კადრების მომზადება;*
6. *ტექნიკური უსაფრთხოების შეფასება და მონიტორინგი.*

სამწუხაროდ, საქართველოს კიბერსაფრთხეების სოციალური და ეკონომიკური გავლენის შეფასება რთულია. საქართველოში, კიბერსაფრთხეებისა და კიბერ ტერორიზმის ანალიზი და შეფასება, ძირითადად საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზეა შესაძლებელი. მაგალითად, IEP-ის კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშით, საქართველო თუ 2015 წლის რეიტინგში იმყოფებოდა ტერორიზმის ყველაზე დაბალი გავლენის მქონე ქვეყნების სიაში, 2016 წლის გლობალური მშვიდობის ინდექსის რეიტინგში (Global Peace Index, 2016) საქართველოს გარემოს საფრთხეები საშუალო დონით ფასდება.

წესით, სტატიას გაამდიდრებდა საქართველოს კიბერგარემოს კომპლექსური ანალიზი და შეფასება. თუმცა, ვინაიდან და რადგანაც, ქვეყანაში არ წარმოებს (ან ფრაგმენტულია) კიბერგარემოს კომპლექსური კვლევა, არ ხდება ელექტრონული ბიზნეს სივრცის ათვისება, არ იქმნება სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტები, ჯერ კიდევ ვერ ყალიბდება მძლავრი ელექტრონული მმართველობითი სისტემა, ბუნებრივია, ქართულ კიბერსივრცეზე არსებული ფრაგმენტული კვლევის მონაცემები ზუსტი დასკვნების წარდგენის შესაძლებლობას არ იძლევა.

ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანად იზრდება კიბერკრიმინალის მასშტაბები (ასევე, კიბერსივრცის სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობა), რომელზე რეაგირებაც კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ საკმაოდ დაგვიანდა (რადგან პრევენციის მექანიზმები, პოლიტიკა, სტრატეგია, კიბერსტრუქტურები ახლა ფორმირდება).

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში საჭიროა „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნა“, რომელიც მეცნიერ-მკვლევარების, ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის კოორდინირებით ხელს შეუწყობს ქვეყნის გლობალური და ლოკალური გამოწვევების გადაჭრას, როგორც ფიზიკურ სივრცეში ისე კიბერ გარემოში.

www.bpn.ge, 26 ივლისი, 2016 წელი

1.5. ციფრული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის

მსოფლიო დინამიურად შეცვალა ციფროვიზაციის მძლავრმა ტალღამ, რის შედეგად განვითარებული ქვეყნები, ICT-ის განვითარების პოლიტიკის ნაცვლად ფოკუსირებული გახდა ციფროვიზაციის პოლიტიკაზე.

ციფროვიზაცია იქცა მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური წესრიგისა და ძალაუფლების ბალანსის ტრანსფორმატორი, რის გამოც წინა პლანზე გამოვიდა მსოფლიო ტექნოლოგიური წესრიგი. იგი შედარებით დიფერენცირებულია, ხოლო მისი უზარმაზარი რესურსები და შედეგები უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს ყველა რეგიონისთვის, მათ შორის საქართველოსთვის.

ციფროვიზაცია (Digitization) წარმოადგენს ICT-ს სფეროს ევოლუციის ახალ ეტაპს. მისი პროცესების გენერირებით გარდაიქმნა მსოფლიო ბაზრები, ინიცირებული იქნა ეკონომიკების რესტრუქტურიზაცია, წარმოებული იქნა ინდუსტრიული ტრანსფორმაცია და ფორმირებული იქნა ერთიანი გლობალური პლატფორმა. ამ პროცესების ზეგავლენით ურთიერთდაკავშირებული გახდა ეკონომიკა და ტექნოლოგია (მათ შორის საქართველოშიც).

ციფროვიზაცია, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის პროცესი, ციფრული კომუნიკაციებისა და აპლიკაციების მეშვეობით მიმართულია ტექნიკურ-ეკონომიკური გარემოსა და სოციალ-ინსტიტუციონალური ოპერაციების გარდაქმნისაკენ, ციფროვიზაცია ციფრული სერვისების მასობრივი დანერგვაა. ის გამოწვეულია ციფრული ტექნოლოგიის შექმნის, დამუშავების, გაცვლისა და ინფორმაციული ტრანსაქციის მასობრივი ათვისებით

ICT-ის პოლიტიკა ორიენტირებულია ინტერნეტიზაციის, კომპიუტერიზაციის, ელექტრონული მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფაზე, მაშინ როცა ციფროვიზაციის პოლიტიკა აღნიშნული პროცესების გარდა ფოკუსირებულია მათ მასობრივ ათვისებაზე და მიმართულია სოციალური ტრანსფორმაციის, საზოგადოების აღქმის, აზროვნების, დემოკრატიულობის, იურიდიული ძალის მქონე ინფორმაციული კლიმატის ფორმირების, მთავრობის მმართველობითი საქმიანობის, პროცესების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ზრდაზე.

სხვა ტექნოლოგიური ინოვაციებისაგან განსხვავებით, ციფროვიზაცია ოპერირდება ქსელთან წვდომის ტექნოლოგიების ევოლუციაზე (მობილური ან ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი), ნახევარგამტარ ტექნოლოგიებზე (კომპიუტერები /ლეპტოპები, უმავთულო/უსადენო მოწყობილობები/ ტაბლეტები), პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაზე (ინჟინერინგი, ოპერაციული სისტემების ფუნქციონალობის ამაღლება) და გამოყენების შედეგების გარე ეფექტებზე (დანართების შემუშავების, სამთავრობო მომსახურების ელექტრონული მიწოდების, ელექტრონული კომერციის, სოციალური ქსელის საერთო პლატფორმის სარგებლობა და ონლაინ ინფორმაციის მისაწვდომობა ფორუმებზე, ბლოგებსა და პორტალებზე) (TAS).

დღეს ციფროვიზაციის პროცესებსა და ტექნოლოგიებზე გადის სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე გზა, რომლის მოქმედების საფუძველია ციფროვიზაციის პოლიტიკა.

ციფროვიზაციის პოლიტიკის მოდუსი ძირითადად ფოკუსირებულია ფუნდამენტურ შეხედულებებსა და ფასეულობების გააზრებაზე, ეკონომიკის, პოლიტიკის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებაზე, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ფორმირებაზე.

განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით, განვითარებადი ქვეყნების მთავრობის რიტორიკა, არასაკმარისი გამოცდილების შედეგად, ციფროვიზაციის პოლიტიკის გატარების ნაცვლად ICT-ის პოლიტიკის გატარებას ანიჭებს უპირატესობას (რომელთა შორისაა საქართველოც).

გლობალური ციფროვიზებული გარემო . დღეს ინტერნეტს იყენებს 2.7 მლრდ კაცი, პლანეტის მოსახლეობის 39%. მათ შორის განვითარებული ქვეყნების ონლაინ მოსახლეობა შეადგენს 69%-ს, ხოლო განვითარებადი ქვეყნების - 31%-ს (2013). გლობალურად, ინტერნეტ-წვდომა აქვს 750 მლნ ოჯახს (41%), ხოლო 1068 მლნ ოჯახი ინტერნეტის გარეშეა (Itu.int, 2013), რაც განპირობებულია სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის, ცუდი ინფრასტრუქტურის, ხელმისაწვდომობის, დაბალი ინტერნეტ-კულტურის, ციფროვიზაციის პოლიტიკის უქონლობის და სხვა ფაქტორების გამო.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ციფროვიზებული გარემოს პირობებში მსოფლიო ეკონომიკამ შეადგინა 71.6 ტრლნ დოლარი (2013). მსოფლიო სავალუტო ფონდის პროგნოზით მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2013 წელს იქნება 3.3% (2012 წელს იყო 3.2%). მოსალოდნელია ფორმირებული ბაზრებისა და განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის ზრდა 5%-მდე, ამის მიზეზია სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ხელსაყრელობა, ექსპორტის გამოცოცხლება და სხვა. 2013 წელს 3.3%-იანი გლობალური გარემოს ინფლაციის პირობებში (2012 წელს იყო 3.6%) (IMF, 2013), განვითარებული ქვყნების ეკონომიკის ზრდის ტემპი 1.2% იქნება (ხოლო 2014 წელს 2.2%).

დღევანდელ გლობალურ სივრცეში, მხოლოდ გლობალური ციფრული ეკონომიკის წილი 20 ტრლნ დოლარია, სადაც მსოფლიო ელექტრონული კომერციის B2B ბიზნეს მოდელისა და სამომხმარებლო ტრანსაქციის წილად 16 ტრლნ დოლარი მოდის (IDC, 2013).

ციფროვიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ციფროვიზებული გარემო ტექნოლოგიური ზეგავლენის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ეკონომიკური ზრდისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური პლატფორმაა.

ციფროვიზებული გარემოს სარგებელია - ხარისხი, რომლითაც სახელმწიფოსა და ბიზნეს ორგანიზაციების ტექნოლოგიები, აპლიკაციები, ბიზნეს-პროცესები და მონაცემთა კომპონენტები სტანდარტიზებული, ერთობლივი და ინტეგრირებულია.

ციფროვიზაციის გარემოს ზეგავლენა შეიძლება წარმოვადგინოთ ეკონომიკის, სოციალურ კეთილდღეობისა და ეფექტური მართვის კომპონენტებით.

ციფროვიზებული გარემო გენერირებს მცირე და საშუალო ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნასა და განვითარებას, რასაც ნაციონალური ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, ევროპაში მცირე და საშუალო ბიზნესი სამუშაო ადგილების 2/3-ს ქმნის და ევროპის ბიზნესის 99%-ს წარმოადგენს (European Commission).

ციფროვიზაციის ტენდენციამ აქტუალური გახადა თავისუფალი კონკურენციის მხარდაჭერა, საერთაშორისო კავშირგაბმულობის ქსელის გაფართოება, გლობალური ბაზრის ფორმირება (ინტერნეტ-ბაზრის სახით);

ციფროვიზაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პოლიტიკისა და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში. იგი ზრდის მოქალაქეების, სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას ელექტრონული მმართველობით გადაწყვეტილებებში, ამაღლებს სახელმწიფო მართვის ეფექტიანობას, ხელს უწყობს ფისკალურ დეცენტრალიზაციასა და ფისკალურ დისციპლინას, სტიმულირებს გამჭვირვალობას, საკუთრების უფლების დაცვას, ამცირებს ბიუროკრატიის ზეგავლენას საბაზრო ინსტიტუტების საქმიანობაზე.

ციფროვიზაციის პროცესი უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების ფართო მისაწვდომობას.

ქვეყნები, რომლებიც ციფროვიზაციის მოწინავე სტადიაზეა, მოიმკიან 20%-ით მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე ციფროვიზაციის დასაწყის გზაზე მყოფი. ციფროვიზაცია გენერირებს 3-ჯერ მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე ფართოზოლოვანი ჩართვა.

ციფროვიზაცია, როგორც ეკონომიკის დამაჩქარებელი 4.7-ჯერ უფრო მძლავრია, ვიდრე მშპ-ის ერთ სულზე ფართოზოლოვანი კავშირის 0.16%-იანი ზემოქმედება. ასევე ქვეყანაში ციფროვიზაციის 10%-იანი ზრდა იწვევს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის 0.75%-იან ზრდას.

ციფროვიზაციას პოზიტიური კონტრიბუცია შეაქვს სამუშაო ადგილების შექმნაში, ციფროვიზაციის 10%-იანი ზრდა უმუშევრობის დონეს ამცირებს 0.84%-ით (Booz & Company). სხვა კვლევებით ეს მაჩვენებელი 1.02%-ია, ეს კი 4.6-ჯერ მეტია, ვიდრე ფართოზოლოვანი კავშირის დანერგვით უმუშევართა დონის შემცირება. ფართოზოლოვანი კავშირი უმუშევართა დონეს ამცირებს 0.22%-ით.

ციფროვიზაცია, ეკონომიკური სტიმულირებისა და დასაქმების მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საილუსტრაციოდ მოყვანილია მსოფლიოს ტენდენცია. კერძოდ, ციფროვიზაციამ ხელი შეუწყო 192.6 მლრდ დოლარის პროდუქციის გამოშვებას და 6 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას. სადაც მხოლოდ ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის რეგიონში შეიქმნა 4 მლნ-ზე მეტი სამუშაო ადგილი, ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის რეგიონში დასაქმების ზრდა მცირე იყო.

ციფროვიზებული გარემოს მრავალფეროვანი სარგებლისა და ფასეულობიდან ასევე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ციფრული პროცესები:

- ზრდის კლიენტების, პროდუქტების, მომსახურებისა და ოპერაციული მოდელების მიგრირებას ციფროვიზებულ პროცესებსა და მიდგომებში, რომელიც ყოველთვის მზადაა მუშაობისათვის;
- გავლენას ახდენს ვაჭრობის ლიბერალიზაციის, ეკონომიკური ეფექტიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე;
- პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ინფლაციურ პროცესებზე;

- ამაღლებს ეკონომიკური სუბიექტებისათვის თავისუფლების ხარისხს, მოლოდინს, ნდობას;

ციფრულ ტექნოლოგიებს მოძრაობაში მოჰყავს მომხმარებელთა შემოსავლები, მოთხოვნა, განათლება, კაპიტალის, რესურსების ეფექტური გამოყენება, რომელიც გენერირებს ეკონომიკის ზრდას. თავის მხრივ ციფრული პროცესების ეკონომიკური გავლენა აჩქარებს მოწინავე სტადიაზე (ციფროვი-ზაციის) გადასვლას. თუმცა, ციფრულად შეზღუდული ეკონომიკები ღებულობენ მცირე სარგებელს, რადგან ისინი ICT-ის ეკოსისტემის შექმნის საჭიროების წინაშე ვერ ილებენ ციფრულ სარგებელს.

განვითარებული ქვეყნების მოწინავე ბაზრებისათვის ციფროვიზაცია ამცირებს დანახარჯებს, ზრდის პროდუქტიულობას, ახდენს ინოვაციის სტიმულირებას, ხოლო დასაქმების მხრივ წარმოდგენილია მცირე სარგებლით (რადგან სამუშაო ადგილები ტექნოლოგიებით ჩანაცვლდება), ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. დაბალი დამატებითი ღირებულებისა და შრომის ზედამხედველობის საკითხების გამო, კომპანიები ამჯობინებენ იმ განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე გასვლას, სადაც იაფი სამუშაო ძალაა. ციფროვიზაცია აღნიშნული ქვეყნების დასაქმების დონეზე გავლენას ახდენს და შესაბამისად მისი სარგებელიც მაღალია;

ციფროვიზაციის ზრდის პარალელურად იზრდება ოფშორინგი (ოფშორული „იაფი სამუშაო ძალისა" და ოფშორი ქვეყნის სტრატეგიული ხელსაყრელობიდან გამომდინარე. ოფშორის დომინირებად მოთამაშეებად აღიარებულია: ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინები, რუსეთი და სხვა) (sourcingmag.com);

ციფროვიზაცია ფუნდამენტურად გარდაქმნის არსებულ ბიზნეს მოდელებს, ცვლის კომპანიის მიერ პროდუქტისა და ბრენდის აგების, ურთიერთობისა და კლიენტებისათვის მომსახურების წარდგენის პროცესს;

ციფროვიზაციის პროცესში დომინანტი ხდება სოციალური მედია ტექნოლოგიები (მაგალითად, ბრენდის აგებისას), უმჯობესდება კომპანიის მიერ საწარმოო აქტივების მართვის გზები, რითაც კომპანიას შესაძლებლობა ეძლევა ფორმირებული საბაზრო ეკონომიკისკენ იმოძრაოს.

ციფროვიზაცია ხელს უწყობს ერთიანი გლობალური ორგანიზაციების შექმნას, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის გავლენას ახდენს რესურსების მართვის, საწარმოო ორგანიზებისა და სამუშაოს განხორციელებას; ციფროვიზაცია კომპანიების ეფექტურობის ზრდისათვის შიდა ფუნქციების აუტსორსინგისა და მთლიანი პროცესის ავტომატიზაციის შესაძლებლობას იძლევა (WEF, 2013);

ციფროვიზებული სივრცის საინვესტიციო მიმზიდველობა. ციფროვიზაციის პროცესის კაპიტალიზმის ახალ ტალღად გარდაქმნამ გამოიწვია მისი საინვესტიცო მიმზიდველობის ზრდა. ასევე გლობალური ელექტრონული ბაზრის ასპექტების გარდაქმნით - მომხმარებლის ქცევიდან ახალი ბიზნეს მოდელებისკენ, საინვესტიციო გადაწყვეტილებებსა და ინტერესებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის გახდა.

დღეისათვის, განვითარებადი ქვეყნების მიერ ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროცესში, ინვესტორების ძირითადი ინტერესი მიმართულია ახალ ტექნოლოგიებზე, შესაბამისად, ეს სფერო წარმოადგენს ქვეყნის განვითარების მამოძრავებელ ძალას.

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ ფირმას, რომელსაც აქვს ბიზნესის უზრუნველყოფის ძლიერი სისტემა და ახალ ტექნოლოგიებში ახორციელებს კაპიტალდაბანდებებს, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდა 35%-დან 74%-მდეა და პირიქით, როდესაც ფირმა სუსტი ბიზნეს რესურსებით ახორციელებს ინვესტირებას ახალ ტექნოლოგიებში, შესაძლოა მისი მწარმოებ-ლურობა საერთოდ არ გაიზარდოს, ხოლო ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირება იყოს სარისკო ან ფუჭად დახარჯული.

ცვლილებებს ხელს უწყობს ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა: მობილური ტექნოლოგიები, თანამშრომლობის ინსტრუმენტები, cloud computing, business intelligence და სოციალური მედია. ეს ტექნოლოგიები ზრდის ორგანიზაციის მწარმოებლურობას, დრამატულად ამაღლებს კორპორაციულ კონკურენტუნარიანობას და იძლევა კონკურენტულ სარგებელს. შესაბამისად, მოცემულ ტექნოლოგიებში მაღალია ინვესტირება და მისი განვითარების შემდგომი ინტერესი.

მსოფლიოს რეგიონებიდან ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირებაზე ყველაზე დიდია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის (სხვა რეგიონებთან შედარებით) კომპანიების კაპიტალდაბანდება და ICT-ის ბიუჯეტი. კერძოდ :

- მობილური ტექნოლოგიების უპირატესობამ და ბიზნეს თამაშის წესების ცვლილებებმა გაზარდა მოთხოვნა და კაპიტალდაბანდებები. შედეგად, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მობილური ტექნოლოგიებში ინვესტირების მოცულობა 31%-მდე გაიზარდა (პროგნოზით 2 წელიწადში გაიზრდება 82%-მდე). ევროპის რეგიონში ინვესტირების მოცულობა გაიზარდა 20%-მდე (პროგნოზით იქნება 66%); განვითარებად ქვეყნებში 100 კაცზე ყოველი დამატებითი 10 მობილური ტელეფონი იწვევს მშპ-ის ზრდას 0.8%-ით;
- Cloud -ში ინვესტიციების მოცულობის ზრდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში 30%-ია, (პროგნოზით გახდება 150%), ხოლო ევროპის რეგიონში ეს მაჩვენებელი შეადგენს 23%-ს (პროგნოზით გაიზრდება 96%-მდე); კვლევითი ფირმა Gartner-ის მონაცემებით გლობალური Cloud Computing-ის ბაზარი (პროგრამული მომსახურების სერვისის, პლატ-ფორმა (როგორც სერვისი), ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი) $ 69.3 მლრდ-დან(2010) $148.8 მლრდ-მდე გაიზრდება(2014), რომლის ნახევარი აშშ-ის წილი იქნება;
- კომუნიკაციის ინსტრუმენტებში ინვესტირების მოცულობის ზრდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში 26%-მდეა გაიზრდილი (პროგნოზით 2014 წელს იქნება 44%-იანი ზრდა), ხოლო ევროპის რეგიონში ეს მაჩვენებელი 17%-ს შეადგენს.

იმისათვის, რომ მსოფლიოში შენარჩუნდეს გლობალური ციფრული ეკონომიკის დაგეგმილი ზრდა (2030 წლამდე) ინფრასტრუქტურულ ინვესტირებას საჭიროებს ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი (გზა, რკინიგზა, პორტი, აეროპორტი), ენერგეტიკა და წყალი (ჯამში 57 ტრლნ დოლარის ინვესტიცია, რაც უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიოს ინფრასტრუქტურის დღევანდელი სავარაუდო ღირებულება), სადაც, მხოლოდ ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურა საჭიროებს 10 ტრლნ დოლარის ინვესტირებას. დადგენილია, რომ ინფრასტრუქტურის სრულყოფის შემთხვევაში მიიღწევა პროდუქტიულობის ამაღლება 40%-იანი ეკონომიით, ეს კი ჯამში 1 ტრლნ დოლარის ეკონომიას შეადგენს (2013-2030 წწ) (McKinsey Global Insitute - MGI).

ცნობილია, რომ ნიშანდობლივი კავშირი არსებობს კონკრეტულ ტექნოლოგიებში ინვესტირებასა და ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფას შორის, შესაბამისად ტექნოლოგიების სფეროს ზოგიერთი ინვესტიცია წარმატებულია, ხოლო ზოგიერთი წარუმატებელი. რაც საჭიროებს წინასწარ განსაზღვრასა და კვლევას (Insead.edu, 2013).

აღსანიშნავია, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის არასაკმარისია მხოლოდ ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირება, ორგანიზაციისათვის ასევე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს ძლიერი და კომპლემენტარი ბიზნეს რესურსები.

დღეისათვის, ინვესტორების არჩევანი განისაზღვრება, როგორც ქვეყნის ეკონომიკის შედეგებით, ისე ციფროვიზებული გარემოს პროცესებით, რაც ინვესტორების უსაფრთხო აქტივების უზრუნველმყოფი სივრცეა.

ციფროვიზაცია და საქართველოს ეკონომიკური გარემო . საქართველოს ეკონომიკური გარემოს ძირითადი გამოწვევებია: ეკონომიკური სტაგნაციის თანმდევი ძლიერი და თანამიმდევრული პოლიტიკის უქონლობა; პოლარიზებული საზოგადოება, სეისმური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო; ძალაუფლების აღების შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკის ტესტირება და გაურკვეველი შედეგები; ქვეყნის მეტ-ნაკლებად წამყვანი დარგების განვითარების ტრაექტორიის ცვლილება; შიდა ინვესტირების „სიძუნწე და შიში“; არამდგრადი სამართლებრივი სივრცე, სტრატეგიული გეგმებისა და მიმართულებების არარსებობა.

ცნობილი არ არის საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოდერნიზების სრული ხარჯი და მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი. საზოგადოებისათვის მკაფიოდ განსაზღვრული არაა ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებები და საჭირო რესურსები, რაც მოკლევადიან თუ გრძელვადიან პირობებში ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი და კეთილდღეობის უზრუნველმყოფია. ასევე არაპროგნოზირებადია ციფროვიზაციის ზრდის ტემპი.

განვითარების მამოძრავებელ - მცირე ბიზნესის წარმოქმნას, გაფართოებასა და განვითარებას ხელს უშლის „სტრუქტურული“ მიზეზები, გაურკვევლობა, რეცესია, წამქეზებელი სტიმულების ნაკლებობა.

უკანასკნელ წლებში დომინანტი გახდა ადამიანური განვითარების პოტენციალი, კაპიტალი და მისი წვლილი ეკონომიკასა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაში. გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსით საქართველო 72-ე ადგილზე იმყოფება. ამ რეიტინგში საქართველო ადამიანური განვითარებით საშუალო განვითარების დონეზე იმყოფება (UN, HDI, 2013). შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკაში დაბალია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წილი, დეგრადირებულია სამეცნიერო გარემო და მეცნიერ-მკვლევართა იმიჯი.

ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური შფოთვები /მღელვარება, რეგულირების წესების მუდმივი ცვლილება, პოლიტიკური გაურკვევლობა, რაც დისფუნქციური შედეგებისაა. ნეგატიური შედეგებისაა პოლიტიკური შეფასებები სამთავრობო კორუფციის, ფინანსური სპეკულაციებისა და საინვესტიციო ფონდების ირაციონალურ გამოყენებაზე. პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის დეფორმაცია, ზედმეტად დამოკიდებულება ინვესტიციებსა და იმპორტზე. ტერიტორიული კონფლიქტი წარმოადგენს „ვაჭრობის პოლიტიკის" საკითხს, რაც რეგიონის ქვეყნებს შორის ვაჭრობასა და კაპიტალის ნაკადში ეკონომიკურ რყევებს იწვევს. ზემოაღნიშნული ზეგავლენა და რყევები მხოლოდ ინტერნეტ-ბაზარზეა წარმოდგენილი მცირე დოზით.

ეკონომიკის სუსტი ზრდის გამო (მიმდინარე წლის 2 კვარტალში ეკონომიკის შემცირება მოხდა) ყურადსაღებია სოციალური შედეგები. ქვეყანაში ადგილი აქვს „სოციალურ დეპრესიას", რასაც ხელს უწყობს დაბალი ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის არასახარბიელო მოლოდინი. დაბალია შობადობის, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის, უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის სტატისტიკა. მაღალია სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, როგორც სოფელსა და ქალაქს შორის, ასევე ქვეყნის რეგიონებს შორის.

უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები) ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ თავს, რომ არაფერი ვთქვათ ოჯახის დახმარებაზე, ჩამორჩებიან პერმანენტული ზრდასრულობის მდგომარეობას, ვერ გადიან საზღვარგარეთ, ვერ იმაღლებენ ცოდნას, აყოვნებენ ოჯახის შექმნასა და შვილების გაჩენას, წლის მანძილზე არასრულად მუშაობენ, თმობენ გრძელვადიან მიზნებს. ამიტომ, ცალკეულ შემთხვევაში ცხოვრების წესად ხდება ონლაინ თამაშები, პოპ-კულტურა, სმა და ქუჩაში ყოფნა.

საქართველოს ნაციონალური ეკონომიკის ნაწილია ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. ისინი უზრუნველყოფს განათლებას, ჯანდაცვას, პოლიციასა და უსაფრთხოებას, ნაციონალური ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვა ფასეულ მომსახურებას. ზოგადად, დადგენილია, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები ქმნიან ნაციონალური ეკონომიკური საქმიანობის 8.8%-ს (აშშ-ში -12%-ს, რაც შეადგენს 1.8 ტრლნ დოლარს (2012).

ქვეყანაში ცალკეული სამთავრობო ორგანოები უფრო მეტად პროპაგანდის ორგანოს სახეს (პოლიტიკური კუთვნილებით) ამჟღავნებს, ვიდრე მოქალაქეების მომსახურებით არის დაინტერესებული.

საქართველოს მთავრობის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობის" პროექტი ძირითადად ფოკუსირებულია მედიასთან ანგარიშვალდებულებაზე, ხოლო „საზოგადოების ჩართულობა", მხოლოდ განსაზღვრული ძალისა და სტატუსის აქტორებს ეხება.

დემოკრატია, როგორც ფასეულობა მსოფლიო მიმართვისაა. დემოკრატიის ინდექსით საქართველოს 93-ე ადგილზე იმყოფება, რომელიც 5 კატეგორიაში შეფასდა: პოლიტიკური პროცესები და პლურალიზმი, მოქალაქეთა თავისუფლება, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკური ჩართულობა და პოლიტიკური კულტურა (The Economist Intelligence Unit. Democracy index, 2012).

სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების სიდიდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაციონალურ ეკონომიკაში, უშუალო ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ციკლში, ზოგჯერ ბუფერულ რეცესიებში, აგრეთვე აღორძიების (გამოცოცხლების) ხელშეწყობაში, ასევე კერძო სექტორის გამოცოცხლებისათვის „ბუქსირის" როლში გამოდის. სიდიდისა და ზეგავლენის ეფექტიანობისათვის საჭიროა ციფროვიზაციის პოლიტიკის განსაზღვრა და მის საფუძველზე ელექტრონული მთავრობის ფორმირება.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ტერიტორიული დავას ყურადღება გადააქვს შიდა არასტაბილურობიდან და უთანასწორობიდან.

საქართველოს მოსახლეობა რთულ გეოგრაფიულ სივრცეში ცხოვრობს. გარკვეულ ურთიერთკავშირია გეოგრაფიულ იზოლაციასა (მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის საზღვრებს გარეთ გასვლა შეუძლებელია ან შესაძლებელია არაკანონიერი და არალეგალური გზებით) და სიღარიბის დონეს შორის. რეგიონებში არასათანადოდაა განვითარებული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ქვეყნის დემოკრატიის დონე. უთანასწორობას აღრმავებს ფინანსური რესურსების მისაწვდომობა, სამთავრობო სტრუქტურების მომსახურება და ყურადღება, მოქალაქეებზე ორიენტირება, საინვესტიციო პროექტების ნაკლებობა, ცალკეულ მიმართულებებში საჭირო ინტერვენციული ღონისძიებების ნაკლებობა.

საქართველოს რეგიონებსა და სოფლებში ხარისხიანი ინტერნეტ-კავშირის მიღწევადობა ჯერ კიდევ გადასაჭრელი პრობლემაა.

კავკასიის რეგიონში საქართველოს სატელეკომუნიკაციო სივრცე განვითარების დონით ჩამორჩება აზერბაიჯანს, რუსეთს, ცალკეულ მიმართულებებში სომხეთსაც კი. მართალია, კავკასიის რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნები რიგ შემთხვევაში ერთნაირია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს მოთხოვნები განსხვავებულია. მაგალითად, მოთხოვნები კულტურაში, ცხოვრების წესში, მორალურ ნორმებში, გარკვეული მოვლენებისადმი, საგნებისადმი. ასევე განსხვავებულია შეხედულებები, განათლების მასშტაბი და ფასეულობა ღირებულებათა სისტემაში. საქართველო კავკასიის რეგიონის ქვეყნებს ჩამორჩება ინტერნეტ-მომხმარებელთა პროცენტული რაოდენობით

(მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით), ტექნოლოგიების ათვისებით, კომპიუტერიზაციის ტემპებით, ინტერნეტ-განათლებით, სოციალური მედია ტექნოლოგიების გამოყენების დონით. ამის მიზეზია ციფროვიზაციის პოლიტიკის უქონლობა, არაპრიორიტეტულობა. სამთავრობო სტრუქტურების მიერ ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებისა და ფართოდ დანერგვის პროცესში ადგილი არ აქვს მეცნიერ-მკვლევარებისა და აკადემიური პირების ჩართვას (რაც განვითარებული ქვეყნებში აპრობირებული მეთოდია, აღარაფერს ვამბობ დემოკრატიის დამახასიათებელ მაჩვენებლებზე).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ კლასიფიცირებული ციფროვიზაციის 4 დონედან (შეზღუდული, განვითარებადი, გარდამავალი და მოწინავე დონე). საქართველო იმყოფება მეორე (განვითარებად) სტადიაზე. ეს კი განპირობებულია ციფროვიზაციის სტრატეგიის არქონითა და ქვეყნის ელექტრონული განვითარების არასწორ ტრაექტორიაზე მოძრაობით.

საქართველოსათვის განსაზღვრული არაა ციფროვიზებული პოლიტიკა, არ წარმოებს ახალი ტექნოლოგიებისა და ციფრული ინსტრუმენტების ათვისება, შემუშავებული არაა ICT-ს მომსახურებასთან წვდომისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამები.

შეჯამება. ციფროვიზაციის გავლენა ქვეყნებსა და სფეროებს შორის არათანაბარია. განვითარებული ქვეყნები მაღალ ეკონომიკურ სარგებელს იღებენ (თითქმის 25%-ს), თუმცა ისინი, როგორც წესი განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს სამუშაო ადგილების შექმნის დონით ჩამორჩება. ძირითა დი მიზეზია მისი თანმდევი შედეგები. განვითარებადი ქვეყნები ეყრდნობა შიდა მოხმარებას, რაც საჭიროს ხდის არასავაჭრო სექტორს. განვითარებად ეკონომიკაში, ციფროვიზაცია აუმჯობესებს მწარმოებლურობას და ზრდაზე აქვს გავლენა. გარდა ამისა, მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების დაკარგვა და დამატებითი ღირებულების შემცირება, საზღვრებს გარეთ განვითარებად ქვეყნებში ახდენს მიგრირებას, სადაც სამუშაო ძალა იაფია. განვითარებადი ბაზრები კი პირიქით, მეტადაა ორიენტირებული ექსპორტზე და სავაჭრო სექტორის მოძრაობაზე. ისინი, როგორც წესი მიმართულია, ციფროვიზაციით მეტი დასაქმების მიღების ეფექტით, ვიდრე მისი ეკონომიკური ზრდის გავლენით.

სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციების მწარმოებლურობის ამაღლება უნდა განხორციელდეს ინტერვენციული ღონისძიებებითა და ისეთი ახალი ტექნოლოგიების ათვსისებით, როგორიცაა cloud computing, business intelligence, სოციალური მედია, მობილური ტექნოლოგიები, კოლაბორაციის ინსტრუმენ-ტები. თუმცა, ციფროვიზაციის პოლიტიკის გარეშე მხოლოდ ახალი ტექნოლოგიის ათვისება პასუხი არ არის და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. მოქნილობა და კონკურენტუნარიანობა არ ნიშნავს იყო ძალიან სწრაფი, ის გულისხმობს ყოველთვის იყო სისწრაფის მდგომარეობაში.

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების მიერ ახალი ტექნოლოგიების მყისიერი ათვისება ყოველთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს,

ამიტომ ქვეყანაში მასობრივი ათვისება უნდა მოხდეს ადვილად აღსაქმელი ტექნოლოგიების შემუშავებითა და მისაწვდომი ფასებით.

ქვეყანაში ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ციფრულ ტექნოლოგიებთან და აპლიკაციებთან კომპლექსური კავშირის ინფრასტრუქტურა, მოხდეს მათი მასობრივი ათვისება, განისაზღვროს მათი ზეგავლენა საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, შეფასდეს სარგებელი და საჭირო დანახარჯები. ამისათვის, მთავრობამ უნდა განსაზღვროს ციფროვიზაციის სარგებლის გაზომვის საიმედო ინსტრუმენტი (რაც თავის მხრივ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ინვესტირების ხელსაყრელი სივრცის შექმნაში), ხოლო საზოგადოებისათვის უნდა განისაზღვროს ციფროვიზაციის ათვისების ხარისხის სტანდარტული ინდიკატორი (WEF, 2012).

საქართველოს მთავრობამ ციფროვიზაციის პოლიტიკის საფუძველზე უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი პროგრამები და მიმართულებები, რომელიც უნდა აღწერდეს თუ სად დგას ქვეყანა, რა მიმართულებით მოძრაობს, კაპიტალდაბანდების რა რაოდენობას საჭიროებს, უნდა განისაზღვროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საინვესტიციო ღირებულების მოცულობა, მოსალოდნელი სარგებელი და შემოსავალი. ყოველივე ეს დაფუძნებული უნდა იყოს ქვეყანაში ციფროვიზაციის ფართო დანერგვასა და გამოყენებაზე. აღნიშნული მოიცავს ეროვნული დღის წესრიგში მდგარ ციფროვიზაციის ამაღლებას, ელექტრონული მართვის სექტორის განვითარებას, ელექტრონული მთავრობის ეკოსისტემის ათვისებას, გლობალურ კონკურენციას და მოთხოვნის სტიმულირებას.

საქართველოში ციფროვიზაციის პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ცალკეული დარგებისა და სფეროების მიხედვით, რითაც თავის მხრივ მიიღწევა არაეფექტური დარგების კონსოლიდაცია.

დემოკრატიასა და ქვეყნის ციფროვიზაციას შორის არსებული კორელაციის გამო, ქვეყნის დემოკრატიის დონის ამაღლება უნდა განხორციელდეს ციფროვიზაციის მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკით.

საქართველოს გაყინული ეკონომიკის ფონზე, ეკონომიკის ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, დემოკრატიული პროცესებისა და ელექტრონული მთავრობის ფორმირებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა ციფროვიზებული პოლიტიკა. ციფროვიზებული პოლიტიკური დაგეგმვით უნდა „გააორმაგდეს" ფსონები, იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ეკონომიკური კლიმატის „აღდგენისა" და საბაზრო კურსის აღქმის მართვა.

საქართველოს ციფრული ეკონომიკის ფორმირებისათვის საჭიროა ჯანმრთელი, გამჭვირვალე, ინვესტირებისათვის მიმზიდველი საბაზრო პლატფორმის ხელშეწყობა და სტიმულები. ინტერნეტ-ბაზარი, რომელიც მილიონობით მონაწილესათვის ღიაა რისკების, ცვალებადობის, აქტივებისა და კაპიტალის შეფასებისათვის, საჭიროებს ცენტრალიზებულ საბაზრო მანიპულაციებს, გარკვეულ ინტერვენციებსა და სუბსიდიებს. თავის მხრივ

ინტერნეტ-ბაზრის, ელექტრონული ვაჭრობისა და მომსახურების ლიბერალიზაცია, რეგიონალური ინტეგრაციის, განვითარებისა და დასაქმების საფუძველია.

ქვეყნის ციფრული ეკონომიკური ზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კრედიტების ნაკადს, ლგოტებს. მნიშვნელოვანია ბანკების მიერ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სხვა ინიციატივების ფინანსირება.

სახელმწიფო მხარდაჭერილი ორგანიზაციები (და არა კონკრეტული სფეროს ორგანიზაციები), ძვირი საბანკო კრედიტები, არასაკმარისი მარაგებისა და კრედიტების გამოყოფა (საბაზრო პრინციპების მიხედვით) აფართოებს უთანასწორობას შემოსავლებში. პრობლემას წარმოადგენს ენერგიისა და რესურსების არაეფექტიანი გამოყენება, დაბალია სოციალური დაცვა, ნაკლებად დამაბინძურებელი დარგების ხელშეწყობა. ამ მხრივ ინტერნეტ-ბიზნესი დგას უპირატეს მდგომარეობაში. ინტერნეტ-კომპანიების წარმატებული საქმიანობა დაკრედიტების ავტომატურ პირობებს ქმნის, ხოლო პროცესების ოპტიმიზაცია, ავტომატიზაცია, ენერგიისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მცირე რისკები და დაბალი ბარიერები, ამაღლებს ინტერნეტ სუბიექტების მწარმოებლურობას.

საქართველოსთვის, კრიზისის შემდგომ, ეკონომიკური აღმავლობის კონკრეტული ვადები თავის ბუნებით არაპროგნოზირებადია (ეკონომიკის არაეფექტური რეგულირების წინაპირობაა), თუმცა შესაძლებელია ტენდენციების ზეგავლენის შესაძლო შედეგების გაგება.

ზოგადად, ქვეყანა რამდენადაც ძლიერ ზარალდება კრიზისით, იმდენად ზრდის ძლიერ პოზიციაშია, რადგან ქვეყნისათვის „ადრე მიუღწეველ“ კაპიტალთან, ტალანტებთან და კვალიფიციურ მენეჯერებთან, ინტელექტუალურ საკუთრებასთან და სხვა რესურსებთან წვდომა ადვილი ხდება, ეს კი საქართველომაც პრაგმატულად შეიძლება გამოიყენოს.

საქართველოს პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოს აკლია ნდობა, სტაბილურობა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გარანტიები. პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ ადგილი არ აქვს სტატუს-კვოს შენარჩუნებას. ერთადერთი ინტერნეტ-გარემოა, რომლის მიმართ პოლიტიკური დამოკიდებულება და მიმართულებები არ იცვლება.

ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, არსებულ სამთავრობო ინსტიტუციურ სტრუქტურაში, ეკონომიკური მმართველობის, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ჩარჩოსა და მისი პარამეტრების ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს ექსპერტების, აკადემიური წრეების, საზოგადოების აქტიური პირების მიერ, კვლევებით დასაბუთებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნას ელექტრონული მთავრობის პლატფორმა.

ეკონომიკური უძრაობიდან გამოსვლისათვის სამთავრობო და ბიზნეს სექტორმა უნდა განსაზღვროს, რომელი ტექნოლოგია იქნება პროდუქტიული

და რომელი დაეხმარება უკეთესი სახით ქვეყანას (სამთავრობო/ბიზნეს სექტორს) გლობალურ კონკურენციულ მარათონში. გარდა ამისა, უნდა მოხდეს ახალი ტექნოლოგიების აღქმის ფორმირება, შეფასდეს მისი როლი მწარმოებლურობის ამაღლებაში, შემუშავდეს სარგებლის უზრუნველყოფის მეთოდები.

ამრიგად, საქართველოს ICT-ის განვითარების პოლიტიკის ნაცვლად სჭირდება თანამედროვე ციფროვიზაციის პოლიტიკა, რომელიც არ უნდა იყოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის დამატება. ქვეყანას სჭირდება ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, სოციალური თანასწორობის სტიმულირება და ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებზე ფოკუსირება, რომელსაც გლობალური მასშტაბით კონკურენციის შესაძლებლობა ექნება.

ციფროვიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მომავალი თაობის ინფორმაციული ტექნოლოგიების, ICT-ს სფეროსა და ელექტრონული მთავრობისადმი ყოვლისმომცველი და კომპლექსური მიდგომა. ასეთი მიდგომის დაგეგმვა უნდა მოხდეს სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფოს სექტორის თანამონაწილეობით.

დაბოლოს, საქართველოს ეკონომიკის ფართო აღდგენა გრძელვადიანი პერსპექტივისაა, საჭიროებს საუკეთესო სიახლეებს, რესურსების განვითარებას, ადაპტაციის უნარს, მკაცრ ხელს, მიზანმიმართულ პოლიტიკას გაორმაგებული ძალებით ეკონომიკურ და ფინანსურ „რემონტს“, გლობალური ზრდის მამოძრავებელ - ციფროვიზაციის განვითარების პოლიტიკის გატარებას.

ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა", #9-10, 2013 წელი

1.6. რატომ ვერ ითვისებს ქვეყანა ინტერნეტ-ბაზრის პოტენციალს?!

დღეს, მთავრობის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს ქვეყნის სრული ინტერნეტიზაცია, ელექტრონული მთავრობის მომსახურების კომპონენტების სრულყოფა და მრავალფეროვნება წარმოადგენს.

ქვეყანას, ციფრული გარემოს განვითარებისათვის გააჩნია მოქმედი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ფლობს ფინანსურ და საკადრო რესურსს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს, მოსახლეობის ინტერნეტიზაციის პროექტზე ინტერესთა გამოხატვის კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო კორპორაციულმა სექტორმა. საბედნიეროდ, პროექტი მაინც გაგრძელდა „ფონდი ქართუს“ ფინანსური უზრუნველყოფითა (120 მლნ ლარი) და გერმანული ფირმა „დეტეკონთან“ დადებული ხელშეკრულების შედეგად.

უდაოა პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა. ამასთან, პროექტის განხორციელების მიდგომები არარაციონალურია, რაც გამოიხატება შემდეგში:პროექტის კვლევის, ანალიზისა და დაგეგმვის სამუშაოებში მონაწილეობას არ იღებს ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები. დღის

წესრიგში არ დგას (საჯაროდ არავინ აცხადებს) ციფრული საქართველოს განვითარების სტრატეგიისა და გეგმების მოდიფიცირების საკითხი, არ ხორციელდება ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისი სტრატეგიული საჭიროებების განსაზღვრა, შეფერხებულია კიბერსივრცის სამართლებრივი გარემოს მოწესრიგება, ბუნდოვანია ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბაზრის განვითარების მიდგომები.

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს: იმისათვის, რომ ქვეყანამ ინტერნეტ-ბაზრის პოტენციალის ათვისება შეძლოს, საჭიროა ჯერ მოხდეს მოსახლეობის კომპიუტერიზაცია, კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლება და სწავლება, შემდეგ განხორციელდეს ინტერნეტიზაციის პროცესი და მოხდეს ინტერნეტ ხელმისაწვდომობის ზრდა. ასეთი მიდგომებით შედეგს იგრძნობს საზოგადოებაც, ბიზნესიც და სახელმწიფო სექტორიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ელექტრონული გარემოს განვითარების ხელშემწყობი მიდგომები არაკანონზომიერი შედეგის იქნება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში ძალიან დააგვიანა კომპიუტერიზაციის პროცესმა. მაშინ, როცა საზოგადოების დიდ ნაწილს არ აქვს ინტერნეტის დამაბოლოებელი აპარატურა (კომპიუტერი), კვლევებზე აგებული არაა სტრატეგიული დოკუმენტი, ქვეყანას არ გააჩნია ელექტრონული კომერციის კანონი, დაბალია რეგიონის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური ფონი, არაპროგნოზირებადია ელექტრონული გარემო, ბუნებრივია კორპორაციული სექტორი ინტერნეტ-ბაზარზე აქტივობისგან თავს იკავებს. შესაბამისად, სახელმწიფო კარგავს იმ მნიშვნელოვან შემოსავლებს, რასაც ინტერნეტ-ბაზარი გენერირებს.

ყველა ის ხარვეზი არ იქნებოდა, რომ გათვალისწინებული იქნას ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი („საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია“), რომელიც კვლევების საფუძველზეა შექმნილი. აღნიშნული დოკუმენტით შესაძლებელია გაგებულ იქნას, თუ სად იმყოფება ქვეყანა, რა გამოწვევების წინაშეა და რა მიმართულებით უნდა იმოძრაოს მან.

www.iverioni.com.ge, 9 ოქტომბერი, 2015 წელი

1.7. რატომ სჭირდება ქვეყანას “ელექტრონული მთავრობა“ და რა სარგებელს მოუტანს სისტემა მოქალაქეებს

სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტიანი, მჭიდრო ურთიერთობა, მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფოს მართვის პროცესში, ქვეყნის მართვის გამჭვირვალობა, მოქალაქეს, ბიზნესსექტორსა და ხელისუფლებას შორის მჭიდრო ურთიერთობა,მატერიალური და ადამიანური რესურსების დაზოგვა, კრიზისების მართვა, კიბერუსაფრთხოება – ეს „ელექტრონული მთავრობის“ გამართულად ფუნქციონირების შედეგად მოტანილი სარგებლის არასრული ჩამონათვალია.

ქართველი მეცნიერების საინიციატივო ჯგუფმა, მარკეტინგული კვლევის მეთოდებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე შექმნა „საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია“. სტრატეგიაში საუბარია საქართველოს “ელექტრონული მთავრობის“ განვითარების მიმართულებებზე, სტრატეგია ემყარება სიღრმისეულ კვლევას. სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული ეკონომიკის დოქტორი რატი აბულაძე. რატი აბულაძე “კვირასთან“ ინტერვიუში დეტალურად განმატავს, რას ნიშნავს “ელექტრონული მთავრობის“ არსი, რა მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს სისტემის ფუნქციონირებას მოქალაქეებისთვის, მთავრობისთვის, ბიზნესსექტორისთვის და სხვა სფეროებისთვის.

-ბატონო რატი, განმარტეთ რას ნიშნავს “ელექტრონული მთავრობა“ და რა სარგებელი მოაქვს აღნიშნულ სისტემას?

-არსებული რეალობიდან გამომდინარე სახელმწიფოს ეფექტურად მართვა ელექტრონული მმართველობის გარეშე ვერ მოხდება. “ელექტრონული მთავრობა“ მართვის თანამედროვე მეთოდია. იგი თითოეულ მოქალაქეს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სარგებლით უზრუნველყოფს.

ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. ელექტრონულ მმართველობას შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახადოს გაცილებით უფრო: რაციონალური, ხალხთან დაახლოებული და, ამასთან, გაცილებით უფრო ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ადამიანური რესურსები; მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, რეგიონებთან, ბიზნესთან, ასევე თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობა; აადვილებს და აჩქარებს საქმეთა წარმოებას და მოქალაქეთა მომსახურებას. წარმოვიდგინოდ გლობალური ქსელი, სადაც ჩართული ყველა სამთავრობო უწყება ამ უწყებებთან ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ბიზნესმენებს სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ მუდმივ კონტაქტზე ყოფნა, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, სერვისების გაცნობა, იდეების შეთევაზება. ბიუროკრატიული პროცესების შემცირება. ეს არის მექანიზმი, რომელიც ქმნის მძლავრ სახელმწიფო სისტემას.

-ჩვენს სახელმწიფოში რა დონეზეა განვითარებული „ელექტრონული მთავრობის“ სისტემა და რა სამუშაოებია ჩასატარებელი, მის დასახვეწად?

-დღეს, გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოშია „ელექტრონული მთავრობის“ სისტემა (განვითარების სხვადასხვა დონეზე). მათ შორის წევრი ქვეყნების 13%-ში “ელექტრონული მთავრობის“ განვითარება ძალიან მაღალ დონეზეა, რაც შეეხება საქართველოს (იმყოფება განვითარების მაღალ დონეზე), “ელექტრონული მთავრობის“ სისტემა კარგადაა განვითარებული, თუმცა

მისაწვდომია მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის. ასევე, აღმასრულებელი ორგანოების ძალისხმევით წარმოებს ელექტრონული მომსახურებების შექმნა და დანერგვა, იქმნება საქართველოს ციფრული განვითარების სტრატეგიები, თუმცა ელექტრონული მმართველობის შესახებ კონცეფცია არ არის ჯერ რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ საჯარო განხილვის დონეზეა, შესაბამისად, ბუნდოვანია განხორციელების ვადები, ამის გარეშე კი ვერცერთ ორგანოს ვერ ექნება ვალდებულება, რომ ელექტრონულ მთავრობაში შემავალი უწყების შესაბამისად ყველა სერვისი სწრაფად და ხარისხიანად შესთავაზოს მომხმარებელს (ანუ ქვეყანაში არ არის პროცესებზე ერთი ორგანო პასუხისმგებელი). ელექტრონული მთავრობის განვითარება არ გულისხმობს მხოლოდ ინფრასტრუქტურას, პლატფორმას, ინტერნეტ-აპლიკაციებს, ვებგვერდებს, მომსახურების სახეებს. მოქალაქეებისთვის მნიშნელოვანია ისეთი სისტემა, რომელიც იქნება ცოდნის ზრდის, ინფორმაციულობის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის, უსაფრთხოების, სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის, მომსახურების სწრაფად მიღების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების და საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნის საშუალება.

ამ ეტაპზე არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც მხოლოდ ტექნიკურ მხარეზეა აგებული. მასში არ არის წარმოჩენილი ის, თუ რეალურად რა სარგებელს ნახავს მოსახლეობა “ელექტრონული მთავრობის“ გამართულად ფუნქციონირებით.

-“ელექტრონული მთავრობის“ სისტემით სარგებელი რომ ნახოს მოქალაქემ, უნდა ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა, დედაქალაქში ეს პრობლემა არ დგას, რასაც ვერ ვიტყვით რეგიონებზე

– რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა დაბალია, „ელექტრონული მთავრობის“ პრინციპი არის ის, რომ სერვისებით სარგებელი ნახოს ყველა მოქალაქემ, ევროპასა და ამერიკაში, წლების წინ, როცა “ელექტრონული მთავრობა“ ყალიბდებოდა, ჯერ დაიწყეს ინტერნეტის და კომპიუტერის ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა, ჩვენთან თითქოს პირიქით ხდება, ჯერ სერვისებზე მუშაობენ, ეს სერვისი თუ ხელმისაწვდომი არ იქნა, მიზანი ვერ იქნება მიღწეული. დანართები და აპლიკაციები ჩვენთან მრავალფეროვანია, შეიძლება ევროპის ქვეყნებს არ ჩამოუვარდებით, თუმცა მათზე წვდომაა საჭირო, კარგია, რომ იწყება პროექტი, რომლის მიხედვითაც იმ სოფლების ინტერნეტიზაცია უნდა მოხდეს, სადაც 200-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეს ადრე დაწყებულიყო, რომ დროში მოგვეგო. ელექტრონული მომსახურების განვითარების დონით შესაძლოა, არ ჩამოუვარდებით ევროპის ქვეყნებს. 54-ე ადგილზე ვართ. ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია. ელექტრონული მომსახურება არის, მაგრამ ხელმისაწვდომობა ძალიან დაბალია.

ჩვენს ქვეყანაში არაერთი მიმართულებით განსავითარებელია ესა თუ ის რესურსი, იგივე განათლებაში, უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი აუთვისებელია, სერიოზული მუშაობაა საჭირო, რომ მოსახლეობასთან, ბიზნესმენებთან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლით ასეთი

რესურსების რეალიზება მოხდეს "ელექტრონული მთავრობა" ხელს უწყობს ინტერნეტ-ბაზრის განვითარებას. ინტერნეტ-ბაზარი ქმნის სამუშაო ადგილების წინაპირობას, ამცირებს უმუშევრობას, წარმოაჩენს ახალ ბიზნესელიტას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. დღეს ევროპის ბაზარზე მცირე და საშუალო კომპანიები პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ინტერნეტთან. ამერიკაშიც დაახლოებით იგივე სურათია, ჩვენთან არ ტარდება სტიმულირების ღონისძიებები, რომ წარმოიქმნას ინტერნეტკომპანიები.

-ინტერვიუს დასაწყისში თქვენ თქმით, რომ "ელექტრონული მთავრობა" ბიუროკრატიულ პროცედურებს ამცირებს, ხომ არ გამოიწვევს ეს უწყებებში შტატების შემცირებას და იქ დასაქმებულთან ნაწილი სამსახურის გარეშე ხომ არ აღმოჩნდება?

– ევროპაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ "ელექტრონული მთავრობის" სისტემის ფორმირება თანამშრომლების 25%-იან შემცირებას იწვევს, მაგრამ ეს არის გლობალიზაციის ნაწილი, სამაგიეროდ ხდება კადრების ოპტიმიზაცია, მოქნილი მართვის სისტემის შექმნა, მათი რესურსის სხვა კუთხით მიმართვა.

-თქვენ შეიმუშავეთ სტრატეგია, რომელიც ემყარება კვლევას, რამდენად არის დაინტერესებული საზოგადოება, ესა თუ ის სოციალური ფენა ელექტრონული მთავრობის ინსტრუმენტებით, მომსახურების სისტემით?

– ჩვენ – მეცნიერებმა დავდეთ ქართულ რეალობაში ჩატარებული დასკვნა. როგორც პირისპირ ინტერვიუთი, ისე ონლაინსივრცეში დაახლოებით 1600 კაცი (ყველა რეგიონიდან) გამოიკითხა, აფხაზეთიდანაც კი გარკვეული მონაცემი მივიღეთ, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ქართული საზოგადოება დაინტერესებულია "ელექტრონული მთავრობით", მისი სერვისებით. ჩვენ სტრატეგია შექმნილია რვა უნივერსიტეტის მონაწილეობით, აქედან 15 პროფესორ-მასწავლებელი და 40 სტუდენტია, შეიქმნა "საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია", რომელიც გამოვიდა ნაშრომის სახით და ასევე შექმნილია დოკუმენტი, სადაც კვლევების საფუძველზე აგებულია სტრატეგიული პრიორიტეტები.

აღნიშნული სტრატეგია აღმასრულებელი ხელისუფლების რამდენიმე უწყებას წარვუდგინეთ, უცხოეთშიც გავიტანეთ კონფერენციებზე, აკადემიურ წრეებში საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა. როგორც ვიცით, მთავრობაც ატარებს კვლევებს, თუმცა ეს არის ფრაგმენტული კვლევები.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული მთავრობის სტრატეგია, პოლიტიკა და მართვა შედეგის მომტანი არ იქნება,თუ აღმასრულებელი ორგანოები არ დაკომპლექტდება დოქტორის ხარისხის მქონე პირებით, მეცნიერებით, რომლებიც არიან დარგის მკვლევარები, სპეციალისტები.

www.kvira.ge **18 მაისი 2015 წელი**

1.8. ბავშვებისათვის აუცილებელია ჯანსაღი ინტერნეტ-გარემო

საქართველო განიხილება თვითრეგულირებადი ინტერნეტ-სივრცით, რომელიც არის თავისუფალი, ცენზურისა და შეზღუდვების გარეშე. ქვეყნაში სიცოცხლისუნარიანია კიბერუსაფრთხოების დონე, მაღალია სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, დაცულია ინტელექტუალური საკუთრება და კოპირაითი. ქვეყნის ინტერნეტ-სივრცის პოლიტიკა მიმართულია განვითარებისა და დემოკრატიული ინიციატივების სტიმულირებისაკენ.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოს ინტერნეტ-გარემოს ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს პორნოგრაფიული ხასიათის კონტენტის, შეურაცხმყოფელი ფორმების, ძალადობისა და სხვა მავნე ინფორმაციული ნაკადის რეგულირება. გამომდინარე იმისა, რომ ინტერნეტ-სივრცეში არსებული კონტენტი საზოგადოებრივია და ყველგანგავრცელებული, აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვებისათვის.

ფაქტოლოგია ადასტურებს, რომ ბავშვების დაცვა ინტერნეტ-სივრცეში არსებული მავნე კონტენტისაგან პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნული ბუნებრივია უარყოფითად აისახება ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებაზეც.

ზოგადად მავნე კონტენტი შეიძლება წარმოდგენილი იქნას web-საიტებით, სოციალური ქსელებით, გასართობი web-გვერდებით (მულტფილმები, თამაშები). განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აუდიოვიზუალური კონტენტი. ბავშვები რამდენ დროსაც უთმობენ მავნე კონტენტის მომცველ აუდიოვიზუალურ საიტებს, იმდენად იზრდება მათზე მავნე კონტენტის ზეგავლენის რისკები.

არსებითია აღინიშნოს, რომ მართალია ბავშვებმა ჯერ არ იციან, რა უნდა იცოდნენ. თუმცა არსებული თაობა გრძნობს, რომ ინფორმაციული პოლიტიკა მიუღებელია.

შესაბამისად, ბავშვთა ინტერესების დაცვის მიზნით, საჭიროა პრევენციის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა:

- პორნოგრაფიული ხასიათის მასალებისა და ცნობადი „ლოგოტიპების“ აღმოჩენა და ფილტრაცია;
- სკოლის, მშობლისა და ინტერნეტ-პროვაიდერების თანამშრომლობის საფუძველზე, მავნე კონტენტის აღმოჩენა და ფილტრაცია;
- „კიბერრეიდების“ ჩატარება მავნე კონტენტისა და არაჯანსაღი პროპაგანდისტული ქსელების აღმოჩენის მიზნით;
- მავნე და აგრესიული კონტენტისაგან ბავშვთა დაცვის ღონიძიებებზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების (ინტერნეტ-პროვაიდერები);
- პრევენცია უნდა აისახოს ტექნიკურ და პროგრამულ ღონისძიებებში, ინფორმაციულ პოლიტიკასა და სისტემურ მიდგომაში.

ხაზგასამელია, რომ არასრულწლოვნთა დაცვის მიზნით, საჭირო პრევენციის ღონისძიებების ფონზე:

- მავნე კონტენტთან ბრძოლა უნდა მოიცავდეს არა მთლიანი საიტის დაბლოკვას, არამედ კონკრეტული კონტენტის წაშლას (თუ რათქმაუნდა საიტი მთლიანად მავნე კონტენტს არ შეიცავს);
- მავნე კონტენტის ფილტრაცია უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით;
- კომპიუტერში მავნე კონტენტის აღმოჩენის შემთხვევაში, მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი შეტყობინებები უნდა აისახოს ინტერნეტ-პროვაიდერთა და სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბაზაში;
- პრევენციის ღონისძიებები არ უნდა გულისხმობდეს ინტერნეტ-ცენზურას;
- პრევენციის ღონისძიებები არ უნდა მოექცეს სისტემური ცენზურისა და „პოლიტიკურ სარჩულში";
- უნდა განხორციელდეს ისეთი ინტერნეტ-გარემოს ფორმირება, სადაც ზრდასრულებისათვის განკუთვნილი ონლაინ კონტენტი არასრულწლოვნებისათვის მისაწვდომი არ იქნება.

მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ რადგანაც „საიტის დაბლოკვა" სადაო ცენზურის თემაა, საჭიროა საკანონმდებლო რეგულაციები და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატში მოქმედი პრევენციის ღონისძიებები. შესაბამისად, პრევენციის ღონისძიებები „ზეგავლენას" არ იქონიებს ინტერნეტ-ბაზრის განვითარებაზე. ამასთან, ნებისმიერი ფილტრაციის ნებისმიერი ღონისძიება დემოკრატიისათვის „შეუმჩნეველი" არ უნდა იყოს.

დაბოლოს, აღვნიშნავ, რომ საქართველო საჭიროებს ციფრულ რეფორმებს, რომლის ფარგლებში მიღწეული უნდა იქნას ავტონომიური და ჯანსაღი ინტერნეტ-გარემოს ფორმირება.

www.cbw.ge, 13 ნოემბერი, 2017 წელი

1.9. რატომ საჭიროებს ქვეყანა სოციალური კომერციის განვითარებას

წინათქმა. პოლიტიკურ სივრცეში, არსებული შემოსავლების პროგნოზირებისა და „ეფექტიანი ხარჯვის" პოლიტიკის განხილვის პროცესში, აქცენტები არ კეთდება ისეთ აუთვისებელ რესურსებსა და შემოსავლებზე, როგორიცაა: ელექტრონული კომერცია, ინტერნეტ-ბაზარი, ინტერნეტ-ეკონომიკა (როგორც, ბიუჯეტის შევსების ახალი წყარო და რესურსი).

ბუნებრივია, სამთავრობო გარემო, „არსებული რესურსის" განკარგვისა და განაწილების გარდა უნდა ზრუნავდეს ისეთი ახალი წყაროების ათვისებაზე,

რომლის ბაზისსაც ინტერნეტი და სოციალური ტექნოლოგიები წარმოადგენს.

დღეს, თანამედროვე ბიზნესის ზრდა-განვითარებას ხელს უწყობს ელექტრონული კომერციის პლატფორმები, როგორიცაა სოციალური მედია და სოციალური ქსელები.

მოცემული სტატიის მიზანია „სოციალური ელექტრონული კომერციის" პოტენციალის განხილვა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო.

სოციალური კომერციის ეკოსისტემა. მსოფლიოში, დამწყები კომპანიები საქმიანობას ელექტრონული კომერციის პლატფორმის შექმნით იწყებს. სახელმწიფოები კი სამთავრობო მომსახურებას, ძირითადად, სოციალური მედიის გამოყენებით ახორციელებს.

გლობალური კვლევები ადასტურებს, რომ ონლაინ ბიზნესის მამოძრავებელი ძალა გახდა სოციალური მედია, რომელიც შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც :

- დამწყები კომპანიების პროდუქტის/მომსახურების გაყიდვის ადგილი;
- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ონლაინ ვაჭრობის საშუალება;
- მსხვილი ბრენდების (როგორიცაა მაზონ, ეაყ, ტსყ და სხვა) ელექტრონული კომერციის წარმოების ინსტრუმენტი და პლატფორმა;
- კლიენტების ძიებისა და მომსახურების ტექნოლოგია;
- მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი;
- სიახლეების ნახვის, ინფორმირების, კომუნიკაციისა და გართობის საშუალება;
- მოქალაქეებისათვის ხელსაყრელი, ორგანიზებული, ადვილი და სწრაფი გზებით ვაჭრობის პლატფორმა;
- სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთქმედების პლატფორმა;
- იდეოლოგიური კონტენტის შექმნისა და გავრცელების ტექნოლოგია;
- თანამედროვე პირობებში, ბიზნესის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სოციალური კომერცია, რომელიც მოიცავს:
- სოციალურ მედიას;
- ონლაინ მედიას (ინტერნეტზე დაფუძნებულ მედიას);
- სოციალური ქსელის შუამავლობით, ონლაინ და ოფლაინ გარემოს კონვერგენციას;
- მარკეტინგის, გაყიდვების, კონტროლის, ყიდვა-გაყიდვის განხორციელებისა და საზოგადოებაში ჩართვის შესაძლებლობის პროცესს;

სოციალური კომერციის სარგებელი. სოციალური კომერცია დიდ ყურადღებას უთმობს, ახალი კომერციული არხების ფორმირებასა და ბიზნეს გაფართოებას, რომელიც წარმოადგენს ადვილად გამოსაყენებელი და ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომ ონლაინ ბიზნეს არხს.

კვლევები ადასტურებს, რომ სოციალური კომერციის ტექნოლოგიები ხელს უწყობს:

- კლიენტებს შორის ონლაინ თანამშრომლობას;
- ინფორმაციის გაცვლას პროდუქტსა და მომსახურებაზე;
- ყიდვის შესახებ დასაბუთებული და მყისიერი გადაწყვეტილების მიღებას;
- სავაჭრო გამოცდილების ზრდას;
- ურთიერთობებსა და მომხმარებელთა ქცევაზე გავლენას;
- პროდუქტის/მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას (ვირუსული ზემოქმედებით);
- ინტერნეტ-ბაზარზე ორგანიზაციების სწრაფად და ადვილად გასვლას;
- დაბალი დანახარჯებით პროდუქტის/მომსახურების რეალიზაციას;
- კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- კომპანიის ოპერატიულობას, კლიენტებთან ურთიერთქმედებას, შემოსავლების ზრდას.

სოციალური კომერცია კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს უფრო ეფექტიანად მოიზიდოს გლობალური მომხმარებლები, ვიდრე ამას ტრადიციული საცალო ვაჭრობა უზრუნველყოფს. ეს კი განპირობებულია მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის ინტეგრაციით.

სოციალურ მედიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბიზნეს პროცესებში, შესაბამისად, „შეუძლებელია მისი გავლენის იგნორირება“. შედეგად, სოციალური მედია შეიძლება განვიხილოთ, როგორც:

- წარმატებული ბიზნესის აგების გასაღები;
- ბიზნესპროცესის ხელშეწყობის ტექნოლოგია და მეთოდი;
- საქმიანობის ნაწილი, რომლითაც შესაძლებელია „წარმატებული პროდუქტის“ მიღება;
- მომხმარებელთა მიზიდვის ახალი და მძლავრი საშუალება;
- მომხმარებელთან ურთიერთობის შექმნის ინსტრუმენტი;
- ცნობიერების ამაღლების, veb-საიტის ტრაფიკისა და ელექტრონული ვაჭრობის მამოძრავებელი ტექნოლოგია;
- პროდუქტის/მომსახურების პოზიციონირების ინსტრუმენტი;
- ინტერნეტ-მარკეტინგული ინსტრუმენტი;
- ინოვაციური და ინტერაქტიული პლატფორმა;
- დინამიური საზოგადოებრივი ფორუმი და წინსვლის მექანიზმი;

სოციალური ელექტრონული კომერცია რაციონალური და ფასეულია ნებისმიერი სპეციფიკური ბაზრის, ინდუსტრიის თუ ფირმის სტრატეგიული მოქმედებისათვის.

სოციალური ელექტრონული კომერცია, სოციალური მედიის მეშვეობით ხელს უწყობს:

- სოციალური მედია სტრატეგიის აგებას;
- ბრენდინგს და ბრენდის ცნობადობის ზრდას;

- სოციალური მედიის გამოყენებით ვაჭრობის ზრდას;
- საძიებო ოპტიმიზაციისა და „ინტეგრირებული ინფორმირების“ პროცესს;
- ინტერნეტში, ბრენდის მონეტიზირებისა და აუდიტორიასთან ურთიერთქმედების გზების გარდაქმნას;
- ინფორმირებას, გართობას, კომუნიკაციისა და კომერციის პროცესის სტრუქტურიზებას;

სოციალური ელექტრონული კომერციის სარგებელი და შემოსავლები ფორმირდება შემდეგი პროცესებიდან და მიმართულებებიდან:

- სოციალური შოპინგი;
- სოციალური მედია;
- სოციალური რეკლამა, PR;
- რეკომენდაციები და რეფერალები;
- ფორუმები და საზოგადოება;
- SEO, რეიტინგები, სტატისტიკა, გამოხმაურება;
- ფასიანი მოხსენება, დაპოსტვა/ტექსტური ლინკები; პრესაში მითითება (მაგალითად, ბლოგისათვის);
- ფანები და Like-ები Facebook -ისთვის; Followers - Twitter -ისა და LinkedIn-სათვის ; ვიზიტორები ბლოგებისათვის;
- მომხმარებელთან პირდაპირი კომუნიკაცია, სწრაფი უკუკავშირი ; „საზოგადოების“ ნდობის მოპოვება;
- ბრენდის აგება.

სოციალური კომერციის გლობალური სტატისტიკა. გლობალურმა ბრენდებმა აღიარა სოციალური მედიის აქტივობის ელექტრონული კომერციის პოტენციალი და სარგებელი. 2014 წელს, სოციალური კომერციის გაყიდვები გაიზარდა 26%-ით და შეადგინა $20 მლრდ. პროგნოზით, 2015 წლის ბოლოს, გლობალური სოციალური გაყიდვების მოცულობა იქნება 30 მლრდ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 50%-ით მეტი იქნება.

სოციალური კომერციის პლატფორმის ლიდერს Facebook წარმოადგენს. მის წილად მოდის მობილური ელექტრონული კომერციის გაყიდვების 2/3 და სოციალური მედიის სწრაფად მზარდი წილის ზრდა ელექტრონულ კომერციაში. Facebook ითვლის სოციალური რეფერალების 50%-ს და სოციალური შემოსავლების 64%-ს.

დროის ხარჯვის თვალსაზრისით, სოციალურ ქსელებზე მოდის პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელთა დროის ხარჯვის 20% და მობილური მოწყობილობის მომხმარებელთა დროის 30 %. სოციალურ ქსელებში, აშშ-ის მომხმარებლებმა დახარჯეს 121,1 მლრდ წუთი (2012 წელს), რაც 37%-ით მეტი იყო წინა წლებთან შედარებით. ამავე პერიოდში, ინტერნეტ-მომხმარებელთა 10%-მა ონლაინ შესყიდვა განახორციელა სოციალური მედია რეკლამის საფუძველზე.

საქართველოს სოციალური კომერცია. საქართველოში, სოციალური ტექნოლოგიების გამოყენება ხორციელდება მთავრობაში (ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით), მედიაში, ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებაში.

სამწუხაროდ, მზარდი ელექტრონული ბიზნეს პროცესების მიუხედავად, ქვეყანაში შეუძლებელია განსაზღვრო სოციალური კომერციის პოტენციალი, ინტერნეტ-ბაზრის შემოსავლები, ინტერნეტ-ბაზარზე დასაქმებულთა რაოდენობა, ინტერნეტ-ეკონომიკის წილი მშპ-ში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-ბაზრის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები და ფრაგმენტული კვლევები, რომელიც ფაქტობრივ და მოსალოდნელ სიდიდეებს აღნიშნავს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამთავრობო ორგანოები ვალდებულია წარმოადგინოს სტატისტიკა ინტერნეტ-გარემოს სრული სურათის ასახვისათვის, რომლის ანალიზს საზოგადოება (მეცნიერ-მკვლევარები) მაინც განახორციელებს.

არსებითია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ინტერნეტ-გარემოში ცალკეული კვლევები მხოლოდ უცხოური კომპანიების მიერ ხორციელდება (მაგალითად, გერმანული ფირმა „დეტეკონი“), რომელსაც რათქმაუნდა ინტერნეტ-გარემოს ყველა პრობლემის შესწავლას ვერავინ დაუკვეთავს (რადგან უზარმაზარ ფინანსურ რესურსს საჭიროებს), შესაბამისად, უახლოეს პერსპექტივაში გარემოს სრული სურათის ასახვა, ინტერნეტ-ბაზრის პოტენცია-ლის განსაზღვრა და ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთება რთულია.

ნიშანდობლივია აღინოშნოს, რომ ქვეყანას არ აქვს ციფრული ეკონომიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია და პოლიტიკა, არ ხორციელდება ინტერნეტ-ბიზნეს გარემოს ხელშემწყობი პროცესები, არ მუშავდება ელექტრონული კომერციის განვითარების მხარდამჭერი კანონები.

ამდენად, საქართველო კარგავს ელექტრონული ბაზრის შემოსავლებს, მის პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს. ქართული ინტერნეტ-კომპანიები, „გამართული ფუნქციონირებისა“ და ბიზნეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ძირითადად უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობენ (რადგან საქართველოში სათანადო ბაზა არ არის). არცერთი სახელმწიფო უწყება (ასეთი უწყებების რაოდენობა 7-ზე მეტია, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ინტერნეტ გარემოს ხელშეწყობა ევალება) არ ფლობს ინფორმაციას ინტერნეტ-ეკონომიკის შესახებ, შემუშავებული არ აქვთ ინტერნეტ-ბაზრის განვითარების პოლიტიკა, განსაზღვრული არ აქვთ ინტერნეტ-ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები, არ ფლობენ ინტერნეტ-ბაზარზე ინვესტიციების მოზიდვის სამოქმედო პროგრამებს, შემუშავებული არ აქვთ ელექტრონული კომერციის კანონები და ინტერნ-მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. ქვეყანას არ ჰყავს კიბერარმია და კიბერპატრული.

რეზიუმე. ჯამში, სოციალური კომერციის ბაზრის პოტენციალისა და განვითარების მასშტაბების წარმოჩენის გარდა, ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ რეკომენდაციებსა და წინადადებებზე, რომელიც ვფიქრობთ

წაადგება საქართველოს ინტერნეტ-გარემოს განვითარებასა და პოტენციალის წარმოჩენას. მათ შორის შეიძლება გამოიყოს:

- ინტერნეტ-კომპანიების ბიზნეს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გამართული ფუნქციონირების მიზნით, საჭიროა სახელმწიფო უწყებებმა უსაფრთხო და მწარმოებლური ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნას მაინც შეუწყოს ხელი;.
- სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა გახდეს ინტერნეტ-ბაზარზე;
- საჭიროა საქართველოს ინტერნეტ-გარემოს კომპლექსური კვლევის ჩატარება და ინტერნეტ-ბაზრის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მდგომარეობის განსაზღვრა;
- ინტერნეტ-გარემოს კვლევის საფუძველზე უნდა შემუშავდეს კანონები (იმისათვის, რომ ქართულ რეალობაზე იყოს მორგებული);
- გატარდეს ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნისა და სტიმულირების პროგრამები;
- ინტერნეტ-ბიზნეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე ფორმირებული უნდა იქნას კიბერპატრულისა და კიბერარმიის სტრუქტურები, განსაზღვრული უნდა იქნას სტანდარტები და ინსტრუქციები;
- გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნეტ-ბაზრის განვითარებას მხოლოდ ინტერნეტ-აპლიკაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება არ წარმოადგენს, უკვე დროა მთავრობამ ძირითადი ფოკუსირება ციფრულ პოლიტიკასა და სტრატეგიულ მიდგომებზე განახორციელოს. აღნიშნული კი ნოვატორული მმართველებისა და მეცნიერ-მკვლევარების ჩართულობითაა შესაძლებელი;
- დაბოლოს, ქართული ინტერნეტ-ბაზრის მიმზიდველობის წარმოჩენით, ქვეყანა შეძლებს ელექტრონული კომერციის ექსპორტის ზრდას, ინტერნეტ-ბაზარზე დასაქმებულთა გაზრდას, ინტერნეტ-ეკონომიკის ფორმირებასა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

www.commersant.ge, 7 დეკემბერი 2015 წელი

1.10. ტერორიზმის პრევენციისათვის საქართველო კიბერარმიას არ ფლობს

შესავალი. კიბერ ეპოქაში, საზოგადოება ინტერნეტსა და სოცალურ ქსელებს განიხილავდა კეთილდღეობისა და სტაბილურობის ხელშემწყობი ტექნოლოგიების სახით. ბოლო პერიოდში ტერორისტულ კამპანიებში მნიშვნელოვნად წარმოჩინდა სოციალური ქსელის როლი და „ფასეულობა“.

ნიშანდობლივია, რომ არსებული კიბერსაფრთხეების პირობებში, გამოვლინდა საქართველოს კიბერარმიის ფორმირების აუცილებლობა.

შესაბამისად, საკითხი ტერორისტული საფრთხეების ზრდასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალურია.

მოცემული სტატიით წარმოჩენილია, კიბერგარემო, კიბერტერორიზმის საფრთხეები და კიბერარმიის ფორმირების აუცილებლობა საქართველოში.

კიბერგარემოს გლობალური საფრთხეები. კიბერსივრცეში, ინტერნეტ-ტექნოლოგიები გახდა ტერორისტული საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. კიბერსაფრთხეებმა წარმოაჩინა Facebook-ის, Twitter-ის, YouTube-ის, ბლოგისა თუ სხვა საიტების ძალა და გავლენა. ტერორისტული ორგანიზაციები web-ტექნოლოგიებს იყენებს ტერორისტული ჯგუფების ფორმირების, ტერორისტული ქსელის მართვის, ტერორისტულ კამპანიაში ჩართვის, თავდასხმებისა და სხვა პროცესების განხორციელების მიზნით.

*რეალობა ცხადყოფს, რომ **Facebook გამოიყენება უკანონო პროცესების დაგეგმვისთვის**, **Twitter ტერორიზმის კოორდინაციისთვის,** მრავალფეროვანი დიალოგისა და ინსტრუქციის წარმოდგენისათვის, **YouTube იმისათვის, რომ მსოფლიო გაეცნოს მოვლენებსა და პროცესებს**, ხოლო **ბლოგი - ონლაინ აქტივობისა და მოვლენების აღწერის მიზნით,** ტერორისტული ორგანიზაციის მიზნების უფრო ფართოდ წარმოჩენისათვის.*

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში არაბულ ქვეყნებში, ინტერნეტისა და სოციალური ქსელის ტექნოლოგია იყო ავტორიტარული გარემოს წინააღმდეგ ბრძოლის პლატფორმა და ინსტრუმენტი, ე.წ. სუსტებისა და უუფლებოების იარაღი, საზოგადოების განთავისუფლების საფუძველი. თუმცა განვითარებული მოვლენების ფონზე, იგი იქცა უკანონო ჯგუფების შექმნის საშუალებად, ტერორიზმის წყაროდ და რესურსად.

დღეს, კიბერტერორიზმის ფორმირების საფუძვლად, განიხილება ისეთი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორიცაა:

- **სოციალური მედია** (ბლოგები და მიკრობლოგინგი, მაგ.: Twitter. ასევე, აუდიო/ვიდეო სტრიმინგი, ჰიბრიდული დანართები) - ტერორისტულ ორგანიზაციებში ჩართულ პირებს უადვილებს კონტენტის (ტექსტი, ვიდეო, ფოტო) გადმოტვირთვას, პოვნას, განხილვას, შექმნასა და სხვა მიზნების შესაძლებლობას; ე.წ. ისლამური სახელმწიფო ISIS -ს, მხოლოდ Twitter-ზე ჰყავს 90 ათასი მხარდამჭერი მიმდევარი (ინტერნეტ-ექაუნთი). ISIS-ს ონლაინ აქტივობისა და სოციალური მედიის მეშვეობით 100 მლნ ადამიანთან აქვს წვდომა, მათი წარმომადგენლები ყოველდღე Twitter-ზე 100000 ტვიტს პოსტავს. მხარდამჭერების ლოკაცია მოიცავს: ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს, სირიას, ერაყს, საუდის არაბეთს;
- **სოციალური ქსელები** (Facebook, LinkedIn)- მას იყენებენ ტერორისტულ დაჯგუფებათა ქსელის გაზრდა/გაფართოებისათვის, ინფორმაციულობისა და ინფორმაციის ნაკადის გავრცელებისათვის. ე.წ.ისლამური სახელმწიფო ISIS -ის წარმომადგენლები ყოველდღე 90 ათას მედია მესიჯს ავრცელებს;

- **მობილური კომუნიკაცია -** ინტერნეტ-დაშვების გაფართოება ახალი თაობის მობილური ტელეფონებითა და ჯიბის კომპიუტერებით; ასევე, დეცენტრალიზებული ჯგუფების მართვის საშუალება. ISIS იყენებს სმარტფონებს, მათ შორის: ანდროიდი (69%), Apple-ის ტელეფონები (30%) და Blackberry (1%).

ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების მიზნები:

- ინტერნეტში ადვილია ფართო აუდიტორიის მოზიდვა, მიზნობრივი ჯგუფების შექმნა (ტერორისტული, საბრძოლო);
- კლაუდსორსინგის იდეალური საშუალება. მოხალისე ჯგუფების (მათ შორის ტერორისტული, მებრძოლი) მოძიებისა და შექმნის ყველაზე ეფექტიანი და ადვილი შესაძლებლობა;
- ინტერნეტ-მომხმარებლებს ძირითადად წარმოადგენენ ახალგაზრდები (18-34 წლის), რომლებიც ისწრაფვიან გაცნობის, საკუთარი თავის წარმოდგენის, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისათვის;
- ინტერნეტ-ტექნოლოგიებით, მილიონობით ადამიანთან შესაძლებელია ინტენსიური და ხანგრძლივადიანი ურთიერთქმედება, შესაძლებელია ადამიანების შთაგონება (ინსპირირება გამოწვიო), ერთნაირად აზროვნებისა და მხარდაჭერის მოპოვება;
- ინტერნეტი უზრუნველყოფს მაღალ ინტერაქტიულობას, მიზნობრივ ჯგუფებთან კომუნიკაციის შესაძლებლობით. "სოციალური ქსელის" საიტებს გააჩნიათ ინტერაქტიული მხარდაჭერა; მიზნობრივ ჯგუფებზე ზემოქმედების ფართო შესაძლებლობა, შთაგონებისა და ემოციური ზეგავლენის პოტენციალი;
- ტექნოლოგიები წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის ფორმას. იგი სოციალური ურთიერთობების (ამ შემთხვევაში ტერორისტული მიზნებით) ორგანიზაციის ინსტრუმენტია;
- ინტერნეტი წარმოადგენს სოციალურ სტრუქტურას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ტერორისტული ჯგუფების ფორმირებაზე, ტერორიზმის ევოლუციასა და მის სტრუქტურაზე;
- ინტერნეტი შესაფერისი პლატფორმაა ინფორმირებული და ინტერაქტიული კიბერპოლიტიკის, ტერორიზმში მონაწილეობის სტიმულირებისათვის;
- სოციალური ტექნოლოგიების შედეგად ყალიბდება ერთგვარი კიბერტერორიზმი, რომელიც ძლიერდება იდეოლოგიური ორიენტაციით, „ტერორიზმის მართვის ავტომატიზაციით", კიბერტერორიზმის კამპანიის ეფექტიანი წარმოებით;
- ინტერნეტის ინსტრუმენტები და ფორმები, გლობალურ თუ ლოკალურ პირობებში ტერორისტული ძალების ფორმირების შესაძლებლობას იძლევა;

ქართული კიბერარმიის შექმნის საჭიროება

გლობალური კიბერსაფრთხეების ფონზე, საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის კიბერუსაფრთხოება და კიბერარმიის ფორმირება. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა საქართველოსთვის ე.წ. „ისლამურის სახელმწიფოს" საფრთხეების ზრდასთან მიმართებაში.

ბოლო პერიოდში, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველო (უკვე) განიხილება ჩრდილო კავკასიასთან სატრანზიტო კომუნიკაციის უზრუნველყოფისა და საკომუნიკაციო კიბერსივრცედ. თუ, ქართულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას დავეყრდნობით, „ალ-ქაიდას" დაჯგუფებას კიბერარმია უკვე ჰყავს კავკასიაში, რაც საქართველოსათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. შესაბამისად, სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს ქართული კიბერარმია.

აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებები (საიტების დაბლოკვა, ოპერატიული ღონისძიებები და სხვა), რაც ქვეყნის კიბერსივრცის უსაფრთხოებას ემსახურება.

ზემოაღნიშნული გამოწვევების ფონზე, ძირთად პრობლემად რჩება ის საკითხი, რომ ქვეყანას არ ჰყავს კიბერარმია. ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტშიც (ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018) არ არის ჩადებული კიბერარმიის შექმნის სტრატეგიული პრიორიტეტულობა.

რატომ გვჭირდება კიბერარმია?

- სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის;
- ინტერნეტ-ბიზნესის უსაფრთხოებისათვის;
- ინფორმაციული საზოგადობის უსაფრთხოებისათვის;
- ახალი საფრთხეების პრევენციისათვის.

ზემოაღნიშნულის გარდა, ქვეყანაში კიბერარმიის შექნა ხელს შეუწყობს:

- ტერორისტებისა და ორგანიზებული კრიმინალური ქსელების გამოვლენას;
- თავდაცვისუნარიანობის ზრდასა და სამხედრო ძლიერებას;
- ლოკალური და გლობალური კიბერთავდახსმების პრევენციას; კიბერშეტევის წყაროს გაშიფვრას;
- სისტემების კრიტიკული ავარიის თავიდან აცილებას;
- ჰაკერების ქმედებების ლოკალიზებას;
- სამრეწველო შპიონაჟის წინააღმდეს ბრძოლას;
- მავნე კონტენტისაგან არასრულწლოვანთა დაცვას;

კიბერარმიის დაკომპლექტება. ასაკობრივი ცენზის მიუხედავად, იგი უნდა მოიცავდეს ყველა თაობის წარმომადგენელს, ვისაც კომპიუტერის ეფექტიანად გამოყენება შეუძლია. ვინც ფლობს ტექნოლოგიებს და საჭიროების

შემთხვევაში ქვეყნის კიბერუსაფრთხოებაზე ზრუნვა შეუძლია. კიბერარმია შეძლება დაკომპლექტდეს:

- სავალდებულო სამხედრო სამსახურს დაქვემდებარებული თუ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული პირებით;
- შრომისუნარიანი და აქტიური მოქალაქეებით;
- სპეციალური საჭიროებების მქონე პირებით;
- ხანდაზმული და საპენსიო ასაკს გადაცილებული პირებით;
- ჯამში, სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ყველა წარმომადგენელებით, ვინც ფლობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და ქმედუნარიანია კიბერსაფრთხეების პრევენციისათვის.

შეჯამება. დესტრუქციული ძალების, ინფორმაციული აგრესიის, ინფორმაციული ოკუპაციის, ინფორმაციული გენოციდის ლოკალიზაციისათ-ვის, ასევე გლობალურ კიბერგარემოსთან ლოკალურ ინტერესთა თავსებადო-ბის მიზნით საჭიროა კიბერარმიის შექმნა. კიბერამიის შექმნისათვის საჭიროა :

- კიბერჯგუფების მომზადება, მონაცემთა ბაზების ფორმირება, კიბერარმიის ორგანიზებაში სპეციალური საჭიროებების მქონე პირების დასაქმება და ეფექტიანად გამოყენება;

- კიბერარმიის დაკომპლექტებისათვის, საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების გარდა, საჭიროა უცხოეთში არსებულ ქართული „კიბერსათვისტომოების“ შექმნა და ფორმირება. აღნიშნული, საქართველოს საელჩოების ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს;

- სათვისტომოების კოორდინირებით, უცხოეთში მყოფი ასეულათასობით თანამემამულეებისგან უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფები, დაკომპლექტდეს მობილური ჯგუფები, რომელიც საქართველოს კიბერსაფრთხეებიდან გამომდინარე, ოპერატიულ კიბერმხარდაჭერას აღმოუჩენენ ქვეყანას (ქვეყანაში ჩამოსვლის გარეშე);

- ქვეყანაში უნდა გაიზარდოს ინტერნეტ-მომხმარებლების საქმიანობის მონიტორინგი, განხორციელდეს განსაზღვრულ web-საიტებთან მომხმარებლის დაშვების უარყოფა (ბლოკირება), საიტის ოპერატორებისათვის მონაცემთა ნაკადის ფილტრაცია, გამკაცრდეს ცენზურის წესების დაცვა, ინტერნეტ-ბლოკირება და ჩახშობა. აღნიშნულ ფონზე, მიზანშეწონილი და აუცილებელია, პროცესი განხორციელდეს საზოგადოების სამივე სექტორის (კერძო, სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის) თანაბარუფლებიანი მონიტორინგით;

- ქვეყანისათვის საფრთხის შემცველი ინტერნეტ-ინფორმაციის ფილტრაცია უნდა განხორციელდეს დიფამაციის კანონის საფუძველზე. უნდა შეიქმნას ინტერნეტის რეგულირების

კანონპროექტები და მოხდეს მისი საერთაშორისო ექსპერტიზა. უზრუნველყოფილი იქნას კიბერ-ბრძოლის პრევენციის საერთაშორისო მიდგომების უნიფიცირება;

- ქვეყანაში სასწრაფოდ უნდა შეიქმნას კომისია (რომელიც საზოგადოების სამივე სექტორის მიერ უნდა დაკომპლექტდეს), ინტერნეტ-რეგულირების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით;
- ქართული საზოგადოების სიფხიზლის, კიბერტერორიზმის, კიბერსაფრთხეების, აგრესიული ინტერნეტ-კონტენტის პრობლემის გაცნობიერების დონის ამაღლებისათვის უნდა გატარდეს საგანმანათლებლო და სოციალური აქტივობა. მოცემულ პროცესში ფართოდ უნდა ჩაერთოს მეცნიერები;
- დასასრულს, კავკასიის რეგიონში, უნდა შეიქმნას ინკლუზიური ელექტრონული მთავრობა, რომელიც კიბერსაფრთხეებისა და კიბერტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი სისტემით, უზრუნველყოფის გარანტიებს შექმნის.

www.iverioni.com.ge, 16 ნოემბერი, 2015 წელი

1.11. რატომ დაგვიანდა კიბერრეზერვის (კიბერარმიის) შექმნა ქვეყანაში?

უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო თავდაცვისუნარიანობის გარდა, ქვეყანა საჭიროებს კიბერთავდაცვას.

დღეს, ქვეყნების უმრავლესობა კიბერ მზადყოფნაშია, რაც გამოიხატება შემდეგ მიდგომებში:

- ჰყავთ საკუთარი კიბერარმია;
- ფლობენ კიბერთავდაცვის სისტემას;
- მოწესრიგებული აქვთ კიბერსივრცის სამართლებრივი გარემო;
- კიბერთავდასხმის პრევენციისათვის არსებულ ინფრასტრუქტურას გააჩნია უსაფრთხოების მაღალი დონე;
- ქმედუნარიანია კიბერარმიის სტრუქტურის კოორდინაცია, მართვა, კომუნიკაცია და ქმედება;
- ჰყავთ უწყება, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის კიბერუსაფრთხოებაზე;
- შემუშავებული აქვთ კიბერთავდასხმის შემდგომი რეგენერაციის (აღდგენის) გეგმა;

დაგვიანებულია, მაგრამ, მაინც სასიხარულოა, რომ კიბერთავდაცვის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ქმნის კიბერრეზერვის სამსახურსა და კონცეფციას, რომელიც 2016 წლისთვის უნდა ამოქმედდეს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა, რომ ქვეყნის კიბერუსაფრთხოებისთვის დაგვიანებით იქმნება კიბერრეზერვის (კიბერარმიის) ჯგუფი?

ფაქტია, რომ გლობალური საფრთხეების (ე.წ. ისლამური სახელმწიფოს-ISIS“ საფრთხე) პირობებში, საქართველოს კიბერარმია მზადყოფნაში არა არის. ფაქტობრივად, კიბერთავდაცვის მიზნით ადამიანური რესურსის მობილიზება დაგეგმილია 2016 წლისთვის.

საზოგადოებას კარგად ახსოვს 2008 წლის მასშტაბური და აგრესიული კიბერთავდასხმა ქვეყანაში. ამასთან, სამეცნიერო გარემო მუდმივად აღნიშნავდა არსებული გამოწვევების საჭიროებებსა და ქმედითი ღონისძიების გატარებაზე (კიბერარმიის შექმნის აუცილებლობაზე, კიბერუსაფრთხოების გამოწვევებზე, რომლის გავლენაც ინტერნეტ-ბიზნესის განვითარებაზე დიდი იყო). თუმცა, პროცესების დაჩქარება, მანამ არ მოხდა, სანამ, ქვეყანა კონკრეტული ფაქტის (ISIS-ის საფრთხეების) წინაშე არ აღმოჩნდა.

ვინ უნდა გააკონტროლოს საქართველოს კიბერსივრცე და დაიცვას კიბერუსაფრთხოება?

ქვეყნის კიბერარმიისა და კიბერუსაფრთხოების კონცეფცია უნდა შეიმუშაოს „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა“, რომელსაც კოორდინაცია „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ“ უნდა გაუწიოს. აღნიშნულმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს კიბერპოლიტიკისა და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება, მთავრობაში წარდგენა (დასამტკიცებლად) და შესრულების მონიტორინგი.

რაც შეეხება ქვეყნის კიბერუსაფრთხოებას, მასზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. დიახ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის „ქოლგის ქვეშ“ უნდა ჩამოყალიბდეს კიბერთავდაცვის სტრუქტურა, რომლის შემადგენლობაში, უნდა შევიდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერრეზერვი (როგორც ქვეყნის კიბერუსაფრთხოების ძირითადი ჯგუფის სარეზერვო დანაყოფი და დამატება), სამოქალაქო სექტორის საინიციატივო ჯგუფები, კორპორაციული სექტორის წარმომადგენლები და უცხოეთში მყოფი ქართული სათვისტომოს წარმომადგენელთა ჯგუფები, როგორც კიბერერთეულები.

რატომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური?

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე, სამსახური უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო უსაფრთხოებას (შესაბამისად სამსახურის ფუნქციებში უნდა იყოს კიბერუსაფრთხოებაც);
- ტერორიზმთან ბრძოლას (სამსახურის ფუნქციებში უნდა იყოს კიბერტერორიზმის პრევენციაც);
- ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას (კიბერთავდაცვა ხელს უწყობს ელექტრონული ბიზნესის

განვითარებას, რომლის პოტენციალს ქვეყანა ჯერ-ჯერობით სრულად ვერ ითვისებს);

- ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა (ასეთი კი სწორედ კიბერკრიმინალები და კიბერტერორისტებია);
- კონსტიტუციური წყობილების დაცვას, რომელსაც საფრთხე სწორედ კიბერტერორიზმა შეიძლება შეუქმნას.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სფერო და ამოცანები ფაქტობრივად ორიენტირებულია იმ პროცესებზე, რაც კიბერსაფრთხეებისაგან შეიძლება წარმოჩინდეს. ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გააჩნია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ მოქმედების ტაქტიკა და პრევენციის ტექნიკა, ფლობს შესაბამის ცოდნას, იმიჯსა და ნდობას. ამიტომ, მიზანშეწონილია აღნიშნულ სტრუქტურას გააჩნდეს კიბერთავდაცვის უფლებამოსილება .

რა უნდა გაკეთდეს კიბერუსაფრთხოების მიზნით?

შეიქმნას „რეგულარული, შტატიანი“ კიბერერთეული, რომელიც მუდმივ მონიტორინგს განახორციელებს, ხოლო საფრთხეების ზრდის შემთხვევაში, კიბერარმიის მყისიერ მობილიზებას მოახდენს;

- **კიბერსივრცეში უნდა გატარდეს ინფორმაციული პროპაგანდის** (აგრესიის, ტერორიზმის, ბალკანიზაციის, ინფორმაციული ოკუპაციის და სხვა საკითხების) **პრევენცია.** საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველელ პროპაგანდას სახელმწიფომ უნდა დაუპირისპიროს ე.წ. მშვიდობიანი ინფორმაციული პროპაგანდა და ეფექტიანი კიბერ ღონისძიებები;
- **კიბერდანაშაულების ინტერნაციონალური სახე, ინტერნეტ-უსაფრთხოებისა და ფუნქციონალობის საჭიროება მოითხოვს ინტერნეტ-გარემოს რეგულირების პოლიტიკის საფუძვლიან გადახედვას**, სამართლებრივი მექანიზმებისა და არალეგალური საქმიანობის პრევენციის ღონისძიებების გატარებას;
- **ბიუჯეტში, დამატებითი თანხები უნდა გამოიყოს ქვეყნის კიბერსაფრთხეების პრევენციისა და კიბერერთეულების** (კიბერარმიის გარდა, უნდა შეიქმნას სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა საინიციატივო ჯგუფები, სათვისტომოს წარმომადგენელთა ჯგუფები) **შექმნის მიზნით;**
- ჯამში, **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაში უნდა შევიდეს კიბერარმია.** აღნიშნულმა სამსახურმა უნდა განახორციელოს კიბერპოლიტიკა. კიბერპოლიტიკის კონტექსტში, ძირითად მიმართულებად უნდა განისაზღვროს გლობალური და ლოკალური საფრთხეების პრევენცია და არა „პოლიტიკური მოტივები“. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის რეჟიმის მიერ „პოლიტიკური

მოტივებით“ მკაცრად კონტროლირდება/ იბლოკება ოპოზიციური ჯგუფების და რისკ ჯგუფების ინტერნეტ-ტრაფიკი, კრიტიკული იდეების საზოგადო წარმოდგენა, „არასასურველი“ საიტების მუშაობა. ეს კი დემოკრატიას და ევროპულ ფასეულობებს საფრთხეებს უქმნის.

ქვეყანაში, კიბერარმიის მოქმედების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს საზოგადოების სამივე სექტორის (სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორის) თანაბარუფლებიანი მონიტორინგით. სახელმწიფო სექტორიდან, მონიტორინგი უნდა განახორციელოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ, იმისათვის რომ კიბერუსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების გატარებისას, ადგილი არ ჰქონდეს:

- ინტერნეტ-ცენზურას;
- ინტერნეტ- რეპრესიებს;
- უკანონოდ განსაზღვრულ web-საიტებთან მოქალაქეების დაშვების უარყოფას;
- ინტერნეტ-მომხმარებლების თვალთვალს;
- ინფორმაციის ფილტრაციას;
- ინტერნეტ-ბლოკირებასა და ჩახშობას;

ჯამში, კიბერარმია და კიბერგარემოს მონიტორინგი სასარგებლოა ქვეყნისთვის, რადგან, „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას“ გააჩნია პოზიტიური მხარე და მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისკენ, სადაც შეიძლება გამოვყოთ:

- **არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა ;**
- **ექსტრემიზმის, რასიზმის, ძალადობის, ტერორიზმის პროპაგანდისგან საზოგადოების დაცვა;**
- **პირადი ცხოვრების დაცვა;**
- **ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;**
- **ადამიანთა ღირსებებისა და რეპუტაციის დაცვა;**
- **ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;**
- **ბიზნეს გარემოს დაცვა.**

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა გაითავისოს სამოქალაქო და კორპორაციული სექტორის პოტენციალი. განსაკუთრებით დააფასოს მეცნიერ-მკვლევარის შრომები და რესურსი. აღნიშნული მიდგომა სარგებლის მომტანი იქნება სამივე სექტორისთვის (სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორისთვის);

www.iverioni.com.ge, 26 ნოემბერი, 2015 წელი

1.12. ტერორიზმის ეკონომიკა

თანამედროვე მშვიდობიანი მსოფლიოს გამოწვევას წარმოადგენს ტერორიზმი, რომლის ეკონომიკური გავლენა ძვირადღირებული შედეგებისაა.

ალსანიშნია, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს ტერორისტულ ინციდენტებსა და ეკონომიკის ზრდის შემცირებას შორის. კვლევები ადასტურებს, რომ ტერორიზმი :

- **გავლენას ახდენს სახელმწიფოს რეპუტაციასა და ნდობაზე;**
- **გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოსა და საფინანსო ბაზრებზე;**
- **იწვევს სიცოცხლის ხელყოფას, ფსიქოლოგიური ტრამვებს;**
- **იწვევს დანაკარგებს, ზარალს, საკუთრების დაზიანებას;**
- **ქმნის სახელმწიფოს დასუსტების პირობას, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური გავლენით;**
- **ზრდის პოლიტიკურ რისკებსა და სკეპტიციზმს;**
- **ზრდის სახელმწიფო ხარჯებს** (უსაფრთხოების, სამედიცინო, რეაბილიტაციის, ზიანის ანაზღაურების მიზნით);

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს უწევს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის მტკიცება, ხოლო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს დამტკიცებული აქვთ. შესაბამისად, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვენების სპეციფიკური სექტორები უფრო მეტად რეაგირებს ტერორისტულ ინციდენტებზე. ალსანიშნია, რომ ტერორიზმის მიმართ ყველაზე მოწყვლადია სწორედ ტურიზმი და დაზღვევა .

ტურისტულ ობიექტებზე თავდასხმის საშიშროების ფონზე (აეროპორტები, სასტუმრო, ღირშესანიშნაობები, ტურისტული ტრანსპორტი) ტურისტი ითვალისწინებს რისკებს, რაც ცვლის მის გეგმებს და გავლენას ახდენს მოკლევადიან თუ გრძელვადიან ტურისტულ გეგმებზე. ჯამში, მცირდება ტურიზმის ეკონომიკა.

კვლევები ცხადყოფს, რომ ტრანსნაციონალური ტერორისტული თავდასხმების შედეგად ტურიზმის ბაზარმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა საბერძნეთში, თურქეთში, ისრაელში. ტერორიზმის შედეგად ევროპის ბაზარმა მხოლოდ ამერიკელი ვიზიტორების ხარჯზე დაკარგა 105 მლრდ დოლარი (ვიზიტორების 60%-მა ჯავშანი გააუქმა).

მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ ტერორისტული ინციდენტები გავლენას ახდენს ბიზნეს სექტორზე, რადგან:

- **ამცირებს მწარმოებლურობას, მოგებას, საქმიან და სამომხმარებლო აქტივობას;**
- **ზრდის უსაფრთხოების ხარჯებს, ბიზნესის წარმოების ხარჯებს (უფრო მაღალი სადაზღვევო პრემიის თვალსაზრისით, რისკის ზონებში თანამშომელთა მაღალი ანაზღაურების კუთხით);**
- **ძვირადღირებულს ხდის უსაფრთხოების ზომებს;**
- **ამცირებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ზრდის**

ინვესტირების შიშს. გავლენას ახდენს გრძელვადიან პროექტებსა და გარიგებებზე, სამომხმარებლო და საქმიან ნდობაზე;

- **იწვევს ინფრასტრუქტურის განადგურებას, ამცირებს ვაჭრობას. სახელმწიფოს საინვესტიციო ფონდებიდან თანხების გადამისამართება უსაფრთხოებაზე;**
- **იწვევს კაპიტალის გადინებას.;**
- **რეზონანს ახდენს მთელ რეგიონზე.**

გლობალური კვლევებით გლობალური ძალადობა ფასდება 14.3 ტრლნ დოლარით, რაც შეადგენს გლობალური მშპ-ის 12.6%-ს (visionofhumanity.org). სადაც, ტერორიზმის გლობალური ეკონომიკური დანაკარგები 84 მლრდ დოლარს აღწევს (2016 წელს, statista).

არსებითია აღინიშნოს, რომ 1970-2007 წწ-ში მოქმედი 586 ტერორისტული ჯგუფიდან 36% კვლავ აქტიურია (აქტიური კონტრტერორისტული მიდგომების მიუხედავად, visionofhumanity.org).

გასულ წელს ერაყში ტერორიზმის ეკონომიკურმა ზიანმა შეადგინა მშპ-ის 24%, ავღანეთში - 13%. სამხრეთ სუდანში -9%. სირიაში - 6%, ლიბიაში -3%, იემენში - 2%, თურქეთში- 1% (statista.com).

შთამბეჭდავია ხაზი გაესვას, რომ უსაფრთხოების კუთხით საქართველო ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს სხვადასხვა რეიტინგში. თუმცა, გლობალური საფრთხეების პრევენციისა და გრძელვადიან პერსპექტივაში მშვიდობის განმტკიცების მიზნით საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას უშიშროების სამინისტრო.

www.kvira.ge, 27 ნოემბერი, 2017 წელი

1.13. ციფრული მონეტარული პოლიტიკის გამოწვევები

გლობალურ მონეტარულ სისტემაზე გავლენას ახდენს ციფრული ვალუტა, რომელიც შექმნილია კერძო და სამოქალაქო პირების მიერ. ციფრული ვალუტა განიხილება, როგორც ელექტრონული ფორმით შენახული აქტივი, რომელიც ასრულებს იგივე ფუნქციებს, რასაც ფიზიკური ვალუტა.

ციფრული ვალუტა მოიცავს ციფრული ჩანაწერის სახით ფორმირებულ კრიპტოვალუტას (Bitcoin, Litecoin, Dogecoin, Peercoin) და ვირტუალურ ვალუტას (Linden Dollars, WoW Gold), ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება ემიტენტისა და ფუნქციების მიხედვით (dbc.wroc.pl).

კრიპტოვალუტა, როგორც ციფრული მონეტარული სისტემა, მართულია P2P ქსელით და დაცულია მძლავრი შიფრით. მისი გადატანა შესაძლებელია ნებისმიერ გლობალურ ლოკაციაზე. ქსელური ტრანსაქციები ხორციელდება და მოწმდება მყისიერად.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ ფინანსური ეკოსისტემა ყველასათვის ღიაა. არის დეცენტრალიზებული, არცერთი ცენტრალური ორგანო არ აგებს პასუხს, თვალყურს არ ადევნებს, არ ერევა კერძო ტრანსაქციებში (globalfxm).

აღსანიშნავია, რომ კრიპტოვალუტის (მაგალითად ბიტკოინის) ლიკვიდურობის ფონზე შეიცვალა სიმდიდრის დაგროვების გავრცელებული საშუალებები. ამიტომ, ხელსაყრელობის, სწრაფი ტრანსაქციის, მოდის ტენდენციის, საოპერაციო და კონფიდენციალობის მახასიათებლების გამო კრიპტოვალუტამ ფართო გავრცელება ჰპოვა.

ხაზგასასმელია, რომ ციფრული ფული ილუსტრირებს არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არსს, რომელიც ფულის ელასტიურობაზე ოპერირდება. გლობალური ტენდენციების ფონზე, ცენტრალური ბანკები სწავლობენ სუვერენული ციფრული ვალუტის გამოშვების შესაძლებლობებს (კანადა, ევროპის ცენტრალური ბანკი), ჩინეთის სახალო ბანკი ახდენს ტექნი-კური სპეციფიკის ექსპერიმენტირებას, ინგლისის ბანკი მრავალწლიან კვლე-ვებს ახორციელებს. შვეიცარიის კომერციული ბანკი (UBS), 6 მსხვილ კომერციული ბანკთან (Barclays, CIBC, Credit Suisse, HSBC, MUFG და State Street) გაერთიანებით გეგმავს ციფრული სავალუტო პროექტის გახორციელებას (გაშვება დაგეგმილია 2018 წ. centralbanking).

არსებითია ითქვას, რომ მსოფლიოს მსხვილმა ბანკებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს ბლოკჩეინზე გადასვლასთან დაკავშირებით (ბიტკოინის მიმართულებით). პროგნოზით მომავალ 10 წელიწადში, ბლოკჩეინის წილი გლობალურ მშპ-ში 10% იქნება.

კვლევები ადასტურებს, რომ კრიპტოვალუტის ბაზარი 25%-იანი ვარდნის შემდგომ კვლავ ზრდას განაგრძნობს. კვლევითი ორგანიზაციების მონაცემებით მსოფლიოში მიმოქცევაშია 1100 მეტი კრიპტოვალუტა, რომელთა ბაზრის კაპიტალიზაცია შეადგენს 159,8 მლრდ დოლარს.

გლობალური პროცესების პარალელურად, საქართველოშიც ფორმირებულია ციფრული ფულის „ამთვისებელი“ კერძო და სამოქალაქო საზოგადოება. ციფრული ფულით (კერძოდ ბიტკოინით) შესაძლებელია პროდუქციით ვაჭრობა, გაცვლა, შენახვა, დაგროვება, ინვესტირება ბიტკოინის ფასზე მიბმულ საინვესტიციო ინსტრუმენტებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ციფრულ მონეტარულ სისტემას არ გააჩნია სტაბილური და სახელმწიფოს მიერ დომინირებული მონეტარული იერარქია. თუმცა მის უპირატესობა მრვალფეროვანია, რომელთა შორის შეიძლება აღინიშნოს (oecd):

- ***ეკონომიკაში ფულადი აგრეგატების და ფულის ბრუნვის სიჩქარის შეფასება;***
- ***გამჭვირვალობა;***
- ***კონფიდენციალობის დაცვით, დიდი რაოდენობის ყოველდღიური ტრანსაქციების შემოწმება რეალური დროის რეჟიმში;***
- ***ფულადი აგრეგატების თვალყურის დევნება, მაკროეკონომიკური მიზნებით კორექტირების პოლიტიკის ეფექტიანობა;***

კვლევების ადასტურებს, რომ ციფრული ფულის გავრცელების ფონზე, ძირითად გამოწვევად მიიჩნევა:

- *ნომინალური გამოსახვის ფიქსირება, უნივერსალური მისაწვდომობა,;*
- *ყველა საჯარო ტრანსაქციაში კანონიერი ანგარიშსწორების საშუალებად აღიარება (WEF,2017);*
- *ცენტრალური ბანკის ეფექტიანობის ზრდა საბაზო ფუნქციების შესრულება;*
- *ციფრულ ფული, როგორც გაცვლის საშუალების ეფექტიანობა, მისი შენახვის უსაფრთხოება, ეკონომიკურ და ფინანსურ ოპერაციებში საანგარიშო ღირებულების სტაბილურობა (voxeu);*
- *მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების პოტენციალის შესუსტება; მართვის პრობლემა (აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღება და იმპლემენტაცია) გლობალურ დონ ზე ;*
- *აღსანიშნავია, რომ დღეს, მსოფლიოს გამოწვევას წარმოადგენს ფულის ის დიდი მასა, რომელიც „იქმნება“.*

ფაქტია, რომ ბიტკოინის გლობალური საბაზრო კაპიტალიზაცია შეადგენს ფულადი მასის მნიშვნელოვან ნაწილს. ამიტომ უფრო მეტი კითხვაა ვიდრე პასუხი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რამდენია მიმოქცევაში არსებული ფული, როგორია დიდი ფულადი მასის ეფექტი. ახდენს თუ არა გავლენას ინფლაციის დონზე, ფასების სტაბილურობაზე (bis.org);

საკითხის შეჯამების საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ციფ-რული ვალუტისა და ანგარიშსწორების ტექნოლოგიების სფეროში, ინოვაციის სწრაფი ტემპების ფონზე, მთავრობა თუ აქტიურ პოზიციაში არ იქნება, გლობალური ციფრული გამოწვევებისათვის მზაობისათვის სტრატეგიულად მაინც მოემზადოს.

მსოფლიოში განვითარებული ტენდენციების ფონზე, ციფრულ ფულს არ შეუძლია გავლენა იქონიოს ნაციონალურ მონეტარულ სისტემაზე, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ცენტრალური ბანკის პასიურობა რისკებს შეიცავს. იმისათვის, რომ მომავალი გამოწვევებისათვის ჯანსაღი გარემოს მზაობა გვქონდეს, ***საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საჭიროა ციფრული მონეტარული პოლიტიკის სფეროში:***

- ***აწარმოოს კვლევები;***
- ***მოაწესრიგოს სამართლებრივი გარემო;***
- ***შექმნას წესები და სტანდარტები, ციფრული მონეტარული სისტემის ფორმირების მიმართულებით;***
- ***ჯამში, შექმნას შეხედულებათა სისტემა, რომლითაც ციფრული ფული განხილული იქნება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ფარგლებში.***

www.cbw.ge, 9 ოქტომბერი, 2017 წელი

1.14. ელექტრონული მმართველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ელექტრონული მმართველობითი გარემოს ფორმირებით იზრდება მომსახურების წარდგენის რენტაბელობა, მართვის ეფექტიანობა, მთავრობის ანგარიშვალდებულება, პროცესების გამჭვირვალობა. სისტემა წარმოდგება ინოვაციური და დემოკრატიული მმართველობით, რაც განაპირობებს სახელმწიფოს ძლიერებას.

მნიშვნელოვანია ელექტრონული მმართველობის როლი სახელმწიფო მმართველობითი გარემოს ტრანსფორმაციის ხელშეწყობისა და პროდუქტიული ბიუროკრატიული სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

ხაზგასასმელია აღინიშნოს, რომ საქართველომ წარმატებებს მიაღწია ტექნოლოგიური გარემოს განვითარების მიმართულებით (ე- მთავრობის განვითარებისა და კიბერუსაფრთხოების კუთხით). ამ მიმართულებით შთამბეჭდავია, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში ქვეყნის მოწინავე ადგილი და როლი. ამ მარათონით ქვეყანას სურს მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა, ქვეყნის ინოვაციური განვითარება, ელექტრონული მმართველობითი გარემოს ფორმირება, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიღება.

პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, ყოველწლიურად მემკვიდრეობით გვრჩება:

- **დროში გაწელილი ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროექტები.** დაგვიანებული პროცესებით, ქვეყანა კარგავს ციფრულ სარგებელს;
- **ინტერნეტ-გარემოს გამოწვევები**. შეუსაბამოა სერვისი, ხარისხი და ფასი. მარეგულირებელი ორგანო(ები) ვერ „უმკლავდება“ ქვეყანაში არსებულ მაღალ ფასებს. ამასთან, ფასების „სტაბილიზაციის ბლაგვი ინსტრუმენტების“ არსებობის პირობებში შემცირების ტენდენცია მოსალოდნელი არ არის;
- **აუთვისებელი ციფრული ეკოსისტემა.** საქართველოს ციფრულ ეკოსისტემას გააჩნია პოტენციალი, რომლითაც ქვეყანა გახდება სამუშაოს მაძიებელთათვის სამუშაოს ადგილების შემქმნელი გარემო (ციფრული ბაზრისა და სამუშაო ადგილების შექმნის ფონზე, ემიგრანტებს დასაქმების მიზნით ჩვენს ქვეყანაში მივილებთ);
- **რეფორმატორების დეფიციტი.** მუდმივად ისმის მმართველობითი გარემოს რეფორმირებაზე საუბარი. ევროპული და ევროატლანტიკური თანამშრომლობის ფონზე გვაქვს რეფორმირების „სახელმძღვანელოები“, თუმცა არ გვყავს რეფორმატორები (საზოგადოებაში გვყავს, პოლიტიკურ ასპარეზზე არა). საქართველოს მმართველობითი გარემოს გარდაქმნა კი პირდაპირკავშირშია ელექ-ტრონული მმართველობითი გარემოს განვითარებასთან.

კვლევები ადასტურებს, რომ ელექტრონული მმართველობა გავლენას ახდენს პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს გარდაქმნაზე, რომლის უკან დგას სოციალური და ეკონომიკური პროგრესი. შესაბამისად, იმ ქვეყნებში სადაც განუვითარებელია ელექტრონული მმართველობითი გარემო, პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს გარდაქმნა ნელა ხორციელდება. ასეთ ქვეყნებში, მნიშვნელოვან რესურსს არ წარმოადგენს რაციონალიზაცია და ლეგიტიმაცია, ხოლო ეკონომიკური და სოციალური პროგრესი დაბალია.

ბუნებრივია, ქვეყანა საჭიროებს ციფრულ პოლიტიკას, რომლის ძირითადი მიმართულება ელექტრონული მმართველობის განვითარება და ციფრული ეკონომიკის შექმნა იქნება. თუმცა, რადგან საზოგადოება ვერ ფლობს „ცვლილებების ბერკეტს“, ხოლო მედია კი ჯეროვან გავლენას ვერ ახდენს რეფორმებისა და ცვლილებების დაწყების საჭიროებაზე, შესაბამისად ძველი პოლიტიკური გარემო კვლავ „ტრადიციულ სიმაღლეზეა“ და წარმოდგება უცვლელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით.

საქართველოში, ელექტრონული მმართველობითი გარემოს განვითარების პროცესში, ხაზგასასმელია შემდეგი:

- მაღალი ფასწარმოქმნის პოლიტიკა. მოსახლეობის დაბალი სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, მაღალია ინტერნეტისა და კომპიუტერის ფასები. ხოლო სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკა დაგვიანებული და მცირე მასშტაბის (ვგულისხმობ ვაუჩერებს, რომელსაც მომავალში დაარიგებენ);
- ციფრული უთანასწორობა. რეგიონთაშორისი არსებული ციფრული უთანასწორობა ჯერ კიდევ მაღალია;
- ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. შესაქმნელია ელექტრონული მართველობითი გარემოს ძირითადი მიმართულებების (ე-მთავრობა, ე-კომერცია და ინფორმაცია საზოგადოება) ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. რამდენიმე კანონი ციფრული ეკოსისტემისათვის საკმარისი არ არის;
- ე-მართველობითი გარემოს განვითარების პროგრამები. დროა ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ აქცენტები გააკეთოს ელექტრონული მართველობითი გარემოს განვითარების პოლიტიკაზე. შექმნას დარგობრივი მიმართულების ელექტრონული კომერციის განვითარების სახელმწიფო პროგრამები;
- ელექტრონული ბიზნესის სპეციალისტების გამოშვების საგანმანათლებლო პროგრამები. ელექტრონული ბიზნესის განვითარების საფუძველში უნდა ჩაიდოს ისეთი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენა, როგორიცაა: ელექტრონული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, ელექტრონული მართვის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები;
- პოლიტიკური მხარდაჭერა. ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე, ვერცერთი სახელმწიფო პროგრამა ვერ ხორციელდება

საზოგადოების მოთხოვნის თუ მედია გავლენის მიუხედავად, რადგან ბიუროკრატია და ძველი პოლიტიკური გარემო წინააღმდეგობას უწევს დარგების რეფორმირებას. მაგალითად, არ/ან ვერ განხორციელდა მმართველობითი გარემოს რეფორმირება;

დაბოლოს, საქართველოს მთავრობა სტრატეგიულად უნდა მოემზადოს ციფრული გარემოს მომავალი გამოწვევებისათვის, შექმნას პროგრამები და ღონისძიებათა სისტემა. იმისათვის, რომ მომავალ თაობას არ დაუტოვოს განვითარებადი ციფრული გარემო და ვალებითა და ვალდებულებებით დატვირთული მემკვიდრეობა.

www.cbw.ge, 30 ოქტომბერი, 2017 წელი.

1.15. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის საბიუჯეტო დაფინანსება რეგიონში ლიდერობისათვის არ არის საკმარისი

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს რეგიონში ICT-ისა და ინოვაციების ექსპორტის, ინტერნეტ-ბაზრისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ-ბაზრის განვითარება სტიმულირებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების წარმოჩენას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ახალი ბაზრების წარმოჩენას, სიღარიბის მასშტაბების შემცირებას, ონლაინ ვაჭრობისა და ონლაინ გარიგებების გააქტიურებას.

აღნიშნულ ფონზე, საქართველოს ინტერნეტ-გარემოს (ინტერნეტ-ბაზარი, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია) განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას სახელმწიფოს დაფინანსება წარმოადგენს.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში (ისევე, როგორც წინა წლებში) მცირეა ინტერნეტ-ბაზრისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსები. ბიუჯეტში გათვალისწინებული არაა: ელექტრონული კომერციის ხელშეწყობის, მოსახლეობის კომპიუტერიზაციის დაფინანსების, ინტერნეტ-კომპანიებისა და ელექტრონული ბიზნეს მოდელების წარმოქმნის ფინანსური რესურსები. ასევე, არასაკმარისია პოლიტიკური და სამართლებრივი მხარდაჭერის პროგრამები.

იმისათვის, რომ ქვეყანაში, ელექტრონული ბიზნესი განვითარდეს, საწყის ეტაპზე, საჭიროა მისი ხელშეწყობა და დაფინანსება, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე მოზიდული კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი (ასევე, პროგრა-მებით).

დღეს, ცალკეული სამინისტროების მიერ წარმოებული ელექტრონული მმართველობის ცალკეული კომპონენტების დანერგვის ღონისძიებები

არაკოორდინირებული, ფრაგმენტული და უსისტემოა. შესაბამისად, მისგან მიღებული სარგებელი თვალსაჩინო არაა.

საქართველოში, ელექტრონული გარემოს ტექნიკურ მხარდაჭერასა და ელექტრონული მომსახურების შექმნაზე იმაზე მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე საზოგადოების მიერ აღნიშნული ტექნოლოგიების ათვისების პროცესზე. შესაბამისად, გვაქვს ტექნოლოგიები, მაგრამ დაბალია საზოგადოების მიერ მისი ათვისების ტემპი.

ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ არსებული საბიუჯეტო დაფინანსება საკმარისი არ არის ინტერნეტ-ბაზრის განვითარების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნის, ინტერნეტ-პროდუქტების განვითარების, ელექტრონული ვაჭრობის ზრდის, ელექტრონული კომერციის ექსპორტის, ელექტრონული ბიზნესისა და ინტერნეტ-ეკონომიკის მოცულობის ზრდისთვის.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე გამოყოფილია 2,5 მლნ ლარი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე - 8,5 მლნ ლარი, ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარებაზე 1,7 მლნ ლარი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებთა განვითარებაზე 6,5 მლნ ლარი.

მცირე დაფინასებისაა ცალკეულ აღმასრულებელ უწყებებში მიმდინარე ციფრული პროცესი, მართვის ელექტრონული უზრუნველყოფა, კიბერგარემოს ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა ელექტრონული პროცესი. აღნიშნული პროცესისათვის ბიუჯეტის პროექტში გამოყოფილი ასიგნება დაახლოებით 50 მლნ ლარამდეა (ხოლო, ბიუჯეტით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების/ გადასახდელების ჩათვლით 105 მლნ ლარი).

შედარებისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ქვეყნის ბიუჯეტის დაფინანსება ICT-ის განვითარებაზე, რომელიც საკმაოდ სოლიდურია, კერძოდ: აშშ-ის მთავრობის დანახარჯი შეადგენს 75 მლრდ დოლარს, დიდი ბრიტანეთის - 10 მლრდ დოლარს, 4-5 მლრდ დოლარის ფარგლებში მერყეობს კანადის, საფრანგეთისა და ავსტრალიის ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის დანახარჯი (2013). თურქეთის IT სექტორის განვითარებაზე იხარჯება 24 მლრდ დოლარი, რუსეთის მიერ მხოლოდ სახელმწიფო უწყებების ინფორმატიზაციაზე იხარჯება 1,105 მლრდ რუსული რუბლი, (2015), აზერბაიჯანის მთავრობა 2020 წლამდე 3,6 მლრდ დოლარის ჩადებასა და წლიურად 1 მლრდ ინვესტიციის მოზიდვას გეგმავს ICT-სა და ტელეკომუნიკაციის სექტორში.

ხაზგასასმელია, რომ IT სექტორის განვითარებაზე მოლდოვა ხარჯავს მშპ-ის 2,3%-ს, ბულგარეთი - 1,8%-ს, სლოვენია 1,9%-ს, ხორვატია - 1,9%, უკრაინა 2,2%-ს (2010), ხოლო სომხეთი - მშპ-ის 1,1%-ს (2009).

სამწუხაროდ, მცირე ფინანსური რესურსების (საქართველოს ბიუჯეტის 1%-იც კი არ არის მიმართული ინტერნეტ-გარემოს განვითარებაზე) და არსებული სტრატეგიული დაგეგმვის პირობებში რთულია, რომ საქართველომ რეგიონში (ICT-სა და ინოვაციების ექსპორტის კუთხით) დაიკავოს წამყვანი

ადგილი, თუ მთავრობის პრიორიტეტი გამოსახული არ იქნება განვითარების ეფექტიან სტრატეგიასა და მიზნობრივ საბიუჯეტო დაფინანსებაში.

მრავალფეროვანია ინტერნეტ-გარემოს განვითარების უზრუნველმყოფი უწყებები, თუმცა რეალურად ქვეყანას ერთი პასუხისმგებელი უწყება არ ჰყავს, რომელიც შედეგზე პასუხს აგებს და კოორდინირებას გაუწევს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების პოლიტიკის გატარებასა და მიზნობრივ დაფინასებას.

დაბოლოს, შეიძლება აღინიშნოს, რომ:

- ინტერნეტ-ბაზრის განვითარება საჭიროებს გაცილებით მეტ ფინანსურ რესურს (ნაციონალური ბიუჯეტის 2-3%-ს); რითაც მიღწეული იქნება მშპ-ის, დასაქმებისა და პროდუქტიულობის ზრდა;
- ინტერნეტ-ბაზრის განვითარება საჭიროებს ნოვატორული აზროვნების მმართველობას;
- აღმასრულებელმა უწყებებმა უნდა ითანამშრომლონ სამეცნიერო საზოგადოებასთან და დაინტერესდნენ ქართველი მეცნიერების კვლევებით (აღნიშნულ ჯგუფებს უფრო ეფექტიანად შეუძლიათ ინტერნეტ გარემოს მოთხოვნის ანალიზი, ღირებულების შეფასება, სტრატეგიული დაგეგმვა თუ ეკონომიკური მოდელირება).
- პრიორიტეტული უნდა გახდეს კომპიუტერიზაციის პროცესი, ინტერნეტის ფასის ხელმისაწვდომობა, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნისა და ინტერნეტ-გარემოს განვითარების ხელშეწყობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმებს;

დასასრულს, არსებული საბიუჯეტო დაფინანსების სიდიდე პირდაპირ კავშირშია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ინტერნეტ-გარემოს შესახებ არსებულ ინფორმაციულ დეფიციტთან (ქვეყანაში შეუძლებელია ინტერნეტ-გარემოს სრული სურათის ასახვა).

www.iverioni.com.ge, 25 ოქტომბერი, 2015 წელი

1.16. ელექტრონული მმართველობის განვითარება საჭიროებს საბიუჯეტო დაფინანსების ზრდას

2018 წლის საქართველოს ბიუჯეტის პროექტში, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სისტემების, სახელმწიფო სერვისების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის, კიბერუსაფრთხოების, ელექტრონული მმართველობის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით გამოყოფილი თანხები ბიუჯეტის 1.6 %-ია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული ბიუჯეტის პროექტში ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე გამოყოფილია 2,5 მლნ ლარი, საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე - 5,08 მლნ

ლარი, ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე - 3,92 მლნ ლარი, ელექტრონულ სწავლებაზე - 2 მლნ ლარი, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაზე - 1,5 მლნ ლარი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარებასა და ხელმისაწვდომობაზე - 61,6 მლნ ლარი, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/ სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაზე - 26,2 მლნ ლარი, კავშირგაბმულობის უზრუნველყოფასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე - 8,04 მლნ ლარი, საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტზე (IBRD) – 10 მლნ ლარი, ფინანსების მართვის ელექტრონულ და ანალიტიკურ უზრუნველყოფაზე- 15,05 მლნ ლარი. ასევე, აღნიშნული სფეროს განვითარების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები.

მოცემული ბიუჯეტის ფარგლებში აღსანიშნავია ისეთი უმნიშვნელოვანესი პროცესები, როგორიცაა: სამინისტროს არქივებში არსებული დოკუმენტაციის ციფრულ ფორმატში დიგიტალიზაცია; ციფრული დიპლომატიის როლი; მოდერნიზაციის ფარგლებში ტექნოლოგიების როლის ზრდა სახელმწიფო უწყებების საქმიანობაში; თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საფინანსო მომსახურების გაუმჯობესება; გამოცდებისა და სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გაძლიერება; უმაღლესი განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის ზრდა; დისტანციური განათლების კომპონენტის გაძლიერება; ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში; სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (შ) და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მდგრადობის, უსაფრთხოების და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სამინისტროებისთვის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა/ანალიზი/ დანერგვა; ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ბიუჯეტში ნაჩვენებია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი საქართველოს, როგორც ტექნოლოგიური, კვანძის (ჰაბის) პოპულარიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა; ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა; ვებგვერდების და სხვა საინფორმაციო სისტემების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა; ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირება და განვითარება .

შთამბეჭდავია აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურის აშენება და დამატებით 800 ათასი

ადამიანის ინტერნეტიზაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაჩვენები არ არის, როდის დასრულდება ინტერნეტიზაციის პროექტი, უცნობია ზემოაღნიშნული პროცესების სოციალური და ეკონომიკური სარგებელი, განსაზღვრული არ არის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების უკუგება, შეფასებული არ არის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებით დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის სიდიდე, გაანალიზებული არ არის ელექ-ტრონული კომერციის ბრუნვა და ბიუჯეტში შესული შემოსავლები.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ არსებული საბიუჯეტო დაფინანსება საკმარისი არ არის ქვეყანაში ინტერნეტ-ბაზრის განვითარების, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნის, ინტერნეტ-პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების, მმართველობაში ელექტრონული მმართველობის როლის ამაღლების, ელექტრონული კომერციის ექსპორტის, ელექტრონული ბიზნესის განვითარებისა და ინტერნეტ-ეკონომიკის მოცულობის ზრდისთვის.

საგულისხმოა, რომ დაფინანსების ყველა კომპონენტში აქცენტები კეთდება სწავლებაზე, უცხოური გამოცდილების გაზიარებასა და საქართველოში დანერგვაზე, ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის ზრდა საქმიანობის პროცესში. ამასთან, ყურადღების მიღმაა დარჩენილი ის, რომ ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას განაპირობებს განხორციელებული ინვესტიციები, პოლიტიკა, სამართლებრივი გარემო, სტრატეგია და სახელმწიფო პროგრამები, მმართველობითი და პოლიტიკური გარემო. ამასთან, აკადემიურადაც არ არის ნაჩვენები ტექნოლოგიების როლი ეკონომიკის დარგებში.

პროგრამების ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ „ვადაგასულია“ ისეთი თემები, როგორიცაა „პოპულარიზაცია, სწავლება, ინფორმირება“. აღნიშნული თემები ისედაც შემადგენელი კომპონენტებია. ახლა დღის წესრიგში უნდა იდგეს ბოლო წლებში, ბიუჯეტიდან გაღებული თანხებით:

- შემუშავებული და განხორციელებული პროგრამების შედეგების შეფასება;
- შექმნილი ციფრული ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობა და რეგიონული გავლენის მასშტაბების შეფასება;
- დაგეგმილი ღონისძიებების შედეგებისა და მისაღები სარგებელის მასშტაბების შეფასება;
- სტიმულირებული ციფრული გარემოს პოტენციალის გზების შეფასება და შედეგების ანალიზი;
- ბიზნესისა და სახელმწიფო სექტორში ტექნოლოგიების როლის გაზომვა და დაანგარიშება;

ამრიგად, რეკომენდაციების სახით მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

- ***უნდა განისაზღვროს მთავრობის მიერ ტექნოლოგიური კვანძის პოტენციალის შესახებ პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლის სიდიდე;***

- *საჭიროა შეფასდეს ეკონომიკის დარგებში თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალი;*
- *მნიშვნელოვანია დაისახოს ციფრული ბაზრის საინვესტიციო პოტენციალი ათვისებისა და პოპულარიზაციის გზები;*
- *ციფრული დიპლომატიის როლის აღნიშვნისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ციფრულ ეკონომიკურ დიპლომატიაზე. ასევე, საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა გახდეს ციფრული ბაზრის საინვესტიციო და ციფრული ბიზნეს გარემოს პოტენციალის წარმოჩენაზე;*
- *აქცენტები გაკეთდეს ახალი ბიზნეს პროცესების, ბიზნეს მოდელების ფორმირების, ახალი პროცესების შექმნის ხელშემწყობ პროგრამებზე;*
- *აკადემიურ ანალიზს საჭიროებს, ზრდადი ბიუჯეტის საფუძველზე, ციფრული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები;*
- *ქვეყანა საჭიროებს პასუხისმგებელ უწყებას, რომელიც შედეგებზე პასუხს აგებს და კოორდინირებას გაუწევს საქართველოში ციფრული გარემოსა და ელექტრონული მმართველობის განვითარების პოლიტიკის გატარებასა და მიზნობრივ დაფინასებას.*

დასასრულს, სტრატეგიულ მიმართულებებზე საუბარი გამოსახული უნდა იქნას ფინანსურ და სტრატეგიულ მხარდაჭერაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მცირე ფინანსური რესურსები, არაეფექტიანი ციფრული პოლიტიკა, არსებული პროგრამები და სტრატეგია არსებით გავლენას ვერ იქონიებს საქართველოს ციფრული გარემოს განვითარებასა და რეგიონული ლიდერობის როლზე.

www.cbw.ge, 16 ოქტომბერი, 2017 წელი

1.17. სოციალური სტანდარტების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში

სახელმწიფო საჭიროებს, როგორც ინსტიტუციებს ისე სოციალურ სტანდარტებს. ასეთ სტანდარტს წარმოადგენს მინიმალური სახელფასო ანაზღაურება (ყოველთვიური და საათობრივი), რომელიც უთანასწორობასთან ბრძოლისა და საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის საშუალებაა.

ბუნებრივია ნებისმიერი ადამიანი იმსახურებს ისეთ ანაზღაურებას, რომელიც საკმარისი იქნება მისი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მოიცავს გარკვეულ დისკრეციულ შემოსავალსაც.

აღიარებულია, რომ დაბალი ხელფასი გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე, პროდუქტიულობაზე, პიროვნულ ზრდა-განვითარებაზე,

პერმანენტულ განვითარებაზე, სამუშაოზე კონცენტრირებასა და განკუთვნილი დროის ოპტიმალურ გამოყენებაზე.

მინიმალური შრომის ანაზღაურების გავლენა. შრომის ანაზღაურება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც შრომის ბაზრის შემადგენელი, რაც უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას, ურთერთთავსებადობაშია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. მინიმალური შრომის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურების დონის რეგულირების ინსტრუმენტს.

ხელფასის დონის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ეკონომიკური აქტივობა, ეკონომიკის ზრდის ტემპი, ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა, უმუშევრობის დონე, ინფლაციური პროცესები, ექსპორტ-იმპორტი და სხვა ფაქტორები.

ფაქტია, რომ კარგად ანაზღაურებული დასაქმებული კარგად მოტივირებულია. შეგიძლია კაპიტალის დაგროვება, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მიზნების მიღწევა.

მიკროეკონომიკურ თეორიაში, მინიმალური შრომის ანაზღაურება განიხილება, როგორც წონასწორული ფასის მინიმალური დონე, დადგენილი მოთხოვნა-მიწოდების მრუდით.

მინიმალური შრომის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ფორმირების მექანიზმის ერთ-ერთ ელემენტს.

ალსანიშნავია, ისიც რომ საწყის პერიოდში მინიმალური შრომის ანაზღაურების დაწესება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული:

- სამუშაო ადგილების დაკარგვა;
- ორგანიზაციის დანახარჯების ზრდა;
- ორგანიზაციებში არსებული ახალგაზრდა და არაკვალიფიციური თანამშრომლების შემცირება;
- თანამშრომლების მობილობა, ოპტიმიზაცია და სხვა.

აღნიშნული სტანდარტის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას მწარმოებლის ფაქტორიც, რომელსაც შესრულებული სამუშაო უფრო ნაკლები შეიძლება უღირდეს, ვიდრე სტანდარტით გათვალისწინებული ანაზღაურების სიდიდე, გადასახადის ჩათვლით.

მინიმალური შრომის ანაზღაურება არ წარმოადგენს „უფასო ლანჩს", რომლითაც ეხმარებიან ღარიბი და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს. თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დროს, რადგანაც იზრდება სოციალური წნეხისა და ღარიბი სეგმენტის დაუცველობა.

შესაბამისად, სახელმწიფო სტრუქტურებმა თუ რეგიონულმა ორგანოებმა დამატებითი სოციალური გარანტიებითა და შრომის ანაზღაურებით უნდა უზრუნველყოს მოცემული სეგმენტი.

მსოფლიოში მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტი. ინკლუზიური ზრდის საკვანძო ფაქტორს, წარმოადგენს ზრდადი ხელფასი. თუმცა, უმრავლესობისათვის სარგებლისა და შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი პრობლემაა. როდესაც ხელფასი მინიმალურ დონეზეა, ასეთი ანაზღაურების პირობებში, დავალების მიცემა წარმოადგენს

სამუშაო გარემოს მოძრაობაში მოყვანის ფაქტორს, ვიდრე პროდუქტიულობის ზრდის ხელშემწყობი საშუალება.

მსოფლიო კრიზისის შემდგომ, გლობალურ მასშტაბში შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი იმაზე ნელა იმატებს, ვიდრე კრიზისამდე. კრიზისამდე, განვითრებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შრომის ანაზღაურება „ორჯერ შემცირდა“. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, შრომის ანაზღაურების ზრდა მდგრადი აღმოჩნდა. შესაბამისად, აზიის ქვეყნებში, მისი შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი იყო მნიშვნელოვანი, ხოლო აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებში ტენდენცია იყო პოზიტიური.

ეკონომიკის მწარმოებლურობის ზრდის მიუხედავად, ხელფასის დონე ინარჩუნებს უთანასწორობას, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებიდან, სამიდან ერთი ქვეყანაში, მინიმალური შრომის ანაზღაურების არსებულ სპექტრზე ნაკლები იყო 2013 წელს, ვიდრე ეს იყო 6 წლის წინ. 2015 წელს OECD-ს 34 წევრ ქვეყნიდან, 26 ქვეყანას კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული მინიმალური შრომის ანაზღაურება.

მინიმალური შრომის ანაზღაურების (ყოველთვიური, საათობრივი) სოციალური სტანდარტი ქვეყნის ეკონომიკური სტანდარტის შესაბამისია. მსოფლიოში მინიმალური საათობრივი ანაზღაურება შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ქვეყნების მაგალითზე:

- ბრაზილია 3,58 რეალი (2.7 ლარი);
- ჩინეთი 8 იუანი (2.9);
- პოლონეთი 10.12 ზლოტი (6.3 ლარი);
- სამხრეთ კორეა 6000 ვონი (12.8 ლარი);
- ისრაელი 25 შეკელი (16 ლარი);
- იაპონია 780 იენი (18.5 ლარი);
- აშშ- 7.25 დოლარი (17.7 ლარი);
- გერმანია 8.5 ევრო (23.1 ლარი);
- დიდი ბრიტანეთი 6.7 გირვანქა სტერლინგი (20.4 ლარი);
- საფრანგეთი 9.61 ევრო (26.1 ლარი);
- ავსტრალია 16 ავსტრალიური დოლარი (30,1 ლარი).
- ნიუ-იორკისა და კლიფორნიის შტატმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის მიხედვითაც, მინიმალური ანაზღაურება საათში იქნება 15 დოლარი.

მხედველობაშია მისაღები სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მინიმალური ხელფასი, სადაც ლიდერობს ავსტრალია, ლუქსემბურგი და ბელგია. ხუთეულში შედის ირლანდია და საფრანგეთი. ათეულს აბოლოებს გერმანია, კანადა და დიდი ბრიტანეთი. მათ ჩამორჩება აშშ, იაპონია, ისრაელი (WEF). OECD-რეალური მინიმალური ხელფასი მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილი 1).

საკითხს თუ კრიტიკულად მივუდგებით, დავინახავთ, რომ აღნიშნული პოლიტიკა ბიზნეს „ტკივილს“ აყენებს, გავლენას ახდენს ფასების ზრდასა და მწარმოებლურობის შემცირებაზე.

ცხრილი 1

რეალური მინიმალური ხელფასი OECD -ს წევრ ქვეყნებში

ქვეყნები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ავსტრალია (ავსტრალიური დოლარი)	25 309	26 757	27 432	28 277	28 956	30 139	31 088	31 944	32 841	33 743	..
ბელგია (ევრო)	15 451	15 933	16 732	17 288	17 403	17 869	18 347	18 713	18 713	18 713	..
კანადა (კანადური დოლარი)	15 808	16 307	17 368	18 450	19 448	20 072	20 758	21 091	21 632	22 214	..
ჩილე (პესო)	1 575 000	1 674 000	1 818 000	1 944 000	2022000	2 124 000	2 250 000	2 418 000	2 595 000	2 781 000	3 000 000
ჩეხეთი (ჩეხური კრონა)	93 150	96 000	96 000	96 000	96 000	96 000	96 000	98 500	102 000	110 400	118 800
ესტონეთი (ევრო)	2 301	2 761	3 336	3 336	3 336	3 336	3 480	3 840	4 260	4 680	5 160
საფრანგეთი (ევრო)	14 833	15 206	15 664	15 952	16 089	16 409	16 944	17 163	17 345	17 490	..
გერმანია (ევრო)	..	..	..	..	..	..	..	..	..	20 627	..
საბერძნეთი (ევრო)	8 346	8 794	9 340	9 875	10 050	10 130	8 224	7 963	7 963	7 963	..
უნგრეთი (ფორინტი)	750 000	786 000	828 000	858 000	882 000	936 000	1 116 000	1 176 000	1 218 000	1 260 000	1 332 000
ირლანდია (ევრო)	15 912	17 638	17 992	17 992	17 992	17 992	17 992	17 992	17 992	17 992	..
ისრაელი (ისრაელის შეკელი)	42 015	44 147	45 362	46 202	46 202	47 821	49 800	51 600	51 600	54 750	56 325
იაპონია (იენი)	1 392 040	1 407 120	1 437 280	1 467 440	1 491 880	1 522 040	1 539 200	1 565 720	1 597 440	..	..
ლუქსემბურგი (ევრო)	18 079	18 843	19 236	20 111	20 445	21 223	21 753	22 382	23 076	23 076	27 691
მექსიკა (მექსიკური პერსო)	12 233	12 709	13 218	13 829	14 500	15 096	15 741	16 411	17 051	17 870	..
ჰოლანდია (ევრო)	16 570	16 964	17 442	18 013	18 297	18 427	18 810	19 044	19 316	19 464	..
ახალი ზელნადია (ახალზელანდიური დოლარი)	20 956	22 880	24 570	25 740	26 390	26 910	27 820	28 470	29 380	30 420	..
პოლონეთი (ზლოტი)	10 788	11 232	13 512	15 312	15 804	16 632	18 000	19 200	20 160	21 000	22 200
პორტუგალია (ევრო)	5 403	5 642	5 964	6 300	6 650	6 790	6 790	6 790	6 860	7 070	7 420
სლოვაკეთი (ევრო)	2 818	3 077	3 226	3 546	3 692	3 804	3 926	4 052	4 224	4 560	4 860
სლოვენია (ევრო)	6 190	6 345	6 856	7 111	8 536	8 949	9 156	9 404	9 464	9 492	..
ესპანეთი (ევრო)	7 573	7 988	8 400	8 736	8 866	8 981	8 981	9 034	9 035	9 080	9 171
თურქეთი (ლირა)	6 372	6 885	7 483	8 154	8 937	9 801	10 962	12 001	13 230	15 282	19 764
დიდი ბრიტანეთი (გირვანქა სტერლინგი)	10 660	11 216	11 591	11 955	12 132	12 412	12 704	12 938	13 224	13 624	..
აშშ (დოლარი)	10 712	11 350	12 806	14 262	15 080	15 080	15 080	15 080	15 080	15 080	..
კოლუმბია (პესო)	..	..	..	..	..	..	..	..	8624000	9020900	9652356
კოსტა რიკა (კოსტა რიკული კოლონი)	..	..	..	..	..	..	..	..	3 737 198	3 991 865	..
ლატვია(ლატი)	1 534	2 045	2 726	3 067	3 067	3 408	3 408	3 408	3 840	4 320	4 440
ლიტვა (ლიტი)	6 900	7 800	9 600	9 600	9 600	9 600	9 850	12 000	12 108	12 430	14 502
ბრაზილია (ბრაზილიური რიალი)	4 050	4 470	4 910	5 530	6 120	6 530	7 464	8 136	8 688	9 456	10 560
მალტა (ევრო)	7 011	7 223	7 404	7 616	7 919	7 979	8 222	8 434	8 615	8 646	8 737
რუმინეთი (რუმინული ლეი)	3 960	4 680	6 120	7 200	7 200	8 040	8 400	9 250	10 500	12 150	..
რუსეთის ფედერაცია (რუსული რუბლი)	15 400	32 200	32 200	60 620	60 620	62 915	64 554	72 870	77 756	83 496	86 856

გასათვალისწინებელია გლობალური უმუშევრობის დონე, რომელიც შეადგენს 197,1 მილიონ კაცს, პროგნოზით არსებული დონე გაიზრდება და მიაღწევს 199,4 მლნ-ს (2016 წელს), ხოლო 200.5 მლნ-ს (2017 წელს). როდესაც მოსალოდნელია უმუშევრობის ზრდა, კომპანიები უპირატესობიდან გამომდინარე შრომის ბაზარზე ქმნიან არახელსაყრელ კლიმატს: აწესებენ მაღალ მოთხოვნებს.

ისტორია აჩვენებს, რომ როდესაც ხელფასი არ წარმოადგენს მაღალს, კეთილთვისებიანი ეფექტი აქვს მხოლოდ უმუშევრებზე. თუმცა კვლევებით დასტურდება, რომ დასაქმებული მაღალი შრომის ანაზღაურებით უკეთესად მუშაობს, უკეთესი ხარისხითა და უკეთესი შედეგებით.

მინიმალური შრომის ანაზღაურება საქართველოში. მსოფლიოში, მინიმალური ხელფასის ყველაზე დაბალი ზღვარი აქვს საქართველოს,

უკრაინას, ყაზახეთს, მოლდოვას, ბელარუსს, სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთს (დადგენილი ზღვარი 107 დოლარზე ნაკლებია).

თეორიულ კონსტრუქციაში, საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მიმზიდველია (900,4 ლარი, ეოსტატ). მინიმალური ხელფასის ოდენობა თვეში 20 ლარს შეადგენს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მომსახურეთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობა 135 ლარს.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში 100 ლარზე დაბალი ხელფასი აქვს 25 001 ადამიანს, საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასი კი 62 681-ს, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმზე დაბალი 130 282 ადამიანს.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში ადამიანი 178 საათი მუშაობს და საათში 0,42-0,45 დოლარს გამოიმუშავებს. ამასთან, საშუალო საათობრივი ანაზღაურება საქართველოში მხოლოდ 2,2 დოლარს შეადგენს (ი. არჩვაძე, commersant, 2016).

იმისათვის, რომ ადამიანმა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეძლოს საჭიროა ჰქონდეს ჯეროვანი ანაზღაურება.

კვლევები ადასტურებს, რომ საშუალო შრომის ანაზღაურების დონე და ზრდის ტემპი განსხვავებულია რეგიონული აქტივობის მიხედვით. შრომის ანაზღაურება ჩვეულებრივ მაღალია იმ რეგიონებში, რომელსაც მძლავრი ეკონომიკური ზრდა აქვს.

საზოგადოება აცნობიერებს, რომ არსებული უმუშევრობის პირობებში, მოქალაქეებს უწევს დაბალანაზღაურებადი სამუშაოების შესრულება. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ანაზღაურებით მუშაობს არაკვალიფიციური თუ დაბალკვალიფიციური სპეციალისტები. საქართველოში, კი პირიქით დაბალანაზღაურებად სამუშაოს ასრულებს მაღალკვალიფიციური და „პატრონის არმქონე პირები“.

საქართველოში, შრომა ისეთი იაფია, ენთუზიაზმით უფრო ხარ სავსე, ვიდრე მოტივაციით. როცა მუშაობ, კრედიტის აღების შესაძლებლობით ხარ უზრუნველყოფილი ვიდრე კაპიტალის დაგროვებით.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში მინიმალური შრომის ანაზღაურების პოლიტიკა ცხოვრების დონეზე თეორიულად ახდენს გავლენას, ხოლო პრაქტიკულად კი მისი გავლენა (დასაქმებულებისათვის) მცირეა.

კვლევები ადასტურებს, რომ მინიმალური შრომის ანაზღაურების 10%-ით ზრდა, იწვევს ორგანიზაციებში დასაქმებულთა 2%-ით შემცირებას (არ გულისხმობს უმუშევრობის 2%-ით ზრდას), სურსათის ფასების 4%ით ზრდას, ხოლო ზოგადად ფასების - 0.4%-ით ზრდას.

მინიმალური ხელფასის ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია:

- პროექტებსა და კომპანიებში დიდია უცხოელებისა და უცხოური კაპიტალდაბანდების წილი. საინვესტიციო მიმზიდველობის ერთ-ერთი ფაქტორი არის ქვეყანაში არსებული დაბალი შრომის ანაზღაურება ;

- ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე კავშირშია შრომის ანაზღაურების დონესთან, შრომის ანაზღაურების ზრდასთან უმუშევრობის დონის ზრდის ალბათობაც დიდია;
- ეკონომიკური აქტივობის, ექსპორტის ზრდის, ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდის დონე კავშირშია შრომის ანაზღაურების დონესთან;
- კრედიტების მისაწვდომობა, ფინანსური მდგრადობა, წარმოებისა და გასაღების ტემპი, საექსპორტო და საინვესტიციო შესაძლებლობები აისახება ხელფასის ოდენობაზე, ზრდა განვითარებასა და ქვეყნის ძლიერებაზე.

შეჯამება. კვლევები ადასტურებს, რომ მინიმალური შრომის ანაზღაურების გავლენა უმუშევრობაზე ვარირებს ეკონომიკის მდგომარეობის მიხედვით. სტაბილური ეკონომიკის პირობებში, მინიმალური შრომის ანაზღაურება ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია განსაზღვრულ დონეზე და პირიქით.

მინიმალური შრომის ანაზღაურება განიხილება, როგორც ერთ-ერთი მრავალ ელემენტს შორის, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების დონეზე.

ქვეყანაში, შრომის ანაზღაურების მინიმუმის დადგენით სიღარიბე ვერ გადაიჭრება, სოციალურ-ეკონომიკური ფონი ვერ შეიცვლება, კეთილდღეობა ვერ გაიზრდება. მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტის დადგენა გავლენას იქონიებს ისეთ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა: არასრული სამუშაო განაკვეთით მომუშავე მუშაკები, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახები, არამმართველობით სფეროში დასაქმებული პირები, ახალგაზრდა და დაბალკვალიფიციური თანამშრომლები.

ამასთან, ასეთი კანონპროექტები მხოლოდ ხალხის გულის მოგებას რომ არ ემსახურებოდეს, საჭიროა წინასწარ იქნას ნაჩვენები შრომის ანაზღაურების პოლიტიკა როგორ გავლენას იქონიებს:

- უმუშევრობაზე. საჭიროა დადგინდეს მისი გავლენა ბიზნეს სექტორზე და დასაქმებულებზე;
- მოსალოდნელ ეფექტზე. განსაზღვრული უნდა იქნას შრომის ეფექტიანობისა და ბიზნესის ბრუნვის ცვლილება;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ცვლილებაზე. იმიგრაციის მასშტაბებზე. უცხოელთა შრომით ჩანაცვლებაზე;
- მინიმალური ხელფასის ზრდის გავლენით გამოწვეულ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე; შეფასებული უნდა იქნას ფასების ზრდის ალბათობა;
- დასაქმების არაკანონიერ გზებზე. მაგალითად, შრომითი ხელშეკრულების გარეშე ხალხის დასაქმება, სტაჟიორების რაოდენობის ზრდა, სტაჟირების ხანგრძლივობის ზრდა. ჯამში საჭიროა გაანალიზდეს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის გავლენით გამოწვეული ნეგატიური შედეგები კომპენსირება რით მოხდება;

დასასრულს დავძენთ, რომ:

- განსაზღვრულ პერიოდში, მთავრობამ დაბალანაზღაურებადი დასაქმებულების ფინანსურ მხარდაჭერას მხარი უნდა დაუჭიროს (მაგალითად, საჭიროა პროფესორების და ახალგაზრდა მეცნიერების ხელფასის ზრდის მიზნით სახელმწიფო მხარდაჭერა);
- სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტის რისკები, ბერკეტის ეფექტიანობა და ინოვაციური მიდგომები. გაითვალისწინოს, რომელი დონე მოიტანს ზიანს, ვიდრე სარგებელს;
- ნეგატიური ეკონომიკური შედეგების მიუხედავად, აუცილებელია ქვეყანაში დადგინდეს გონივრული მინიმალური შრომის ანაზღაურება;

www.loi.ge, #4(43), 2016 წელი

1.18. ეროვნული ბანკის აქტივობამ ვალუტის კურსის სტაბილიზაციაზე დროული გავლენა ვერ მოახდინა

- ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება, ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამომწვევი მიზეზები, მთავრობის თუ ეროვნული ბანკის არაეფექტური მოქმედება – ამ და სხვა საკითხებზე "კვირასთან" ინტერვიუში ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რატი აბულაძე საუბრობს.

- გიორგი კვირიკაშვილი აცხადებდა, რომ სწრაფი დევალვაციის პირობებში, ლარის გაუფასურების ემოციური შემადგენლის განეიტრალებაში ეროვნულ ბანკს მეტი წვლილის შეტანა შეეძლო, სახელისუფლებო გუნდის ნაწილის მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ გიორგი ქადაგიძე უმოქმედობით საბოტაჟს ეწეოდა. როგორც ფიქრობთ, ლარის კურსის ცვლილების პროცესში ეროვნული ბანკი უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ჩართული?

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს მონეტარულ პოლიტიკას, რომლის ძირითად მიზანს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში შენარჩუნებაა. ამისათვის, ეროვნული ბანკი ფლობს ძირითად ინსტრუმენტებს კურსის ცვლილებების პრევენციისათვის. ასევე, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას გააჩნია ფსიქოლოგიური ეფექტი. ეროვნული ბანკის ნებისმიერი ღონისძიება ერთგვარი სიგნალია, რომელზეც რეაგირებს, როგორც კორპორაციული სექტორი ისე საზოგადოება.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, პირველ რიგში, ძირს უთხრის ეროვნული ვალუტისადმი, ეკონომიკისადმი, პოლიტიკისადმი ნდობას.

მთავრობისა და ეროვნული ბანკის ურთიერთბრალდების პროცესი, მსგავსია იმ ერთი მეცხვარის ამბისა, „რომელმაც გუდაში კატა ჩასვა და

ჩამოჰკიდა; სამი დღე ცხვრებს კატის ყურებაში და ჩხავილში ჭამა დააიწყდათ". დღეს, ასეთი პროცესებით ცდილობენ საზოგადოების ყურადღების გადატანას ისეთ საკითხებზე, რომელიც ფაქტობრივად დროის გაყვანას ემსახურება, *ნაცვლად იმისა, რომ აქცენტი გაკეთდეს ქმედითი ღონისძიებების გატარებაზე, შემუშავდეს ანტიკრიზისული გეგმები, მოხდეს ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება, საზოგადოებამ დაინახოს ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგი.*

სამწუხაროდ, ეროვნული ბანკის აქტივობამ დროული გავლენა ვერ იქონია ვალუტის კურსის სტაბილიზაციაზე (რაც აისახა მწარმოებლურობაზე, სამომხმარებლო მოთხოვნის ცვლილებაზე, ეკონომიკური აქტივობის მდგრადობაზე). ამიტომ, სანამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პარლამენტის ტრიბუნებიდან (1 თვის მერე) გვამცნობს ლარის დევალვაციის გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციის ღონისძიებებს, მანამდე მან უნდა გაათვითცნობიეროს, რომ ის ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე. საზოგადოებას აინტერესებს არამხოლოდ მიზეზები, არამედ ლარის კურსის მოსალოდნელი ცვლილების დონე.

საბოლოოდ, შეიძლება საკითხის ფორმულირება ამგვარად, ქვეყანაში ფულად-საკრედიტო სტაბილურობის, ნდობისა და მოლოდინის დონის შენარჩუნებისათვის განხორციელებული პოლიტიკის თავსებადობის რწმენა დაბალია.

- საგარეო შოკების ფაქტორზე რას იტყვით? სწორეს გარე ფაქტორები სახელდებოდა მმართველი გუნდის მხრიდან ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად .

ევროპულ-რუსული ურთიერთობებით გამოწვეული დესტაბილიზაციის პირობებში, პოზიტიური სცენარის პროგნოზირება რთულია.

შესაბამისად, რეგიონული ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოზე გავლენას იქონიებს გრძელვადიან პერიოდშიც. ამასთან, საგარეო შოკები წარმოადგენს ლარის გაუფასურების მიზეზსაც და სიმპტომსაც. გლობალური გამოწვევების პირობებში, აღნიშნული შოკების განმეორების ალბათობა მაღალია.

ფაქტია, რომ ქართული ლარის გამყარების ძირითადი ბაზისია ეკონომიკური აქტივობა, უცხოური ვალუტა (ინვესტიციები, კრედიტები, გრანტები, საერთაშორისო ვაჭრობა, გზავნილები). დაბალი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესების დარეგულირებას პრივატიზაციის პროცესის გააქტიურებით, მონეტარული ინექციით, სავალუტო რეზერვების გამოყენებით, სავიზო რეჟიმის შემსუბუქებით, ტურიზმით და სხვა საყოველთაოდ აღიარებული პროცესების გააქტიურებით ცდილობენ .

აღნიშნული პროცესები პრევენციის ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, აღნიშნულის გარდა მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფო სისტემის ფორმირება, რომელიც გლობალური შოკების პირობებში, როგორც ვალუტის სტაბილურობის ისე ქართული ეკონომიკის მდგრადობისათვის იქნება პასუხისმგებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ეკონომიკური რყევების გამომწვევი შოკების პროგნოზირება რთულია, თუმცა პრევენციის მექანიზმების წინასწარ განსაზღვრა, ანტიკრიზისული გეგმების შემუშავება აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა.

ამიტომ, აღსანიშნავია, რომ გლობალური გამოწვევების პირობებში, ეკონომიკური აქტივობის დაჩქარებისათვის, ერთ-ერთი გამოსავალი ნოვატორულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, სტრუქტურულ რეფორმებში, საკადრო პოლიტიკასა და ახალი პოლიტიკური საზოგადოების შექმნაში მდგომარეობს (რომელიც მეცნიერებით იქნება დაკომპლექტებული).

- ინვესტორების ნაწილი, შესაძლოა, მოგების გადასახადისგან გათავისუფლდეს, როგორ უყურებთ საქართველოს მთავრობის ამ ჩანაფიქრს?

საქართველო, რეგიონში ცდილობს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო შექმნას. თუ, გავითვალისწინებთ ქართული ბაზრის სიდიდეს (მოსახლეობა მხოლოდ 4.49 მლნ-ია), მოსახლეობის დიდი ნაწილის მსყიდველობითუნარინობის დაბალ დონეს, შენელებულ ეკონომიკურ აქტივობას, „შიდა ინვესტირების სიძუნწეს“, გამოუყენებელ ეკონომიკურ და საექსპორტო პოტენციალს, ქვეყანაში ინვესტორების შემოსვლისა და ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობისას ეფექტურია ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, განსაკუთრებით გადასახადებისაგან განთავისუფლება.

www.kvira.ge, 23 მარტი, 2015 წელი

1.19. დეველოპერული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში ბინათმშენებლობის დეველოპერული ბიზნესი განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო 15 წელიწადში. რაც განაპირობა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ფონის ზრდამ, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების სწრაფვამ, ოჯახების კეთილდღეობის ზრდამ, ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ამაღლებამ და ინვესტიციების ზრდამ. ვინაიდან და რადგანაც ბიზნეს აღარ უწევს „პოლიტიკური თვალებით“ გამოხედვა და ანგარიშგაწევა, პროცესებმა გავლენა იქონია დეველოპერული ბიზნესის განვითარებაზე.

დეველოპერები ოპერირებენ სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმებით, რასაც ხელს უწყობს ნორმატიული სტანდარტები, ბაზრის მოთხოვნები, ეკონომიკური პოლიტიკა და სხვა. ასევე, ქვეყანაში დეველოპერული ბიზნეს სექტორის მიმზიდველობას განაპირობებს:

- ბაზარზე არსებული დაბალი კონკურენცია (ბაზარი ჯერ გაჯერებული არ არის);

- ბაზრის ზრდის პოტენციალი;
- აუთვისებელი სეგმენტები (რეგიონების სახით);
- ქვეყანაში ბიზნესის აქტივობის ხელშემწყობი პოლიტიკა;
- ქვეყანაში არსებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა (რითაც ბიზნეს სექტორი უფრო ხეირობს ვიდრე მოსახლეობა) და სხვა.

დღეს, ეკონომიკის პროდუქტიული სექტორია ბინათმშენებლობის დეველოპერული ბიზნესი. აღნიშნული ბიზნესის მიმზიდველობას უზრუნველყოფს მრავალი ფაქტორი.

ხაზგასასმელია ისიც, რომ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტითა და სამთავრობო პროგრამით, საქართველოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სივრცითი მოწყობა. ეს კი ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და ჯამში დეველოპერული ბიზნესის განვითარებას.

თეორიულად აღიარებულია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დანახარჯების 10 პროცენტით შემცირება 0.83%-ით ზრდის უსახლკარობის შესახებ განაცხადებს ყოველ 1000 ოჯახზე (emc.org.ge). ჩვენთან კი პირიქითაა. ბოლო წლებში, საქართველოში სულ უფრო გაიზარდა სოციალური დანახარჯები და სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტის მოცულობა.

შთამბეჭდავია ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლება დევნილებს საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფს. ამ მიზნით, წარმოებს როგორც საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ისე მენაშენეებისაგან ბინების შეძენა (24 ათასზე მეტ დევნილს უკვე გადასცეს საცხოვრებელი ფართობი). მთლიანობაში, სახელმწიფო დაინტერესებულია, ინვესტორებთან პარტნიორობის ფარგლებში დევნილებისათვის ააშენოს ახალი საცხოვრებლები, რაც პერსპექტივაში ამ სფეროს საინვესტიციო მიმზიდველობას აძლიერებს.

ობიექტური იქნება ითქვას ისიც, რომ როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა, შრომის ბაზარზე არსებული კონკურენცია, პოლიტიკური და კაპიტალის ბაზრის რყევები, გლობალური და ლოკალური საფრთხეები აისახება სივრცით ცვლილებებსა თუ ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე. თუმცა ვერ აკნინებს ბინათმშენებლობის დეველოპერული ბიზნესის მნიშვნელობასა და შემოსავლებს.

გლობალური კონფრონტაციის ფონზე, საქართველო შეიძლება დავახასიათოთ სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ქვეყნის ზრდა-განვითარების, პროგრესის,, უსაფრთხოებისა და დაცულობის, სოციალური უზრუნველყოფის, დემოკრატიის, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების, საინვესტიციო მიმზიდველობისა და გლობალური იმიჯის ზრდის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში ყოველწლიურად უმჯობესდება მაკროეკონომიკური გარემო (სტატისტიკურად): ზრდის ტენდენციით ხასიათდება მთლიანი ეროვნული შემოსავალი (2015 წელს

შეადგინა 30884.8 მლნ ლარი), მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები (2015 წელს შეადგინა 1039.9 მლნ ლარი) და საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე (2015 წელს შეადგინა 1022.3 ლარი).

არსებითია აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდა მშენებლობის სექტორის მიმზიდველობა, რომლის შესაბამისად მშენებლობაში ინვესტორების „რეაგირებაც“ ადეკვატური გახდა. საქსტატის მონაცემით, მშენებლობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წელს შეადგინა 49 847,5 ათასი ლარი, 2014 წელს - 316 588,1 ათასი ლარი, 2015 წელს - 110 678,4 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 3 კვარტლის მონაცემებით შეადგინა - 106183,5 ათასი ლარი (საერთო რაოდენობა 15%).

თვალსაჩინოა ითქვას, რომ სამშენებლო სექტორის მიმზიდველობის ზრდის პარალელურად იზრდება სამშენებლო სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა (შეადგინა 5,562.1 მლნ ლრი), დასრულებული ობიექტებისა და მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა და ფართობი. შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობა (69,970 კაცი), პარალელურად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება კომერციული ბანკების მიერ მშენებლობაზე ყოველწლიურად გაცემული სესხების რაოდენობა (816,071 ათასი ლარი, 2016).

ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ქორწინების რიცხვი (ქორწინების კოეფიციენტი 7,8 (1000 კაცზე) და შესაბამისად ბინით უზრუნველყოფის მსურველთა რიცხვი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველწლიურად ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა (2016 წელს 1,032,275 ათასი დოლარი შეადგინა) პოზიტურად აისახება ბინათმშენებლობის სფეროზე.

მართალია, გლობალურმა პროცესებმა ეროვნული ეკონომიკები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა და დაარღვია საინვესტიციო აქტივობის ბალანსი, თუმცა საქართველოს ბიზნეს სივრცე რჩება საერთაშორისო ბიზნეს ინტერესების მიმზიდველ სამიზნედ. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის სწორ პოლიტიკურ ტრაექტორიაზე მოძრაობა, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება, ქვეყანაში დაცული და სტაბილური ბიზნეს ინტერესების ფორმირება. შესაბამისად, არც მშენებლობის სფეროს მიმზიდველობა რჩება ინვესტორების ყურადღების მიღმა.

www.http://bpi.ge, 26 აინვარი, 2017 წელი

1.20. ხელისუფლება თეორიულად გრძნობს და სტატისტიკურად აღიქვას პრობლემებს

საქართველო ცუდ მაკროეკონომიკურ სივრცეშია, სადაც ეკონომიკის სიძლიერე წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობად მსოფლიო ეკონომიკაში „ადგილის დასამკვიდრებლად“.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებული სავალუტო ბაზრის პრობლემები ზრდის ფასებს, გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამცირებს პოლიტიკურ ნდობას და აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას .

დღეს, საზოგადოება ფასების მოსალოდნელი ზრდის ფონზე კიდევ უფრო მეტად საჭიროებს დახმარებასა და ხელშეწყობის ზრდას, სუბსიდირებისა და დაკრედიტების მხარდამჭერ ღონისძიებებს. ჩვენ არ გვაქვს ძლიერი ეკონომიკა და არ გვყავს ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოება. ქვეყანაში გაუარესებულია ეკონომიკური ჯანმრთელობა.

ფაქტია, რომ როგორც ვალუტის კურსი, ასევე ქვეყანაში არსებული პროცესებიც ინერციის მდგომარეობაშია. ამ ფონზე არ ხდება მმართველობითი გარემოს შეფასება შედეგებითა და მიღწევებით.

თანამედროვე გამოწვევების პირობებში სახელმწიფო სისტემის ეფექტიანობა არ იზომება. ქვეყანაში უცნობია პრობლემების სრული სპექტრი. ამიტომაც ხდება, რომ ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები ძირითადად გლობალურ ფაქტორებს ბრალდება. ამასთან, ბიუროკრატიის ეფექტიანობა „იკითხება" მხოლოდ რეიტინგებით, თუმცა არა შედეგებით (ეკონომიკის ზრდა არის მხოლოდ 2.7%).

კითხვაზე შეიძლება თუ არა აქციზის ზრდით ფასები არ გაიზარდოს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: თეორიულად, ეფექტს განაპირობებს ის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს საბაზრო ფასს. ამასთან გასათვალისწინებელია ბაზრის სტრუქტურა, ბაზარზე არსებული კონკურენცია, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა და მოთხოვნის სიდიდე, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა.

ობიექტური შეფასებით, ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში, ნავთობპროდუქტებზე აქციზის ზრდა ნეგატიურად აისახება სოციალურ მდგომარეობაზე. ეკონომიკური გავლენით, ნავთობის ფასის აწევა არის კომპლექსური და მოიცავს ნეგატიურ შედეგებს.

თეორიულად, ეკონომიკა ასიმეტრიულად რეაგირებს ნავთობის ფასის ზრდაზე. პრაქტიკულად, ნავთობის ფასის ზრდა გამოიწვევს ფასებს ზრდას, ვაჭრობის მოცულობის შემცირებას, ბიზნეს სუბიექტების სუფთა მოგების შემცირებას, ავტომობილის რეალიზების ტემპების დაცემას (თუმცა, ქვეყანაში არც ავტომობილს ვაწარმოებთ, ხოლო ახალ ავტომობილებზე მოთხოვნა დაბალია). ასევე, გავლენას იქონიებს საინვესტიციო პროექტებზე .

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაცვლითი კურსის 1%–იანი გაუფასურება იწვევს სამომხმარებლო ფასების დონის 0.28%-ით ზრდას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კი – 0.43%-ით ზრდას (სებ). სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო 1 თვეში ლარი 12%-ით გაუფასურდა.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში აქტიურად განიხილავენ სხვადასხვა ქვეყნის მოდელებს. ფაქტი ერთია, ქვეყანას სჭირდება ეროვნულ საჭიროებებზე მორგებული მოდელები, სახელმწიფო პრობლემების დინამიკაში შესწავლის საფუძველზე აგებული პროგრამები, კვლევებით

არგუმენტირებული პროექტები, სტრატეგიული უნარ-ჩვევებისა და ეკონომიკურ აქტიურობის ბიძგის მიმცემი ქარიზმატული ლიდერები. პირები, ვინც პასუხისმგებლობის აღებით, კონკრეტულ ვადაში აჩვენებენ შედეგებს.

აღნიშნულ ფონზე, საქართველოს მთავრობის რეფორმების გეგმები და ფისკალური პოლიტიკის ჩარჩოებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები დამაიმედებელია. რაც გვაძლევს რწმენის საფუძველს, რომ ჩვენი ხელისუფლება შეძლებს საქართველოს ეკონომიკა გახადოს გლობალური გამოწვევებისადმი უფრო ძლიერი.

დღეს, ქვეყანაში, რთულად შესაფასებელია, არსებულ ფინანსურ და ეკონომიკურ პრობლემებზე ეკონომიკური პოლიტიკა უფრო მეტ „გავლენას ახდენს" თუ მეზობელი ქვეყნის ვალუტა, საგარეო ფაქტორები თუ გლობალური შოკები. ფაქტია, რომ ქვეყანას ჰყავს გადახალისებული პოლიტიკური ისტებლიშმენტი, თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები და მოლოდინი ნეგატიურია.

სიტუაციას ამძაფრებს არაერთსულოვანი პოლიტიკური სისტემა, ურთიერთბრალდების ტრადიცია, არსებული პოლიტიკური როლები და დამოკიდებულება, თითქოს მხოლოდ ხელისუფლების პრეროგატივაა ქვეყნის განვითარების პროგრამების შემუშავება, ხოლო ოპოზიციის როლი კი საჯარო კრიტიკა. წესით, კრიტიკას თან უნდა ახლდეს მოქმედების სწორი გეგმა და პროგრამა.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოს სჭირდება საერთო პრობლემებზე ფოკუსირებული ხელისუფლება, პოზიცია, ოპოზიცია, საზოგადოება და ბიზნეს სექტორი. თუ ერთ პოლიტიკურ ფრთას ქვეყნის მართვა უჭირს, მეორე პოლიტიკური ფრთა ვალდებულია განვითარების ეფექტიანი პროგრამებით დაეხმაროს (არა პოლიტიკურ გარემოს, არამედ სახელმწიფო სისტემას).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სწრაფად ცვალებადი პროცესებისა და მმართველობითი გამოწვევების ფონზე, ისეთივე სისწრაფით არ ხდება ახალი პოლიტიკური გარემოსა და ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიების ფორმირება. მმართველობითი გარემოს ნელი სვლა კიდევ უფრო ამძაფრებს მდგომარეობას. შესაბამისად, სწრაფად განვითარებად გამოწვევებსა და ნელა განვითარებად მმართველობით რესურსს შორის არსებული ბალანსი სულ უფრო უთანასწორო ხდება.

პრობლემებს აღრმავებს ის ფაქტიც, რომ ეფექტიან სახელმწიფო სისტემას ვერ ქმნის პოლიტიკური ინტერესებით შერჩეული კადრები. ამასთან, ასეთი კადრები საკუთარი თავის „რეფორმირებაზე" უფრო მუშაობენ ვიდრე ქვეყნის რეფორმირებაზე.

ამ ფონზე, მათი საჯარო გამოსვლები ცხადყოფს, რომ ხელისუფლება თეორიულად გრძნობს და სტატისტიკურად აღიქვას პრობლემებს. საზოგადოება კი პრაქტიკულად განიცდის და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობის დონით იმკის მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში აქტიურად განიხილავენ ქვეყანაში არსებული „ძველი ავტოპარკის“ განახლების საჭიროებას. ამასთან, რავინ საუბრობს ძველი მმართველობითი სისტემის რესურსის განახლების საჭიროებაზე.

ალეგორიული შეფასებით, *როდესაც ძველი გამოშვების ჟიგულის ძრავის რესურსი იწურება, მართალია ავტომობილი მაინც დადის, თუმცა მოძრაობა არის შენელებული, რასაც თან სდევს დაბალი სიჩქარე, მაღალი საწვავის ხარჯი, მომატებული წყლის დუღილი, ზეთის ხარჯი, რემონტის საჭიროება და ა.შ. ამასთან, ძრავის შეკეთებასაც აზრი არ აქვს, ძრავა უნდა გამოიცვალოს. მმართველობითი სისტემაც ჟიგულის ძრავის მდგომარეობაშია, „რემონტს“ აღარ ექვემდებარება.*

რა უნდა გაკეთდეს:

- **საჭიროა თითოეული სახელმწიფო პირისათვის განისაზღვროს კონკრეტული შედეგი.** „იგივე ტემპი, იგივე ხედვა და მიდგომები, იგივე ხალხი“ იგივე შედეგს მოგვცემს ან უფრო უარეს შედეგს გვიჩვენებს. მანამ სანამ თითოეული სახელმწიფო პირის მთავარი მისია არ გახდება შედეგის მიღება, კონკრეტულ შედეგზე პასუხისმგებლობის აღება, მანამ გვექნება პრობლემები;
- **სახელმწიფოს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სფეროს ან ერთი დარგის განვითარების კონკრეტული გეგმა.** პრობლემების დაძლევის მექანიზმების წარმოჩენის ვალდებულება სტრატეგიული უნარ-ჩვევების, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა პირის, ჯგუფის თუ შტოს ვალდებულებაა. **აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა, პოლიტიკურმა ჯგუფებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა** (განსაკუთრებით სახელმწიფოს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა) **უნდა წარმოადგინონ ერთი სფეროს ან ერთი დარგის განვითარების კონკრეტული გეგმა;**
- ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე (მიწის, წყლის გაყიდვა) ორიენტირების ნაცვლად **საჭიროა მეტი აქცენტები გაკეთდეს აუთვისებელი „ციფრული მიწების“** (იგულისხმება ციფრული ბაზარი) და ციფრული პროდუქტების ექსპორტზე;
- **საჭიროა ქვეყანა გახდეს ციფრული ეკონომიკის ფორმირებაზე ორიენტირებული.** ტექნოლოგიებსა და განათლებაზე ფოკუსირება უნდა გამოიხატებოდეს ბიუჯეტში დაფინანსების წყაროების წარმოჩენითა და ხელშემწყობი პროგრამების წარმოდგენით. სტრატე-გიულად მოაზროვნე მთავრობა უნდა მოგვევლინოს „ციფრული ბროკერის“ სახით, განახორციელოს საკუთარ ხალხთან და ბიზნესთან ციფრული პოლიტიკის თავსებადობის ხელშეწყობა, ციფრული ბიზნესის სტიმულირება და მხარდაჭერა, რადგან სწორედ ციფრული საზოგადოებისა და ციფრული ბიზნესის ფორმირებით მოხდება

გლობალური კონკურენტუნარიანობის მიღწევა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირება;

- **ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მიზნით, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს საზოგადოების რესურსი** (ახალგაზრდა მეცნიერები, მკვლევარები, ექსპერტები, ეკონომისტები, ფინანსისტები). მათ გააჩნიათ დიდი მზაობა და სურვილი ჩართვნენ ქვეყნის განვითარებაში. შესაბამისად, მმართველობითი უნარი მდგომარეობს ამ უზარმაზარი რესურსის რაციონალურ გამოყენებაში;
- **საჭიროა სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნა** (ელექტრონული მმართველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი). ასეთი ინსტიტუტით გაერთიანდება ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები და „ბუნებრივად პროდუქტიული კადრები". აღნიშნული ინსტიტუტი კომპლექსურად შეისწავლის სახელმწიფო პრობლემებს, წარმოაჩენს ახალ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, ხელს შეუწყობს რეფორმების გატარებასა და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას. იდეის ნათელი დადასტურებაა ახალგაზრდების მიერ შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტი სახელწოდებით „საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია", ასევე სხვა ღონისძიებები;
- ჯამში, ციფრული რევოლუცია ქვეყანას წარუდგენს უნიკალურ შესაძლებლობას, აღდგეს და დაძლიოს „განვითარებადი ქვეყნის" სტატუსი. ამ მიზნით **მთავრობამ უნდა შექმნას ქართულ გარემოზე მორგებული ციფრული ბიზნესის მოდელი და ფოკუსირება მოახდინოს ციფრული ბიზნესის განვითარების ეროვნულ მოდელზე;**
- დაბოლოს, მოკლევადიან პერიოდში, **ეკონომიკის განვითარება მიღწეული იქნება მძლავრი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებით, ამისათვის კი საჭიროა ქვეყნის ადმინისტრაციული და პოლიტიკური მოდერნიზება.**

www.bpn.ge, 24 დეკემბერი, 2016 წელი

1.21. არჩევნებამდე ოპოზიციურ არხებად შერაცხულ ტელევიზიებთან თანამშრომლობა მიმზიდველი არ იყო

ბოლო პერიოდში ტელეკომპანია „მაესტროზე" ლიდერი ბანკების რეკლამები გამოჩნდა, რაც ამ ეთერისთვის მანამდე უჩვეულო მოვლენა იყო.

ნიშნავს თუ არა ეს ცვლილება იმას, რომ აქამდე ბანკები პოლიტიკური მიზეზით შეზღუდულნი იყვნენ სარეკლამო სივრცის არჩევისას? თუ მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ამ არხების აუდიტორია გაიზარდა და მათზე რეკლამის განთავსება კომერციულად მიმზიდველი გახდა? კომერციული ბანკები „მაესტროზე" გააქტიურებას სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორით ხსნიან.

აღნიშნულ თემაზე „საქართველოს ბანკმა" commersant.ge–ს ასეთი განმარტება მისცა: „როდესაც საქმე სატელევიზიო ეთერში რეკლამების განთავსებას ეხება, საქართველოს ბანკის შესყიდვების პოლიტიკა ორ ძირითად პირობას ეფუძნება. პირველი: ტელევიზიის საბაზრო წილი და მეორე - თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება შეიძინოს ბანკმა სარეიტინგო პუნქტი."

„თიბისი ბანკში" კი ამბობენ, რომ ამ დრომდე ტელეკომპანია „მაესტროზე" მათ რეკლამები მხოლოდ იმიტომ არ მიჰქონდათ, რომ კვლევითი კომპანიები არ სწავლობდნენ ამ არხების რეიტინგს, მას შემდეგ კი, რაც რეიტინგების „დათვლა" დაიწყო, როგორც ბევრმა სხვა კომპანიამ, „თიბისი ბანკმაც" მიიღო კომერციული გადაწყვეტილება, რომ რეკლამა ამ არხზე მიეტანა. ,,რეკლამის მიზანი ისაა, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს იგი. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი გადაწყვეტილება" – აცხადებენ „თიბისი ბანკში".

შეგახსენებთ: არჩევნებიდან ორიოდე კვირის თავზე ტელეკომპანია „მაესტროს" მარკეტინგის სამსახურში სარეკლამო შეკვეთების გაორმაგებაზე საუბრობდნენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, **ეკონომიკის დოქტორ რატი აბულაძის განცხადებით**, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით (მაგალითად, Freedom House) ქართული მედია გარემო ძლიერ პოლიტიზირებული იყო, მთავარი ნაციონალური ტელევიზიების უკან მდგარი ხელისუფლების კრიტიკა კი მხოლოდ ზოგიერთი ეთერიდან ისმოდა, ისიც შეზღუდულად.

ასევე, აბულაძის განმარტებით, თითოეული არხი ფლობდა კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის სასარგებლო ტენდენციას, რომელთა შორის პრო-სამთავრობო სადგურები დომინირებადი პოზიციებით სარგებლობდა. irex.ge-ს 2011 წლის მონაცემებით, ტელე სივრცის სარეკლამო ბაზარი განიხილებოდა მონოპოლიურ ჭრილში. სარეკლამო ბაზრის შემოსავლების 81%-ს ფლობდა „იმედი" და „რუსთავი 2" , „საქართველო" - ბაზრის შემოსავლების 7%-ს, მხოლოდ მცირე წილს ფლობდა კავკასია - ბაზრის 1%-იანი შემოსავლებით და მაესტრო 1 %-ზე ნაკლები შემოსავლებით.

„არჩევნებამდე, ერთი კომპანიის მიერ კონტროლდებოდა სარეკლამო დრო, რეკლამის თანხა, რეკლამის ტიპი, განთავსების ადგილი. ოპოზიციურ არხებს გააჩნდათ ქვეყნის შეზღუდული ტერიტორიის მოცვის პრობლემა, გარკვეული სპექტრის ინფორმაციასთან პირველადი წვდომის სირთულე, სამთავრობო ზეგავლენა, სარეკლამო ბაზრისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური კონტროლი.

შესაბამისად, კორპორაციული სექტორის მიერ ოპოზიციურ არხებად შერაცხულ ტელევიზიებთან თანამშრომლობა არ იყო მიმზიდველი მარკეტინგულ ჭრილში," - ამბობს რატი აბულაძე. თუმცა, მისივე თქმით, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არსებული ხელისუფლების მიერ მედია სივრცეზე კონტროლის მექანიზმების შესუსტებამ, პოლიტიკური მექანიზმების გამოყენებით კონკურენტული სივრცის ფორმირებამ გამოიწვია

ბიზნეს სივრცის მეტი თავისუფლება, მარკეტინგული ინსტრუმენტების უფრო მეტად ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობა. კონკურენტული გარემოს ფორმირება აისახა მედია არხების ტელეაუდიტორიისა და შემოსავლების ზრდაში.

„თუ მანამდე ბიზნესს უწევდა „პოლიტიკური თვალებით“ ყურება და ვერ თანამშრომლობდა ოპოზიციურად შერაცხულ მედიასთან შევიწროების შიშით, დღეს სიფრთხილით, მაგრამ კორპორაციული მიზნებით ცდილობს იმ მარკეტინგული ინსტრუმენტების მიმართვას მიზნობრივ აუდიტორიაზე, რომელსაც მანამდე „ერიდებოდა“, - ამბობს ექსპერტი. მისი თქმით, უკანასკნელი პერიოდის კვლევები ადასტურებს, რომ 2012 წლის აგვისტოს შემდეგ მკვეთრად გაიზარდა ოპოზიციური ტელეარხების აუდიტორია. კერძოდ, მაესტროს საინფორმაციო გამოშვებების აუდიტორია წინა წელთან შედარებით 6%-დან 19 %-მდე გაიზარდა, ხოლო კავკასიის - 9%-დან 19%-მდე (www.transparency.ge).

ცნობისთვის: საქართველოში სატელევიზიო რეიტინგებს აწარმოებს საერთაშორისო კვლევითი ფირმის იელსენ ოფიციალური წარმომადგენელი TVMRGE, ასევე სატელევიზიო რეიტინგების საერთაშორისო კვლევით სააგენტოებს წარმოადგენს: Broadcasters’ Audience Research Board (www.barb.co.uk/), MEDIARESEARCH (www.mediaresearch.eu/), Kantar Media (http://www.kantarmedia.com/), TNS Gallup Media და სხვა.

www.commersant.ge, 11 დეკემბერი, 2012 წელი

1.22. მოგების გადასახადის რეფორმის გავლენის სიდიდე გაურკვეველია

უკანასკნელ პერიოდში, მთავრობის მიერ ეკონომიკურმა პროგრამებმა ქმედითი გავლენა იქონია ქვეყნის ფინანსურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე, ხელი შეუწყო გლობალური გამოწვევებისადმი საქართველოს ეკონომიკის იმუნიტეტის გაძლიერებას.

იმედის მომცემია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალური ზრდის ტემპი, რომელმაც 5% შეადგინა; საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა, რომელიც 18.4%-ს შეადგენს (2284,6 მლნ აშშ დოლარს); ექსპორტის მოცულობის ზრდა 30%-ით (სამწუხაროდ გაიზარდა იმპორტის მაჩვენებლები 14.9%-ით), ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ზრდა (მხოლოდ მარტში 3.4%-ით) (საქსტატი).

ხაზგასასმელია პოლიტიკური ნება და საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ორიენტირებულია კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებაზე, რომელიც მოიცავს: ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას, საგადასახადო დავალიანებებს, დაუსრულებელ მშენებლობებს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის და საავიაციო სამუშაოების მომსახურების გაწევის განთავისუფ-

ლებას დღგ-საგან, შიდა საავიაციო რეისებისთვის განკუთვნილი საწვავის იმპორტის გათავისუფლებას დღგ-სგან და აქციზისგან, ენერგოეფექტურობის წახალისებას და მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიით მიღებული სარგებლის განთავისუფლებას საშემოსავლო გადასახადით.

დღეს, საქართველოში „მოგების გადასახადის რეფორმით“ ხელისუფლება გეგმავს 2 მილიარდ ლარზე მეტი თავისუფალი ფულადი რესურსის მიწოდებას ბაზრისათვის (4 წლის განმავლობაში), რაც ბუნებრივია პოზიტიურად აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე, პროდუქციის წარმოებაზე, ბიზნეს აქტივობაზე. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროცესი შესაბამისობაშია თანამედროვე ბაზრის ტენდენციებთან.

აღნიშნული მოცემულობის პოზიტიური შეფასების მიუხდავად, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს შემდეგი:

- **„მოგების გადასახადის რეფორმით“ ბაზრისათვის ფულადი რესურსის მიწოდების სიდიდე (2 მლრდ) და მისგან მიღებული სარგებლის ოდენობა, რომლის მოსალოდნელი შედეგები გაურკვეველია.** მთავრობა ვალდებულია სრული სიზუსტით წარმოადგინოს 2 მლრდ-ის მოსალოდნელი შედეგი ციფრებში (რამდენი იქნება დასაქმების ზრდა, ბიზნეს აქტივობის ზრდა, ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა, და სხვა);
- **საგადასახადო პოლიტიკის შერბილება მსოფლიო ტენდენციაა და ბაზრისათვის 2 მლრდ ფულადი რესურსის მიწოდება ქვეყნისათვის სწორ და ეფექტიან მმართველობით გადაწყვეტილებას წარმოადგენს ცალკეული ქვეყნისათვის.** თუმცა, **კვლევები ადასტურებს, რომ მეცნიერებასა და განათლებაში ჩადებული თითოეული მილიარდი, გაცილებით მეტ ეკონომიკასა და მეტ სამუშაო ადგილს ქმნის, ვიდრე მოგების გადასახადის რეფორმით ბიზნესისათვის დატოვებული თითოეული მილიარდი;**
- **ბოლო 2 წლის შემდეგ (ზრდა იყო მხოლოდ 2.9%-მდე), საქართველოს ეკონომიკის ზრდის 5%-იან (პირველი კვარ ტლის) შეფასებას განვიხილავთ, როგორც „პოზიტიურ პულსს“, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გარემო რეაგირებს. ხოლო თუ დინამიკაში (გრძელვადიან პერიოდში) გვექნება ზრდადი ეკონომიკური მაჩვენებ-ლები, მაშინ ტენდენციას ვუწოდებთ შთამბეჭდავს.** თუმცა, იმისათვის, რომ ტენდენციამ გავლენა არ იქონიოს მხოლოდ ვიწრო სეგმენტზე და მოიცვას მოსახლეობის ფართო ფენების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და შემოსავლების ზრდა, ეკონომიკის ზრდის ტემპი უნდა გაორმაგდეს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკას დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა პოტენციალის ათვისება, რეფორმის წარმატება და ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ძლიერ სახელმწიფო სისტემის მართველობით პროფილზე (ან ძლიერ პოლიტიკურ სისტემაზე). ქვეყანაში დღეს

არც ძლიერი პოლიტიკური სისტემა გვაქვს და არც მმართველობითი. შესაბამისად, ქვეყანა საჭიროებს ძლიერ ხელისუფლებას, რომელიც შეძლებს:

- **რეფორმების გატარებას „საძირკვლიდან“. დღეს, ძველ პოლიტიკურ საძირკველზე აშენებული სისტემა დროს ვერ უძლებს და სივრცესთან ვერ ინტეგრირდება. ხოლო „საძირკვლის“ ეფექტიანობა და ზრდის ტემპი დაბალია.** შესაბამისად, საზოგადოება საჯარო მმართველობითი გარემოს გარდაქმნის მოლოდინშია, რომლის განხორციელებასაც არსებული პოლიტიკურ გარემო ჯერ კიდევ „არ ჩქარობს“;
- **ინვესტიციების ზრდას ადამიანურ კაპიტალში, მეცნიერებასა და განათლებაში.** აღიარებულია, რომ ქვეყნის სწრაფი ზრდა-განვითარების ძირითადი საფუძველი ადამიანური კაპიტალი, მეცნიერება და განათლებაა.

ჯამში აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ახალი პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს ფორმირების პირობებში იქნება მიღწეული მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნა, ეფექტიანი მმართველობის ფორმირება, ბიზნეს აქტივობისა და საქმიანი კლიმატის გაუმჯობესება, საზოგადოების აქტივიზება და ეკონომიკური გამოცოცხლება.

www.commersant.ge, 1 მაისი, 2017 წელი

1.23. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შეფასება

საქართველოს ეკონომიკურ დიპლომატიაში ქვეყნის სასიკეთო ნაბიჯია საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება. შთამბეჭდავია აღინიშნოს, რომ ჩინეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დინამიური ურთიერთობები გააღრმავა ჩვენს ქვეყანასთან, რომელიც დღეს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაბიჯს, რაც ხაზს უსვამს ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირების გაღრმავებას, ეკონომიკური ურთიერთობების დინამიურ განვითარებასა და დახვეწას.

აღსანიშნავია ქვეყნისთვის იმ ეკონომიკური დივიდენდების ფაქტორი, რომელიც შეიძლება მოიტანოს აღნიშნულმა შეთანხმებამ, მათ შორის:

- ჩინეთისა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიკური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარება;
- ბიზნესის წარმოების ხელსაყრელი პირობების ფორმირება (სწრაფადმზარდი საექსპორტო ბაზარი 1,388-მილიონიანი

მოსახლეობით, ზრდადი მსყიდველობითუნარიანობა, ხელსაყრელი კონკურენტული გარემო, ნოუ-ჰაუს მიღების შესაძლებლობა);

- ჩინეთის ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურასთან ქართული ბიზნესის პოტენციალის თანხვედრა, კომპანიების საქმიანობის გაფართოება და საგარეო ვაჭრობის განვითარება;
- ქართული პროდუქციის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი სავაჭრო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის არსებობა (ჩინეთში), რაც გამოიწვევს პროდუქციის ექსპორტის ზრდას. შეთანხმებით გათვალისწინებულია ქართული პროდუქციის 94%-ის საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლება;
- უცხოური ინვესტიციების ზრდა და ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელება (2016 წელს ჩინეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 27,4 მლნ დოლარი);

ბუნებრივია საქართველო საჭიროებს ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების ფორმირებას, თუმცა ეკონომიკური დიპლომატიის მიღწევებს უნდა განსაზღვრავდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ის პირობები, რომელმაც:

- **უპირატეს მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს ქართული ბიზნესი.** სწორედ ხელშეკრულების პირობებზეა დამოკიდებული რამდენად კონკურენტუნარიან პირობებში აღმოჩნდება ქართული ბიზნესი, რომელი რესურსის გადაადგილება გამარტივდება, რომელი პროდუქტით ვაჭრობა და წარმოების მასშტაბები გაიზრდება;
- **„ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით“ ქართული პროდუქციის ექსპორტის მასშტაბები უფრო უნდა გაიზარდოს, ვიდრე ჩინური პროდუქციის იმპორტის**;
- **მიმზიდველი უნდა გახადოს შორეული ჩინური ბაზრის სარგებელი ეკონომიკურ მაჩვენებლებში.** აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ექსპორტი 169.6 მლნ, იმპორტი კი 547.5 მლნ დოლარს შეადგენდა;
- **ჩინეთსა და საქართველოს შორის პროდუქტის, კაპიტალისა თუ სამუშაო ძალის მოძრაობამ ქართული გარემო „კონკურენტული უპირატესობის მდგომარეობაში“ უნდა ჩააყენოს;**
- **უპირატეს მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს ქართული რესურსი,** განსაკუთრებით სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების განხორციელებისას (როგორც საქართველოში, ისე ჩინეთში);

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკური დიპლომატიის მიმართულებით ეკონომიკურ და პოლიტიკურ ანალიზს საჭიროებს შემდეგი ფაქტორები:

- ***საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე როგორ გავლენას იქონიებს ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური აქტივაცია;***

- ***საქართველოს განვითარების პერსპექტივაში როგორ იქნება აღქმული ჩინეთი, რომელიც წარმოადგენს „მსოფლიო ფაბრიკას“;***
- ***როგორი იქნება ჩინეთის მსხვილი და კონკურენტუნარიანი კომპანიების*** *(მათ შორის ჩინეთში მოქმედი უცხოური კომპანიები)* ***გავლენა ადგილობრივ მოთამაშეებზე. როგორი იქნება აღნიშნული კომპანიების გლობალიზების შედეგები.*** *კვლევები ცხადყოფს, რომ ჩინური კომპანიები ისწრაფვიან გლობალურ კომპანიებად ფორმირებისაკენ;*
- ***გეოპოლიტიკურ მოტივებში, ეკონომიკური მოტივების გარდა, ჩინეთის, როგორც წამყვანი აქტორის „ადგილი“ როგორ იქნება წარმოდგენილი;***

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ყოველთვის დადებით გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების, საგარეო-ეკონომიკურ ინტეგრაციის, სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერების, კაპიტალისა თუ სამუშაო ძალის ინტენსიური გადაადგილების მიმართულებით. რაც ჯამში ქვეყნის (საქართველოს) ეკონომიკურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

www.cbw.ge/, 23 მაისი, 2017 წელი

1.24. ინტერ რაოსა და ყაზსტრანსგაზის სამართლებრივი პრეტენზიები

დღეს, ქვეყნის ეკონომიკაში, სოლიდურადაა წარმოდგენილი უცხოური კაპიტალით შექმნილი ორგანიზაციები, უცხოური ინვესტიციების წილი, უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით განხორციელებული პროექტები (მათ შორის სახელმწიფო პროექტები), იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და მასშტაბი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო განეკუთვნება საინვესტიციოდ მიმზიდველ და უსაფრთხო ქვეყანას, სადაც დაცულია ნებისმიერი ინვესტორის ინტერესები. საქართველოში, წლების განმავლობაში, უცხოური კომპანიების კონკურენტული უპირატესობა ქართულ ბიზნესს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებდა, დღეს კი ქართული პოლიტიკა დადგა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე.

ბოლო პერიოდში, ერთგვარი ვნებათაღელვა გაიწვია „ყაზტრანს-გაზთბილისისა“ (საქართველოს, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში180 მლნ დოლარს ედავება) და Inter Rao-ს ნიდერლანდური სტრუქტურების მოთხოვნებმა სახელმწიფოსთან (სასამართლოში საჩივრის შეტანით იმუქრება). ასევე, საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ქართული წარმომადგენლობის ოფისის პროტესტმა და საქართველოს პარლამენტის

წინააღმდეგ უცხო ქვეყნის საწარმოს „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის სარჩელმა (საკონსტიტუციო სასამართლოში).

არსებითია ითქვას, რომ ქვეყანა პატივს სცემს ნებისმიერი უცხოური ორგანიზაციის ინტერესებს და, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რეაგირებს მათ პრეტენზიებზეც.

ხაზგასასმელია ითქვას, რომ ძლიერი სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთი ინდიკატორია უცხოური ორგანიზაციების პოზიციები გარემოსა და ხელისუფლებაზე „ზემოქმედების" თვალსაზრისით. ამ მოცემულობის ფონზე, სამწუხაროა აღინიშნოს, რომ:

- **უცხოურმა ბიზნესმა „თვალი დაადგა" საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, სადაც მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა 15,5 მლრდ დოლარს აღწევს.** შესაბამისად, კიდევ რამდენიმე ათეული მლნ-ს ვალად აღიარება ძალიან ბევრ მოქალაქეს დატოვებს საჭირო ფინანსური რესურსის გარეშე;
- **ქვეყანაში შეიქმნა პირობები, რომლითაც სახელმწიფო შეიძლება ჩავარდეს უცხოური ბიზნესის ბრძოლის ფოკუსში (ტრადიციულად ბიზნესი ვარდება).** აღნიშნულის მიზეზი არის არსებული პოლიტიკური და მმართველობითი პროფილი, ასევე მათი პოლიტიკური უნარები, რაც მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია სახელმწიფო სისტემის ძლიერებასთან და ამ შემთხვევაში უცხოური კომპანიების მოქმედებებთან;
- **გლობალური პოლიტიკოსების დეფიციტის ფონზე ვერ მოხდა მოსალოდნელი პროცესების გათვლა და ხელისუფლებისათვის „მოულოდნელი" აღმოჩნდა საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაცი(ებ)ის ნაბიჯი;**
- **უცხოელთა ინტერესების ასეთ დაჯგუფებასა და ქართული სასამართლო სისტემის შეფასებებს ჯერ კიდევ ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან;**
- **აღნიშნული პროცესი ასახვას ჰპოვებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობაზე, ქვეყნის გლობალური და ლოკალური იმიჯის ფორმირებაზე.** რასაც საზოგადოება ანალიზს გაუკეთებს და შეაფასებს მმართველობითი რგოლის შედეგებსა და აქტივობებს.

დასასრულს, დავძენთ, რომ იმ უცხოურ ორგანიზაციებზე, რომელიც ვერ ინტეგრირდება სახელმწიფოს „დნმ-ში", საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება განხორციელდეს, თუნდაც საინვესტიციო მიმზიდველობისა და გლობალური იმიჯის ცვლილების ხარჯზე.

www.cbw.ge/, 1 მაისი, 2017 წელი

1.25. რატომ ვითარდება თბილისის შემოგარენი

თბილისის შემოგარენის, როგორც ცენტრიდან დაშორებული სივრცის ფორმირებაზე გავლენა იქონია პრემიუმ კლასის მოთხოვნის ვექტორმა და

სტრუქტურის ცვლილებამ, რაც აისახა დედაქალაქის შემოგარენის გამოცოცხლებასა და საცხოვრებელი ბაზრის გააქტიურებაში.

ვინაიდან და რადგანაც საგარეუბნო ზონები საკურორტო ზონებს მიეკუთვნება, მათი ღირსებები ისტორიულადაა ცნობილი, შესაბამისად დღევანდელ ტენდენციას პროცესების გაცოცხლება და ერთგვარი „დემოგრაფიული ინვერსია" წარმოადგენს.

არსებითია ითქვას, რომ თბილისის შემოგარენის განვითარებას უბიძგებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- ჰაერის დაბინძურების მაღალი დონე (რაც სერიოზული დაავადებების გამომწვევია ცენტრის მაცხოვრებლებისათვის), ხმაურის დონე;
- ქალაქის ფორმირება, სივრცის დეფიციტი და მაღალი სიმჭიდროვე;
- ხე-მცენარეებისა და გამწვანებული ტერიტორიების სიმცირე;
- ურბანული ნიუსანსები;
- ქალაქის სოციალურ-სივრცითი, ეკონომიკური და ინსტიტუციური ასპექტები;
- სოციალური სეგრეგაციის პროცესი;
- კულტურის გავლენა და ტენდენციის არსებობა;

შესაბამისად, ახალი ნარატივით აქტიურად მიდის „მაღალ-შემოსავლიანი სეგმენტის სუბურბანიზაცია" და საგარეუბნო დასახლებების მოდიფიცირება. ფაქტია, რომ თბილისის შემოგარენი ორგანული მთლიანობაა, რომელიც წარმოდგენილია:

- საგარეუბნო საკურორტო ზონების (წყნეთი, კოჯორი, კიკეთი, ბეთანია) ჯანსაღი კლიმატით;
- ინდივიდუალიზებით, იზოლირებითა და კომფორტულად ცხოვრების უზრუნველყოფით;
- სოციალურ-სივრცითი სტრუქტურით, დაბალი სიმჭიდროვითა და დიდ სივრცეებზე კონტროლით (რაც ამცირებს ცხოვრების სირთულეებს);
- ბუნებისა და ლანდშაფტის სილამაზის შეგრძნებით. დასახლებების გამოცოცხლებითა და „პრემიუმ გარემოს" კონფიგურაციიის აღქმით;

შეჯამების სახით, აღვნიშნავთ, რომ ქალაქის მთავრობის მოვალეობაა ჰეტეროგენულ გარემოში:

- თბილისისა და მისი შემოგარენის დიქოტომიით არ მოხდეს უთანასწორობის გააღრმავება და „სეგრეგირებული ქალაქის" ფორმირება;
- არ მოხდეს სოციალურ-ეკონომიკური იზოლირება და კლასებად დაყოფა;
- პრემიუმ სეგმენტის გარეუბანში კონცენტრირებამ კი გამოიწვიოს საქმიანი და სიცოცხლისუნარიანი გარემოს ფორმირება;

www.cbw.ge/, 29 მაისი, 2017 წელი

1.26. მთავრობა, სამოქალაქო და კორპორაციულ სექტორთან „ვერ თანამშრომლობს“

ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ თითოეული სამინისტრო თუ სახელმწიფო უწყება, პროექტს, პროგრამას, სტრატეგიას და ინიციატივას საერთაშორისო დირექტივების „ქოლგის ქვეშ“ ახორციელებს (ან მასთან ირიბად მაინც დაკავშირებულია).

ყველასათვის ცნობილია, რომ პროექტების დიდი ნაწილი ხორციელდება უცხოელი სპეციალისტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა გარკვეული პირების ჩართულობითა და მხარდაჭერით. აღნიშნულ პროცესში, თითქმის არასდროსაა ჩართული სამოქალაქო და კერძო სექტორი (ხოლო შემუშავებულ პროექტებსა და პროგრამებს მედია არხებით გვამცნობენ). შესაბამისად, მსგავსი პროექტების თანმდევი პროცესია ინტერესთა კონკურსების ჩაშლა (მაგ.: ინტერნეტიზაციის პროექტი), საზოგადოების უკმაყოფილო მოლოდინი ან გარკვეული დასაბუთებული კრიტიკა, რომელსაც რათქმაუნდა ან ოპონირებად და უმეტესწილად არასასურველ შეფასებად განიხილავენ, ან ყურადღებას არ აქცევენ (ან ცდილობენ პოლიტიკურ ჭრილში განიხილონ).

დღეს, აღმასრულებელი ორგანოების წარმოამდგენელები ჯეროვნად ვერ თანამშრომლობს სამოქალაქო და კორპორაციულ სექტორთან (ამას ადასტუ-რებს ბერნარდ კუშნერის შეფასება, რომელიც გლობალურ კონფერენციაზე განაცხადა). არ ითვალისწინებს საზოგადოების შეფასებებს, არ ეცნობა მეცნიერთა კვლევებსა და მიდგომებს. ქვეყანაში ღია მმართველობა განიხი-ლება მხოლოდ „ცალკეულ აქტორებთან ანგარიშვალდებულებით“, შედეგად სტრატეგიები და პროექტის შედეგები, ძირითად შემთხვევაში, ცნობილი არაა, მის არაეფექტიან განხორციელებაზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს.

ხაზგასასმელი და დამაიმედებელია, რომ საქართველოსათვის ღვაწლმოსილმა პირმა, გლობალური ალიანსის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ბერნარდ კუშნერმა, საჯარო გამოსვლისას მთავრობას რეკომენდაცია მისცა, რომ რეფორმებისა და პროექტების განხორციელებაში ითანამშრომლოს მოქალაქეებთან.

აღიარებულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა განიცდის ადამიანური, ორგანიზაციული და ინტელექტუალური რესურსის დეფიციტს. აღნიშნული დეფიციტის შევსების მიზნით, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები თანამშრომლობს სამოქალაქო და კორპორაციულ სექტორთან, განსაკუთრებით იყენებს მეცნიერ-მკვლევარების პოტენციალს.

სამწუხაროდ, ცალკეულ პირთა ძალისხმევის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა ერთგვარი სტერეოტიპი, რომ ქვეყანაში არის კვალიფიციური ხალხის დეფიციტი, პროფესიონალების ნაკლებობა, გამოცდილების არმქონე პირების სიმცირე.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ საქართველო ორგანიზაციული, ადამიანური და ინტელექტუალური რესურსებით მდიდარია, მაგრამ მას ჯერ კიდევ რეზერვის ხასიათი აქვს, რაც განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

- **რეალურად, საკადრო დეფიციტს განიცდის არა სახელმწიფო, არამედ პოლიტიკური ისტებლიშმენტი;**
- **არაეფექტიანი მართვისა და საკადრო პოლიტიკის გამო, აღმასრულებელი ორგანოები ვერ იყენებს საკადრო რესურს.** ქვეყანის ნებისმიერი სფერო მდიდარია კვალიფიციური საკადრო რესურსით, თუმცა კვალიფიციური ადამიანური რესურსის „კვალიფიციურად გამოყენებას“ ეფექტიანი მმართველები სჭირდება;
- **დღეს, პოლიტიკურ სივრცე წარმოადგენს ერთგვარ „შეკრულ წრეს“, სადაც არ ხდება „ახალი კანდიდატების“ გამოჩენა, მმართველობაში სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, „დირექტივების გარეშე“ თანამედროვე გარემოს მოთხოვნების შესაბამისი რეფორმების გატარება;**
- **სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურები განიცდის ქარიზმატული ლიდერებისა და ნოვატორული აზროვნების მმართველების დეფიციტს;**
- **ფაქტობრივად არ გვხდება მმართველ პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობა (ფულის მოპარვას არ ვგულისხმობთ), რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობაზე, დაგვიანებულ პროცესებზე, მიუღწეველ შედეგებზე, საკადრო რესურსის მუშაობაზე იქნება პასუხისმგებელი.**

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი შეხედულებები, რათქმაუნდა არ ემსახურება მმართველობითი რგოლის ინტერესების შებღალვას. სტატია ემსახურება გარემოს ანალიზს, რესურსამოწურული პოლიტიკური გარემოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას, საკადრო რეფორმებისა და არსებული სტრატეგიების მოდიფიცირების პროცესის საჭიროებას.

დასასრულს, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი რეკომენდაციები:

- **დროა, სახელმწიფო სტრუქტურებმა გაითავისოს სამოქალაქო და კორპორაციული სექტორის პოტენციალი.** განსაკუთრებით დააფასოს მეცნიერ-მკვლევარის შრომები და რესურსი. აღნიშნული მიდგომა სარგებლის მომტანი იქნება სამივე სექტორისთვის (სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორისთვის);
- **პოლიტიკური გარემო, რომელიც დღეს საკადრო დეფიციტს „განიცდის“, უნდა შეივსოს მეცნიერ-მკვლევარებითა და დოქტორის ხარისხის მქონე პირებით;**
- **მნიშვნელოვანია, გადაიხედოს შემუშავებული სტრატეგიები.** სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით მოხდეს გეგმების კორექტირება, კვლევებზე დაფუძნებული პროგრამების ფორმირება და გამოწვევების შესაბამისი მიდგომების წარმოდგენა;

- **სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს სამეცნიერო რესურსი,** რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საერთაშორისო დირექტივებამდე წარმოდგეს ინიციატივებით, მოთხოვნების წინმსწრებად შეასრუ-ლოს ვალდებულებები, მიიღოს ინოვაციური გადაწყვეტილებები და შექმნას ვალდებულებების სამართლებრივად უზრუნველყოფილი გარემო;
- **დღეს, ნოვატორული აზროვნების მმართველობითი გარემოს შექმნა შესაძლებელია მეცნიერ-მკვლევარებით, რომელთა პოტენციალს ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ იყენებს;**
- **პრემიერ მინისტრის ინიციატივითა და კოორდინაციით, უნდა შეიქმნას ანალიტიკური ჯგუფები, რომელიც უნივერსიტეტებში არსებული მეცნიერ-მკვლევარებით უნდა დაკომპლექტდეს. აღნიშნული ჯგუფები დაეხმარება საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებს კანონების შემუშავებაში, სტრატეგიების შექმნასა და პროექტების ეფექტიან დაგეგმვაში;**
- **ჯამში, გლობალური და ლოკალური გამოწვევების პრევენცია შესაძლებელია, მხოლოდ საზოგადოების კოორდინაციის უნარის მქონე მმართველებით;**

www.kvira.ge, 26 ნოემბერი, 2015 წელი

1.27. ქვეყანაში ბიზნესისა და აკადემიური გარემოს თანამშრომლობა აუცილებელია

გლობალური კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიური ლანდშაფტის ზრდის ფონზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ბიზნესისა და აკადემიური გარემოს თანამშრომლობის სარგებელი.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ პროფესორი და მეცნიერ-მკვლევარი, როგორც სფეროს ექსპერტი, წარმოდგენილია ფართო პოტენციალით, ინტელექტუალური რესურსით, კომერციული ფასეულობითა და ბიზნესის წარმატების შესაძლებლობით.

დღეს, ყველა გამოწვევების წინაშეა მთავრობა, ბიზნესი და მეცნიერებაც. ამ გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია თანამშრომლობით, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული ურთიერთობებით. ამასთან, თითოეულ მხარეს ერთმანეთისადმი აქვს განსაზღვრული მოლოდინი და ურთერთსარგებლობის ინტერესი.

აკადემიური გარემოს მიერ ბიზნესის კომერციულ წარმატებას განსაზღვრავს აკადემიური უნარ-ჩვევები და რესურსები. ხოლო თანამშრომლობის შედეგს ასახავს ინოვაციური პროდუქტების შექმნა, კონკურენტუნარიანობის ზრდა, ბიზნესის ჰორიზონტების ზრდა, ბიზნესის გაფართოება, მწარმოებლურობის ზრდა, ხარჯების ოპტიმიზაცია, რისკების მინიმიზება, მოგების ზრდა.

მეცნიერ-მკვლევარებთან თანამშრომლობის ფარგლებში ბიზნესი მიიღებს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა:

- კრეატიულობა, კვლევითი გამოცდილება და სამეცნიერო რესურსი;
- ინოვაციური პროდუქტი, ცოდნა, იდეები, სტრატეგიული გეგმები, კვლევაზე დაფუძნებული პროექტები;
- კორპორატიული პრობლემების გადაჭრის მეცნიერული მიდგომები და აკადემიური გადაწყვეტილებები;
- კომპანიის სწრაფი ზრდა-განვითარების, კონკურენტუნარიანობის ზრდის, ახალი ბაზრების ათვისების მარკეტინგული მიდგომები და პროგრამები;
- ბიზნესის პროფილის გაფართოება, კომპანიის იმიჯის ზრდა;
- სამუშაო ძალის კვალიფიკაციისა და მწარმოებლურობის ზრდა;

აღსანიშნავია, რომ ბიზნესსა და აკადემიურ გარემოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ინგრედიენტი არ არსებობს. პრაქტიკულად იგი დამოკიდებულია :

- ბიზნესის მიერ აკადემიური რესურსის ფასეულობის გააზრებასა და აღქმაზე;
- საერთო ინტერესებისა და საკომუნიკაციო მიდგომების არსებობაზე;
- ბიზნესის მიერ აკადემიური რესურსის შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და ათვისებაზე, აკადემიური რესურსის უპირატესობის აღიარებასა და ღირსებების დაფასებაზე;
- ფინანსური კლიმატის გაუმჯობესებაზე (როგორც აკადემიური გარემოსთვის, ისე ბიზნეს სექტორისათვის);

ბიზნესის მიერ აკადემიური რესურსთან ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზით:

- **სტრატეგიული დაგეგმვა, აკადემიური რესურსი, უნარ-ჩვევები და მოქნილი მართვა;**
- **აკადემიურ გარემოსთან ინფორმაციის გაცვლა;**
- **ლექციები, კონსულტაციები და კვლევები;**
- **წიგნებისა და კვლევითი ნაშრომების გამოცემების დაფინანსება, რაც ზრდის კომპანიის იმიჯს (როდესაც ბიზნესი აფინანსებს წიგნების გამოცემას, აღინიშნება კომპანიის დასახელება, რომელიც მათი რეკლამირების, პოზიციონირებისა და იმიჯის ზრდის საუკეთესო საშუალებაა).**

ბიზნესსა და აკადემიურ გარემოს შორის თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს: საერთო ხედვას, პარტნიორობის მიზნებსა და ამოცანებს; ლიდერულ უნარ-ჩვევებს (რომელსაც შეუძლია აკადემიურ სექტორთან ურთიერთობა); ინფორმაციისა და იდეების გაცვლის პლატფორმებს; ხანგრძლივვადიან პარტნიორობას, ანგარიშვალდებულებას, ღიაობას.

ბიზნესსა და აკადემიურ გარემოსთან თანამშრომლობა რთული ამოცანაა, სადაც შეიძლება აღინიშნოს: ნდობის პრობლემა,

ინტელექტუალურის საკუთრების დაცვა, პატენტის დაცვა, კოპირაითის დაცვა, პოტენციური სარგებლის მიღების გაურკვევლობა, წარმატებული პროდუქტის შექმნის დროის გაჭიანურება, სამუშაო დროის განსაზღვრის პრობლემა, ბიზნესსა და აკადემიურ პირებს შორის კომუნიკაციის პრობლემა და სხვა. თუმცა, აღნიშნული ნაკლოვანებები ვერ აკნინებს პარტნიორობის უპირატესობასა და საჭიროებას.

კვლევებით დასტურდება, რომ თუ ბიზნესსა და აკადემიურ გარემოსთან თანამშრომლობა გახდება სავალდებულო წესი, უმნიშვნელოვანეს სარგებელს მოუტანს, როგორც ბიზნეს სექტორს ისე, აკადემიურ გარემოს.

www.cbw.ge/, 31 ივლისი, 2017 წელი

1.28. ახალგაზრდა თაობის ეკონომიკური ფასეულობა

თანამედროვე სახელმწიფოს არსებით დეტერმინანტებს წარმოადგენს განათლება, მეცნიერება, ციფრული პროცესები, ადამიანური რესურსი.

ბოლო პერიოდში, საქართველოს მთავრობა ახალგაზრდა თაობაში მნიშვნელოვან ინვესტირებას ახორციელებს (განათლების დაფინანსებით, მეწარმეობის დაწყების სტიმულირებით, სტაჟირების პროგრამებით, გრანტების, სტიპენდიებით და სხვა), თუმცა ინვესტირების მიუხედავად, პოლიტიკურ და მმართველობით რგოლში ახალგაზრდების ჩართვა მათ ინტერესებში არ შედის. ფაქტოლოგია ადასტურებს, რომ მთავრობის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინვესტირება და საგანმანათლებლო პოლიტიკა არც გულისხმობს „ინვესტიციების დაბრუნებას“ და ახალგაზრდა ადამიანური რესურსის გამოყენებას.

ქვეყნაში ეკონომიკური პოლიტიკის პროფილს ასახავს მიდგომები და პრირიტეტები, რომელსაც იყენებენ ახალგაზრდა აკადემიური რესურსის მხარდაჭერის, სოციალური უზრუნველყოფის, კარიერული ზრდის, მმართველობით რგოლებში მათი როლისა და პროფესიული აქტივობის მიმართულებით.

აღიარებულია, რომ ეკონომიკური განვითარების მიღწევას წლები სჭირდება, რაც ეფუძნება ეკოსისტემას, სტრატეგიულ მიდგომებს, ბიზნეს მოდელებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას, ნორმატიულ სამართლებრივ გარემოს, აქტივებსა და რესურსებს. თუმცა, მოცემულ ფაქტორთა სპექტრში, გადამწყვეტ ძალას ლიდერები წარმოადგენს, რომელთა საკადრო პოლიტიკა ასახავს ქვეყნისა და ეკონომიკის განვითარების მასშტაბს.

დღეს, ეკონომიკა წარმატებულად არ ფასდება. მიზეზი - პესიმისტურ და ძველ პოლიტიკაშია, რადგან ვერ ქმნის აქტივობის, კეთილდღეობის ზრდის, უკეთესი მომავლის შექმნის, ოპტიმიზმის პირობას. ეკონომიკური პოლიტიკა ვერ ქმნის ეკოსისტემას, რომელიც დარგების სწრაფ განვითარებას შეუწყობდა ხელს.

არსებითია ითქვას, რომ ახალგაზრდების რესურსი „ეწირება“ არაეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველოში, ფაქტობრივად არ

ხდება ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზება, მათი რესურსის სახელმწიფო მშენებლობაში ჩართვა, იგნორირებულია ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა ძალა და ფასეულობა.

სამწუხაროდ, პოლიტიკურ და მმართველობით სივრცეში, ახალგაზრდა კადრების მარგინალიზაცია და არახელსაყრელ პირობებში ყოფნა, იწვევს მათი რეფორმატორული და ინოვაციური პოტენციალის დაბლოკვას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების ეკონომიკაში, ახალგაზრდა თაობის პოტენციური სარგებელი 1 ტრლნ დოლარზე მეტია.

საქართველოში, 25-45 წლის ასაკის თაობა შეადგენს მოსახლეობის მეოთხედზე მეტს, რომლის პოტენციალი და აქტივობის შედეგები არსებით კავშირშია ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კეთილდღეობასთან. როგორია მათი „გასაქანი“ ისეთია მათი აქტივობის შედეგი. შესაბამისად, ახალგაზრდა თაობის ძირითადი ნაწილი გამოირჩევა დაბალი ფინანსური ავტონომიით, უძრავ ქონებაზე დაბალი მოთხოვნის სტრუქტურით, პერმანენტული განვითარების არახელსაყრელი პირობებით. ამ ფონზე არც ახალგაზრდა აკადემიური რესურსი იმყოფება მოწინავე ფლანგზე, შესაბამისად ქვეყანაში დაბალია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სუსტია ინოვაციური ბიზნეს აქტივობა, მცირეა ეკონომიკის მოცულობა, არაკონკურენტუნარიანია დარგები, გაურკვეველია რეფორმების გატარების დრო.

ახალგაზრდა აკადემიური რესურსის ინდუცირებული ეკონომიკური ეფექტები, პროდუქტიულობა, შემოქმედებითი უნარი, ენერგია და იდეები, ტექნოლოგიური და ციფრული მზაობა არის თანამედროვე და ძლიერი სახელმწიფო სისტემის ფორმირების საფუძველი. ამასთან, ახალგაზრდების უპირატესობა განხილული უნდა იქნას შემდეგი მიმართულებით:

- **სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ინოვაციური და აკადემიური ძალა:** ინოვაციური პროექტები, ციფრული გარემოსთან ადაპტაციის უნარი, სიახლეებზე ორიენტირება და უშრეტი ენერგია;
- **დინამიური და სტრატეგიული რესურსი.** ახალგაზრდა აკადემიურ რესურსს აქვს ძალა შეცვალოს სახელმწიფო სისტემის სახე, გაზარდოს ეკონომიკური აქტივობა, აამაღლოს სოციალური მდგომარეობა, გააძლიეროს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გავლენა. შექმნას აქტივობის ტალღა, რაც ჯამში არის ეკონომიკის გაძლიერების, დარგების რეფორმირებისა და რეგენერაციის, ბიუჯეტისა და შემოსავლების ზრდის მამოძრავებელი. მათი რესურსის გამოყენების ზრდა მიზეზშედეგობრივ კავშირშია ქვეყნის გლობალური პერსპექტივების ზრდასთან;
- **დემოკრატიის, ანგარიშვალდებულების, ღია საზოგადოების, მორალური და ეთიკური პრინციპების ზრდის მოცემულობა;**
- **ევროპული სივრცის შესაბამისი განათლება, გლობალური გამოწვევების შესაბამისი უნარ-ჩვევები, „ევროპული დემოკრატიის არქიტექტურაზე“ დაფუძნებული აზროვნება;**

- **ქალაქების ზრდა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ახალი ბიზნეს მოდელების წარმოქმნა, ახალი პროდუქტისა და მომსახურების ზრდა.**

არსებულმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ ვერ გადადგა უთანასწორობის შემცირების ქმედითი ნაბიჯები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ძველმა პოლიტიკურმა გარემომ „გასაქანი მისცეს" ახალგაზრდა თაობის ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას. რაც ქვეყანას მისცემს ეკონომიკის ამოძრავებისა და რეგიონულ კონტექსტში წამყვანი ქვეყნის სტატუსს.

მმართველობით და პოლიტიკურ სივრცეში, თაობათა უთანასწორობა იწვევს პროცესების კოროზიას, პროგრესის შეფერხებას, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შემცირებას და უსიცოცხლო გარემოს ფორმირებას. ქვეყანაში, ახალგაზრდა ოჯახები საჭიროებს მიზნობრივ პოლიტიკას: ფინანსური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით. ასევე, მეცნიერების, განათლებისა და ციფროვიზაციის ლობირებით. ამასთან, ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევის საფუძველს წარმოადგენს ახალგაზრდა აკადემიური რესურსის საფუძველზე ფორმირებული ახალი პოლიტიკური ძალა.

დაბოლოს, **ახალგაზრდა თაობისათვის მყარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა, საკვანძო მოვლენაა. ქვეყნის სიძლიერის ბაზისს და ფასეულ აქტივს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობა, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების ზრდა, მათი რესურსის სახელმწიფოებრივი მიზნებით აქტიურად გამოყენება. ჯამში, ადამიანური რესურსის გამოყენება დამოკიდებულია არა პოლიტიკურ სურვილსა და საუბრებზე, არამედ მმართველობით უნარსა და პოლიტიკურ მზაობაზე.**

www.forbes.ge, 19 სექტემბერი, 2017 წელი

1.29. ახალგაზრდა თაობის როლი თანამედროვე გამოწვევებში

ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მჭიდროდაა დაკავშირებული ახალგაზრდების პოლიტიკური და მმართველობითი აქტივობის მასშტაბებთან.

დემოგრაფიული ფაქტორები, პერმანენტული განვითარების შეზღუდული პირობები, დაბალი ხელფასი, უმუშევრობა, პროფესიული და კარიერული ზრდის პრობლემა, არაეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა ზრდის უთანასწორობას თაობებს შორის.

დღეს, მთავრობა ცდილობს ახალგაზრდა თაობის ბიზნეს აქტივობის სტიმულირებას, სხვადასხვა პროგრამებით მათი სოციალური ფონის ამაღლებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სტუდენტ-ახალგაზრდების სწავლის დონის ზრდის მიმართულებით. სტაჟირების პროგრამებით ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას, ზრუნავს სოციალურად დაუცველ ოჯახებზე.

დამწყებ მეწარმეებს სთავაზობს ხელშემწყობ პროგრამებს. თუმცა, მთლიანობაში სურვილები უფრო მეტია, ვიდრე ქმედითი მიდგომები და განხორციელებული პროცესები.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ქვეყნისათვის აუცილებელია ახალგაზრდა თაობის დინამიური რესურსი, რომელთაც გააჩნიათ ქვეყნის რეფორმირების რესურსი. საქართველოს ეკონომიკა და ქვეყნის უკეთესი მომავალი დამოკიდებულია ახალგაზრდა თაობაზე, რომელთაც შეუძლიათ ძლიერი პოლიტიკის შექმნა, ობიექტურობის და და სტანდარტების დამკვიდრება ქვეყანაში, რომელთაც ქვეყნის გლობალურ და რეგიონულ დონეზე რეფორმირების პოტენციალი აქვთ.

გლობალური კვლევები ადასტურებს, რომ ახალგაზრდა თაობა დღეს უფრო ცოტას გამოიმუშავებს, ვიდრე ადრეულ პერიოდში (ბევრ ქვეყანაში შემოსავლები 20%-ით შემცირდა). აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის 7 მსხვილი ეკონომიკის მქონე ქვეყნის ახალგაზრდა ოჯახების შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა.

საქართველოში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა სოციალურ გარემოზე აჩვენებს შემდეგ ტენდენციას: ბოლო წლებში (2015-2016წწ) მნიშვნელოვნად შემცირდა ქორწინების რიცხვი, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი, სოციალური უთანასწორობის მასშტაბები. მაღალია სახელმწიფოს შემწეობის მიმღებთა რაოდენობა, პოლიტიკამ არსებითი გავლენა ვერ იქონია სიღარიბეზე, სოფლად მცხოვრებ ადამიანებისათვის გააუქმეს ან შეამცირეს სუბსიდიები (რთველის, მიწის დამუშავების და სხვა).

გასათვალისწინებელია ფაქტორთა სპექტრი, რასაც ახალგაზრდა თაობა აწყდება. მათ შორის შეიძლება გამოიყოს: დასაქმება, ფინანსურ რესურსებთან წვდომა, კარიერული ზრდის პერსპექტივები, პერმანენტული განვითარების პირობები.

კვლევები ადასტურებს, რომ ქვეყანაში ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა ზრდა პირდაპირკავშირშია ეკონომიკის განვითარებასთან, პოლიტიკური ჩართულობის ზრდასთან, ინოვაციასთან და რეფორმებთან, რადიკალურ და რევოლუციურ ცვლილებებთან. აღიარებულია, რომ პოლიტიკის „იდეოლოგია ვერ იმორჩილებს“ ახალგაზრდა საზოგადოებრივ რესურსს, გავლენას ვერ ახდენს მათ აქტივობაზე. შესაბამისად, მათი კოჰორტა მცირეა მმართველობაშიც და პოლიტიკაშიც. ხაზგასამელია, რომ როგორც ვიყენებთ საზოგადოებრივ რესურსს ისეთია პრობლემების გადაჭრის შედეგიც.

ახალგაზრდა რესურსი, რომელიც იმიჯს და საზოგადოებრივ ფასეულობას ქმნის, უფრო მეტად ხელმძღვანელობს დემოკრატიული, პროფესიული, მორალური და ეთიკური პრინციპებით. თუმცა, ამის მიუხედავად, როგორიცაა მათდამი „დამოკიდებულების პოლიტიკა“, ისეთია კარიერული ბარიერები და დამკვიდრების მიდგომები. შესაბამისად, ისეთივეა ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობა.

პოლიტიკურ სივრცეში ახალგაზრდების გენერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელისუფლებო ბალანსში და გავლენას ახდენს მათ მმართველობით შედეგებზე. ახალგაზრდა რესურსის კონსოლიდირებულ ძალას აქვს პოტენციალი შეაფასოს წარსულის მინუსები და პლიუსები. ამასთან, ინოვაციური და დინამიური იდეებით, შეცვალოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მთავრობა რეფორმებზე უფრო მეტს საუბრობს ვიდრე ახორციელებს. ქვეყანაში იმდენი პროგრამის შედეგი და ეფექტი არ გვაქვს, რამდენიც სახელმწიფო უწყებაა. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას, რომ ახალგაზრდა კადრები უფრო ვალდებულად თვლის თავს, რომ მომავლის ფორმირებასა და რეფორმების განხორციელებაში, ვიდრე ძველი პოლიტიკური გარემო. ამიტომ, გლობალური ცვლილებებისა და გამოწვევების პირობებში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის ახალგაზრდა თაობაზე ორიენტირებული ძირეული რეფორმების გატარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ხაზგასასმელია, რომ დღეს ქვეყანაში არის ისეთი თაობა, რომლის პოტენციალი და ავტორიტეტი, სტრატეგიული აზროვნება და უნარები, მეცნიერული აქტივობა და სახელმწიფოებრივი მზაობა იძლევა ძლიერი მომავლის შექმნის რწმენის საფუძველს.

ამიტომ, უნდა ითქვას, ქართულ სახელმწიფოს და ეკონომიკას, წარმატების მისაღწევად ესაჭიროება:

- ახალგაზრდა ინტელექტუალებისა და აკადემიური რესურსის გამოყენება და სახელმწიფო მშენებლობაში ჩართვა;
- **რეფორმატორული და აკადემიური აზროვნების მმართველობა, რომლის ბრწყინვალებაა ახალგაზრდებში;**
- **სტანდარტებისა და კრიტერიუმების დამკვიდრება,** რომელიც უნდა შექმნას სახელმწიფოს სისტემის პოლიტიკამ და პროგრამებმა;
- **მეცნიერება, განათლება და ციფრული ტექნოლოგიების წამყვანი როლი**, როგორც ქვეყნის განვითარების ბაზისი. საქართველოში, თუ პოლიტიკური და მმართველობითი რგოლი გაიაზრებს აღნიშნული სფეროების უპირატესობას, ეკონომიკასაც ეშველება და სისტემასაც;
- **პოლიტიკური და მმართველობითი რგოლების შედეგების შეფასება**. საქართველოში, ბოლო 4 წელიწადში ეკონომიკური ზრდის ტემპი მერყეობდა 2.7%-დან 4.6%-მდე. შესაბამისად, მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგები ვერ აისახა ეკონომიკასა და საშუალო ქართველის ოჯახის შემოსავლებზე. ქვეყანა საჭიროებს მმართველობითი საქმიანობის სტანდარტებს. რაც, ბუნებრივია, უნდა დაეფუძნოს მმართველობითი რგოლების საქმიანობის შეფასებასა და ანალიზს;

- **ქვეყნის მოწყობის პრინციპი, როდესაც „ახალგაზრდა თაობა უკეთესია, ვიდრე წინა თაობა“.** სახელმწიფოში, სადაც ახალი თაობისათვის „გზის გახსნით“ ხორციელდება ქვეყნის მშენებლობა, იზრდება ეკონომიკა და ცხოვრების დონე;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა მიიღწევა ახალგაზრდა ინტელექტუალებისა და აკადემიური რესურსით, რადგან დღევანდელ ციფრულ ეპოქაში, საკვანძო როლს სწორეთ აღნიშნული რესურსი ასრულებს.

დაბოლოს, ახალგაზრდა თაობისადმი დამოკიდებულების პოლიტიკა განსაზღვრავს მომავალი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და ბიზნეს გარემოს განვითარებას.

P.S. **სტატიაში ხაზგასმულია ახალგაზრდა თაობის რესურსის უპირატესობაზე, რაც არ გულისხმობს ქვეყანაში რომელიმე თაობის უფლებების შეზღუდვას.**

www.cbw.ge , 18 სექტემბერი, 2017 წელი

1.30. პოპულისტური ჟანრის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა

ქვეყანაში როგორი პოლიტიკაც კეთდება, ისეთ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს ვიღებთ.

მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკა გამოცოცხლდა, გაიზარდა: საგარეო ვაჭრობა, ეკონომიკა, რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, დასაქმებულთა რაოდენობა (სტატისტიკურად). გლობალური და ლოკალური პრობლემების დაძლევაში გაძლიერდა ქართული ეკონომიკის იმუნიტეტიც.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ნების ფარგლებში ქვეყანაში ადგილი აქვს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე ზრუნვას: ხორციელდება სოციალური პროგრამები, ტარდება სიღარიბის აღმოფხვრის ღონისძიებები, სოციალური პრობლემების დაძლევისთვის იზრდება დაფინანსება, ტარდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის ღონისძიებები. რაც სხვა ქვეყნების მოდელების გადმოღებით, ვალებისა და ვალდებულებების ზრდის ფონზე ხდება.

დღეს, ქვეყნის მთავარ გამოწვევას ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს. ფაქტოლოგია ადასტურებს, რომ ეკონომიკის მოცულობა და ზრდის პროგნოზი დამაკმაყოფილებელი არ არის. ამ ფონზე, სახელმწიფო მართვის სტანდარტები არ ეფუძნება: მიღწეულ შედეგებს, შესრულებულ პროგრამებს, შემცირებულ ვალებსა და ვალდებულებებს. ხოლო ცალკეული პროგრამის შედეგები „გაურკვეველი საზომით“ დადებითად ფასდება (მაგალითად,”სესხების გალარების პროგრამა”).

ხელისუფლების მიერ, ქვეყნის გლობალური განვითარებისა და სტრატეგიული ხედვის ფორმირება, პასუხებზე მეტ კითხვას აჩენს, რაც გენერირებს საზოგადოების უმაკაყოფილებას და ასახვას ჰპოვებს სისტემისადმი რწმენასა და პოლიტიკურ უნდობლობაში, დაბალ ეკონომიკურ აქტივობაში, აპათიასა და გულისწყრომის რეაქციაში.

ხაზგასასმელია, რომ „პოლიტიკური მემკვიდრეობის" ფონზე:

- **ვფლობთ გართულებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, სადაც გლობალური და ლოკალური პრობლემების ცალკეული კომპონენტი სხვადასხვა სიღრმითაა წარმოდგენილი;**
- **პოლიტიკის უკუქცევის ძალით შემცირებულია ნდობა, ეკონომიკური აქტივობა, პოლიტიკური პროცესების ეფექტიანობა და ხალხის ჩართულობა;**
- **პოლიტიკური გარემოს მიერ „შექმნილია" ეკონომიკა, რომლის ცალკეული ნაწილი ინერციით მოძრაობს, ხოლო ცალკეული გაურკვეველ მდგომარეობაშია;**
- **„ძველი პოლიტიკის რებრენდინგმა და შეფუთულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა არსებითი გავლენა ვერ იქონია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე. პოლიტიკურმა სისტემამ ვერ შეძლო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება.**

არსებითია აღინიშნოს, რომ ქვეყანაში სიღარიბე არის პოლიტიკური, ხოლო მისი აღმოფხვრა პოლიტიკასთან კავშირში. სამწუხაროდ, ეკონომიკური პოლიტიკა არ გახდა ის მთავარი გამოწვევა, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს ერთ ორბიტაზე გააერთიანებდა.

მართალია დღეს საზოგადოების გულისწყრომის მართვას და კალაპოტში მოქცევას ახერხებენ, თუმცა გულისწყრომის ტალღას საბოლოოდ ვერაფერი შეაჩერებს, რადგან პრობლემის გადაჭრის რესურსი (პოლიტიკური და მმართველობითი რესურსი) ამოწურულია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უფრო გაურკვეველი შედეგებისაა, ვიდრე პოპულისტური. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და რეფორმატორული ჟანრის.

შესაბამისად, ქვეყანა ისე ძალიან არასდროს საჭიროებდა ცვლილებებს, როგორც ახლა. ამის მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფოს ვალების ზრდა, გლობალური გარემოს გამოწვევები, არაეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური უთანასწორობის ზრდა. სახელმწიფოს პროდუქტიული და სტრატეგიული რესურსის (აკადემიური რესურსის) იგნორირება.

ამრიგად, პოლიტიკური კლასის არსებული თამაშის წესების, პოლიტიკური სისტემის ფორმისა და მუშაობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ქვეყანა საჭიროებს ახალ პოლიტიკურ კლასს.

თუ გვინდა, რომ ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა მივიღოთ, ეს უნდა მოხდეს არა ვალდებულებების ზრდით, არამედ

ეკონომიკური პოლიტიკით, ეკონომიკური აქტივობით, ახალი პოლიტიკური და გეოსტრატეგიული რესურსით. ეს კი მიღწევადია მხოლოდ ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირების პირობებში.

ძველი პოლიტიკის რებრენდინგი და გაცოცხლება უნდა განვიხილოთ, როგორც **„პოლიტიკური ფრანკენშტეინი“**, რომელიც იგივე სოციალურ-ეკონომიკური შედეგით იქნება წარმოდგენილი. ახალი პოლიტიკური სისტემის ფორმირებისას, შესაძლებელია ძველი პოლიტიკის გენეტიკური რესურსი გამოყენებული იქნას ცალკეულ პროცესებში, როგორც ინგრედიენტი. თუმცა, მთლიანობაში სრულიად ახალი სისტემა უნდა იქნას ფორმირებული.

მხოლოდ ახალი პოლიტიკური კლასის პირობებშია შესაძლებელი:

- **განათლება და მეცნიერება გახდეს სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტი;**
- **ძირეულად გარდაიქმნას საჯარო მმართველობის გარემო და გენერირებული იქნას ახალი პოლიტიკური აქტივიზმი;**
- **წარმოებული იქნას პროდუქტიული პოლიტიკა, შეიქმნას ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა და მიღწეული იქნას ეკონომიკური ზრდა;**
- **შეიქმნას სამუშაო ადგილები; მოგვარდეს სოციალური პრობლემები და აღმოიფხვრას სოციალური უთანასწორობა; გაერთიანდეს საზოგადოება და გაიზარდოს პოლიტიკური ნდობა;**
- **გაიზრდოს ექსპორტი და შემცირდეს იმპორტირებული რესურსის წილი; საქართველო აღარ იყოს იმპორტიორი ქვეყნების რიგში;**
- **აუთსორსინგის ნაცვლად, მმართველობითი პროცესები განხორციელ-დეს ქართველი სპეციალისტების მიერ (სტრატეგიული დაგეგმვა, კვლევა, ანალიზი, შეფასება, პროგრამების შექმნა და განხორციელება);**
- **ეკონომიკის ზრდის ხარჯზე შემცირდეს საგარეო და საშინაო ვალები;**
- **სწრაფად ჩამოყალიბდეს მძლავრი სახელმწიფო სისტემა და წარმოებული იქნას გლობალური პოლიტიკა.**

ბუნებრივია, ცვლილებები საჭიროებს კატალიზატორს, რომელიც უნდა შეასრულოს აკადემიურმა რესურსმა, როგორც ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, ახალი ეკონომიკური ხედვებით, ლიდერული აქტივობით და ორგანიზაციული რესურსით. მთლიანობაში, „საქართველოს მომავალი პოლიტიკა უნდა გამოიყურებოდეს და ისმოდეს აკადემიურად“.

www.cbw.ge/, 7 აგვისტო, 2017 წელი

1.31. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური შესაძლებლობები გასააქტიურებელია

რეგიონების კონკურენტუნარიან და ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, შეუძლია მდგრადი ეკონომიკური ზრდა, მეტი სამუშაო ადგილებისა და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა.

ბოლო ათწლეულში, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება გაუმჯობესდა, სახელმწიფო სისტემის მიერ სოციალური თანასწორობის ეკონომიკური მოდელების ფორმირებამ შეამცირა სოციალური უთანასწორობა; ინოვაციებისა და საბაზრო პლატფორმების შექმნის სტიმულირებამ გააცოცხლა რეგიონის გარემო და გამოიწვია რეგიონის ეკონომიკური აქტივობის ზრდა (თუმცა აღნიშნულის გავლენა ფასდება არადამაკმაყოფილებელად).

ფაქტოლოგია ადასტურებს, რომ რეგიონების ეკონომიკის სფერო მოქნილი არ არის, რეგიონში დასაქმებულების შემოსავლები დაბალია, რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობები აუთვისებელი, ხოლო მთავრობის ინტერვენციები და ინიციატივები სუსტი.

არსებითია ითქვას, რომ პოლიტიკური გარემოს გამო, საქართველოს რეგიონების ეკონომიკური პრობლემები მრავალფეროვანია:

- რეგიონებში არსებული მაღალი კვალიფიკაციის რესურსი უმუშევარია, ან მუშაობს მისი კვალიფიკაციისაგან განსხვავებულ სამსახურში ან ემიგრირდება სხვა ქვეყანაში. შედეგად ადგილი აქვს რესურების არარაციონალურ გამოყენებასა და ხარჯვას;
- პოლიტიკური გარემოს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გარშემო „უცვლელია დისკუსია“ და მიდგომები; მმართველობა ეფექტიანი და რეფორმატორული ბუნების არ არის. შესაბამისად, ვერც მოქნილ და ახალ ეკონომიკას ვერ ქმნის;
- გლობალური და ლოკალური ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, ადმინისტრაციული რესურსის აკადემიურობა და სტრატეგიული უნარ-ჩვევები აღქმული არ არის, როგორც რეგიონის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და ზრდის საკვანძო სტრატეგია;
- რეგიონების სტრატეგია და მიდგომები არსებით გავლენას ვერ ახდენს: რეგიონის ხალხის ცხოვრებაზე, შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდაზე; მწარმოებლურობის ამაღლებასა და უთანასწორობის აღმოფხვრაზე; არსებული თუ შემოსული რესურსის (ფინანსური, აკადემიური) მაქსიმალურ ათვისებასა და სარგებლის მიღებაზე; ცალკეული რეგიონის კონკურენტუნარიანობასა და შესაბამისად ეკონომიკის წილის ზრდაზე.

კვლევები ადასტურებს, რომ რეგიონების განვითარება დამოკიდებულია ეკონომიკურ აზროვნებაზე, ინტერვენციონიზმის მიდგომებზე, სხვადასხვა პოლიტიკურ პერსპექტივებზე და მშპ-ის ზრდის ზომაზე.

ხაზგასასმელია, რომ რეგიონის მისწრაფება, ეკონომიკის ოპტიმისტური სცენარის განვითარებისათვის უნდა დაეყრდნოს: ახალ პოლიტიკურ და მმართველობით ძალას, აკადემიურ და აქტიურ რესურსს, ახალ ლიდერებსა და ინტელექტუალებს.

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობითი გარემო საჭიროებს ფუნდამენტურ გარდაქმნას თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად. სადაც, რეგიონული პოლიტიკა ფოკუსირებული იქნება:

- ***მმართველობითი გარემოს ეფექტიანობაზე, მმართველობით ხარისხსა და მოქნილობაზე. პროგრესული პოლიტიკის წარმოებაზე;***
- ***რეგიონული ეკონომიკური აქტივობის ამაღლებაზე; ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ეკონომიკის ზრდაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე;***
- ***ბიზნეს საზოგადოებისა და ნაციონალური საშუალო კლასის ფორმირებაზე;***
- ***რეგიონულ დონეზე ინსტიტუციური შესაძლობების ზრდაზე;***
- ***ქვეყანაში გაფანტული ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის რესურსის მობილიზებაზე;***
- ***ქალაქსა და სოფელს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებასა და კეთილდღეობის ზრდაზე;***
- ***აკადემიური რესურსების გამოყენებაზე;***
- ***ლოკალური მმართველობითი გამოწვევებიდან გამომდინარე, „ეკონომიკური პოლიტიკის დევიაციის" საჭიროებაზე.***

საკითხის შეჯამების საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ:

- ***რეგიონებში, დაბალი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, სუსტი ეკონომიკური აქტივობის, მცირე სოციალური დახმარებების, უმუშევრობის, სუბსიდირების პოლიტიკის, მმართველობითი და ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის პრობლემების ფონზე, სულ უფრო მეტი ადამიანი განიცდის ეკონომიკურ დეპრივაციას;***
- ***ქვეყანაში მშპ-ის ზრდის მიუხედავად, თუ სწორად არ განისაზღვრა პრიორიტეტები და მიმართულებები, რეგიონების სწრაფი განვითარება არ მოხდება. ასეთ მიმართულებებს წარმოადგენს: განათლებისა და მეცნიერების განვითარება და როლის ამაღლება; განათლებასა და მეცნიერებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდი, როგორც რეგიონების ეკონომიკის ზრდის, ისე კეთილდღეობის თანაბარი განაწილების მიმართულებით.*** *ამიტომ, ცენტრალურმა და ადგილობრივმა მთავრობამ უნდა გაიაზროს განათლებასა და მეცნიერებაში ინვესტირებისა და აკადემიური რესურსით მართვის ფასეულობა;*
- ***რეგიონის ეკონომიკურ პროგრესში მამოძრავებელია ძლიერი***

__საკადრო რესურსის როლი.__ ამიტომ, საჭიროა მმართველობითი გარემოს ტრანსფორმაცია და მმართვის ეფექტიანობის ამაღლება;

- *რეგიონების განვითარება დანახული უნდა იყოს ყველა სოციალური სისტემის თვალთახედვით;*
- *__ხელისუფლებამ, თანამედროვე გზებით უნდა უზრუნველყოს რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობები.__ მათ შორის, ინფრასტრუქტურული საჭიროებების გადაჭრა, ციფრული პოლიტიკის წარმოება, რეგიონული პოტენციალით ეკონომიკური წილის ამაღლება; პირველმა აჩვენოს გეგმების შესრულებისა და პრობლემების პასუხისმგებლობის საკუთარ თავ ზე აღების მაგალითი;*

რეგიონებმა წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ახალგაზრდა ინტელექტუალების, პროფესიონალების, აკადემიური რესურსის მოზიდვასა და მმართველობითი სივრცის გააქტიურებაში.

ხაზგასასმელია, რომ ჯერ ქვეყანა გახდეს „ეკონომიკური განვითარების ჰაბი“, რაც რეგიონში (სამხრეთ კავკასიის რეგიონი) ყველანაირი სახის (სატრანსპორტო, ლოჯისტიკის, საფინანსო, საგანმანათლებლო, ციფრული და სხვა სფეროების ჰაბი) ჰაბის ფორმირების შესაძებლობის მომცემია.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ერთი რეგიონის წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის ინვაზიის შედეგები ასახვას ჰპოვებს სხვა რეგიონების გააქტიურებაზე.

www.cbw.ge/, 14 აგვისტო, 2017 წელი

1.32. ქვეყანას სჭირდება ადგილობრივი ინვესტირების ხელშემწყობი გარემო

საქართველოს საინვესტიციო გარემო შეიძლება შეფასდეს, როგორც მიმზიდველი და სტაბილური, რომელიც 2014 წლის შემდგომ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული განვითარების დინამიკა წარმოდგენილია გლობალური გამოწვევების, პოლიტიკური გაურკვევლობის, საინვესტიციო ბაზრის მდგრადობისა და საბრუნავი კაპიტალის გამოწვევების ფონზე.

ჩვენს ქვეყანაში მთავრობა, პოლიტიკური ჯგუფები, აკადემიური საზოგადოება, ბიზნეს ჯგუფები თუ ცალკეული მოქალაქე დაინტერესებულია ქვეყნის ეკონომიკური გარემოსა და საინვესტიციო ბაზრის განვითარებით. ასევე, ყველა თანხმდება ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების როლსა და მნიშვნელობაზე. აღნიშნულ ფონზე საინვესტიციო გარემო შეიძლება დავახასიათოთ „უჩვეულო გაურკვევლობით“.სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ უჩვეულო გაურკვევლობის განმაპირობებელი ფაქტორებია:

- *__პოლიტიკური მოვლენები.__ პოლიტიკური პროცესები და მოვლენები გავლენას ახდენს შიდა საინვესტიციო ბაზარზე, ზრდის რისკებსა და*

ამცირებს ადგილობრივ საინვესტიციო აქტივობას. იქმნება პოლიტიკური და ბიუროკრატიული სირთულეები ნაციონალური ინვესტიციების განხორციელების პროცესში;

- **ეკონომიკური პოლიტიკა და პოლიტიკური აუდიტორიის მიდგომები.** პოლიტიკური ისტებლიშმენტის აქტივობა მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ქვეყანაში კაპიტალის მოძრაობაზე, დაგროვების პროცესზე, ეკონომიკურ მდგრადობაზე, ქართული ინვესტიციების მასშტაბებზე. პოლიტიკის მიერ ინვესტორებზე გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებას ან დადებითად განაწყობს ან უარყოფითად.

ქვეყანაში, სადაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია, ადგილობრივი ორგანიზაციების ინვესტიციებისადმი განხორციელებული „პოლიტიკური დემარში“ არც პოლიტიკურად არის მომგებიანი და არც ეკონომიკურად. არ შეიძლება ქართული ინვესტიცია მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში განვიხილოთ, ხოლო უცხოური ინვესტიცია კი ეკონომიკურ ჭრილში.

ამიტომ, აღვნიშნავ, რომ:

- **ქვეყანას სჭირდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი ყველა პროექტი** (განსაკუთრებით ქართული კაპიტალით გამყარებული);
- **ინვესტიციები** (უცხოურიც და ადგილობრივიც) განხილული უნდა იქნას ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური განზომილებებით. თუმცა **დღეს ქვეყანას არ გააჩნია იმის ფუფუნება, რომ ადგილობრივი ინვესტიციები მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში იქნას განხილული;**
- **სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ იმ ქართველ ინვესტორებს, რომლის პორტფელი ნაციონალურთან ერთად გლობალურ „ტენდენციას“ ქმნის;**
- **თუ ქართული კაპიტალდაბანდების პროექტები** (ან მისი ცალკეული კომპონენტები) **დასახვეწია, საჭიროა დაჩქარებულ ტემპში, ერთობლივად და ხელშეწყობით დაიხვეწოს, რადგან დღევანდელ ქართულ გარემოს ნაციონალური ინვესტიციები ჰაერივით სჭირდება. ჯამში, ნაციონალური ინვესტიციების შეფერხება არარაციონალურია.**

ხაზგასასმელია, რომ ცალკეულ სფეროში უცხოური ინვესტიციების განხორციელებით ქვეყანა მოძრაობს თანამედროვე ტრაექტორიაზე, თუმცა ცალკეულ სფეროში აუცილებელია მხოლოდ ქართული ინვესტიციების განხორციელება.

გლობალური თუ ლოკალური გამოწვევების პირობებში, ქვეყანაში აუცილებელია ლოკალურ საინვესტიციო ლანდშაფტზე ფოკუსირება, რასაც

ხელი უნდა შეეწყოს ადგილობრივი ინვესტიციების უპირატესობის აღიარებითა და სტიმულირებით.

ბოლო პერიოდში, ადგილი აქვს ცალკეული ქართველი ინვესტორის აქტივობაზე პოლიტიკურ ხმაურსა და „ნეგატიურ აღქმის ფორმირებას". რაც ბუნებრივია გავლენას ახდენს ბიზნეს აქტივობისა და ბაზრის განვითარების დინამიკაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც უცხოელი ინვესტორის მსგავსად, ქართველი ინვესტორებიც რეალისტები არიან და არსებული კლასის აქტივებს განიხილავს შემოსავლის მიღების თვალსაზრისით. რაც ასევე რეალისტურად უნდა იქნას აღქმული.

ჯამში, ქვეყანას სჭირდება გარემო, სადაც ხელს შეუწყობენ:

- **ქართველი ინვესტორების პოზიციების გაძლიერებას (პოლიტიკური ლობიზმის საფუძველზე);**
- **ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდას;**
- **შიდა „ინვესტირების შიშის" შემცირებას;**
- **სახელმწიფო შესყიდვების ფოკუსირება ადგილობრივ პროდუქციაზე, რაც იმპორტზე დამოკიდებულებას შეამცირებს;**
- **ქვეყანას სჭირდება ადგილობრივ ინვესტიციებით გამყარებული ახალი ბიზნეს პროექტები**, ახალი ბიზნეს მოდელები, ინოვაციური შესაძლებლობების ქართული ბიზნესი, ადგილობრივ შესაძლებლობებ-ზე მორგებული მაღალტექნოლოგიური წარმოების პროგრამები;
- **ნაციონალური ინვესტიციების პოლიტიკური მხარდაჭერა, მძლავრი საზოგადოების, ახალი მილიონრებისა და ახალი ბიზნეს ელიტის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება;**

www.kvira.ge, 2 ოქტომბერი, 2017 წელი

1.33. არის თუ არა მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმა ეკონომიკის განვითარების გარანტი

როდის იგრძნობს საქართველოს საშუალო სტატისტიკური მოქალაქე მთავრობის მიერ დაანონსებული 4 პუნქტიანი ეკონომიკური გეგმის შედეგს საკუთარ თავზე. ამ თემასთან დაკავშირებით, გაზეთ "ბანკები და ფინანსების" ჟურნალისტთან ინტერვიუს იძლევა ეკონომიკის დოქტორი რატი აბულაძე.

- რამდენად შესწევს უნარი მთავრობის 4 პუნქტიან გეგმას, უპასუხოს იმ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს, რაც დღეს საქართველოში არსებობს?

- როგორც გეგმა და როგორც მიმართულებები მნიშვნელოვანია. ასახავს ჩვენი ქვეყნის ძირთად გამოწვევებს. აქ კი ეკონომიკაც, განათლებაც და სივრცითი

დაგეგმვაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, რომლის რეფორმირება აუცილებელია, იმისათვის, რომ ქვეყანამ იგრძნოს წინსვლა და თითოეულმა მოქალაქემ კეთილდღეობა. ჩამოთვლილთაგან უმაღლესი განათლება ყველაზე კარგად არის მოწესრიგებული და გარკვეულწილად შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს. **ჩვენ გვაქვს რეფორმის გამტარებელ პირთა დეფიციტი და არა რეფორმის დამგეგმავ პირთა დეფიციტი.**

-მთავრობაში კომპეტენციის ნაკლებობასთან გვაქვს საქმე?

ვიტყოდი, რომ მთავრობაში ზოგადად საკადრო პოლიტიკის ეფექტიანობასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, აქცენტები კეთდება დოქტორის ხარისხის მქონე პირებზე, სტრატეგიული უნარ-ჩვევების მქონე პირებზე. ხშირად საჯარო შეხვედრებზე აღვნიშნავთ, რომ ვყავს ბევრი მაგისტრი და გვყავს ბევრი მეცნიერი. აქცენტები არ კეთდება მაგალითად თანამშრომლობის ისეთ ფორმატში, რომ შეიქმნას თემატური ჯგუფები პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით. საჭიროა შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები სახელმწიფო პრობლემების შესწავლასთან დაკავშირებით.

- თქვენი აზრით, რა უფრო მნიშვნელოვანია მიმდინარე ეტაპზე, ლარის გაუფასურებისათვის ხელის არ შეშლა და ამით ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, თუ მისი დაჭერა გარკვეული ინტერვენციებით და ამით მრავალი კრედიტორის ვალდებულებების შემსუბუქება, რომლებსაც აქვთ სესხი დოლარში?

- თუ ვიტყვით, რომ მცურავი კურსია კარგი, მაშინ ამით საზოგადოება დაზარალდება და თუ აქცენტებს გავაკეთებთ მოკლევადიან პერსპექტივაზე, ბუნებრივია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს ექნებათ მოკლევადიანი ეფექტი. რამდენად ექნება გრძელვადიანი ეფექტი, ეს უკვე განპირობებულია, როგორია ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა. ვთქვათ, როგორია ზრდის ტემპი? ზრდის ტემპი შემცირდა 2.7%-მდე.

- მთავრობაში, პრივატიზაციის თემასთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადებები, თუმცა ისევ იმ 4 პუნქტიან გეგმას რომ დავუბრუნდეთ, საზოგადოებას აინტერესებს მოკლევადიან პერიოდში შედეგი საკუთარ თავზე, თითოეული საშუალო სტატისტიკური მოქალაქე მყავს მხედველობაში. ის პოლიტიკა რაც აიღო მთავრობამ, რამდენად შეიძლება რომ იყოს მოკლევადიან პერიოდში შედეგის მომცემი?

- მოცემულ შემთხვევაში შეიძლება თუ არა უფრო ადრე ყველაფრის მიღწევა, ეს დამოკიდებულია ორგანიზაციულ პოტენციალზე. თუ იქნება შესაბამისი საკადრო რესურსი, მაშინ შედეგების მიღწევა გაცილებით ადვილი იქნება. მოდით პირიქით დავაყენოთ საკითხი. **პირი, რომელიც არის მმართველობაში და რომლის შედეგი არის რაღაც N %, მისი შედეგი ისევ N % იქნება. მაქვს მოთხოვნები, რომ მან შედეგები აჩვენოს კონკრეტულ პერიოდში და თითოეული ჩვენთაგანი უნდა გაიზომოს შესაბამისი**

შედეგებით. მეორე საკითხი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენთან აქცენტები კეთდება პოლიტიკურ სისტემებზე ან პიროვნებებზე. აქცენტი უნდა გაკეთდეს ინსტიტუციის სიძლიერეზე. რამდენად არის მძლავრი ინსტიტუცია ან რა უშლის ხელს, რომ არ არის მძლავრი. უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი რესურსი ძალიან მძლავრია ქვეყანაში. რომლის გამოყენებაც არ ხდება.

- რატომ ხდება, რომ სახეზე გვაქვს აშკარად დევალვაცია, თუმცა დეფლაცია გვაქვს მინუს 2%, წინა წელთან შედარებით, ეს ფაქტორი როგორ შეიძლება ავხსნათ?

- ლარის ფაქტორის გაძლიერება ბევრ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, უცხოეთიდან შემოსული გზავნილები, პოლიტიკური სისტემების მერყეობა. ამ პერიოდში, ხელოვნურად ჩარევა საკმაოდ დიდ კვლევას და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ჩვენ გვრჩება ესეთი შთაბეჭდილება, დეკლარირებას ახდენენ კონკრეტული წინადადებების და შემდეგ ტესტავენ საზოგადოებაში. წინადადებებს, რომელსაც წამოაყენებენ უნდა იყოს წინასწარ გაზომილი, მაჩვენებლებით განსაზღვრული და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ გარკვეულ საკითხებზე.

- ფაქტია, რომ ძალიან სუსტია ჩვენი ეკონომიკა. რა უნდა გააკეთოს მთავრობამ მიმდინარე ეტაპზე და ასევე ეროვნულმა ბანკმა, რომ ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ ამ ადამიანებს ის ვალდებულებების, რომელიც იზრდება ყოველთვიურად?

- ეროვნული ბანკის მთავარი მოვალეობაა, რომ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები უფრო აქტიურად და თამამად გამოიყენოს. აქ მხოლოდ ეროვნულ ბანკზე არაა საუბარი, ასევე საუბარია მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც უნდა იყოს ქმედუნარიანი და შედეგის მომტანი, რაც უნდა აისახოს თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრების დონეზე. სამწუხაროდ, საშუალო სტატისტიკური ოჯახი ღარიბდება მიმდინარე პროცესების ფონზე. ასევე გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი, რომელიც მედიაში ჟღერდება ჩვენი კოლეგების მიერ, რომ მოხდეს არაპროფილურ სფეროში ბანკების გარკვეული უფლებების შეზღუდვა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ საკმარისად ჭარბი ფული დარჩეს ბიზნეს სექტორს და უფრო ხელმისაწვდომი იყოს სესხები და კრედიტები.

-ჩვენ სახეზე გვაქვს კონკრეტული პრობლემა, ეს არის ლარის კურსი. უნდა შევეგუოთ იმას, რომ ეროვნულ ბანკს არ შეუძლია კურსის დაჭერა?

- მოკლევადიანი ეფექტის მისაღებად შეუძლია. გრძელვადიან პერსპექტივაში კი ურჩევნია მცურავი იყოს. ის საზღვრავს რამდენად შეიძლება ჩაერიოს და რამდენად არა. მოვუწოდებ მთავრობას კონკრეტულად, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ქმედუნარიანი გარემო იქნას ფორმირებული. ძალიან ცოტაა ინსტრუმენტები, როგორიც არის საპრივატიზაციო ობიექტები, კრედი-ტების აღების შესაძლებლობა, გრანტის აღების შესაძლებლობა.

- მოდით ვისაუბროთ თუ რაზე უნდა გააკეთოს მაქსიმალური ორიენტირი მთავრობამ?

- ორიენტირი უნდა გააკეთოს აუთვისებელი ეკონომიკური რესურსების ათვისებაზე. მაგალითად, ციფრული ბაზარი, უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი და თუნდაც მოცემულ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სივრცეში არსებული კონკრეტული მიმართულებები. ამ ყველაფერს კი აუცილებლად სჭირდება ლიდერი, რომელიც თავად უხელმძღვანელებს ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

- კვირიკაშვილს აქვს თუ არა უნარი, რომ მოკლევადიან პერიოდში დაარეგულიროს ეს პრობლემა?

- ვფიქრობ რომ კი, ხელი უნდა შეუწყოს მმართველობითი გარემოს ტრანსფორმაციას ახალი ეფექტიანი და ენერგიული კადრებით შევსებას.

www.bfm.ge, 5 დეკემბერი, 2016 წელი

მეორე ნაწილი. 2012-2018 წლების საქართველოს პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა

2.1. ქართულ პოლიტიკას გლობალური გავლენა არ გააჩნია!

საქართველოს გლობალური გარემო განიცდის მძაფრ ცვლილებებს, სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, გლობალური კონკურენციის ზრდას, ეკონომიკური და სავაჭრო ზონების ზეგავლენის „გამოწვევებს", კიბერსაფრთხეებს, იძულებითი ემიგრაციის ზრდას, ახალი მსოფლიო პოლიტიკის ფორმირების გამოწვევებს.

არსებითია აღინიშნოს, რომ ჩვენ ვცდილობთ გლობალურ გარემოში ინტეგრირებას, ბიზნეს სექტორს მოვუწოდებთ გლობალურ ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრებისაკენ, მეცნიერ-მკვლევარებისა თუ სხვა სფეროს აქტივობას ვზომავთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ევროპული განათლების საფუძველზე განვიხილავთ კონკურენტუნარიან კადრებს. ამასთან, პოლიტიკურ სივრცეში გლობალური პოლიტიკის წარმოება და გლობალურ სივრცეში „კონკურენტუნარიანი" ქართველი პოლიტიკოსები არ ვიცით (არც ვზომავთ).

უკანასკნელ პერიოდში, ერში „არ აღმოცენებულა" გლობალური პოლიტიკოსი (მსოფლიო დონის მეცნიერების მსგავსად, მსოფლიო დონის პოლიტიკოსები არ გვყავს). ამიტომ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული პოლიტიკა საჭიროებს გლობალური პოლიტიკის ინსტიტუციურ მმართველებსა და გლობალური პოლიტიკური ინსტრუმენტების მართვის უნარის მქონე პირებს (და არა ინგლისურის მცოდნე პოლიტიკოსებს).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის უკანასკნელი ეპიზოდები გვიჩვენებს სახელმწიფო სისტემის ცვლილების საჭიროებას. ამასთან, აღნიშნული უნდა მოიცავდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებას ისეთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ პროცესებსა და ფუნქციებზე, როგორიცაა:

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების შედეგები;
- საჯარო სექტორის საკადრო პოლიტიკის არაეფექტიანობა;
- საჯარო სექტორში მეცნიერ-მკვლევარების მცირე რაოდენობა და იგნორირება;
- კონფლიქტების ესკალაციის არასრულფასოვანი პროგრამები;
- დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების არაეფექტიანი გზები.

კვლევები ადასტურებს, რომ საერთაშორისო წესრიგში საქართველოს წინსვლა შესაძლებელია პოლიტიკური ტაქტიკითა და გეოსტრატეგიული რესურსებით (გეოპოლიტიკური, ბუნებრივი, ტექნოლოგიური, ადამიანური რესურსი). ასევე, ევროპული ფასეულობის, ადამიანის უფლებებისა და

დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ამასთან მნიშვნელოვანია ლოკალური გამოწვევების დაძლევაც. პირველ რიგში, აღნიშნული მოცემულობის საფუძველს წარმოადგენს:

- **ერის ინტელექტუალური რესურსის მობილიზება;**
- **ტურბულენტურ პოლიტიკურ გარემოში, ერის პოლიტიკური კონსოლიდაცია;**
- **პოლიტიკური ლიდერის „აღმოცენებით“ სოციალურად დაუცველი ფენების გააქტიურება;**
- **ეკონომიკური პროგრამებით ბიზნესისა და სამოქალაქო შესაძლებლობების წარმოჩენა;**
- **საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის ამაღლება და შიდა კაპიტალდაბანდებების ზრდა;**
- **მორალური, სოციალური და იდეოლოგიური ზრდა;**
- **სტრატეგიებითა და გეგმებით მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნა.**

გლობალურ პოლიტიკურ ეპოქაში, ქართველი მეცნიერ-მკვლევარებიც წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ ძალას, რომლებიც ისწრაფვიან იმისათვის, რომ რეგიონში საქართველო გახდეს დომინირებული ქვეყანა, მოიპოვოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება, დაძლიოს ტერიტორიული გამოწვევები, დაიცვას ქართველი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი ფასეულობები და მისწრაფებები.

ფაქტია, რომ მეცნიერ-მკვლევარების რესურსი სახელმწიფო სისტემის ძლიერების გარანტიაა. აღნიშნული ჯგუფი ფლობს ფართო პოტენციალს, რათა უზრუნველყოს:

- ახალი პოლიტიკური ელიტისადმი საზოგადოების მაღალი ნდობა;
- საქართველოს მაღალი პოლიტიკური უსაფრთხოება, სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტიები;
- აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის ზრდა;
- საქართველოს ევროპული მისწრაფებების მსგავსად, ევროპული სტილის „ქცევები და აქტივობა“ (იგულისხმება საკადრო პოლიტიკა, სტრატეგიული დაგეგმვა, ეკონომიკური აქტივობა);
- საზოგადოებრივი „მოთხოვნების შესაბამისი“ სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების სისტემის ფორმირება, კერძოდ: მართვის შედეგების, რეფორმების საჭიროებებისა და მიზნების შესაბამისი ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბება და სამართლებრივი მონიტორინგი;
- ჯამში, საქართველოს მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფის პოტენციალი გარანტირებს, რომ სწრაფად მოხდეს საქართველოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოდერნიზება, შეიქმნას მძლავრი სახელმწიფო სისტემა და ევროპული ტიპის ეკონომიკა.

საქართველოს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ გარემოში, ქართველი მეცნიერ-მკვლევარები შექმნის გარემოს, სადაც:

- ქართული სახელმწიფოს ძლიერება ქართველი მეცნიერ-მკვლევარების რესურსს დაეფუძნება;
- საზოგადოებას ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ შექმნილი სტრატეგიები და გეგმები გააერთიანებს;
- საქართველოს რესურსს ქართველები გამოიყენებენ;
- ქართულ ბიზნეს გარემოში ქართული კაპიტალი წარმოჩინდება;
- წარმოებული იქნება გლობალური პოლიტიკა და ქვეყანა ლიდერ პოზიციას მოიპოვებს რეგიონში;
- დაცული იქნება იძულებით ემიგრაციაში მყოფი პირების უფლებები;
- საერთაშორისო ბაზრებზე მოხდება ქართული ბიზნეს ორგანიზაციების ლობირება (პროცესების კონტროლის მიზნით, აღმასრულებელ ხელისუფლებას, ბიზნესთან ექნება პირდაპირი კომუნიკაციების საშუალებები).

დაბოლოს, **შეიძლება აღინიშნოს, რომ პოლიტიკური და სოციალური გაკოტრების პირობებში, არსებული ვითარებიდან გამოსვლისათვის აღარ ამართლებს ძველი პოლიტიკური ტექნოლოგიები და ძველი პოლიტიკა. ამიტომ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენის მიზნით, საჭიროა:**

- **სახელმწიფოს გლობალური იმიჯის ზრდა (სახელმწიფო მარკეტინგის საფუძველზე) და იდეოლოგიის სრულყოფა;**
- **ახალგაზრდა პოლიტიკური ძალა, რომელიც ლობირებას გაუწევს მეცნიერებასა და განათლებას, ცენზსა და რეგალიას, პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას;**
- **ჯანსაღი და კოორდინირებული საზოგადოების მშენებელი მეცნიერ-მკვლევართა პოლიტიკური ჯგუფის ფორმირება;**
- **ჯამში, საზოგადოებამ უნდა „წარმოშვას“ სტრატეგიული უნარების ახალი პოლიტიკური რესურსი და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიმღები ახალი პოლიტიკური ძალა.**

www.kvira.ge, 30 მაისი, 2016 წელი

2.2. საქართველოს პოლიტიკური არქიტექტურა

კლიმატის ცვლილებები, პოსტკონფლიქტური იმიჯი, მეზობელ ქვეყანასთან დაძაბულობა, უსაფრთხოების პრობლემები, ევროპული ტიპის ეკონომიკის შექმნის დაბალი ტემპი, ძველი პოლიტიკა, გლობალური და ლოკალური გამოწვევები ასახვას ჰპოვებს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე.

ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკური პლატფორმის სადავეები არ ქმნის მოცემული გამოწვევების მოკლე პერიოდში დაძლევის შესაძლებლობას, ვერ ქმნის „ტექნიკური პოლიტიკური ბრძოლის“ შესაძლებლობას, ავლენს მხოლოდ გლობალური თანამშრომლობის საჭიროებას. აღნიშნული პროცესების მიზეზები მდგომარეობს ძველი პოლიტიკის ფუნდამენტში. ფუნდამენტს „ამყარებს“ ისიც, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების კალიგრაფია ერთმანეთის მსგავსია.

სამწუხაროდ, საზოგადოებაში ამკვიდრებენ ერთგვარ შეხედულებას, რომ ქვეყნის განვითარება „ათწლეულებსა და მომავალ ვექტორებშია“. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქვეყნის პროგრესის მიღწევა და აღმშენებლობა მდგომარეობს არა მომავალ დროსა და სივრცეში, არამედ ქვეყანაში არსებულ საკადრო პოლიტიკაში, არსებულ რესურსში, სტრატეგიებსა და ეფექტიან მართვაში. გლობალური გამოწვევების პირობებში, ქართული საზოგადოების გასაკეთებელი საქმე და „მდგრადი განვითარების პლატფორმა“ მხოლოდ საგარეო ვექტორებით არ გაკეთდება. ეს მხოლოდ არარეალური მოლოდინის შექმნაა.

აღსანიშნავია, რომ მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ნებისმიერი თანამშრომლობისათვის აუცილებელია ერთგვარი მორალური თანხმობა, დემოკრატიული ინსტრუმენტები, თანამშრომლობის მზაობა, ღიაობის ფორმატი, პოლიტიკური ნება და ტექნოლოგიური პლატფორმა. ფაქტობრივად ეს ყველაფერი „ვიზუალურად“ გვაქვს, თუმცა პრაქტიკულად „სუსტ დონეზე“.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ძველი პოლიტიკური კამპანიის მთავარი აქცენტი არის მეტი რეკლამა და „ცნობადი სახე“, ინფორმაციული პროპაგანდა და ძველი პოლიტიკით ძალაუფლების ფლობა. შედეგად, ქვეყანაში შესუსტებულია ხალხის ხმა და გვაქვს ერთგვარი ხილული თუ უხილავი გამოწვევები. ამიტომ ქვეყანაში:

- **გვაქვს უმუშევრობა და გვყავს უიმედო დასაქმებულები;**
- **არ გვყავს ტრანსნაციონალური თუ გლობალური კომპანიები.** უცხოურ გლობალურ კომპანიებს იმაზე მეტი შემოსავალი აქვს ვიდრე საქართველოს ეკონომიკაა (მათ შორის შეიძლება აღინიშნოს Walmart, Exxon Mobil, Apple, Berkshire Hathaway, UnitedHealth Group, McKesson, AT&T, Ford Motor, CVS Health, General Motors);
- **უცხოური კომპანიების შესაძლებლობებთან შედარებით ადგილობრივი მწარმოებლები არაკონკურენტულ პირობებში არიან**. აღნიშნული კი ქართულ ეკონომიკას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს;
- **ნაციონალურ სივრცეში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის არასაკმარისია ქართული კომპანიების ბიზნეს ინტერესების დაცვის მექნიზმები;**
- **ადგილი აქვს ქართული და უცხოური კაპიტალდაბანდებების დისბალანსს;**
- **არის პლურალისტური საზოგადოება და არარის საზოგადოების კოორდინაციის ძალის მქონე პოლიტიკური ჯგუფი/პირი;**

- **მემკვიდრეობით შემორჩენილი პოსტსაბჭოთა წყობისა და სისტემის ერთგვარი რთული გამოვლინებები.** ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საზოგადოების ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტებისა თუ უწყებებისადმი, მმართველობისა და ბიუროკრატიისადმი. შესაბამისად, „მცდარი სკეპტიციზმის“ დაძლევის, ნდობის ზრდისა და საზოგადოებრივი მხარდაჭერისათვის საჭიროა ადმინისტრაციული და პოლიტიკური ტრანსფორმაცია.

ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტიკური კლასი, ადმინისტრაციული და პოლიტიკური სისტემა, საჭიროებს რეფორმებს. პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ხალხს, ხოლო პოლიტიკურ სიტყვას უნდა ჰქონდეს ძალა.

თვალსაჩინოა, რომ საქართველოს პოლიტიკური არქიტექტურა ღია და თავისუფალია. თუმცა, წარმოდგენილია ძველი პოლიტიკით. თავის მხრივ ძველი პოლიტიკა მოცემულია განსაზღვრული პოლიტიკური ტრადიციებითა და ადათებით. ტრადიციებისა და ადათების მომხრე ვართ კულტურაში, საზოგადოებრივ წყობაში, მაგრამ განათლება, ეკონომიკა, პოლიტიკა, ტექნოლოგიები საჭიროებს ცვლილებებს, თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებას, თანამედროვე ბაზრის კონიუქტურის ცვლილებების შესაბამისად განვითარებას, გლობალური გამოწვევების შესაბამისი უნარების მქონე პოლიტიკოსების წარმოჩენას. (მაგალითად, საქართველოს უმაღლესი განათლება, განხორციელებული რეფორმების შედეგად ერთ-ერთი მოწესრიგებული და განვითარებული სფეროა, რომელიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და აღიარებულია მსოფლიოში. წინააღმდეგ შემთხევაში ჩვენ დროსა და სივრცეში დავშორდებოდით ევროპასაც და მსოფლიოსაც).

პოლიტიკაში ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების ჩართვა წარმოდგენილია ტრანსფორმაციის პოტენციალით, რომელიც სახელმწიფოს „ავალდებულებს“ ევროპული სტანდარტების დანერგვის, რეფორმირების, პროცესების ჰარმონიზაციის, მმართველობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას. ასევე, უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის, ტარიფებისა და სექტორების ლიბერალიზაციისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის ზრდას.

არსებითია აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის, ახალ რევოლუციურ ეპოქას ქმნის ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების რესურსი. აღნიშნული რესურსი, ქართული პოლიტიკისათვის, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროპული ტიპის ეკონომიკის ზრდის საფუძველი, ინსტიტუციური განვითარების რესურსი, დემოკრატიის ფუნდამენტი და პოლიტიკური განვითარების ბარომეტრი.

თანამედროვე მსოფლიოში, მეცნიერ-მკვლევარები ქმნიან „მდგრადი განვითარების გალაქტიკას“. აღნიშნული საზოგადოება ორგანიზებული და ცივილიზებულია, რომელიც არასდროს ეთანხმება სოციალურ-ეთიკური და პოლიტიკური ღირებულებების იგნორირებას, არაეფექტურ მმართველობით გადაწყვეტილებებს, სოციალ-ეთიკური პასუხისმგებლობის დარღვევას, ძველ პოლიტიკას და იმ პოლიტიკური აქტორების გავლენას, რომელთა პოლიტიკურ სიტყვას ფასი არ აქვს.

ამრიგად შეიძლება აღინიშნოს, რომ:

- დღეს სახელმწიფოს აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, ვიდრე ხალხის მოთხოვნებია, თუმცა რეალურად სახელმწიფო საზოგადოების მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს, ვერ ახდენს საზოგადოების კოორდინირებას, აქტივობის ზრდას, არ აქვს ზუსტი პროგრამები და სტრატეგიები. აღნიშნული იწვევს ახალი პოლიტიკის მამოძრავებელი ძალებისა და პოლიტიკური კრიტე-რიუმების შექმნის აუცილებლობას;

- ევროპული პარტიების მსგავსად, კარგი იქნება ქართული პარტიებიც შეფასდეს განსაზღვრული პოლიტიკური პროგრამებით, ეკონომიკური და პოლიტიკური კომპეტენტურობით, მეცნიერული უნარ-ჩვევების მქონე პოლიტიკოსებით, პროფესიონალიზმითა და ხარისხით, შედეგებითა და სტრატეგიული გეგმებით, სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშემწყობი ინიციატივებით;

- ძველი პოლიტიკა იმსახურებს მადლიერებასა და პატივისცემას. ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გლობალური და ლოკალური გამოწვევების მოთხოვნებიდან გამომდინარე ქვეყანა საჭიროებს ახალ პოლიტიკას, ახალ პოლიტიკურ რესურსს, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებით უნდა იყოს წარმოდგენილი;

- თუ პოლიტიკური ისტებლიშმენტი აღიარებს წამყვან რესურსად მეცნიერ-მკვლევარებს, ამას ბიზნეს სექტორიც მიბაძავს (როგორც არის ევროპასა თუ აშშ), და შესაბამისად, სწრაფად მივიღებთ პროგრესს, ინოვაციას, ზრდა-განვითარებას, ჯამში ევროპული ტიპის ეკონომიკას;

- ჩვენი სამართლებრივი გარემო, საგანმანათლებლო, დემოკრა-ტიული ფასეულობები შესაბამისობაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან, ანუ ევროპული ტიპისაა. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ეკონომიკაზე;

- მართალია, დღეს უმაღლეს განათლებას აკრიტიკებენ, მაგრამ ასეთი რეფორმირება პოლიტიკურმა გარემომაც რომ განიცადოს, შეიძლება აღმოცენდეს გლობალური პოლიტიკოსები, როგორც გლობალური მასშტაბის მეცნიერები გვყავს საქართველოში;

- საქართველოში არსებული არქიტექტურა (ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები) უფრო მეტ პოლიტიკურ ძალაუფლებას ასახავს, ვიდრე თვით პოლიტიკური არქიტექტურა;

- ჯამში, ქვეყანა პოლიტიკური კოალიციების ნაცვლად, ახალ პოლიტიკას საჭიროებს.

www.commersant.ge, 27 ივნისი, 2016 წელი

2.3. პოლიტიკური სივრცე შესაცვლელია

საქართველოს პოლიტიკურმა სივრცემ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, ველარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ვერ ითვისებს არსებულ რესურსებს. შესაბამისად, საჭიროებს გარდაქმნას და ითხოვს ცვლილებებს.

არსებითია აღინიშნოს, რომ ახალ გამოწვევას არსებული პოლიტიკური სივრცის ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რესურსით ჩანაცვლება წარმოადგენს.

დღეს, ქვეყანაში, ხორციელდება ყველა დარგის რეფორმირება და გარდაქმნა. წარმოებს ყველა სფეროს ახალი რესურსით შევსება, თანამედროვე გარემოს მოთხოვნებთან ადაპტაცია, მათი საექსპერტო შეფასება და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ერთადერთი პოლიტიკური სფეროა დარჩენილი, სადაც ჯერ კიდევ ვერ ხორციელდება ძირეული ცვლილებების უზრუნველყოფა.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში, როგორც საქართველოს ბიზნეს გარემო, თუ სამართლის სისტემა საჭიროებს რეფორმას, ისე პოლიტიკური გარემოც საჭიროებს რეფორმირებასა და ტრანსფორმირებას.

იმისათვის, რომ საქართველომ სწრაფად შეძლოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, საჭიროა პოლიტიკური გარემოს ტრანსფორმაცია, ახალი პოლიტიკური ძალისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა პოტენციალზე დაფუძნებული პოლიტიკური სპექტრის ფორმირება. ამისათვის, მიზანშეწონილი იქნება არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსები შეფასდეს:

- პოლიტიკური წარსულით (სახელმწიფო საჭიროებს „ახალ პოლიტიკურ საზოგადოებას", „ძველი პოლიტიკური საზოგადოების" შედეგებს უკვე ვიმკით);
- განათლებისა და ცენზის მიხედვით (მეცნიერ-მკვლევარებს გააჩნიათ დოქტორის ხარისხი);
- საზოგადოების კოორდინირებისა და მობილიზების შესაძლებლობებით; საზოგადოებასთან მუშაობის უნარ-ჩვევების მიხედვით (მეცნიერ-მკვლევარები ფლობენ საჭირო უნარ-ჩვევებს);
- გლობალური და ლოკალური გამოწვევების შესაბამისი სტრატეგიული მიდგომებით.

რა თქმა უნდა პარლამენტარის შეფასების „უნივერსალური ინდიკატორი" არ არსებობს, თუმცა, სახელმწიფოს გამოწვევებსა და საზოგადოების მოთხოვნებს პასუხობს, სწორედ: განათლების ხარისხი, ცენზი, საზოგადოების მხარდაჭერა, პროფესიული უნარ-ჩვევები, შრომის ნაყოფიერება, სოციალური სტატუსი, მსოფლმხედველობა. ასევე, მოსალოდნელი შედეგები, რომლის მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს.

სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობა უნდა გახდეს იმდენად მაღალი პასუხისმგებლობითა და სამართლებრივი ვალდებულებებით განმტკიცებული,

რომ მთავრობაში მუშაობა მოქალაქისათვის (ხელფასის გამო), ანგარიშვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სიმკაცრის შიშით ადვილად მისაღები არ იყოს.

მეცნიერ-მკვლევართა რესურსი იგნორირებულია „პოლიტიკური ამბიციებით“

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აღნიშნა, რომ პოლიტიკოსები უნდა „ემსახურონ საკუთარ ნაციას და არა თავის ამბიციას“.

აშშ შესაძლებლობების ქვეყანაა, სადაც მთავრობა მაქსიმალურად იყენებს მეცნიერ-მკვლევართა და ინტელექტუალთა რესურსს. საქართველოში კი:

- მთავრობა ვერ იყენებს მეცნიერ-მკვლევართა რესურსს. მეცნიერ-მკვლევართა პროექტები, კვლევები, რეკომენდაციები, საზოგადოებ-რივი აქტივობები იგნორირებულია „პოლიტიკური ამბიციებით“;
- შესაძლებლობების წარმოჩენა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული;
- არ ფასდება განათლების ცენზი, დოქტორის ხარისხი, პროფესიული მიღწევები, საზოგადოებრივი აქტივობები, ახალი ენერგია და პროდუქტიულობა;
- დღეს არსებული პოლიტიკური გარემოს „თანხმობის გარეშე“ კარიერული ზრდა-განვითარება ფაქტობრივად შეუძლებელია;
- რესურსამოწურული პოლიტიკური გარემო ახალ ძალას (ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებს) „გასაქანს არ აძლევენ“. შესაბამისად, გვაქვს გარემო სადაც ახალი კადრი და ახალი რესურსი „არ ჩნდება“.

ევროპული ტიპის ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის საჭიროა ახალი პოლიტიკური ძალა, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რესურსის გამოყენება (რაც ევროპულ სივრცეშია აპრობირებული), მათი სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ჩართვა შესაძლებელობებისა და უნარებითაა განპირობებული (და არა „ნაცნობობით“).

სამწუხაროდ, საქართველოში ცდილობენ დაამკვიდრონ სტერეოტიპი იმისა, რომ:

- **ქვეყანაში მიღებულ ცოდნას საზღვარგარეთ მიღებული განათლება ჯობია, რადგან მეტია დასაქმების შანსი. რეალურად, ქვეყანაში დასაქმების შანსები ძალიან დაბალია, ვაკანტური ადგილების სიმცირის გამო, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა დაბალია. ზემოაღნიშნული სტერეოტიპის თანახმად, საზოგადოების ყურადღების გადატანას ისეთ საკითხებზე, რომელიც ფაქტობრივად დროის გაყვანას და პრობლემების გადაბრალებას ემსახურება;**
- **საქართველოში, წარმატების მიღწევა დამოკიდებული არაა ცენზე, უნარ-ჩვევებსა და პოტენციალზე. პოლიტიკური წარმატება**

რეკომენდაციებითა და პოლიტიკური ერთგულებითაა განპირობებული;

- **მერე რა რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არაა. მაინც „შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველს“ ანუ არსებული პოლიტიკური სპექტრი უნდათ, რომ უცვლელად დარჩეს;**
- **ეკონომიკური პრობლემები შოკების ბრალია და არა პასუხისმგებელი უწყებების, რომლებსაც შოკებისაგან თავი უნდა დაეზღვიათ;**
- **ქართველი სპეციალისტების დაქირავებას, უცხოელი სპეციალისტების დაქირავებას ამჯობინებენ. მათი დაქირავება უფრო „სტრატეგიულია“ და პოპულარული;**
- **ეროვნულ სტრატეგიებსა და პროექტებს უცხოელები ქმნიან. პირველი იმიტომ, რომ პასუხს მათ ვერავინ მოთხოვს. მეორეც, ქართველი სპეციალისტები საკითხს კომპლექსურად, რომ შეისწავლიან, მრავალ პრობლემას გამოიტანენ დღის სინათლეზე. აღნიშნული კი პოლიტიკურად არამომგებიანია. მესამე, ქართველი მეცნიერები დასაქმდებიან, თავს გამოიჩენენ და შეიძლება „პოლიტიკური წონაც“ მოემატოთ. დაბოლოს, ქართველ სპეციალისტებთან ურთიერთობა მმართველობით უნარ-ჩვევებსა და სტრატეგიულ აზროვნებას საჭიროებს, რომლის დეფიციტიც ნამდვილად გვაქვს ქართულ პოლიტიკაში;**
- **რეფორმების შექმნა, პოზიტიური მომავლის ილუზიას ქმნის. შექმნილი რეფორმების განხორციელება კი რისკის საკუთარ თავზე აღებასთან, ორგანიზაციულ ნიჭთან, სტრატეგიულ უნარებთან, „თბილი სავარძლის“ დაკარგვის საშიშროებასთან, პასუხისმგებლობის ზრდასთანაა დაკავშირებული.**

ფაქტია, რომ დღევანდელი პოლიტიკური რესურსის პირობებში, სახელმწიფოს განვითარების არსებული ტემპი, საკმარისი არაა. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზრდისა და სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით საჭიროა ახალი პოლიტიკური რესურსი და ახალი პოლიტიკური ძალა (აღნიშნულ ძალას ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები უნდა წარმოადგენდეს).

ქვეყანა ინერციით ვითარდება. საქართველო სასიცოცხლოდ საჭიროებს ქარიზმატული ლიდერებს, რომელიც გლობალური თუ ლოკალური გამოწვევების პირობებში: ქუდზე კაცს გამოიყვანს, ხელში იარაღს (შრომის იარაღებს) ააღებინებს, „ქვეყანას ააგუგუნებს“, შეძლებს თამამი რეფორმების გატარებას და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. გახდება ეკონომიკური აქტივობის ზრდისა და საზოგადობის ერთიანობის სიმბოლო.

საჭიროა, რომ საქართველოში, განათლების მიღებასა და დოქტორის ხარისხს ფასი გააჩნდეს, სახელმწიფომ დააფასოს ეროვნული განათლების სისტემის პროდუქტი, აითვისოს ეროვნული უმაღლესი განათლების პოტენციალი და ხელი შეუწყოს განათლების ექსპორტს.

ამრიგად, თანამედროვე პოლიტიკოსის „ანატომია“ საჭიროებს მეცნიერის პოტენციალს, განათლების ცენზს, კვლევისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს, სტრატეგიებისა და პროექტების შემუშავების ცოდნა-გამოცდილებას, ექსპერტული დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენის შესაძლებლობას, საზოგადოების ინსპირირებისა და ნდობის მოპოვების ძალას.

ჯამში, ახალი პოლიტიკური რესურსი და ახალი პოლიტიკური ძალა, ცენზით, სუფთა პოლიტიკური წარსულით, ახალგაზრდული ენერგიითა და გარემოს შესაბამისი უნარ-ჩვევებით, მოკლევადიან პერსპექტივაში შექმნის ეკონომიკურად ევროპული დონის ქვეყანას.

გაზეთი “ვერსია”,www.versia.ge/, 17 თებერვალი, 2016 წელი

2.4. ქართული საზოგადოების პოლიტიკური მოლოდინი

მოქალაქეს დაბადებიდან აკისრია მოვალეობები და მინიჭებული აქვს უფლებები.მოქალაქე ვალდებულია იზრუნოს სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, იყოს აქტიური და სახელმწიფო მართვაში ჩართული. ტენდენციები ცხადყოფს, რომ მისწრაფება და სურვილი თეორიულად არსებობს, თუმცა პრაქტიკულად რამდენად არსებობს სამოქმედო პლატფორმა და საჯარო სტრუქტურების მიერ რამდენად შედეგიანად ხორციელდება საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფორმატი რთულად სათქმელია.

დღეს, ქართულ საზოგადოებას გათვითცნობიერებული აქვს, რომ ქვეყნის განვითარების ძირითადი რესურსი არის ხალხი, რომელიც:

- ამოძრავებს დემოკრატიას და გააჩნია პოლიტიკური ინსტრუმენტები ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;
- ხელს უწყობს მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნას;
- თვითინიციატივითა და ერთგვარი წესთა ერთობლიობით მიმართულია გლობალური თუ ლოკალური გამოწვევების დაძლევისაკენ;
- საინიციატივო ჯგუფებისა თუ პროფესიული პლატფორმების ფორმირებით ცდილობენ აღმასრულებელ უწყებებთან თანამშრომლობას. თუმცა, საქართველოში აღნიშნული ფორმის თანამშრომლობა იშვიათად ხდება. შესაბამისად, ქვეყანა აღნიშნულ რესურსს ვერ/არ იყენებს;

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მოქალაქეობრივი აქტივობის პროცესის შედეგები უცნობია. საინიციატივო ჯგუფების (განსაკუთრებით მეცნიერ-მკვლევარების) აქტივობებს არ ექცევა ყურადღება მთავრობის მიერ. მაგალითად, საზოგადოებრივ სივრცეში ხშირია სახელმწიფოსათვის რეკომენდაციების წარდგენა, სტრატეგიის მიწოდება, სხვადასხვა სპექტრის წინადადებების შეთავაზება. თუმცა, ქვეყანაში ასეთი ტიპის თანამშრომლობის ფორმა ან

იგნორირებულია ან შედეგი არ აქვს. ასევე, არც მეცნიერ-მკვლევარები განიხილება ქვეყნისათვის სტრატეგიულ რესურსად. შესაბამისად, სახელმწიფოში მცირეა ახალი პროექტები, ზოგადია ახალი პროგრამები, ბუნდოვანია ახალი ვექტორები.

აღსანიშნავია, რომ მთავარია არა მთავრობისა და ხალხის თანამშრომლობის, კომუნიკაციის თუ მართვაში ჩართულობის „უბრალოდ ფაქტი თუ პროცესი", არამედ მოქალაქეებთან თუ აკადემიურ სექტორთან კომუნიკაციის შედეგები.

წესით, მოქალაქეებთან რომ ითანამშრომლო, მინიმუმ აკადემიურად უნდა იაზროვნო, კომპლექსურად იცოდე საკითხი, იცოდე მეცნიერული ინსტრუმენტები, ფლობდე მმართველობით უნარ-ჩვევებს, იცოდე კვლევა, ანალიზი და სინთეზი. საზოგადოება, საჯარო მმართველებისაგან ითხოვს კომპეტენტურობასა და კონკრეტული დარგის კომპლექსურ ცოდნას. მხოლოდ ამის საფუძველზეა ადვილი სწორი პროგნოზების გაკეთება, დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა, რაც ჯამში ასახული იქნება კანონების, სამთავრობო პროგრამებისა და განვითარების სტრატეგიების შექმნით.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კვლევის შედეგები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამასთან, პოლიტიკური კვლევების შედეგად წარმოდგენილი არაა პოლიტიკური ცვლილებების საჭიროება. მის ნაცვლად ნაჩვენებია ძველი პოლიტიკისათვის სასურველი შედეგები, პოლიტიკური პარტიებისათვის „საჭირო რეიტინგები". ჯამში, კვლევებით „დადასტურებულია" ძველი პოლიტიკური გარემოს საჭიროება და უცვლელობა.

დამაინც, ქვეყანაში საზოგადოებრივი აქტივობისა და განვითარების „გასაღებს", საპარლამენტო არჩევნებში გასული პოლიტიკოსები ფლობენ. შესაბამისად, საპარლამენტო არჩევნების ფონზე, საქართველოს საზოგადოების მოლოდინიც მაღალია, მათ შორის:

- განათლებისა და ცენზის მიხედვით დაფასება, ჯეროვანი სახელფასო და საპენსიო ანაზღაურება, დასაქმებისა და კარიერული წინსვლის დადგენილი პირობები, სოციალური და პერმანენტული განვითარების პირობები;
- ხელისუფლების კონფიგურაცია უნდა ეფუძნებოდეს კომპეტენტურ, დარგის კომპლექსურად მცოდნე საჯარო მოხელეებსა და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მათ შედეგებსა და მიღწევებს;
- ქვეყანაში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს მუდმივად პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე საუბარს, გამოწვევების სხვებზე გადაბრალებით „განტევების ვაცის" ძიებას. მხოლოდ კომპლექსური ცოდნის საფუძველზეა ადვილი სწორი პროგნოზების გაკეთება, დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა, რაც ჯამში წარმოდგენილი იქნება კანონების, პროგრამების, სტრატეგიების შექმნით;
- გარანტირებული უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების თითოეულ წარმომადგენელზე დაკისრებული ვალდებულებების

შესრულება, ღიაობის უზრუნველყოფა, ეთიკური პრინციპების დაცვა. ეს კი მიღწევადია უფლება-მოვალეობების სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრების საფუძველზე.

კვლევები ცხადყოფს, რომ ხალხის მოლოდინი მიღწეული იქნება, თუ ქვეყანაში გაიზრდება:

- საზოგადოების აქტივობა და ჩართულობა სახელმწიფო მართვაში;
- მთავრობასთან თანამშრომლობის ფორმები და პლატფორმების მრავალფეროვნება, რაც ჯამში ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების ეფექტიანობის ზრდას;
- საჯარო მმართველობის ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა, ვალდებულება და ანგარიშვალდებულება;
- ახალგაზრდა, „პოლიტიკურად სუფთა“ მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა რესურსამოწურულ პოლიტიკურ გარემოში;
- ანგარიშვალდებულების მონიტორინგი, გამჭვირვალობის ზრდისათვის;

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ინფორმაციის ქაოსში, სადაც ძველი პოლიტიკა, ხალხის დაყოფას ახდენს კრიტიკოსებად (ოპოზიცია) და მომხრეებად (პოზიცია), ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ:

- ჩვენ ვართ ჩვენი სამშობლოს “აკადემიური ჯარისკაცები” და ვემსახურებით ქართულ სახელმწიფოს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არაეფექტიან და უშედეგო მართვას მოვუძებნით ნათელ მხარეებს და საზოგადოებას შეცდომაში შევიყვანთ;
- ჩვენს მიერ პრობლემებისა და გამოწვევების შეფასება ისედაც „შელამაზებული და რბილად გადმოცემულია“. ჩვენი აქცენტები მიმართულია პიროვნებების შესაბამისი პატივისცემის, პოლიტიკური სიტყვის ზრდის, პოლიტიკური გარემოს ძლიერებისა და მძლავრი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებისაკენ. შესაბამისად, ჩვენ, პოლიტიკური გარემოს შეფასებას არ ვახდენთ კონკრეტული პირებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველზე;
- ჩვენი დასკვნები და რეკომენდაციები ემსახურება სახელმწიფოს კეთილდღეობაში წვლილის შეტანას. სახელმწიფოს კეთილდღეობაზე პრაქტიკულ ზრუნვას (და არა კრიტიკას ან მხარდაჭერას);
- ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერ პოლიტიკოსს (პოზიციას თუ ოპოზიციას) სურს, როგორც ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა, საკუთარი თავის დამკვიდრებას, ისე ქვეყნის მშენებლობაში წვლილის შეტანა, ისტორიაში ჯეროვანი ადგილის დამკვიდრება. თუმცა, რამდენად შესაბამისია საზოგადოების მოთხოვნებისადმი აღნიშნული სურვილები თუ მისწრაფებები, რამდენად აქვს ამის რესურსი (ინტელექტუალური, ორგანიზაციული) და პოტენციალი ამას მიღწეული შედეგები გვიჩვენებს;
- აღვნიშნავ, რომ ჩვენ ვემსახურებით სახელმწიფო სისტემას, ლეგიტიმურ ხელისუფლებას. ამასთან, გვინდა ისეთი სახელმწიფო

სისტემა, რომელიც იქნება ხალხზე მორგებული და არა მმართველის პოტენციალზე მორგებული. გვინდა ისეთი მმართველობითი გარემო, სადაც „პოლიტიკურ ძალაუფლებას“ ექნება ვადა და „სხვადასხვა ფორმით“ შთამომავლობით გადაცემული არ იქნება. აღნიშნული მიდგომა შექმნის ძლიერ სახელმწიფოს სისტემის;

- დაბოლოს, სოციუმი თუ უფრო აქტიური იქნება (განსაკუთრებით პოლიტიკაში), ბუნებრივია სახელმწიფოს კეთილდღეობის ზრდა, დემოკრატიის მდგრადობა და საზოგადოების კეთილდღეობა მაღალი იქნება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სოციუმის აქტივობას ქმნის ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერები რომელსაც ქართული საზოგადოება წარმოშობს.

www.kvira.ge, 1 ივლისი, 2016 წელი

2.5. ქართული პოლიტიკური ძალაუფლების შედეგები

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა ძალაუფლების რესურსის შეფასების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სივრცე საჭიროებს რადიკალურ რეფორმირებასა და ახალ პოლიტიკურ რესურსს, რადგან არსებული პოლიტიკური რესურსის შედეგები უკვე მოვიმკეთ. შესაბამისად, ქართული ძალაუფლების არსებული რესურსის ფონზე, პოლიტიკური გარემო:

- წარმოჩენილია „ქაოსის ელემენტებით“ და „დახურული სამთავრობო სივრცის სახით“, რომელიც ინერციით მოქმედებს (არ ვითარდება);
- რესურსამოწურულია, რომელიც თავისი პროფილური ფუნქციების შესრულებას „აუთსორსინგის მექანიზმებით ახდენს;
- წარმოდგენილია სახელმწიფოს 14,97 მლრდ დოლარის საგარეო ვალით, უმუშევრობით, იძულებითი ემიგრაციის დიდი მასშტაბით, კონფლიქტური რეგიონებით;
- წარმოდგენილია გაუფასურებული პოლიტიკური კაპიტალით;
- წარმოდგენილია განვითარების „პოლიტიკური სურვილებითა“ და საერო ლიდერის მოლოდინით;
- წარმოდგენილია ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შესაბამისი სტრატეგიებითა და პროგრამებით.

დღეს, პრობლემებზე ყველა საუბრობს - საზოგადოება, ბიზნეს სექტორი, პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებიც კი. „წესით“, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები უნდა საუბრობდეს მიღწევებზე, პროგრესზე, გამოწვევების დაძლევის არგუმენტირებულ ღონისძიებებზე, ოპტიმისტურ პროგნოზებსა და პრობლემების დაძლევის გზებზე. იმ შემთხვევაში, თუ

პრობლემების განხილვა საჯაროდ ხდება (ერთეულ შემთხვევაში), ეს ნიშნავს, რომ დამოუკიდებლად მისი დაძლევის საკმარისი ძალა არ შესწევს.

სამწუხაროდ, ქვეყანაში, არსებული ტენდენციით ფაქტობრივად წაიშალა აღნიშნული წესები. აღნიშნულმა მოცემულობამ კი გამოწვია, როგორც პოლიტიკური რესურსის გაუფასურება, ისე ხელისუფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი ნდობის შემცირება.

გლობალური კონფლიქტები გვიჩვენებს, რომ მალე დადგება ის დრო, როდესაც საქართველო საკუთარი პრობლემების წინაშე მარტო აღმოჩნდება. შესაბამისად, სახელმწიფოს მზადყოფნისათვის საჭიროა მარაგები და რეზერვები, რესურსები და ანტიკრიზისული გეგმები, კოორდინირებული საზოგადოება და მძლავრი სახელმწიფო სისტემა. სამწუხაროდ, არათუ მომავალი გამოწვევებისათვის ვართ მზად, არამედ დღევანდელი დღეც „ინერციით მიდის".

აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ არ გაგვაჩნია ანტიკრიზისული გეგმები, განვითარების ხელშემწყობი პროგრამები (ეფექტიანი), ეკონომიკა დამოკიდებულია უცხოურ კაპიტალზე, ქვეყანაში კარიერული წინსვლა-ზრდა დამოკიდებულია „სოციალურ კავშირებზე", პოლიტიკური სირთულეებისაა ცალკეული დარგის რეფორმირება (საბიუჯეტო ხარჯების ზრდა არ გულისხმობს დარგის რეფორმირებას!).

ქართული პოლიტიკური გარემოს ანალიზის საფუძველზე შეიძლება წარმოვაჩინოთ შემდეგი გამოწვევები: მოკლე პერიოდში ქვეყნის განვითარების პრობლემები, პოლარიზებული საზოგადოების გაერთიანების პრობლემა, შოკებისა და გამოწვევების დაძლევა, გლობალური გამოწვევებისადმი მზადყოფნა. ასევე, სირთულეები რეფორმების გატარებაში, სირთულეები ეკონომიკურ-პოლიტიკაში.

რეფორმების სირთულე მდგომარეობს შემსრულებელთა კომპეტენციებში, უნარ-ჩვევებსა და ძალაში. ხაზგასასმელია, რომ თუ კონკრეტულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს არ შეუძლია სფეროს მოწესრიგება, ეს არ ნიშნავს, რომ ამ სფეროს მოწესრიგება შეუძლებელია. იგი შესაძლებელი იქნება ახალი პოლიტიკური ისტებლიშმენტის პირობებში.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ცალკეული სფეროს პრობლემების სპექტრსა და დაკავშირებულ სირთულეებს. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული სირთულეების დაძლევის გზები ცალკეულ შემთხვევაში ბუნდოვანია. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი გამოწვევებით:

- პრობლემების სრული სურათი ნათელი არაა (მაგალითად, ინტერნეტ-ბაზრის), შესაბამისად დაძლევის გზებს სწორად ვერ დასახავ;
- განიხილება ცალკეული სფეროს პრობლემები, მაშინ როდესაც მისი რეფორმირება საერთოდ არ განხორციელებულა;
- საუბრობენ პოლიტიკურ ცვლილებებზე, მაშინ როდესაც მათ ხელში იყო პოლიტიკური ცვლილებების ინსტრუმენტები (4 წლის განმავლობაში) და არ გამოიყენეს;

- განიხილავენ ქვეყნის განვითარების სტრატეგიებს, როდესაც პრობლემებს უცხოელები სწავლობენ და სტრატეგიასაც ისინი წერენ;
- განიხილავენ კადრების დეფიციტის პრობლემებს, მაშინ როდესაც სახელმწიფო უწყებები იგნორირებას უკეთებს ადგილობრივ კადრებს, ახალგაზრდა სპეციალისტებსა და დოქტორის ხარისხის მქონე პირებს;
- განიხილავენ სახელმწიფოს კეთილდღეობის ხელშემშლელი გლობალურ ფაქტორებს, მაშინ როდესაც ლოკალური ფაქტორები დაძლეული არაა;
- განიხილავენ ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის საჭიროებას არსებული პოლიტიკური ძალების მოდიფიკაციის ხარჯზე;
- განიხილავენ სახელმწიფოს მშენებლობას ისევ იმ რესურსით, რომლის „შედეგებსაც ვიმკით“.

ყველაფერი იზომება შედეგებით. მმართველობის ეფექტიანობას თუ შემოსავლებით, კეთილდღეობის მაჩვენებლებითა და სახელმწიფოს მშენებლობის მასშტაბებით გავზომავთ, აღმოჩნდება, რომ დაგეგმილი და მოსალოდნელი შედეგები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ასეთი შედეგი კი ახალ რესურსსა და პოლიტიკურ ცვლილებებს საჭიროებს .

ქვეყანაში, პოლიტიკური გარემოს ცვლილების არგუმენტს წარმოადგენს შემდეგი ფაქტორი:

- მშვიდობიანი მსოფლიოს პირობებში საქართველოს განვითარება და მდგრადობა ჯეროვანი არ იყო, შესაბამისად, კონფლიქტური კავკასიის შემთხვევაში არსებული პოლიტიკური რესურსი არ იძლევა მდგრადობის მყარ გარანტიებს;
- ვიცით არსებული პოლიტიკური რესურსის სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური შედეგები, შესაბამისად საჭიროა ახალი რესურსი, ახალგაზრდა ძალა და ენერგია, ახალი მიღწევებისა და პროგრესის მიღწევისათვის;
- ჩვენ გვინდა შევქმნათ ევროპული ტიპის ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც ევროპული და ევროატლანტიკური ანალოგიის საკადრო პოლიტიკა და რესურსი იქნება. ფაქტობრივად, უნდა მოხდეს საკადრო პოლიტიკის წარმოება დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, რაც გულისხმობს ხელისუფლებაში მეცნიერ-მკვლევარების როლის ზრდას;
- ქვეყანას ჰყავს სულიერი ლიდერი და ველოდებით საერო ლიდერის „წარმოჩენას“, რომელიც შეძლებს საზოგადოების გაერთიანებას და მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნას.

ჩვენ ვცდილობთ „მეცნიერული მიდგომებით“, კვლევებით, ანალიზით, სტრატეგიების შემუშავებითა და პროგრამების წარდგენით საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. გვინდა ქვეყანაში : ერთგვარ სტანდარტად იქცეს სახელმწიფო პრობლემების გადაჭრა საზოგადოების სამივე სექტორის თანამშრომლობით (განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების

რესურსის გამოყენებით); მინიმუმამდე დავიდეს „სუბიექტური შეფასებებითა“ და ზოგადი ფრაზეოლოგიით ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის პრაქტიკა; სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა სიტყვას, შეფასებებსა და პროგნოზს ჰქონდეს „პოლიტიკური ძალა“.

დასასრულს, ვიტყვით, რომ საქართველოს პოლიტიკური გარემოს რეფორმირებისა და ახალგაზრდა მეცნიერებით შევსების „გასაღები“, რათქმაუნდა ღირსეული ერისკაცების ხელშია, რომელთაც სურთ „ახალგაზრდული ენერგიისა და გამბედაობის მქონე ინტელექტუალების“ ქვეყნის მმართველობაში ჩართვა.

www.kvira.ge, 7 აპრილი, 2016 წელი

2.6. ახალ პოლიტიკურ ეპოქაში არსებული ძველი პოლიტიკა

ქართული პოლიტიკური პროცესების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებული გამოწვევების პასუხი პოლიტიკურ ფუნდამენტშია. მოცემული ფუნდამენტი კი საჭიროებს ახალი პოლიტიკური ჯგუფებისა და ახალი პოლიტიკური რესურსის ფორმირებას .

არსებითია აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი საპარლამენტო არჩევნებია. წესით, არჩევნებმა, საქართველოს პოლიტიკაში, ახალი ხანა უნდა შექმნას, თუმცა ახალ ხანას ახალი პოლიტიკური რესურსი ქმნის, ხოლო დღევანდელი პოლიტიკური ლანდშაფტი მხოლოდ ძველი პოლიტიკითა და მიკრო მმართველობებითაა წარმოდგენილი.

ქვეყანაში, არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოწვევები, მათ შორის შეიძლება აღინიშნოს: ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, უთანასწორობა, დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების პრობლემები, იძულებითი ემიგრაცია, შენელებული პროგრესი და სხვა სახელმწიფოებრივი საკითხები. აღნიშნული ასპექტების საფუძველს წარმოადგენს „ძველი პოლიტიკა“ და მისი მოცემულობა, ხოლო ახალი პრობლემები უნდა განვიხილოთ მის დანამატად.

დღეს, ახალი პოლიტიკური რესურსის არარსებობის გამო, პოლიტიკური გარემო უფრო მუტაციას განიცდის, ვიდრე ახალი პოლიტიკური გარემოს ფირმირებას. შესაბამისად, გლობალური და ლოკალური გამოწვევები განაპირობებს პოლიტიკური ცვლილებებისა და ახალი პოლიტიკური შესაძლებლობების მქონე რესურსის საჭიროების აუცილებლობას (აღნიშნულ რესურსს ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები წარმოადგენს). აღნიშნული ცვლილებები, ქვეყანაში შექმნის ახალ პოლიტიკურ ეპოქას.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო ახალ პოლიტიკურ ეპოქაში:

- **წარმოდგენილია „ძველი პოლიტიკითა“ და ძველი პოლიტიკური ტექნოლოგიებით;**
- **წარმოდგენილია „მიკრო მმართველობებით“;**

- **მაღალია იდეოლოგიური განსხვავებები და საზოგადოებრივი პრეტენზიების ტონი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიმართ;**
- **ძველი პოლიტიკა არ არის სიცოცხლისუნარიანი და ჯანმრთელი";**
- **ქვეყნის მართვაში იგნორირებულია მეცნიერ-მკვლევარის რესურსი და როლი;**
- **დაბალია საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფო მმართველობაში;**
- **საარჩევნო სუბიექტებს წარმოადგენს ის პოლიტიკური გარემო, რომლის ფესვები ღრმაა, თუმცა უნაყოფო;**
- **დაბალი საარჩევნო ბარიერის გამო, ძველი პოლიტიკის მომავალი პრაქტიკულად გადაწყვეტილია** (ხოლო იმ პოლიტიკური ჯგუფის გამარჯვების შანსი, ვინც ბურთს გუნდში არ თამაშობს, ფაქტობრივად ნულის ტოლია,);
- **პოლიტიკურ გარემოში არ გვხდება ინოვაციური პოლიტიკური ტექნოლოგიები, ახალი პოლიტიკური ინსტრუმენტები.** პოლიტიკური კონკურენცია არ წარმოებს სტრატეგიებითა და პროგრამებით. პოლიტიკურ სივრცეში მაღალ ხმაზე ისმის დაბრალება-ცილისწამების ტონი, ნაცვლად იმისა, რომ კონკურენცია წარმოებდეს სახელმწიფოებრივი იდეების, სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და სამეცნიერო-ანალიტიკური აზროვნების მქონე პირების, კანონშემოქმედებითი გეგმებისა და პროექტების საფუძველზე;
- **პოლიტიკური გარემო ვერ/არ იღებს ახალი წევრების დიდ ნაკადს. შესაბამისად, არც ახალი წევრები ირჩევს პოლიტიკურ ლიდერებს. ამდენად, საარჩევნო პასუხისმგებლობა დაბალია როგორც არსებული პოლიტიკურ არენაზე, ისე „პოლიტიკურ კულისებშიც".**

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურ კონფრონტაციულ გარემოში, სახელმწიფოს საერო და სასულიერო ხელისუფლებამ (უკანასკნელ 25 წელიწადში) ძალები არ დაიშურა სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ქვეყნის ზრდა-განვითარების, პროგრესის, უსაფრთხოების, სოციალური უზრუნველყოფის, საზოგადოების კეთილდღეობის, დემოკრატიის, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობის საქმეში (რათქმაუნდა არსებული რესურსის შესაბამისად).

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში „ძველი პოლიტიკისადმი ოპტიმიზმს" ამცირებს:

- ყოველი არჩევნების წინ, ხელისუფლების მიერ დაგეგმვის პროცესში ხალხის ჩართულობის „თხოვნის პროცესი". რეალურად კი სტრატეგიებზე უცხოელები მუშაობენ (რადგან ვერ ახდნენ საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას);
- საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის სიღრმე;
- პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკურ სივრცეში არცერთი პოლიტიკური ჯგუფი „არ აღიარებს" მეორე ჯგუფს, ეჭვქვეშ აყენებს

სისტემის მდგრადობას, სკეპტიკურად უყურებს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ეფექტიანობას, არ იზიარებს ერთმანეთის იდეებსა და ინიციატივებს, პოზიტიურ დამოკიდებულებას არ გამოხატავენ ერთმანეთის სიახლეებზე (სახელმწიფოებრივ სიახლეებზე). მსგავსი მიდგომა ქმნის განსხვავებას ფასეულობათა სისტემაში;

- საარჩევნო წლის ნაკლოვანებები. საქართველოს საზოგადოება ხედავს ცვლილებებს ნაციონალური ეკონომიკის ზრდაში, ვალუტის კურსში, პროდუქტის ფასებში, შრომის ანაზღაურებისა და დასაქმების „პერსპექტივებში". შედეგად, ქართული საზოგადოების ოპტიმიზმიც გაუფასურებულია;
- ქვეყანაში, არსებული მსხვილი პროექტების სიმცირე. ხოლო არსებული, ასეულობით მილინონიანი პროექტების განხორციელება (რომელშიც ქართული კაპიტალია), შეფერხებების ფონზე მიმდინარეობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ერთგვარ „კოზირს" წარმოადგენს სახელისუფლებო სივრცეში ყოფნა. შესაბამისად, პოლიტიკური პოლუსიც სწორედ ძველ პოლიტიკასა და აქტორებზე გადის. აღნიშნული გზას არ უხსნის ახალ პოლიტიკურ მოთამაშეებსა და რესურსს, ვერ უზრუნველყოფს ახალი პოლიტიკური შესაძლებლობების წარმოჩენას.

ძველი პოლიტიკა გავლენას ვერ ახდენს საზოგადოების ინტეგრირების, მეცნიერ-მკვლევარების მმართველობაში ჩართულობის, სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო რესურსის გამოყენების, პოლიტიკური რეფორმირებისა და პოლიტიკური ეკოსისტემის განვითარების პროცესზე.

ახალი პოლიტიკისა და ახალგაზრდა პოლიტიკური რესურსის საჭიროებაზე მეტყველებს:

- **გლობალური კონფრონტაციული გარემოს გამოწვევები;**
- **შენელებული ეკონომიკური ზრდის ტემპი;**
- **შეუწყვეტელი ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები და მასშტაბები;**
- **ადგილობრივი საკადრო და ორგანიზაციული რესურსების ათვისების ნაცვლად აქცენტების გადატანა უცხოურ საკადრო რესურსზე;**
- **ტენდერებში ქართული ორგანიზაციების უპირატესობის მინიჭების მექანიზმების არარსებობა;**
- **სახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო საკითხებსა და ვექტორებზე შიდა კონსესუსის მზაობის არარსებობა;**
- **სახელმწიფო მმართველობაში ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების როლის უგულებელყოფა;**
- **უმაღლესი მმართველობითი რგოლის განახლების საჭიროება;**
- **ახალი პოლიტიკა ზრდის ახალი ეკონომიკური პერპექტივებსა და მასშტაბებს;**

- **ეროვნული ვალუტის ლარის ისეთივე გაუფასურება, როგორც არსებული პოლიტიკური გარემოს ;**
- **დაბალი ეკონომიკური და პოლიტიკური ოპტიმიზმი.**

არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ აღვნიშნავთ, რომ არსებული პოლიტიკური მიდგომები უფრო „მტაცებლურია“ ვიდრე ინოვაციური, რადგან არ მოიცავს:

- ახალ ტექნოლოგიებს, ინოვაციურ მიდგომებსა და პოლიტიკურ მექანიზმებს;
- ახალი საკადრო რესურსების, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებისა და ენერგიული ინტელექტუალების ათვისების პოლიტიკას;
- ახალ სტრატეგიულ მიდგომებსა და ვექტორებს;
- იდეოლოგიასა და სახელმწიფო მარკეტინგულ კამპანიას;
- ქარიზმატულ სულისკვეთებასა და შემართებას;
- ჯამში, ძველი პოლიტიკა „ამბობს არაფერს, ძველი წესებით“ (ძველი წესები ახალს არ ქმნის).

სახელმწიფოს ამოძრავებს რესურსები, ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები, სტრატეგიები და გეგმები, ინფორმაცია და მონაცემები, წესები და ნორმები, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. აღნიშნული კი ქართული საზოგადოების მოთხოვნებითა ინიცირებული.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების მოთხოვნები გენერირებს ახალი პოლიტიკის საჭიროებასა და ახალი პოლიტიკური გარემოს შექმნას. მოცემული გარემო ითხოვს:

- რჩეულ ინტელექტუალებს, რომლებიც საზოგადოებაში „აღმოცენდნენ“ სახელმწიფოებრივი უნარ-ჩვევებით (ნათესაური კავშირების გარეშე);
- მმართველობითი რესურსის საზოგადოების მოთხოვნებთან თავსებადობას (რაც გულისხმობს ქარიზმატულ და ენერგიულ მმართველებს, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებს, სამეცნიერო რესურსის მმართველობაში ჩართვას, ახალგაზრდა ანალიტიკოსებისა და ექსპერტების სახელმწიფო მშენებლობაში ჩართვას,
- საქართველოს პოლიტიკურ არენაზე არსებული აქტორების ცვლილებას. იმისათვის, რომ შედეგი არ იყოს „ლოკალური იზოლაცია“;
- ახალ პოლიტიკურ რესურსსა და პლურალისტური საზოგადოების გაერთიანებას;
- პოლიტიკური სისტემის გამდიდრებას ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებითა და ანალიტიკოსებით (თაობებს შორის იდეოლოგიურ სხვაობას, ინოვაციურ და სტრატეგიულ აზროვნებას, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფასეულობა გააჩნია).

ქართული პოლიტიკური ცვლილების დროებაში, ხდება პოლიტიკური პარტიების იდენტიფიცირება წარმოებული პრაგმატული პოლიტიკის,

მიღწეული შედეგების, შესრულებული გეგმების, საზოგადოების ნდობის, პოლიტიკური ავტორიტეტის, „პოლიტიკური ცხოვრების სახის“ მიხედვით.

კვლევები ადასტურებს, რომ ახალი პოლიტიკის ფუნდამენტს ქმნის საზოგადობის მოთხოვნები და მოლოდინი, როგორიცაა:

- ახალი პოლიტიკური ჯგუფის აღმოცენება, რომელიც ახალი რესურსებითა და მეცნიერ-მკვლევარებით იქნება დაკომპლექტებული;
- პრივილეგირებული პოლიტიკური ჯგუფი და ახალი პოლიტიკური ურთიერთობები;
- სოციალური სტრატიფიკაციის შემცირება და ინტელექტუალური საზოგადოების გაძლიერება;
- ეკონომიკის ზრდა, დასაქმებისა და ხელფასების ზრდა, ბიზნეს სუბიექტების რაოდენობისა და ბრუნვის ზრდა, მწარმოებლურობისა და მოგების ზრდა, ეკონომიკაში სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობისა და წილის ზრდა, საზოგადოების მიერ უძრავ-მოძრავი ქონების წვდომისა და პერმანენტული განვითარების შესაძლებლობების ზრდას. აღნიშნული იმპერატივებით გადაფარულია ყველა ზემოაღნიშნული საკითხი;
- პრაგმატული პოლიტიკური ინიციატივები, რომელიც ქართველ ერს (საქართველოს მოსახლეობას) ემსახურება ყველა დონეზე;
- ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებისა და ანალიტიკოსთა რესურსი;
- უკვე შექმნილი სტრატეგიები და განვითარების კონკრეტული პროგრამები;
- ნაციონალური და გლობალური პოლიტიკის ახალი პარადიგმა ;
- პოლიტიკური პროცესი წარმოადგენს კონკურენციის შესაძლებლობის მომცემს, იმისათვის, რომ მოხდეს იდეებისა და გადაწყვეტილებების გენერირება.

რეკომენდაციები. რთულია წინასწარ შეაფასო არჩევნებში მონაწილე კონკრეტული პირი კერძო მიზნებით ერთვება პოლიტიკაში თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის იდეალებით, თუმცა ფაქტი ერთია, რომ ხელისუფლებაში სწრაფვა ნაციონალური პასუხისმგებლობისა და პრაგმატული პოლიტიკის მიუღწევლობის სამართლებრივად გამკაცრების პირობებში, ქვეყანაში „აღმოცენდება“ ახალი პოლიტიკური ლიდერები და ფორმირებული იქნება ახალი პოლიტიკური კულტურა .

გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკა არასდროსაა სტატიკური, ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე პოლიტიკური გარემოს ხედვა (აუცილებლად) არ წარმოადგენს მომავლის მოდელს.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის პირობებში, არჩევნების შედეგებზე პასუხისმგებელია ხალხი და არა არჩევნებში მონაწილე პარტიები და პირები. თუმცა, საქართველოში, დემოკრატიის ფორმირების პირობებში, არჩვენების შედეგებზე პასუხისმგებლობა პოლიტიკურ ისტებლიშმენტს აკისრია. არჩევნების შედეგები არის პოლიტიკური პარტიების საქმიანობის ერთგვარი სკრინინგის პროცესი.

დღეს, საზოგადოება გრძნობს, რომ პოლიტიკური პროცესები გავლენას ვერ ახდენს პოლიტიკურ ეკოსისტემაზე (სურვილის მიუხედავად). შედეგად, ქვეყანაში, ფორმირდება ერთგვარი „მიკრო მმართველობა“.

შესამისად, ახალმა პოლიტიკამ, ახალი პოლიტიკური ჯგუფებით უნდა შეძლოს ერის პოლიტიკური მობილიზაცია, შეცვალოს „დინასტიური ფესვების პოლიტიკა“ და შექმნას მძლავრი სახელმწიფო სისტემა

გლობალურ კონფრონტაციულ გარემოში, საქართველომ პოლიტიკურ ვექტორებზე მაღლა უნდა დააყენოს მყისიერი შედეგები და მიღწევები, რეგიონული ლიდერობა და გავლენა, სახელმწიფო სისტემის ძლიერება და საზოგადოების პოლიტიკური კოორდინირება.

ჩვენ, სულის სიღრმეში გვჯერა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური რესურსი (ძველიც და ახალიც) მოქმედებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მშენებლობის სურვილით, მაგრამ რამდენად ქმნის პრაგმატულ პოლიტიკას, მეტყველებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ამყარებს ჩვენს ჯანმრთელ სკეპტიციზმს და ავლენს ახალი პოლიტიკური რესურსის საჭიროებას. აღნიშნულ რესურსს კი ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები უნდა წარმოადგენდეს.

www.kvira.ge, 16 მაისი, 2016 წელი

2.7. ქართული პოლიტიკის რესურსი

პოლიტიკური გამოწვევების, გაღრმავებული უთანასწორობის, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების პირობებში, სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსს ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რესურსი წარმოადგენს.

იმისათვის, რომ ქვეყანაში ამაღლდეს საზოგადოების ეკონომიკური აქტივობა, პოლიტიკური ნდობა, ცენზი და პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზების შესაძლებლობა, საზოგადოება საჭიროებს ახალ პოლიტიკურ გარემოს და ახალ პოლიტიკურ რესურსს.

ახალი პოლიტიკური რესურსი განხილული უნდა იქნას ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რესურსის საფუძველზე და ისეთი ძირითადი ინიციატივებით, როგორიცაა:

- საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის პროგრამები;
- მმართველობითი გარემოს ტრანსფორმაციის ტექნოლოგიები;
- პოლიტიკური გარემოს ანგარიშვალდებულების ზრდის მექანიზმები;
- დასაქმების სახელმწიფო პროგრამები;
- სოციალური კეთილდღეობის პროგრამები და გეგმები;
- ეკონომიკურად ევროპული ქვეყნის შექმნის ხელშემწყობი ინიციატივები და სტრატეგიები;

საქართველოს საზოგადოებამ იცის, რომ პროგრესული და ევროპული სახელმწიფოს შექმნისათვის საჭიროა:

- რეფორმების გამტარებელი პოლიტიკური რესურსის ფორმირება;
- ეკონომიკის განვითარებისა და მძლავრი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების უნარის მქონე პოლიტიკოსების მხარდაჭერა;
- საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო რესურსისა და პლურალისტური საზოგადოების კოორდინაციის უნარის მქონე მმართველების როლის ზრდა;
- ახალგაზრდა ინტელექტუალთა და მეცნიერ-მკვლევართა როლის ზრდა;
- რესურსამოწურული პოლიტიკური გარემოს **„ვიტამინიზირება“** ახალგაზრდა, „პოლიტიკურად სუფთა“ მეცნიერ-მკვლევარებით გამდიდრება;

საქართველოს საზოგადოებამ კარგად იცის არსებული პოლიტიკური რესურსის შესაძლებლობების ზღვარი და პოტენციალი (შედეგებიდან გამომდინარე). ამასთან, გლობალური და ლოკალური გამოწვევებიდან გამომდინარე, ქვეყანა საჭიროებს ახალ პოლიტიკურ რესურსს, რევოლუციურ რეფორმებს ახალ სტრატეგიებისა და პროგრამებს.

აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოს საზოგადოებას გააჩნია აუთვისებელი რესურსი და გამოუყენებელი პოლიტიკური შესაძლებლობა იმისათვის, რომ შექმნას:

- მძლავრი სახელმწიფო სისტემა და პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება მეცნიერ-მკვლევარის რესურსსა და პროდუქტიულობაზე;
- განათლების დონისა და პროფესიული პროფილის შესაბამისი კარიერული წინსვლის გარემო;
- ინოვატორული მმართველობისა და პასუხისმგებლობის (შედეგებზე) პროფილის მქონე სახელმწიფო სისტემა;
- ქარიზმატული და სტრატეგიული აზროვნების მმართველობითი გარემო;

რესურსამოწურულ პოლიტიკურ სივრცეში, დამკვიდრებული სტერეოტიპი - მოქალაქის („პატრონის არ მქონე“) არსებობა ქვეყანაში ასოცირებულია : უმუშევრობასთან (უმუშევრობა - არაპროფესიონალიზთან და არაკვალიფიციურობასთან?!), იძულებით ემიგრაციასთან, უთანასწორობას-თან, სოციალურ პრობლემებთან, დაბალი შრომის ანაზღაურებასთან, წინასწარ განსაზღვრულ უიმედო მდგომარეობასა და გაურკვეველ მომავალთან.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო საჭიროებს:

- მეცნიერულ მიდგომებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრივ აქტივობებს;
- მეცნიერ-მკვლევარების პროექტებს, რომელიც არ იქნება „პოლიტიკური ამბიციით“ იგნორირებული;

- მდგრადი ეკონომიკური და სოციალური სისტემის აგებას. ხელისუფლების პირველი პირების პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს არა მძლავრი პოლიტიკური სისტემის შექმნა, არამედ მძლავრი სახელმწიფო სისტემის ფორმირება;
- არა მხოლოდ სახელმწიფო რეფორმების შემუშავებასა და სტრატეგიების შექმნას, არამედ მისი განხორციელების „ძალას“, დაფუძნებულს შედეგებისა და შესრულების სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე;
- ახალი პოლიტიკური ძალის წარმოჩენას, რომელიც ინტელექტუალებითა და ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებით იქნება დაკომპლექტებული;
- საქართველოში, დარჩენილი შრომისუნარიანი მოსახლეობის აქტივობის ზრდის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებას, იმისათვის, რომ „პოლიტიკური მხსნელისა და კეთილდღეობის მოლოდინში“ არ იყოს ორიენტირებული იძულებით ემიგრაციაში გადაიხვეწაზე;

საქართველო საჭიროებს ახალ პოლიტიკურ ძალას

გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია ახალი პოლიტიკური რესურსით, კანონებით, რეფორმებითა და მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნით. ამისათვის, ქართული პოლიტიკური სივრცე უნდა დაკომპლექტდეს ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებით.

ახალი პოლიტიკური ძალის ნდობა. პირი, რომელიც კარიერული ზრდით ანგარიშვალდებული არ არის არცერთ არსებულ პოლიტიკურ ძალასთან, ბუნებრივია მისი საკადრო პოლიტიკა და მმართველობითი გადაწყვეტილებები იქნება მიუკერძოებელი და ობიექტური. ბუნებრივია, მაღალია ასეთი პირის საზოგადოებრივი ნდობა და პოლიტიკური სიტყვის ფასი.

შესაბამისად, ახალი პოლიტიკური რესურსი არის წინაპირობა იმისა, რომ:

- გაერთიანდეს საზოგადოება ;
- დასრულდეს პოლიტიკური შფოთვები და დისფუნქციური შედეგების პოლიტიკური გაურკვევლობა;
- აღმოიფხვრას უთანასწორობა;
- გაიზარდოს პოლიტიკური ნდობა სამოქალაქო და კერძო სექტორთან თანამშრომლობით (თუნდაც ეს თანამშრომლობა არასასიამოვნო იყოს);
- პოლიტიკური ძალაუფლების ტექნოლოგიას სარგებელი მოჰქონდეს საზოგადოების ყველა წევრისათვის;
- დაბრუნდეს ოკუპირებული ტერიტორიები;

ქვეყანაში დამკვიდრებული ტენდენციით, ყოველი ახლად დანიშნული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის **„პირველი სიტყვებია“** კონკრეტული დარგის რეფორმის, სისტემის ცვლილებისა თუ ახალი პროგრამის შექმნა და მომავალში წარდგენა. თუმცა, ამავე ტენდენციებზე დაყრდნობით

უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციურ რეფორმებს ევოლუციურ ფორმებს ამჯობინებენ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ იმედებს იძლევა.

ფაქტია, რომ ეკონომიკურად ევროპული დონის ქვეყნის შექმნისათვის არსებული ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური რესურსი, სტრატეგია და პროგრამები შესაცვლელია.

არსებითია აღინიშნოს, რომ საზოგადოების მიერ ახალი პოლიტიკური რესურსის შეფასება უნდა მოხდეს ისეთი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორიცაა:

- დაფინანსების ქართული წყაროები;
- პოლიტიკური რესურსის განათლების ცენზი, კონკრეტული დარგის ექსპერტული უნარები, პოლიტიკოსების სიტყვის დამაჯერებლობა, პოლიტიკური ხედვები;
- ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რეფორმების გატარების სიმამაცე, პრობლემების გადაჭრის ძალა და სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა;
- საზოგადოების ერთიანობისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის შესაძლებლობები;
- გლობალურ და ლოკალურ გამოწვევებზე რეაგირების შესაბამისი პოლიტიკის წარმოება.

ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. ახალი პოლიტიკური ძალის შემოსავლები საჭიროა შეიქმნას მხოლოდ იმ პირთა შემოწირულობებით, რომელთაც მერკანტილური ინტერესების გარეშე სურს სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში წვლილის შეტანა.

აღნიშნული პრეცედენტით, ახალი პოლიტიკური ძალა, იქნება „მუსიკის დაკვეთისა“ და დამფინანსებლისაგან დამოუკიდებელი, საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულები, მამულიშვილი პირების ნდობით აღჭურვილი, განათლების ხარისხითა და შრომით შეიარაღებული. აღნიშნული უნდა განვიხილოთ ახალგაზრდა პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც ორიენტირებულია განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე, საზოგადოების კოორდინირებასა და ჯანსაღი სახელმწიფოს მშენებლობაზე.

გლობალური ინერციის პირობებში, საქართველოში, პოლიტიკური კონკურენცია უნდა წარმოებდეს:

- საქართველოს განვითარების სტრატეგიებით;
- ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის პროგრამებით;
- ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიებით;
- „ახალი პოლიტიკური სახეებით“, იდეოლოგიური პროპაგანდით;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობი პროგრამებით;
- ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების წარმოჩენის პროგრამებით;
- ეკონომიკური აქტივობის ზრდისა და გააქტიურების ხელშემწყობი პროგრამებით;
- ახალი ბაზრების წარმოჩენისა და ათვისების ტექნოლოგიებით;

- სიღარიბის მასშტაბების შემცირების ღონისძიებებითა და მექანიზმებით;
- დაფინანსების შიდა წყაროებისა და რესურსების წარმოჩენის ღონისძიებებით;
- პოლიტიკური პირების მიერ დამატებითი სახსრების მოზიდვის გეგმებით, ბიუჯეტის ზრდის შესაძლებლობების წარმოჩენით, ახალი რესურსების წარმოჩენით;

დღეს, საზოგადოება ითხოვს გარემოს, სადაც დაფასდება ცოდნა, განათლება, ხარისხი, ცენზი, ინსტიტუციები, უნარ-ჩვევები. საზოგადოება საჭიროებს ტენდენციას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს „პატრონის გარეშეც" შეძლოს: კარიერული წინსვლა, პროფესიული ზრდა-განვითარება, პოტენციალის რეალიზება, პროფესიული კონკურენცია, საზოგადოებაში თავის დამკვიდრება.

პოლიტიკურ არენაზე, პოლიტიკური კამპანიების პროგრამები უნდა შეფასდეს:

- კონცეფციით, რომელშიც მკაფიოდ უნდა იქნას განსაზღვრული სახელმწიფოს განვითარების „ლოკომოტივი", მამოძრავებელი დარგი, წინსვლის საფუძველი;
- „ეკონომიკური პოლიტიკის" ტრაექტორიით;
- არა იმ „იმედის მომცემი" მოწოდებებით, რომ მოვლენ და საზოგადოებასთან ერთად შექმნიან სტრატეგიებსა და პროგრამებს, არამედ უნდა შეფასდეს შექმნილი სტრატეგიებითა და წარმოდგენილი პროგრამებით;
- არამხოლოდ ბიუჯეტის დახარჯვითა და რეგულირებით, არამედ ბიუჯეტის შევსების დამატებითი წყაროების მოძიების პოტენციალითა და გეგმებით;
- ქვეყნის აუთვისებელი რესურსების წარმოჩენით, ქვეყნის პროგრესისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის სტრატეგიებითა და გეგმებით;
- არამხოლოდ კონკრეტული პროექტებისა თუ საერთაშორისო ვექტორების სუბიექტური შეფასებებით, არამედ არგუმენტირებული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე წარმოდგენილი სახელმწიფოებრივი მიდგომებით;

მეცნიერ-მკვლევარებით დაკომპლექტებული სახელმწიფო სისტემა, გულისხმობს გარემოს, სადაც :

- პროფესიონალსაც და არაპროფესონალსაც ექნება შრომაში ჩართვის შესაძლებლობა;
- სამთავრობო მართვა და კონტროლი განხორციელდება საზოგადოების სამივე სექტორის თანაბარუფლებიანი მონაწილეობით (სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ);
- შეფასდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების შედეგები;

- გარანტირებული იქნება ხელისუფლების სისტემის რეგენერაცია;
- უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ეკონომიკური აზროვნებისა და აქტივობის ზრდა;
- გაიზრდება სიტყვის ფასი;
- შესაძლებელი იქნება სახელმწიფო გამოწვევების გადაჭრა ადგილობრივი რესურსებით (საკადრო, ფინანსური, ორგანიზაციული);

ჯამში, ახალი პოლიტიკური გარემო თავისუფალი გახდება ნეპოტიზმის, „ვინ ვის იცნობს ფაქტორის", პრივილეგირებული კლასის" თუ „პატრონის მქონე" პირთა გავლენისაგან .

დაბოლოს, საქართველოს გააჩნია აუთვისებელი პოლიტიკური რესურსი, აუთვისებელი ეკონომიკური რესურსი, აუთვისებელი საკადრო რესურსი, აუთვისებელი სამეცნიერო რესურსი. აღნიშნული რესურსების ათვისება მიზეზშედეგობრივ კავშირშია ჯანსაღი პოლიტიკური გარემოსა და განვითარებული ქვეყნის შექმნასთან.

www.versia.ge, თებერვალი, 2016 წელი

2.8. ვინ უნდა იყოს პარლამენტში?

საქართველოს საზოგადოებამ იცის, რომ გლობალური გამოწვევების პირობებში, იცვლება მმართველობითი გარემოსადმი მოთხოვნები, „პოლიტიკური ქცევის წესები", საკადრო პოლიტიკის ფორმირების ფაქტორები. დღეს, სახელმწიფო სისტემა საჭიროებს სტრუქტურულ რეფორმებს, ადმინისტრაციულ ტრანსფორმაციას, საკადრო ცვლილებებსა და სამთავრობო კორექციებს.

არსებითია აღინიშნოს, რომ საქართველო საჭიროებს ქარიზმატულ ლიდერებს, ნოვატორული აზროვნების მმართველებს, ახალი პოლიტიკური საზოგადოების ფორმირებას, სტრატეგიული აზროვნების სახელმწიფო მოხელეებს, მეცნიერ-მკვლევარის როლის ზრდას სახელმწიფო მმართველობაში. აღნიშნული გამოწვევების პასუხს წარმოადგენს მეცნიერ-მკვლევარებით დაკომპლექტებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი უწყებები.

მადლიერებით აღვნიშნავთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ეფექტიან და პროდუქტიულ მუშაობას. ამასთან, მიზანშეწონილი იქნებოდა, პარლამენტის წევრებმა ანგარიშვალდებულების ჩარჩოებში, საზოგადოებას წარუდგინონ ინდივიდუალური ანგარიშები (პრეს-კონფერენციით, პრეს-რელიზებით), მათ მიერ, 4 წლის განმავლობაში, საკანონმდებლო ორგანოში ჩატარებული სამუშაოების შესახებ. აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლების ანგარიშვალდებულების ფონზე, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებიც (პარლამენტის წევრები) ვალდებულნი არიან გვამცნონ მათ მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ მიერ არჩევნებში გაცხადებული

გეგმების შესრულების შესახებ, მათ მიერ ქვეყნის აღმშენებლობაში შეტანილი წვლილის შესახებ, მათ მიერ შემუშავებული თუ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობის შესახებ.

მაშინ, როდესაც არსებული პოლიტიკური რესურსი, წლებისა და ათწლეულების განმავლობაში, ვერ ქმნის განვითარების ჯეროვან პირობებს, ვერ უზრუნველყოფს თამამი რეფორმების გატარებას, ვერ ქმნის მოსახლეობის სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ფონს, ვერ უზრუნველყოფს რეგიონში წარმატებული ქვეყნის მომავალს, ვერ ახდენს ქვეყნის რესურსების ათვისებას და საქართველოს ინტელექტუალური რესურსის მართებულად გამოყენებას, ბუნებრივია პოლიტიკური გარემოსადმი საზოგადოებრივი ნდობა დაბალია.

ქვეყანაში, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველს“. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ნებისმიერი დარგის განვითარება და პრობლემების გადაჭრა, შესაძლებელია მხოლოდ ცვლილებებით, რეფორმებით, სტრატეგიების შემუშავებით, ახალი რესურსის საფუძველზე პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებით, ახალი პოლიტიკური წესებითა და ნორმების დამკვიდრებით.

სახელმწიფოში, სადაც ცალკეული ანტრეპრენიორები და აქტორები ქმნიან პოლიტიკური თამაშის წესებს და არბიტრადაც თვითონ გვევლინებიან, არ სურთ ახალი პოლიტიკური ჯგუფის ჩამოყალიბება, კარიერულ წინსვლასა და შედეგებზე ორიენტირებული სახელმწიფო სისტემის შექმნა, სახელმწიფო სტრუქტურების პროდუქტიულობის ზრდისთვის მეცნიერ-მკვლევარების რესურსის გამოყენება, ინოვატორული მმართველობითი პროფილის მქონე ქვეყნის შექმნა.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ ახალი პოლიტიკური ჯგუფის ფორმირება საზოგადოებაში ერთგვარ სკეპტიციზმს და შიშსაც კი იწვევს, რადგან ყოველი ახალი პოლიტიკური ძალა ასოცირდება: „ფულის შოვნასთან“, „მათი ოჯახის წევრების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან“, პოლიტიკური ძალაუფლების გავლენის სფეროების მოპოვებასთან, არსებული ძალაუფლების გადანაწილებასთან. ბუნებრივია, აღნიშნული სკეპტიციზმის საფუძველია არსებული ჯგუფების მიერ დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომელთაც არ აწყობთ და არც სურთ „არსებული გარემოს“ ცვლილებები, პროგრესი, გამჭვირვალობა, მოწესრიგებული გარემო, ახალი კადრების წარმოჩენა, ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობა, მეცნიერების როლის ზრდა სახელმწიფო მმართველობაში, „შემუშავებული“ რეფორმების გატარება და ა.შ.

შესაბამისად, აღნიშნულ სკეპტიკურ დამოკიდებულებაში იკარგება ძვირფასი დრო, ხოლო მდგომარეობა უცვლელია. ამასთან, საზოგადოება იმედებს ამყარებს არა უახლოეს პერიოდზე, არამედ მომავალი თაობის მიერ შექმნილ გარემოზე. შესაბამისად, ვერ ვახდენთ არსებული გარემოს ცვლილებას ან ცვლილებას სკეპტიკურად ვუყურებთ. ასევე, ზემოაღნიშნულს კიდევ უფრო „მტკიცეს ხდის ის ძალაუფლება“, რომელსაც ფესვები მჭიდროდ აქვს გადგმული. იმისათვის, რომ ჩამოყალიბებული სტერეოტიპი და სკეპტიციზმი გაქრეს, საჭიროა: ახალი კადრების წარმოჩენა, ინტელექტუალი

და „რეკომენდატორის არ მქონე“ ახალგაზრდების გამოყენება, მეცნიერ-მკვლევარების რესურსის გამოყენება, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების როლის ზრდა სახელმწიფო მმართველობაში. მმართველობა უნდა შეფასდეს სახელმწიფო სტრატეგიებითა და პროგრამების შედეგებით, გაანალიზდეს მათ მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მაჩვენებელი.

ბუნებრივია რთულია განსაზღვრო, გახდება თუ არა თვითდასაქმებული მეწარმე კარგი პოლიტიკოსი, ვიდრე განსაზღვრო, მიაღწევს თუ არა პოლიტიკურ კარიერაში წარმატებას ინტელექტუალი, მეცნიერ-მკვლევარი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკაში მაღალია მეცნიერ-მკვლევარების ჩართულობა, კერძოდ:

- ***აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მოითხოვს, რომ მეცნიერები ჩართული იყვნენ ნებისმიერ პოლიტიკურ განხილვაში, თუნდაც მათი რჩევები არასასურველი იყოს;***
- ***დიდ ბრიტანეთში, მთავრობის ყველა უწყებაში დანიშნულია მეცნიერ-კონსულტანტი;***
- ***ავსტრალიის მთავრობა, სამთავრობო უწყებების საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას, განსაკუთრებულ აქცენტს მეცნიერებზე აკეთებს;***
- ***ჯამში, წამყვანი ქვეყნების აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოების საკადრო პოლიტიკა, ძირითადად, მეცნიერებზე და დოქტორის ხარისხის მქონე პირებზეა ორიენტირებული;***

სამწუხაროდ, რესურსამოწურულ პოლიტიკურ გარემოში, იგნორირებულია მეცნიერების როლი, ქართული სახელმწიფოს განვითარებაში. მეცნიერ-მკვლევარების როლს სახელმწიფო მმართველობაში, მათ შრომებს, შექმნილ სტრატეგიებსა და პროგრამებს, რესურსსა და პოტენციალს არ ითვისებენ, არ აფასებენ ან საერთოდ იგნორირებულია. შესაბამისად, ქვეყანაში დაბალია:

- მთავრობის მიერ სამეცნიერო გარემოს პოტენციალის ათვისება;
- მეცნიერ-მკვლევარის რესურსის გამოყენება სახელმწიფო მმართველობაში;
- მეცნიერების პოპულარიზაცია;
- ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები;
- მეცნიერების დაფინანსება, პროფესორების შრომის ანაზღაურება;
- სამეცნიერო გარემოს ხელშემწყობი პროგრამების რაოდენობა;
- მეცნიერ-მკვლევარის მოტივაცია;

ხაზგასმელია, რომ მეცნიერ-მკვლევარების პოტენციალის იგნორირების ფონზე, ახალი კანონების მიღებასა და საკანონმდებლო გარემოს დახვეწას გვითითებს ევროკავშირი, საერთაშორისო ორგანიზაციები?!

მოწინავე ქვეყნებში, მთავრობა ეროვნული მნიშვნელობის სტრატეგიებს, დარგის განვითარების პროგრამებს, სახელმწიფო მნიშვნელობის გეგმებს

შეიმუშავებს ადგილობრივი მეცნიერ-მკვლევარებით, ექსპერტებით, სწავლულებით, სამოქალაქო და კორპორაციულ სექტორთან თანამშრომლობით (ხოლო შემდეგ უთანხმებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს). აღნიშნული მიდგომა ქმნის, როგორც საზოგადოების ერთიანობის, სახელმწიფოს კოორდინირებულად მშენებლობის, ეროვნულ-ისტორიულ თავისებურებებსა და საზოგადოების მოთხოვნაზე მორგებული სტრატეგიების შექმნის შესაძლებლობას. თავის მხრივ, ასეთ კოორდინირებულ თანამშრომლობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საუკეთესო სტრატეგიისა და პროგრამების შექმნის საკითხში.

ბუნებრივია, ქვეყანაში, იქმნება სტრატეგიები და პროგრამები, რომელიც ძირითადად, უცხოელების მიერ მუშავდება (ქართულ რესურსს არ იყენებენ), თუმცა, შემდეგ არავინ აფასებს არც მის ეკონომიკურ სარგებელს, არც სოციალურ თუ პოლიტიკურ სარგებელს. შესაბამისად, უცხოელების შექმნილ პროგრამებზე პასუხისმგებლობის ტვირთიც გაურკვეველია.

ამრიგად, საქართველოს საზოგადოებამ, მეცნიერ-მკვლევარის როლი უნდა განიხილოს შემდეგი მიმართულებით:

- მეცნიერი, როგორც კონსულტანტი. ეხმარება მთავრობას სწორი პოლიტიკის შემუშავებაში, ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და ბიუროკრატიული მექანიზმების შექმნაში;
- დარგის ექსპერტი (მეცნიერ-ექსპერტები), კონკრეტული საკითხის მცოდნე და სწავლული. მეცნიერ-ექსპერტები, რომელთაც შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ მოსალოდნელი საფრთხეები, შეიმუშაონ პრევენციის მექანიზმები და ანტიკრიზისული გეგმები. მათი, პროგნოზი, ანალიზი, კრიტიკა, შეფასება, დასკვნები და რეკომენდაციები საუკეთესო მტკიცებულებაა ნებისმიერი საკითხის წარმოჩენისათვის;
- მეცნიერ-მკვლევარი, როგორც სტრატეგოსი. მეცნიერ-მკვლევარის ჩატარებულ კვლევებზე დაფუძნებით, შემუშავებული სტრატეგიები, გეგმები, პროექტები, სახელმწიფო პროგრამები არის ზუსტი, სწორ შედეგებზე გათვლილი, საზოგადოების მოთხოვნებსა და ადგილობრივ გარემო პირობებზე გათვლილი;
- მეცნიერ-ანალიტიკოსთა ჯგუფები. საქართველოში მოქმედი, ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებებულებიდან დაკომპლექტებული მეცნიერ-ანალიტიკოსთა ჯგუფი, რომელიც ინტენსიურად ჩართულია სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ მეცნიერ-მკვლევარებით აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების დაკომპლექტება, ხელს შეუწყობს ყოველივე ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრას და სახელმწიფო სისტემის საკადრო ძლიერებას.

www.kvira.ge, 15 იანვარი, 2016 წელი

2.9. ვინ უნდა ზომავდეს პოლიტიკოსის კვალიფიციურობას?

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ფართოდ დამკვიდრდა შეფასების ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა: კვალიფიციურობა, პროფესიონალიზმი, ახალი პოლიტიკური სახეების წარმოჩენის მოთხოვნები. ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმებისა და სტანდარტების კონკრეტულ საზომს არავინ საზღვრავს. თუ არ ჩავთვლით ზოგად შეფასებებს (ან „ნაცნობობის ფაქტორს“).

აღსანიშნავია, რომ მოცემული შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალკეული პირის მიერ პოლიტიკური მდგომარეობით პრევალირება საზოგადოების ინტერესებზე.

კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი მოიცავს შრომით საქმიანობაში პროფესიულ დახელოვნებას, ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციათა ფლობის დონეს. ამასთან, ასეთ საკითხებზე საუბრისას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, რომ ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს ქმნის ეფექტიანი მმართველობა და საკადრო პოლიტიკა.

ხაზგასასმელია, რომ დღეს, ღიად აცხადებენ, რომ პოლიტიკაში უცნობი ადამიანების მოსვლას არ მიესალმებიან. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საზოგადოება ითხოვს ახალ სახეებსა და ახალ პოლიტიკურ რესურსს. ხოლო კონკრეტული პოლიტიკოსები (მოქმედი) ვალდებულები არიან, თავი გააცნონ საზოგადოებას:

- გეგმებითა და სტრატეგიებით;
- სამთავრობო პროგრამებით;
- კვლევებზე დაფუძნებული კანონშემოქმედებითი საქმიანობით;
- იცნობდეს დარგის წამყვან სპეციალისტებს, პროფესორებს, მეცნიერებსა და ანალიტიკოსებს;
- სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვალდებულია '"მიესალმოს" იმ ახალი პირების პოლიტიკაში გამოჩენას, რომელთაც ქვეყნის მშენებლობაში დიდი თუ მოკრძალებული წვლილი შეაქვს;
- სახელმწიფო მშენებლობის მიზნით ქართული საზოგადოება ახალ სახეებს არ საზღვრავს აუცილებლად კონკრეტულ პოლიტიკურ აქტივისტებთან ნაცნობობით, პირიქით დღეს, საზოგადოება ითხოვს ისეთ „პოლიტიკურ სახეებს“, რომელსაც გააჩნია მდიდარი სამუშაო გამოცდილება და „ახალი პოლიტიკური ცხოვრება“.

მაშინ, როდესაც ცალკეული პოლიტიკოსი საუბრობს „სტანდარტებსა და პოლიტიკოსისათვის საჭირო მოთხოვნებზე“, ამასთან კარგი იქნება, აღინიშნოს ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- ქვეყანაში ვერ გატარდა ცალკეული რეფორმა;
- ქვეყნის პრობლემების სრული სპექტრი ნათელი არაა. შესაბამისად, ქვეყნის განვითარების ვექტორის განსაზღვრა, პროგნოზი და პრობლემებზე ორიენტირება რთულია;
- საუბრობენ „საზოგადოების კვალიფიციურობაზე“, ნაცვლად იმისა,

რომ ისაუბრონ იმ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელსაც აღნიშნული სივრცე უნდა შეექმნა;

- პოლიტიკურ სტანდარტად მიიჩნევენ კრიზისებისა და საფრთხეების მართვას, ნაცვლად იმისა გვესაუბრონ ანტიკრიზისულ სტრატეგიებ-ზე, გლობალური საფრთხეების დაგვიანებულ პრევენციებზე, გლობალური კონფლიქტების პირობებში ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე, 2%-იანი ბარიერის საჭიროებებზე, რეფორმების საჭიროებებზე.

ჩვენი მიზანი ვინმეს კრიტიკა არაა, ჩვენი მიდგომა მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ჯანსაღი და კოორდინირებული საზოგადოების, ევროპული ეკონომიკის მქონე ქვეყნისა და მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნას გულისხმობს, სადაც:

- ***დაფასდება ცენზი, ხარისხი, ინსტიტუცია, განათლება და ანალიტიკური უნარ-ჩვევები;***
- ***ახალგაზრდებს და ენერგიულ მეცნიერებს არ შეაფასებენ „სუბიექტური სტანდარტებით“;***
- ***სახელმწიფოს საკადრო პოლიტიკა ფოკუსირებული იქნება „ხარისხზე, შედეგებზე, მმართველობით უნარზე“ (დაარა ზოგიერთი პოლიტიკოსის პირად ნაცნობობაზე);***
- ***კვალიფიკაცია არ გაიზომება დასაქმებით*** *(დღეს თუ დასაქმებული ხარ კვალიფიციური ხარ. ამასთან უამრავი სპეციალისტი არაეფექტიანი მმართველობის გამო, ან უმუშევარია, ან მის პოტენციალს არავინ იყენებს).*

ჯამში, ახალი პოლიტიკური სახეების სტანდარტები და მოთხოვნები შეიძლება იყოს: სახელმწიფო სტრატეგიული გადაწყვეტილების მექანიზმის შექმნა, დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავება (მეცნიერულ დონეზე), სამთავრობო პროგრამებისა და რეფორმის გატარება, მეცნიერ-მკვლევარისა და ექსპერტ-ანალიტიკოსის უნარ-ჩვევების გამოვლენა და სხვა.

დასასრულს, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, რომ ნებისმიერ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს უნდა ქვეყნის განვითარება და სახელმწიფოს მშენებლობაში წვლილის შეტანა. თუმცა, რამდენადაც გააჩნია ამის რესურსი (იგულისხმება კანონშემოქმედებითი და მმართველობითი უნარი, სტრატეგიული დაგეგმვის უნარი, პროგრამების შექმნისა და განხორციელების ძალა, რეფორმების გატარების ძალა) ამაზე მეტყველებს შედეგები, კერძოდ: ქვეყნის განვითარების ტემპი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა, სახელმწიფო სისტემის მდგომარეობა, რეგიონში არსებული პოზიცია, ინსტიტუციების ავტორიტეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „არსებული რესურსის“ მქონე პოლიტიკოსებზე მეტად, მძლავრი სახელმწიფოს მოთხოვნებს „აკმაყოფილებს“ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებისა და ანალიტიკოსთა რესურსი.

www.kvira.ge, 21 აპრილი, 2016 წელი

2.10. ქართული პოლიტიკა ხელს ვერ უწყობს საზოგადოების ძლიერებას

თანამედროვე პოლიტიკურ ეპოქაში, ქვეყანა დგას მძლავრი სახელმწიფო სისტემის, ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და ახალი მმართველობითი ენერგიის საჭიროების წინაშე.

უზარმაზარი საზოგადოებების გარემოცვაში (როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, რუსეთი, თურქეთი), ქართული საზოგადოება მცირდება. ახალი და მძლავრი საზოგადოების ფორმირება, მხოლოდ პოლიტიკური პიარის ნაწილია. მმართველობაში ჩართულობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა კი თეორიული კონსტრუქცია. ქართული პოლიტიკა პრაქტიკულად ხელს ვერ უწყობს საზოგადოების ძლიერებას, აქტივობის ზრდას, შესაძლებლობებისა და პოტენციალის ათვისებას. ერი განიცდის მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნის საჭიროებას.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების სისტემის „ენტროპია" ვერ ხორციელდება არსებული პოლიტიკური რესურსის ხარჯზე. მათი სოციალური და ეთიკური ღუზა ძველ პოლიტიკურ პლატფორმაზეა მორგებული. ამასთან, ქვეყანაში შეუძლებელია ძველი პოლიტიკური სისტემისადმი, საზოგადოების ნდობის რეგენერაცია.

კვლევები ადასტურებს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ადილად უმკლავდება გლობალურ თუ ლოკალურ გამოწვევებს, ახდენს შიდა შოკებისა და პოლიტიკური რყევების ლოკალიზებას, ინარჩუნებს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, გამოირჩევა:

- ძლიერი და ეფექტიანად ფუნქციონირებადი სახელმწიფო ინსტიტუტებით ;
- მეზობელ ქვეყნებთან „დიპლომატიური ურთიერთობით";
- ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევითა და წვდომით; წესების, კანონებისა და სხვათა უფლებების დაცვით;
- დაბალი დონის კორუფციით;
- ჯანსალი ბიზნეს გარემოთი და შიდა (სამამულო) ინვესტიციების მიმზიდველობით;
- მაღალი დონის ადამიანური კაპიტალით;
- სახელმწიფო მმართველობაში მეცნიერ-მკვლევართა რესურსით;
- საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის „ხმის" გათვალისწინების პროცესის დამკვიდრებით.

ქვეყანაში ერთგვარ პრაქტიკად იქცა საზოგადობისათვის საკითხის წარდგენა და აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებისაგან იდეების, რეკომენდაციებისა თუ შეფასების მოთხოვნა (სახელმწიფო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისმიერ). ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ როდესაც საზოგადოებას წარედგინება კონკრეტული საკითხი, ცვლილების პროცესი თუ

ფორმირებული პროგრამა, ძირითად შემთხვევაში, არ არის კონკრეტულად გაწერილი, არგუმენტებით დასაბუთებული, მეცნიერულად გაანალიზებული და შეფასებული. შესაბამისად, აღნიშნული მოცემულობის შედეგი დაბალია. წესით, ნებისმიერმა ორგანომ /ჯგუფმა, კომპლექსური კვლევისა და ანალიზის საფუძველზე უნდა წარადგინოს საკითხი, წინასწარ შეაფასოს და გაზომოს მოსალოდნელი შედეგი (რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ მაჩვენებლებში), მეცნიერული არგუმენტებით დაასაბუთოს მის მიერ წარმოდგენილი მოცემულობა, ხოლო შემდეგ მოითხოვოს საზოგადოების შეფასება.

ფაქტია, რომ ქართული საზოგადოება, ბიზნესი და პოლიტიკა:

- ერთ ხმაში საუბრობს ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებსა და გამოწვევებზე (წესით ხელისუფლება უნდა საუბრობდეს პრობლემების გადაჭრის ეფექტიან მექანიზმებსა და პრობლემების შემცირების გეგმებზე);
- ერთ ხმაში განიხილავს ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსს (აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი ერთმნიშვნელოვანია, ხოლო პოლიტიკურ სივრცეში, აღნიშნული მოცემულობით სპეკულაციები მხოლოდ „წყალს ამღვრევს“);
- ერთ ხმაში განიხილავენ მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის უპირატესობასა და მეცნიერების განსაკუთრებულ როლს (ამასთან მთავრობამ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების რესურსის ათვისების ნაცვლად, თვითონ დაიწყეს მეცნიერ-მკვლევარებად გადაქცევა);
- ერთ ხმაში ისწრაფვიანქვეყანაში ევროპული ტიპის ეკონომიკის შექმნისაკენ (რეალურად ევროპული ტიპის ეკონომიკის შექმნის მექანიზმები კვლავ მოძველებული, ხოლო გეგმები არადამაჯერებელია);

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი თანხმობა: საპარლამენტო არჩევნებში არსებულ ძველ პოლიტიკაზე, სახელმწიფო მართვის სადავეების ფლობაზე, ხელისუფლების მიერ საკადრო პოლიტიკის წარმოებაზე, მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგებზე, ქვეყნის განვითარების სტრატეგიების ეფექტიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მხოლოდ პოლიტიკური ისტებლიშმენტი იწონებს ძველ პოლიტიკას, ეთანხმება ვადაგასულ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, აგიტაცია-პროპაგანდით ცდილობს რესურსამოწურული პოლიტიკის პოზიციონირებას, იგნორირებას უკეთებს საზოგადოებისა და ბიზნესის სურვილებს (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების პოლიტიზაციასა და მართვაში ჩართულობას), საზოგადოებრივ აზრს ყურადღებას აქცევს რეზონანსულობის მიხედვით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქვეყანაში არსებობს პრობლემების ცოდნის, გამოწვევების შეფასების, საფრთხეების ანალიზის, კვლევისა და ძიების პრობლემები. ფაქტობრივად, ქვეყანაში ისმება საკითხები, ხორციელდება პროგრამები, იწერება სტრატეგიები რომლის შესახებ

კომპლექსური კვლევა არ ტარდება. შესაბამისასდ, სრული სურათი ნათელი არაა არც მთავრობისათვის და არც საზოგადოებისათვის (მაგალითად, ინტერნეტ-ბიზნესი, ინტერნეტ-ბაზარი, ინტერნეტ-ეკონომიკა).

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში ერთგვარ დამკვიდრებულ ნორმად იქცა უცხოელების მიერ სტრატეგიული საკითხების აქცეპტირება/მოგვარება, პრობლემის გადაჭრა უცხოური რესურსით, კანონის შექმნა რომელიმე უცხოური ქვეყნის მაგალითზე, საარჩევნო კამპანიის წარმართვა უცხოელი პოლიტიკოსების მხარდამჭერი ფრაზებით, პოლიტიკური ძალაუფლების ფორმირება საგარეო კავშირებით. ერთადერთი არჩევნების მოგების პრობლემა ვერ გადაიჭრა უცხოური რესურსით , რადგან საბოლოო სიტყვა ქართველ ხალხს ეკუთვნის.

ფაქტობრივად, ქვეყანაში მუდმივად საუბარია გამოწვევებსა და საფრთხეებზე, სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებაზე, განვითარებასა და წინსვლაზე. პრაქტიკულად კი მსჯელობის დიდი ნაწილი ზოგადი, ბუნდოვანი, უცხოელების ხელით საკეთებელი და გრძელვადიანი პერსპექტივისაა.

ჯამში, ზემოაღნიშნული გამოწვევების მიზეზები მდგომარეობს არსებულ საკადრო რესურსში, მათ სტრატეგიულ უნარ-ჩვევებში, მეცნიერული კვლევის მეთოდების ცოდნაში, შეუსრულებელი სამუშაოების სამართლებრივ პასუხისმგებლობის სიმკაცრეში, ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში, სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და მიდგომებში.

სტატიის დასასრულს ვადასტურებთ, რომ რეკომენდაცია მხოლოდ ერთია: ადამიანური რესურსი წყვეტს ყველაფერს. ადამიანური რესურსი, რომელთაც შეუძლიათ:

- სტრატეგიული აზროვნება და სახელმწიფოებრივი აქტივობა;
- სახელმწიფო რესურსებისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის ეფექტიანი გამოყენება;
- გლობალური პოლიტიკური აქტივობა და გლობალური სახიფათო აისბერგების თავიდან აცილება;
- საზოგადოების კოორდინაცია, დაგეგმვა და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება;
- კვლევით არგუმენტირებული კანონშემოქმედებითი საქმიანობა;
- პოლიტიკური გარემოს გარდაქმნა და რევოლუციური რეფორმების თამამად გატარება.

www.resonancedaily.com, 1 აგვისტო, 2016 წელი

2.11. რატომ ეშინია ბიზნეს პოლიტიკური ცვლილებების?

მოახლოებული არჩევნების ფონზე, სახელისუფლებო სტრუქტურები ახალ საინვესტიციო პროექტების დაწყებას არ ელიან. აღნიშნული განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

- არაპროგნოზირებადია პოლიტიკური გარემო. არჩევნებში პოტენციური გამარჯვების შანსი არსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტის პირობებში ძალიან მცირეა (ვგულისხმობთ უმრავლესობის შექმნას და არა პარლამენტში რამდენიმე ადგილის მოპოვებას) ;
- ქვეყანაში, ყველა მოქმედი პარტია აქცენტებს აკეთებდა მხოლოდ მძლავრი პოლიტიკური სისტემის შექმნაზე, მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნის ნაცვლად. აღნიშნული მიდგომით პოლიტიკური ცვლილებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ინვესტიციების მოზიდვის, ბიზნესის ხელშეუხებლობის, კანონმდებლობის ცვლილების საკითხს. შესაბამისად, ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორი პოლიტიკური კურსის გარკვევამდე ყოველგვარი აქტივობისაგან თავს იკავებს;
- ბიზნესმა და საზოგადოებამ იცის პოლიტიკური ცვლილებების სოციალურ- ეკონომიკური შედეგი. კერძოდ, ყოველი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად: არაპროგნოზირებადია საგადასახადო და ფინანსური გარემო, არასტაბილურია სამუშაო ადგილების შენარჩუნება, ზრდადია იძულებითი ემიგრაცია, დაუფასებელია შრომა და ხარისხი, არასტაბილურია შემოსავლები, არამიმზიდველია მეცნიერ-მკვლევარის საქმიანობა და შესაბამისად გაურკვეველია სახელმწიფოს პროგრესის ტემპი.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, ისიც რომ რესურსამოწურული პოლიტიკური გარემო აქტიურად განიხილავს მრავალფეროვანი პოლიტიკური არჩევანის შეთავაზების საკითხს. ხაზგასასმელია, რომ მრავალფეროვანი პოლიტიკური არჩევანის შექმნით სურთ საზოგადოებისათვის „მრავალფეროვანი პოლიტიკური გაურკვევლობის" შექმნა. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს იმ პოლიტიკურ მექანიზმს, რომლითაც:

- პოლიტიკურ სივრცეში ვერ წარმოჩინდება ახალი სახეები, ახალგაზრდა ინტელექტუალები და პროფესიონალები (მაგალითად, მეცნიერების);
- ნოვატორული აზროვნების მეცნიერთა პოლიტიკური ჯგუფების ფორმირებასა და მათ მმართველობაში ჩართვას ხელი შეეშლება;
- არაპროგნოზირებადი გახდება მომავალი პოლიტიკური სპექტრი;
- გაურკვეველი და არაკოორდინირებული პერსპექტივის იქნება ხელისუფლების მომავალი კონფიგურაცია;
- უცვლელი დარჩება არსებული პოლიტიკური გარემო, პოლიტიკური რესურსი და მმართველობითი გარემო. არ შეფასდება სახელმწიფო სტრატეგიებისა და სამთავრობო პროგრამების შედეგები, სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულება.

იმისათვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას მძლავრი სახელმწიფო სისტემა, მიზანშეწონილი იქნება:

- რამდენიმე (2-3 პარტია) პარტიითა და ამ რამდენიმე პარტიის მრავალფეროვანი ინტელექტუალური პოლიტიკური რესურსის (იგულისხმება ახალგაზრდა პოლიტიკური სახეები) წარდგენა;

- რამდენიმე (2-3 პარტია) პარტიამ საზოგადოებას შესთავაზოს მრავალფეროვანი და ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიები, ქმედითი სტრატეგიები და სამთავრობო პროგრამები;
- აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანოებმა (წასვლის წინ) შექმნას ისეთი მდგრადი სამართლებრივი სივრცე და გარანტიები, რომ ბიზნესი აღარ იხედებოდეს „პოლიტიკური თვალებით" და აღარ ეშინოდეს პოლიტიკური ცვლილებების.

ამასთან, არჩევნების წინ, მიზანშეწონილი იქნებოდა, შეფასების მიზნით საზოგადოებას წარედგინოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების პირთა საქმიანობის შედეგები:

- **მმართველობით გადაწყვეტილებების შედეგები;**
- **ცალკეული მმართველის მიერ სახელმწიფოში(დარგში, სამინისტროში) მიღწეული თუ მიუღწეველი შედეგების, ასევე მიყენებული ზიანის მაჩვენებლები;**
- **ეფექტიანი, არაეფექტიანი და შეუსრულებელი სახელმწიფო პროგრამების შედეგები;**
- **სახელმწიფო სტრატეგიებისა და გეგმების, დაგეგმილი და საპროგნოზო მაჩვენებლები;**

P.S. ჩვენი აქტივობა მიმართული არაა მხოლოდ კრიტიკასა და პრობლემების წარმოჩენაზე. ჩვენს მიერ წამოწეული საკითხები (რასაც ათეულობით სტატია მივუძღვენით), არის პრობლემების გამოწვევებისა და გადაჭრის გზების წარმოჩენა, რაც ისევ და ისევ ჯანსაღი და მძლავრი სახელმწიფო სისტემის მშენებლობას ემსახურება.

www.kvira.ge, 1 აპრილი, 2016 წელი

2.12. არსებული პოლიტიკური დაპირებები აუფასურებს ქართული პოლიტიკის იმიჯს

ბიზნესს ეკრძალება არასათანადო, არასარწმუნო, არაკეთილსინდისიერი, აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელება. სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემთხვევაში ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად. ბიზნესისაგან განსხვავებით, პოლიტიკური რეკლამის არასანდოობა, არაკეთილსინდისიერება თუ სიყალბე აისახება საზოგადოების ნდობაზე (4 წლის მერე, არჩევნებში ხმას აღარ აძლევენ).

პოლიტიკურ სივრცეში არსებული ტენდენციები ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ პასუხისმგებლობის გარეშე საზოგადოებას ნებისმიერი დაპირების მიცემისა, შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხს არავინ სთხოვს (თუ არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას). ბიზნეს სივრცეში ეს დაუშვებელია.

კანონით, პოლიტიკური რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებელია რეკლამის დამკვეთი პოლიტიკური სუბიექტი. ამასთან, წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ახორციელებს (GNCC).

არსებითია, რომ პოლიტიკური პარტიების სტიმულირების პროგრამებით გაჟღერებული დაპირებები (რეკლამა, PR, სტიმულირების სხვა მატარებლები):

- თანხვედრაში არაა არც პოლიტიკური პარტიის რესურსთან (ორგანიზაციულ, ფინანსურ, ინტელექტუალურ რესურსთან) და არც ქვეყნის შესაძლებლობებთან;
- არ იძლევა საზოგადოების პრობლემების „რეალურად გადაჭრის“ შესაძლებლობას;
- არ ასახავს მოქმედების კონკრეტულ გეგმასა და პროგრამას;
- არ მოიცავს ინოვაციურ საკითხებს და ახალ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს (ყოველ არჩევნებში დაპირებების სტილი და ტექნიკა ერთი და იგივეა);
- სულ უფრო აუფასურებს პოლიტიკური სივრცის შემორჩენილ იმიჯს.

არსებული პოლიტიკური რეკლამები არ იძლევა მომავალი პოლიტიკური პროცესების შეფასებისა და ლოგიკური შედეგების განსაზღვრის შესაძლებლობას. არგუმენტი მარტივია:

- ძველი პოლიტიკური ნიადაგი გამოფიტულია;
- წლებია (ათწლეულებია) პოლიტიკურ სივრცეში სხვადასხვა ვარიაციებით ერთი და იგივე დაპირებებს იძლევიან. თუ შეეძლოთ და არ გააკეთეს დანაშაულია. თუ არ შეეძლოთ , მით უმეტეს ნდობას ვერ იმსახურებს;
- სულ უფრო იხვეწება პოლიტიკური ქაოსის ტექნოლოგიები, ხოლო ინოვაციები და პროგრესი , ახალი ენერგია და სახეები ისევ ლოდინის რეჟიმშია. შესაბამისად, ქვეყნის ზრდა-განვითარებაც „შენელებულ რეჟიმშია“;
- პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური სიტყვის გავლენა, მომავალი პოლიტიკური პროცედურების განსაზღვრის შესაძლებლობას არ იძლევა;
- სარეკლამო კამპანია აქცენტებს აკეთებს ქვეყანაში არსებული ბიუჯეტისა და რესურსის სხვებზე უკეთ განკარგვა-დახარჯვაზე. პენსიის ზრდაზე, უკეთესი ხელფასისა და კეთილდღეობის შექმნაზე. ამასთან, არავინ საუბრობს (ან ზოგადად აღნიშნავენ) მიღწევის გზებსა და ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების შექმნაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ის ფაქტორიც, რომელიც ქვეყანაში ერთ ამომრჩეველზე პარტიების მიერ გაწეული ხარჯი წარმოადგენს ერთგვარ ინვესტიციას. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებსა და საარჩევნო სუბიექტებზე დახარჯული თანხები უნდა იყოს „სახელმწიფოებრივი დივიდენდების“ მომტანი (და არა პერსონალური დივიდენდების მომტანი). იგი

გამოხატული უნდა იქნას მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნაში, ახალი და ძლიერი პოლიტიკური ფიგურების წარმოქმნაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალის მქონე ახალგაზრდა პოლიტიკური რესურსის ფორმირებაში, საზოგადოების კოორდინირებასა და პოლიტიკურ ნდობაში.

არსებული ბიუჯეტითა და მისი „უკეთ გახარჯვით" პოლიტიკური გავლენის შექმნა ლოგიკას არ ექვემდებარება.

არსებითია, რომ პოლიტიკურ კონკურენციას, პოლიტიკურ სიტყვას, პოლიტიკურ გავლენას ქმნის ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიები, ახალი პოლიტიკური პლატფორმის ფორმირება, ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების წარმოდგენა, ქვეყნის აუთვისებელი რესურსის ეფექტიანად განკარგვა, ახალი გეგმები და პროგრამები. რაც უფრო ეკლექტური იქნება პოლიტიკური სუბიექტები, ყოველივე აღნიშნული იქნება მიღწეული, შესაბამისად ნაკლები იქნება პოლიტიკური შეცდომების დაშვების ალბათობა.

სამწუხაროდ, ახალი პოლიტიკური გარემოს ფორმირება წარმოადგენს რთულ ამოცანას, რადგან:

- ქართული ფინანსური რესურსი მწირია;
- პოლიტიკისადმი საზოგადოების ნდობა სკეპტიკურია;
- ძველი პოლიტიკის ფესვები ღრმაა. სარეველა ბალახით დაფარულ მინდორში საკმაოდ რთულია ჯანსაღმა მცენარემ ფესვი არ დაიზიანოს და ნაყოფი მიიღოს;
- ქაოსურია პოლიტიკური ინფორმაციულობა;
- პოლიტიკური პარტიების ბიუჯეტისა და დანახარჯების სიდიდე გავლენას ახდენს პოლიტიკური პარტიების საბოლოო წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე.

ბუნებრივია, თაობათა ცვლა გარდაუვალია. ამასთან, შესაფასებელია, ის ინტელექტუალური და პოლიტიკური ფასეულობათა სისტემა, რომელზეც კონკრეტული სუბიექტების შესაძლებლობების ზღვარი გადის.

სამწუხაროდ, პოლიტიკური რეკლამით გაჟღერებული დაპირებების სიდიდე განუსაზღვრელია. პოლიტიკურ რეკლამაში წარმოდგენილი გზავნილები:

- აუფასურებს ქართული პოლიტიკის იმიჯს;
- მკაფიოდ აჩვენებს გამოფიტულ პოლიტიკურ გარემოს;
- ხაზს უსვამს, რომ „პოლიტიკური პოტენციალი" ქვეყნის ჯეროვანი განვითარების შესაბამისი კვლავ არ არის;
- მიზეზშედეგობრივ კავშირში არაა საზოგადოების პატივისცემასა და სახელმწიფოებრივი მართვის პოტენციალთან.

წესით სარეკლამო პოლიტიკა პოლიტიკური მიზნების მიღწევის გარდა, უნდა ემსახურებოდეს „ქაოსიდან წესრიგის შექმნას", საზოგადოების ნდობისა და საარჩევნო აქტივობის ზრდას.

სამწუხაროდ, დღეს ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის მთავარ გამოწვევას და ერთგვარ ინდიკატორსაც კი არჩევნებში ხალხის მისვლა წარმოადგენს.

ტრადიციისამებრ, ისევ როგორც სხვა სტატიებში, მოცემულ სტატიასაც დავასრულებთ საჭირო რეკომენდაციებით, კერძოდ :

- პოლიტიკური პარტიების სამოქმედო გეგმები არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ინიციატივებით, გადასადგმელი ნაბიჯებით, სურვილებითა და გაცნობირებული პასუხისმგებლობით. უფრო სწორი იქნება ყოველივე აღნიშნული დასაბუთებული იქნას კონკრეტულად გაწერილი გეგმებით, კვლევებით არგუმენტირებული სამთავრობო პროგრამებით, მძლავრი სახელმწიფო სისტემის ფორმირების ხელშემწყობი პროექტებითა და სტრატეგოსი პოლიტიკური სუბიექტებით;
- სამოქმედო პროგრამებში უპრიანია (სადაც ხაზს უსვავენ გადასახადების შემცირებას, პენსიის გაორმაგებას, ხელფასის მომატებასა და კეთილდღეობას), განეხილათ გადასახადების შემცირება, ბიუჯეტში მიღებული დანაკლისის შევსების გზები, წარმოეჩინათ ქვეყნის შემოსავლის ახალი წყაროები. ყოველივე კი არგუმენტირებული უნდა იქნას სტრატეგიებითა და გეგმებით;
- ქართული პოლიტიკური გარემოს რეფორმირების გეგმები. ქვეყანაში როგორც სხვა დარგები გარდაიქმნა და მოწესრიგდა, ასევე უნდა გარდაიქმნას პოლიტიკური პლატფორმა, გაახლდეს პოლიტიკური რესურსი და ტექნოლოგიები;
- ახალი პოლიტიკური გარემოს ფორმირების საფუძველი უნდა იყოს საქართველოს საზოგადოების ნდობა და თითოეული მოქალაქის ფინანსური შემოწირულობა;

www.interpressnews.ge, 29 აგვისტო, 2016 წელი

2.13. პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის უთანხმოება - კონსტიტუციაში არსებული გაურკვევლობა თუ პრობლემების სინდრომი?

პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არსებული ენდემური უთანხმოება არ წარმოადგენს მხოლოდ გაუგებრობას, არც პერსონალურ კონფლიქტს, არც კოაბიტაციის დილემას, არც კონსტიტუციაში არსებულ ორაზროვნობას, არამედ იგი შეიძლება განხილული იქნას, როგორც ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების დამახასიათებელი „სინდრომი“. ასევე, პოლიტიკური რყევებისა და ძალაუფლების გადანაწილების გამოვლინება.

ფაქტია, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არსებული საჯარო უთანხმოებები ამცირებს: სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობას, პოლიტიკურ ღირებულებებს, პირველი პირების მიერ საზოგადოების ინსპირირების მასშტაბებს, ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფორმირების განწყობას; ზრდის სახელმწიფო მომსახურების დანაკარგებსა და წილს მშპ-ში.

თავის მხრივ, საჯარო უთანხმოებები აისახება გრძელვადიან პროექტებსა და გარიგებებზე, სამომხმარებლო და საქმიან ნდობაზე.

საბოლოოდ, შეიძლება საკითხის ფორმულირება ამგვარად, მორალური პრინციპებისა და სოციალ-ეთიკური პასუხისმგებლობის ფონზე, აუცილებელია მიმდინარე საჯარო უთანხმოებების ლოკალიზება და ჰერმეტულობა.

www.kvira.ge, 21 აპრილი, 2015 წელი

2.14. საარჩევნო დაპირებების უწყვეტი ნაკადი

საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში, „ეკონომიკური პოლიტიკის რიტორიკა"არაეფექტიანია. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ეკონომიკური პროგრამები შეიძლება დახასიათდეს, როგორც: დაპირებების უწყვეტი ნაკადი, სტანდარტული სტილის ზოგადი პროგრამები, მხოლოდ "ნდობის მოპოვებაზე" დაფუძნებული ეკონომიკური მიდგომები. სამწუხაროდ, პროგრამებში ასახული არ არის კონკრეტული გეგმები, ნაჩვენები არაა პრაქტიკული მიდგომები, წარმოდგენილი არ არის საჭირო ნაბიჯები და სამოქმედო რუქა. ფაქტობრივად, მსგავსი „სტანდარტული მიდგომებით" საქართველოს ეკონომიკური სივრცის სწრაფი ზრდა-განვითარება ბუნდოვანია.

დღეს, თითოეულიპოლიტიკური სუბიექტი ამტკიცებს, რომ მხოლოდ მას შეუძლია ქვეყნის განვითარება და უნდა ვენდოთ. ამასთან, მათ მიერ ქვეყნის განვითარების კონკრეტული გზებისა და საშუალებების დასაბუთება სუსტია. შესაბამისად, საჭიროა ითქვას, რომ სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, პარტიებმა უნდა დაასაბუთონ მიღწევის გზები და მექანიზმები. სხვა შემთხვევაში თითოეული პარტიის ეკონომიკური დაპირებების კომბინაციები დამაჯერებელ გავლენას ვერ მოახდენს არათუ პოლიტიკურ ნდობაზე, არამედ ქართული საზოგადოების საარჩევნო აქტივობაზე. ერთადაერთი, "ქართული ოცნების" ეკონომიკური პროგრამა შეიძლება გამოვყოთ, რომელიც შედარებით ადეკვატური და აკადემიურია.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ არჩევნებში მონაწილე პირების პოლიტიკური აქტივობა ერთი პირის გარშემო "ბრუნავს". არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები იმ პირს უთმობენ დიდ ყურადღებას ვინც არჩევნებში ოფიციალურად არც კი მონაწილეობს (ბ. ივანიშვილს). აღნიშნულის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა თითოეულ პარტიას საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ:

- ეფექტიანია მათი ეკონომიკური პოლიტიკა;
- გააჩნიათ პოლიტიკური თუ პიროვნული უპირატესობები;
- ჩამოყალიბებული აქვთ ქართული ეკონომიკის განვითარების გზები;
- შექმნილი აქვთ ფინანსური ბაზრის სტაბილურობის პროგრამა;
- განსაზღვრული აქვთ ახალი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების პოლიტიკა;

- გააჩნიათ ქართული საექსპორტო პოტენციალისა და ახალი ბაზრების ათვისებისათვის საჭირო პოლიტიკური გეგმები;
- ფლობენ საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევის ქმედით მექანიზმებს;
- გააჩნიათ მოსახლეობის „მოღონიერებისა“ და დოვლათიანობის მიღწევის გეგმები და პროგრამები.

ჯამში, ქართული პოლიტიკური სუბიექტების მიერ ეკონომიკის განვითარების გზები და ეკონომიკური პოლიტიკა ვიწრო სპექტრშია წარმოდგენილი.

2.15. პოლიტიკური დებატების ხასიათი

საზოგადოება და ბიზნესიც კარგად აცნობიერებს მდგრადი და გამჭვირვალე პოლიტიკის, ნაციონალური რეალობის ამსახველი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის, ეკონომიკური აქტივობის ხელშემწყობი გარემოს, ინფრასტრუქტურის ფუნქციონალურობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელობას.

ქართულმა საზოგადოებამ იცის გლობალური ინსტრუმენტების ეკონომიკური მნიშვნელობა, აფასებს მოქნილ პოლიტიკას, ითხოვს ღია და ხალხის ინტერესებზე ორიენტირებულ მართვას, ელოდება შედეგებსა და სწრაფ განვითარებას, ხაზს უსვამს საქართველოს რეგიონულ ლიდერობას. ამასთან, განვითარების საფუძველს ხედავს ახალ პოლიტიკურ რესურსში, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებში, ელექტრონულ ბიზნესსა და ახალ ბიზნეს მოდელებში, თამამ რეფორმებსა და დეტალურად გაწერილ სტრატეგიებში. აღნიშნული მოცემულობა წარმოადგენს საქართველოს რეგიონული უპირატესობის მოპოვებისა და განმტკიცების შესაძლებლობას.

არსებითია ითქვას, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების ეკონომიკურ პროგრამებში ხალხი ვერ „ხედავს“ ეკონომიკური ზრდის წამყვან დარგებს ,განვითარების ძირითად გზებსა და რესურსს. შესაბამისად, რთულად აღიქმება ეკონომიკური პოლიტიკის ფლაგმანი პარტია. სამწუხაროდ, პოლიტიკური ფლაგმანობა „არ იკითხება“ პოლიტიკურ დებატებსა თუ კამპანიებში. პოლიტიკური ქარიზმა არ ჩანს პოლიტიკურ სახეებსა თუ აქტივობებში.

ფაქტია, რომ არჩევნების ფონზე, ამომრჩევლები მძაფრად რეაგირებენ პოლიტიკური ეთიკის დარღვევაზე, საჯარო ლანძღვა-გინებასა და აგრესიაზე, ტელევიზიით გაჟღერებულ ბრალდებებსა და საჯაროდ გაცხადებულ კანონდარღვევის ფაქტებზე. საზოგადოებამ იცის, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია, მათ შორის კანონის შემქნელიც.

პოლიტიკური დებატების ბუნებაა, რომ პოლიტიკურმა სუბიექტებმა:

- **პოზიტიურად შეცვალონ საზოგადოების აზრი;**
- **აამაღლონ პოლიტიკური სულისკვეთება;**

- **საჯაროდ განაცხადონ პოლიტიკური ვალდებულებები და პასუხისმგებლობები;**
- **„იზოლირებულ საზოგადოებას" განუმარტონ პოლიტიკური მიზნები და ამოცანები. განახორციელოს პოლიტიკური მესიჯების მკაფიო ფორმულირება;**
- **ხელი შეუწყონ საზოგადოების გააქტიურებასა და არჩევნებში ჩართვას;**
- **სახელმწიფოებრივი აზროვნების წარმოჩენით ხელი შეუწყონ საზოგადოების მიერ არჩევანის გაკეთებას** (ჩხუბი, დაუსაბუთებელი მსჯელობა, არარგუმენტირებული დაპირებები საზოგადოების გულგრილობას კიდევ უფრო აღრმავებს).

შთამბეჭდავია, რომ თანამედროვე ქართული მედია ცდილობს მიმდინარე პოლიტიკური დებატებით:

- განიხილოს სახელმწიფოს უკეთ გარდაქმნის პოლიტიკა;
- შეაფასოს ბიზნესის თანამედროვე ტენდენციები, სახელმწიფოს გამომწვევები და რეაგირების ღონისძიებები;
- გააანალიზოს გლობალური და ლოკალური საფრთხეები, ქვეყნის ეკონომიკური გამოწვევები, ანტიკრიზისული და სტრატეგიული გეგმები;
- არგუმენტირებულად დაასაბუთოს ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო მიდგომები;
- საზოგადოებას გააცნოს ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები და ახალი პოლიტიკური სახეები. შეაფასოს მათი პოლიტიკური პოტენციალი და საჭიროება;
- სახელმწიფოებრივ ვექტორებზე საჯაროდ გამოიტანოს საზოგადოებრივი ვერდიქტი;

ფაქტია, რომ აღნიშნული მიდგომის მიუხედავად, ქართული პოლიტიკური დებატების ატმოსფერო:

- წარმოდგენილია ბუნდოვანი მესიჯებით ;
- გაჟღენთილია ურთიერთბრალდებებით;
- მოიცავს დაძაბულ და მუქარის შემცველი საუბარს;
- მოცემულია პოლიტიკური იმპროვიზირებით, რომელიც არ ზრდის კონკურენტულ უპირატესობას;
- ჯამში, პოლიტიკური დებატები აღქმულია დაბალი აკადემიური ანალიზით. ეს კი ზრდის პოლიტიკურ შფოთვებს და იწვევს დისფუნქციურ შედეგებს;

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიზეზების საფუძველს წარმოადგენს ფორმირებული პოლიტიკური კომპოზიცია და გაბატონებული პოლიტიკური კლასი. შედეგად ვიღებთ შემდეგ მოცემულობას:

- **უცვლელია პოლიტიკური კლასი**. სახეზეა პოლიტიკური და მმართველობითი პროფილის ცირკულაცია;

- **იზოლირებულია პოლიტიკური მოედანი;**
- **ღია მმართველობის პოლიტიკის ფონზე,** პოლიტიკურ სიბრტყეზე წარმოდგენილია ღრმა პოლიტიკური **ფესვების მქონე აქტორები;**
- **მაღალია პოლიტიკური „უთანასწორობა“;**
- **ქვეყანაში კარიერული წინსვლის პოლიტიკა, წესი და სქემა არ არსებობს;**
- **იგნორირებულია სახელმწიფოს მიერ მეცნიერ-მკვლევარებთან თანამშრომლობა.** სუსტია საზოგადოების კოორდინაცია და დაბალია საინიციატივო ჯგუფების მართვაში ჩართულობა;
- **ნეპოტისტური პრივილეგიები პირდაპირ კავშირშია სამართლიანობის განცდაზე;**
- **არ ფასდება მეცნიერი,** საზოგადოების პოტენციალი, რესურსი, ხარისხი და კვალიფიკაცია, არ/ვერ ხედავენ პროფესიონალებსა და კვალიფიციურ სპეციალისტებს;
- **ჯამში, აზარალებენ ქართულ პოლიტიკას.**

„როდესაც დებატებს აგებენ, ცილისწამება ხდება წამგებლის ინსტრუმენტი“ (სოკრატე). პოლიტიკური დებატებმა შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენოს არც პოლიტიკურ სუბიექტებს და არც ქართულ პოლიტიკას. საქართველოს საზოგადოება იმსახურებს პატივისცემას, რაც გამოხატული უნდა იქნას აკადემიურ საუბარში, თავშეკავებულ და არგუმენტირებულ დიალოგში, პოლიტიკურ ანალიზსა და პოლიტიკური კულტურის დაცვით უპირატესობის წარმოჩენაში.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა, დებატებით თუ საზოგადოების პოლიტიკურ შთაგონებას ვერ მოახდენს, იქნებ ინსპირირებით არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მაინც აღძრას.

www.interpressnews.ge, 03 ოქტომბერი, 2017 წელი

2.16. სამთავრობო მმართველობის პრობლემები

გლობალური კრიზისის პირობებში საქართველო მოუმზადებელია, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა არასახარბიელოა, პოლიტიკური სისტემა არამდგრადია, ქვეყანა ბუნებრივი ინერციის პირობებშია. შესაბამისად, საზოგადოება ან „პოლიტიკური მხსნელის ძებნაშია“ ან ემიგრაციაში ხედავს გამოსავალს.

გლობალური და ლოკალური გამოწვევების პირობებში, საქართველო მსოფლიო საზოგადოებასთან თანამშრომლობით ცდილობს პოლიტიკური გამოწვევებისა და სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.

მოცემული სტატიის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის არსებითი პრობლემების წარმოჩენა და რეკომენდაციების შეთავაზება.

დღეს, ნებისმიერი მოქალაქისათვის აქტუალური საკითხია ეკონომიკური პროცესები, განსაკუთრებით სავალუტო კრიზისი. ყველასთვის ცნობილია, რომ გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე, ვალუტის კურსზე, ცხოვრების პირობებზე, განვითარების ტემპზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, სავალუტო კრიზისის პრევენციისათვის ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს, როგორიცაა: პრივატიზაციის პროცესი, საგადასახადო სტიმულირება, ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების რეალიზება, "ქამრების შემოჭერის" პოლიტიკის გატარება და სხვა.

ამასთან, მთავრობა მუშაობს განვითარების გეგმებზე, ეკონომიკის გაცოცხლებისათვის საჭირო რესურსების მოძიებაზე, ვალუტის სტაბილიზაციისა და ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაზე.

ოპტიმისტური ტენდენციების გარდა, აღსანიშნავია ის პრობლემებიც, რომლის გადაჭრაც აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას წარმოადგენს.

ნებისმიერმა ადამიანმა იცის, რომ ქვეყანაში, სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელობას, აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობას (მინისტრობას თუ პარლამენტარობას) თან ახლავს "მყარი" ხელფასი დანამატებით, საშვილიშვილო აღიარება და დაფასება (გამონაკლისებისათვის ისტორიაში ადგილის დამკვიდრებაც). მით უმეტეს იმ რეალობის ფონზე, რომ შედეგებზე პასუხისმგებელი არ ხარ (მთავარია სისხლის სამართლებრივი დანაშაული არ ჰქონდეს ჩადენილი). მაგალითად, დარგის განვითარების პროცესებზე ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობა, საზოგადობრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის კანონების მიღება, სტრატეგიების შემუშავება, რეფორმის თუ პროექტის შედეგებზე პასუხისმგებლობა და სხვა, უფრო მორალური და ეთიკური ვალდებულებაა, ვიდრე სამართლებრივი ვალდებულება.

დღეს, როდესაც სახეზეა სავალუტო კრიზისი, რთულია ისაუბრო კონკრეტულად ვისი ან რისი ბრალია, რადგან იგი გამოწვეულია არა ერთი ფაქტორით, არამედ ფაქტორთა რამდენიმე ჯგუფით, როგორც გლობალური ისე ლოკალური, ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორებით. თუმცა ფაქტი ერთია, ეს პროცესი პროგნოზირებადი იყო, შესაბამისად, საჭიროებდა პრევენციის მექანიზმებსა და ლოკალიზაციის დროულ ღონისძიებებს.

რა თქმა უნდა სახელმწიფოში ინტენსიურად წარმოებს სამთავრობო პროგრამების შემუშავება და პროგრამების განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების მობილიზება. მთავრობის წევრებიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დაგეგმილი და შემუშავებული პროექტების დაწყებაზე. თუმცა, შემდგომ განხორციელებული პროექტების შედეგების შესახებ საზოგადოება ინფორმირებული არ არის. ხელისუფლების ორგანოები არადამაკმაყოფილებელ შედეგებზე პასუხისმგებლობას „არ აცხადებს".

ასეთ ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ მთავარია სამთავრობო მოედანზე მოხვდე, შემდეგ კი სიცოცხლის განმავლობაში “ბურთს” სულ ითამაშებ (ანუ სამთავრობო მართვით იქნები დაკავებული), მიუხედავად იმისა, იცი თუ არა ან საერთოდ შეგიძლია თუ არა თამაში. ამასთან, მუდმივად საუბარია პროფესიონალიზმზე, კადრების დეფიციტზე, სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე.

არსებითია აღინიშნოს, რომ სტატია არ გულისხმობს პრობლემების მოგვარებისათვის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცვლილების მოწოდებას ან ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას. **უნდა გავითვალისწინოთ ნებისმიერი ცვლილების (არჩევნების) ეკონომიკური შედეგები, სახელმწიფო მომსახურების დანაკარგების მოცულობა მშპ-ში, რადგან, ყოველი მსგავსი ცვლილება საკმაოდ ძვირი უჯდება ქვეყნის ეკონომიკას (რომლის ეკონომიკურ მაჩვენებლებში გაზომვა არ ხდება).**

პოლიტიკური რყევები და ცვლილებები მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს ბიუჯეტს, სოციალურ გარემოს, ზრდის უთანასწორობას, უარყოფითად აისახება საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაზე, სამომხმარებლო და საქმიან ნდობაზე. მსგავსი რყევები იწვევს პოლიტიკურ კრიზისებს, ზრდის უმუშევრობას, იწვევს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის ცვლილებას, უარყოფით გავლენას ახდენს უძრავ-მოძრავი ქონებით ვაჭრობაზე, აფერხებს ეკონომიკის ზრდას, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობაზე და სხვა.

სამწუხაროა, რომ მძიმე სოციალ-ეკონომიკურ პირობებში, აღმასრულებელი და საკანომდებლო ორგანოს წარმომადგენლები საკუთარი ნებით ტოვებენ თანამდებობებს. ამასთან, არავინ საუბრობს იმ საკითხზე, რომ თავის დროზე, აღნიშნული პირების პროფესიონალიზმსა და თანამდებობების შენარჩუნებისათვის, ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი პრემიები და დანამატები გაიცემოდა. შესაბამისად, საზოგადოება საჭიროებს პასუხს, ასეთ “პროფესიონალიზმში” გადავიხადეთ სოლიდური პრემიები და დანამატები, რომლის შედეგიც მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური ფონია?!

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქართული პოლიტიკური კონკურენცია ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენების ნაცვლად წარმოებს დიდი ფინანსური რესურსების ფლობით, არაფორმალური კავშირებით, პოლიტიკური იმუნიტეტით, ბრალდებების მარჯვე გამოხატვით, იდეოლოგიური პროპაგანდით. შედეგად ვიღებთ არამდგრად პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს, პროგრესის დაბალ ტემპს, სამეცნიერო კადრებზე მოთხოვნის ნაკლებობას, არაეფექტურ მმართველობით გადაწყვეტილებებს, ცალკეული სახელმწიფო უწყებების არაპროდუქტიულ მუშაობას. ქვეყანაში არაპროგნოზირებადია ეკონომიკური გარემო, არასტაბილურია სამუშაო ადგილები, შეჩერებულია ცალკეული პროექტი, დაუფასებელია პროფესორ-მასწავლებელი, არამიმზიდველია მეცნიერ-მკვლევარის საქმიანობა.

ქვეყანაში აქტუალურია საგარეო თემებსა და შორეულ პერსპექტივებზე საუბარი, ამ დროს ნაკლები ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ანტიკრიზისული გეგმების უქონლობა, ძვირი კრედიტები, საშინაო და საგარეო ვალები, განსახორციელებელი რეფორმები, დასაქმების პრობლემები, მაღალი უთანასწორობა და ა.შ.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილი ფინანსდება პარტნიორი ქვეყნებისა თუ სხვა უცხოური წყაროებიდან. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური „მდგრადობა“, პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებზეა დამოკიდებული (გრანტები, სუბსიდიები, იმპორტი და ა.შ.). აღნიშნული პროცესი გადაზრდილია მსგავს ქვეყნებთან „ანგარიშვალდებულებაში“. აუცილებელია აღინიშნოს, რომ უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულება, უცხოური წყაროებიდან დაფინანსება ზრდის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების რისკებს. შესაბამისად, გლობალური გამოწვევების პირობებში, მმართველობის ეფექტურობა საგარეო ვალების ზრდასა და „საგარეო კურსის“ აღებაში არ უნდა გამოიხატებოდეს.

დღეს, ქვეყანაში შექმნილი სტრატეგიები (დიდი ნაწილი), საერთაშორისო ვალდებულებით „ნაკარნახევი“ დოკუმენტებია. ბუნებრივია, დროულად დაგეგმვისა და მეცნიერთა პოტენციალის გამოყენების პირობებში „კარნახი“ არ დაგვჭირდებოდა. ამიტომ, არსებული გამოწვევების პირობებში, დროა ქვეყნის მართვაში აქტიურად ჩაერთოს მეცნიერები, პროფესორები და დოქტორის ხარისხის მქონე პირები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყანა იმ მძიმე პროცესებამდე არ მივიდოდა, რომლის შედეგების პრევენციაზე ფოკუსირებულია კერძო და სახელმწიფო სექტორი, სახელმწიფო მმართველობით საქმიანობაში, რომ პროფესორები, მეცნიერ-მკვლევარები, დოქტორის ხარისხის მქონე პირები ყოფილიყვნენ ჩართული. ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელია მოხდეს სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, მეცნიერთა ანალიზისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, აქტიური ჩართვა სახელმწიფო სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებაში, ანტიკრიზისული პროცესების დაგეგმვასა და პრევენციის ღონისძიებების გატარებაში.

სახელმწიფო მართვაში, მეცნიერების ჩართვით შეიქმნება სისტემა, რომელიც გაზრდის მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობას, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შეიქმნება განვითარების სტრატეგიები, შემუშავდება ანტიკრიზისული გეგმები, გატარდება პროგრესისა და ინოვაციის ხელშემწყობი ღონისძიებები, შესაბამისად, გლობალურ და ლოკალურ ეკონომიკურ გამოწვევებზე დროულად მოხდება რეაგირება.

მმართველობით პროცესში, სამეცნიერო რესურსის გამოყენება შექმნის პირობას, რათა ფორმირებული იქნას ნოვატორული აზროვნების მმართველობითი გარემო, მიღებული იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები და საბოლოო ჯამში მიღწეული იქნას საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა.

სამეცნიერო რესურსით სახელმწიფო მმართველობის ფორმირების პროცესი ხელს შეუწყობს მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებას (პოლიტიკური სისტემის ნაცვლად). სახელმწიფოს მმართველობით პროცესში, მეცნიერები შეიძლება განხილული იქნას, როგორც განვითარების, ზრდის, წინსვლისა და კეთილდღეობის რესურსი.

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ: თანამედროვე გამოწვევების პირობებში, სახელმწიფოს საკადრო პოლიტიკა უპირატესობას მეცნიერებსა და დოქტორის ხარისხის მქონე პირებს უნდა ანიჭებდეს. აღნიშნული გამოიწვევს მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნასა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას;

გლობალური გამოწვევების პირობებში, პროგრესისა და ეკონომიკურ კეთილდღეობის მიღწევისათვის აქცენტი ქვეყანაში არსებულ რესურსებზე უნდა გაკეთდეს;

საჭიროა სათანადოდ შეფასდეს იმ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლების გადაწყვეტილება, რომელიც ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზის პერიოდში, პოლიტიკური ინტერესების გამო ტოვებს თანამდებობას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ გადაწყვეტილებას საზოგადოების მოთხოვნა უდევს საფუძვლად);

ქვეყნის ცალკეულ სექტორში, მმართველობითი პირებისათვის პრემიების დარიგების ადეკვატურ შედეგებს ვერ ვიღებთ, ხოლო პრემიებს პროფესიონალი კადრების შეკავების ინსტრუმენტად აღიქვავენ. თუ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შედეგი არ იქნა დროის კონკრეტულ მონაკვეთში, კონკრეტულ დარგსა თუ სექტორში, ასეთი პირები ჯობია წარმოვაჩინოთ პასუხისმგებლობის დაკისრებით, ვიდრე პრემიების დარიგებით. აღნიშნული პრემიები ხომ ათეულობით ადამიანის (მაგალითად, პროფესორ-მასწავლებლის) ხელფასის დაქვითვის საფუძველზე არის აკუმულირებული;

სახელმწიფოს საჯარო მმართველობა საჭიროებს ისეთ მექანიზმს, რომელიც პოლიტიკურ სივრცეში ხელს არ შეუშლის ახალი კანდიდატების გამოჩენას, ნოვატორული აზროვნების მეცნიერთა ჯგუფების ფორმირებას და მმართველობაში სამეცნიერო პოტენციალის ჩართვას;

მანამ, სანამ სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა არ იქნება ეროვნული ფასეულობის მატარებელი, დიდი პასუხისმგებლობით აღსავსე შედეგებზე ორიენტირებული ვალდებულება, და არა მხოლოდ ხელფასის აღების ან იმუნიტეტის მოპოვების საშუალება, მანამდე ქვეყანაში რეფორმების გატარების სურვილი, მზაობა და მისწრაფება დაბალი იქნება;

მთავრობა ვალდებულია, გააჩნდეს როგორც განვითარების სტრატეგიები, ისე ანტიკრიზისული გეგმები ფორსმაჟორული შემთხვევებისათვის;

გლობალური გამოწვევები მოითხოვს, რომ მთავრობამ შექმნას ანალიტიკოსთა ჯგუფები, რომელიც დაკომპლექტდება მეცნიერების, პროფესორებისა და დარგის წამყვანი სპეციალისტებისაგან. ანალიტიკური ჯგუფები ხელს შეუწყობს: ქვეყნის განვითარების მიმართულებების განსაზღვრას; გამოწვევებისა და კრიზისული პროცესების პრევენციისათვის

ანტიკრიზისული ღონისძიებების შემუშავებას; პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეფასებასა და გაზომვას; ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

ძნელია არ დაეთანხმო იმ აზრს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები არაადეკვატურია, ხოლო პრევენცია ლოგიკური თუმცა დაგვიანებული. სახელმწიფო, ვალდებული იყო შემუშავებული ჰქონოდა ანტიკრიზისული გეგმა, გაუთვალისწინებელი გამოწვევების პრევენციისათვის.

დაბოლოს, სარწმუნოა, რომ მოცემულ ეტაპზე კრიზისი დაიძლევა მაღალი „ხარკისა" და ეკონომიკური ზრდის ტემპის მკვეთრად შემცირების ფონზე, თუმცა ჩნდება კითხვა ვართ თუ არა მზად, გლობალურ კონფრონტაციულ გარემო პირობებში, უფრო მძაფრი ეკონომიკური შოკებისა და გამოწვევებისათვის?

www.kvira.ge, 27 თებერვალი, 2015 წელი

2.17. სუსტი მმართველობის საფუძველია მოდიფიცირებული წესები, გაუფასურებული სიტყვები და ორაზროვანი კანონები

სახელმწიფო სისტემის ძლიერება პირდაპირ კავშირშია წესის, სიტყვისა და კანონის უზენაესობასთან. მართალია აღნიშნული ჩამონათვალი ჩვენს მიმართ თანაარსებობაშია, თუმცა, თანამედროვე მოცემულობის ფონზე სახელმწიფო სისტემის ძლიერებაზე პოზიტიურ გავლენას ვერ ახდენს. მიზეზი შემდეგია:

I. წესი. ***„წესები არ არსებობს".*** ფაქტობრივად, არ ვფლობთ კარიერული წინსვლის წესებს. განსაზღვრული არააკარიერული ზრდისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და განათლების ხარისხი, აღმასრულებელ უწყებებში მეცნიერ-მკვლევარის როლი პოლიტიკური ტრადიციებითაა იგნორირებული, მდიდარი სამეცნიერო-საკადრო რესურსის ფონზე მუდმივად წარმოებს პროფესიონალების ძიება, ქვეყანაში დამკვიდრებული წესის თანახმად, ეროვნულ უმაღლეს კურსდამთავრებულებზე „წინდგას" უცხოეთის კურსდამთავრებულები, ქართველ სპეციალისტებსა და სტრატეგოსებს უცხოელ სპეციალისტებს ამჯობინებენ.

დემოკრატიის წესების თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა არჩევა და არჩეულ თანამდებობაზე განსაზღვრული ვადა გავლენას ახდენს ქვეყნის ცივილური და დემოკრატიული პრინციპებით მართვაზე. არასათანადო ცვლილება ყოველთვის ხალხის ხმის შესუსტებისკენაა მიმართული. ამასთან, საზოგადოებისათვის არსებული დემოკრატიის მექანიზმის შემცირება (პრეზიდენტის არჩევის უფლების წართმევა), თანამდებობებზე ვადების გახანგრძლივებისა და საზოგადოების გავლენის შემცირების საფუძველია.

არსებითია აღინიშნოს, რომ ცალკეული საჯარო მოხელე, ლეგიტიმური უფლებებისა და პრობლემების „გულთან ახლოს მიტანის"მიუხედავად, ვერ

ახდენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მყისიერ და სათანადო რეაგირებას. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ასეთი ხელმძღვანელის სისუსტე საჯარო სტრუქტურების სისუსტეს განაპირობებს და თვალნათელს ხდის მთლიანი სახელმწიფო სისტემის სიმყიფეს.

II. სიტყვის ძალა. ***სუსტი მმართველობის საფუძველზე გაუფასურებულია მმართველის სიტყვა.*** დღეს, საზოგადოების მოთხოვნების იგნორირების გამო გაუფასურებულია პოლიტიკური სიტყვა; სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა დაკომპლექტება არ ხდება მეცნიერული და ლიდერული უნარ-ჩვევებით აღსავსე პირების მიერ, რომელთა სიტყვა, თავისთავად,მეცნიერულად მყარი საფუძვლითა და უკვე გამომუშავებული პასუხისმგებლობის მაღალი დონით იქნება გარანტირებული;

მიმდინარე პერიოდში, პოლიტიკურმა არჩევნებმა გამოავლინა „საზოგადოების ვერდიქტი": საზოგადოების „პოლიტიკური ნდობა", მართვისა და პოლიტიკის სისუსტეები, პოლიტიკური ეკოსისტემის დეგრადირებული უჯრედები, პოლიტიკური რესურსის არსებული პოტენციალი, ეკონომიკური პოლიტიკის აღქმა და დამოკიდებულება.

აღიარებულია, რომ პოლიტიკური სისტემა, საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილების, ძლიერი სახელმწიფო სისტემის შექმნის, მშვიდობისა და ტერიტორიულ მთლიანობის, ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნის, ჯეროვანი შრომის ანაზღაურების, საზოგადოების ერთიანობის პირობებს უნდა ქმნიდეს. რაც, თავისთავად, გამყარებული უნდა იქნას ეფექტიანი მართვით, ყოვლისმომცველი გეგმებითა და შორსმჭვრეტელი სტრატეგიებით.

ქართულ რეალობაში, აღნიშნული ნარატივები წარმოდგენილია „კარგი ცხოვრების ილუზიით", „ზრდადი ემიგრაციით", ძვირი საკრედიტო ბაზრით, ინფლაციის მოლოდინით, უიმედო შრომით, მომავლის შიშით, უშედეგო მართვითა და მართვის უნარის არმქონე წარმომადგენლებით. ჯამში, სტრატეგიულ პოლიტიკურ რესურსს დემაგოგია წარმოადგენს, რომლითაც „უმოქმედობის გამოკვებას ცდილობენ".

სამწუხაროდ, დამკვიდრებული პოლიტიკური შეხედულებით პრობლემებს, უმუშევრობას, განვითარების სუსტ ტემპს, კადრების დეფიციტს და დეფლაციურ მოლოდინს ქართული გარემოს თავისებურებებს მიაწერენ ხოლმე. ამასთან, დამკვიდრებული სტერეოტიპით, აღნიშნული პრობლემების სათავედ მოიაზრებენ არა ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ რესურსს, არამედ გარემო ფაქტორებსა და შოკებს.

ფაქტობრივად, ***მმართველობაში გააზრებული არაა პრობლემების სიღრმე, ხოლო ზედაპირულად ცნობილი პრობლემები პრევენციის ღონისძიებებს „არ ემორჩილება". ამიტომ, მუდმივად ვიმკით პოლიტიკურ რყევებს, დაბალი ზრდის ტემპს, ინფლაციურ მოლოდინებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოწვევებს.***

III. კანონი. ***ქვეყანაში კანონის წინაშე „დეკლარირებულად" ყველა თანაბარია, თუმცა სამართლიანობის ნაკლებობა რომ არის ესეც ფაქტია.***

ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმები ლავირების შესაძლებლობას იძლევა, რომლითაც მხოლოდ “პრივილეგირებული ფენა“ სარგებლობს, რაც „უსამართლო პრეცედენტებს“ ზრდის. ამასთან, კონკრეტულ პრეცედენტებზე რეაგირება მკაცრი ადმინისტრირების ნაცვლად უფრო მორალური მხარდაჭერითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, ქვეყანაში „მორალური წუხილი უკეთეს ხარისხშია“ წარმოდგენილი, ვიდრე სამართლებრივი.

არსებითია აღინიშნოს, რომ ქვეყანაში გვყავს როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ლიდერები, ისე მმართველობითი უნარის არმქონე საჯარო უწყების ხელმძღვანელები.შესაბამისად, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ დინების შესაბამისია, არ შემოიფარგლება ინოვაციური მიდგომებით, თამამი რეფორმებით, პროგრესული აქტივობითა და ქმედებებით.

აღნიშნულ მოცემულობაში, სახელმწიფო სისტემა თვითდინებითა და სტანდარტული მიდგომებით მოქმედებს. შესაბამისად, გვაქვს სუსტი ზრდა, დაბალი პოლიტიკური ნდობა, უფლებამოსილების „ვერგამტარებელი “საჯარო უწყების ხელმძღვანელები.

ხაზგასასმელია საჯარო სივრცეში გაჟღერებული განცხადებები და სტატიები (მაგალითად, სტატია „ჩვენი ოპონენტები დადიოდნენ ევროპარლამენტის დერეფნებში და ცდილობდნენ არ მიგვეღო ვიზალიბერალიზაცია, მათ კიდევ ერთხელ მოიჭრეს თავი” წყარო: IPN, 10:56 27-10-2016). უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემას წარმოადგენს არამხოლოდ ის, რომ კონკრეტულ ფაქტებს აქვს ადგილი, არამედ შემაშფოთებელია ისიც რომ სახელმწიფო უწყების წარმომადგენლების რეაგირება არის მხოლოდ „საინფორმაციო ხასიათის“.

პრაქტიკული მოცემულობის ფონზე უნდა ითქვას ისიც, რომ ქვეყანა პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცვლილებების საჭიროებების პიკზეა. მხედველობაშია მისაღები საპატიო დიპლომატების რეკომენდაციებიც. კერძოდ, ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში კენეტ იალოვიცი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ “მოვიდა დრო ძველი ლიდერები გვერდზე გადადგნენ” (IPN, 09:45 13-10-2016).

მანამ, სანამ სახელმწიფო სისტემაში მოთხოვნად არ იქცევა გეგმების შესრულება, განვითარების კონკრეტული დონის მიღწევა, საზოგადოების მოთხოვნებზე მყისიერი რეაგირება, ფინანსურ და ეკონომიკურ პრობლემებზე პასუხისმგებლობის აღება, სახელმწიფო მართვაში მეცნიერ-მკვლევარების ჩართვის აუცილებლობა, მანამდე ქვეყანაში მუდმივად გვექნება პრობლემები და მუდმივად ვიოცნებებთ ევროპული ტიპის ეკონომიკაზე.

სამწუხაროდ, ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემა აუცილებელ მოთხოვნად არ აწესებს რეფორმის გატარების საჭიროებას, არ ადგენს აქტივობის ზრდის წესებს, არ საზღვრავს გეგმების წარმატებით შესრულების მოთხოვნებს. შესაბამისად, ხელმძღვანელის „სამოქმედო არეალი“ დიდი გარჯის საჭიროებას არ ითხოვს, ეს კი მიზეზშედეგობრივ კავშირშია სახელმწიფო სისტემის მდგრადობასთან, ეკონომიკის ზრდასთან, საზოგა-

დოების ძლიერებასთან, ახალგაზრდა ოჯახების კეთილდღეობასთან და ქვეყნის განვითარებასთან.

საზოგადოებას მუდმივად აინტერესებს, ქვეყანას როდის ეშველება? პასუხი ერთმნიშვნელოვანია, საშველი მდგომარეობს:

- ახალი ადმინისტრაციული და პოლიტიკური რესურსის ჩამოყალიბებაში, რაც პოლიტიკური მიზნებით იგნორირებულ და კონსერვირებულ ახალ ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ რესურსს ეფუძნება. ქარიზმატული მმართველებით, ენერგიული და ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებით დაკომპლექტებულ მმართველობით გარემოში;
- ახალ პოლიტიკურ მოდელში, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფს აქვს შემუშავებული;
- ადმინისტრაციულ ცვლილებებში. ძველმა პოლიტიკურმა სისტემამ არ შეცვალა მართველობითი უნარის არმქონე ხელმძღვანელები. პირები, რომელთაც არ შეუძლია დაგეგმვა, სტრატეგიული აზროვნება, რეფორმის გატარება და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ასეთი პირი „საქმის მკეთებელსაც" ხელს უშლის, ინსტიტუციის იმიჯს დაბლა წევს, იწვევს დეზორგანიზაციას, აღვივებს კონფლიქტებს, ამცირებს ინოვაციურობას, ხელს უშლის უწყების ზრდა განვითარებასა და ახალი კადრების წარმოჩენას;

შესაბამისად,გამოსავალი მდგომარეობს შემდეგი ღონისძიებების გატარებაში:

- შემოწმდეს დაანონსებული სახელმწიფო პროექტების, განსახორციელებელი პროგრამების, გაცხადებული კანონპროექტების, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება;
- შესწავლილ იქნას სახელმწიფოებრივი პროექტების ხელშემშლელი გარემოებები, გამოვლენილი იქნას რეაქციონერი პირები და განხორციელდეს უმკაცრესი რეაგირება;
- გამოკვლეული იქნას საზოგადოების ხმისა და „მოთხოვნების" იგნორირება, მართველობითი „უუნარობა", პრობლემების მოუგვარებლობა, არამყისიერი რეაგირება. საჯარო უწყების წარმომადგენლები, რომელიც კონკრეტული პრობლემის შესახებ ინფორმირებულია, ხოლო მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რეაგირებას ვერ ახდენს გადასაჭრელ საკითხზე, აზიანებს როგორც ინსტიტუციის იმიჯს, ისე საფრთხეს უქმნის სფეროს განვითარებას თუ სახელმწიფო სისტემის ძლიერებას;
- მკაცრად შეფასდეს მმართველობითი პროფილი. შეიცვალოს მმართველობითი უნარის არმქონე პირები, რომლებიც სახელმწიფო სისტემის ძლიერებას ხელს ვერ უწყობენ;
- ცვლილებები შეეხოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული სისტემის იმ მმართველობით რგოლს: რომელთა პროდუქტიულობა და ინოვაციურობა უმნიშვნელოა, ვისაც დარგის განვითარებაში წვლილი

ვერ შეაქვს,ვისაც სტრატეგიული დაგეგმვა და განხორციელება არ შეუძლია;

- ცვლილებები შეეხოს იმ მმართველებს ვისაც რეფორმების გატარების სურვილი და სიმამაცე არ გააჩნიათ, ვისაც დაწყებული რეფორმების გაგრძელების მმართველობითი ენერგია არ გააჩნია („რეფორმა“ მხოლოდ თანხის გახარჯვა არაა);
- ცვლილებები შეეხოს იმ მმართველებს, ვინც უფლებამოსილებას ვერ მიმართავს სფეროში არსებული პრობლემების დაძლევისა და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, ვინც ინსტიტუციაში არსებულ გამოწვევებზე მყისიერ რეაგირებას ვერ ახდენს.
- ცვლილებები შეეხოს იმ მმართველებს, ვისაც არ გააჩნია კვლევის, მეცნიერული მიდგომების, სტრატეგიული დაგეგმვის, ორგანიზაციული და ლიდერობის უნარი;
- ჯამში, მთავარ პოლიტიკურ ანტრეპრენიორსა და აქტორს აქვს შესაძლებლობა გზა მისცეს ახალი პოლიტიკური მოდელის შექმნას, ახალი პოლიტიკური ჯგუფების აქტივობას, ახალგაზრდა კადრების წარმოჩენას, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რესურსის საფუძველზე.

http://www.interpressnews.ge/, 7 ნოემბერი, 2016 წელი

2.18. მმართველობითი პრობლემები: პროფესიონალების დეფიციტი თუ „ვინ ვის იცნობს“ ფაქტორი?

ქვეყანაში, ეკონომიკური აქტივობის შემცირებისა და ვალუტის კურსის მერყეობის ფონზე, მთავარ ამოცანას წარმოადგენს პრობლემების გამომწვევი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების კვლევა-ძიება. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს კი აღმასრულებელი ორგანოების საკადრო სისტემა წარმოადგენს.

სტატიის მიზანს, სახელისუფლებო სტრუქტურებში „ვინ ვის იცნობს“ ფაქტორის თანმდევი შედეგების წარმოჩენა წარმოადგენს.

გულწრფელი ოპტიმიზმის მიუხედავად, სამთავრობო გადაწყვეტილებები ფუნდამენტურ გავლენას ვერ ახდენს ხალხის ცხოვრებაზე, პრობლემურ სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მომავლის შიშს ამძაფრებს არაერთგვაროვანი პროგნოზები, სამთავრობო კადრების შრომის ნაყოფიერება, გლობალური და ლოკალური გამოწვევები.

ცნობილი გამოთქმაა „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, კვალიფიციური კადრების შერჩევის ბარიერია ნეპოტიზმი, კლანური მართვა, ოჯახის წევრებისა და ნათესავებ-ახლობლების პრივილეგირებული მდგომარეობა. აღნიშნული წარმოადგენს სოციო-კულტურულ გამოვლინებას, რომლის შედეგებია(Сафина, 2013):

- არაეფექტური საკადრო პოლიტიკა;
- პერსონალის დემოტივაცია;
- აპათია;
- პერსპექტიული კადრების დაბლოკვა/განთავისუფლება;
- არაჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ფორმირება;
- ნეგატიური მოლოდინის ფორმირება;
- გადაწყვეტილებებზე ნეგატიური გავლენა.

ქვეყანაში, საკადრო პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენის მომხდენი ფაქტორებიდან, ყურადღების გამახვილებას საჭიროებს „ვინ ვის იცნობს“ ფაქტორი, რომელიც:

- **ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე,** კონკურენტული გარემოს ფორმირებაზე, სახელმწიფო სტრუქტურების პროდუქტიულობაზე, კარიერულ პროგრესზე (იზღუდება მეცნიერებისა და ინტელექტუალების წინსვლა), სამართლიანობის განცდაზე;
- **ანადგურებს ნაციონალურ სიმდიდრეს და ადამიანურ რესურსს**;
- **სტიმულირებს ემიგრაციას და „კადრების გადინებას“,** კორუფციას, კრიზისული სიტუაციების წარმოქმნასა და არაეფექტურ რეგულირებას;
- **აყალიბებს კლასს (ერთგვარ კლანს), რომელიც ხელს უშლის ინოვაციურ აქტივობას,** ცვლილებებისადმი სწრაფვას, პერსპექტიული იდეების რეალიზებას, საზოგადოების ინტეგრაციას, პროდუქტიულ და შემოქმედებით მუშაობას;
- **სახელმწიფო სისტემას უკეტავს სუფთა ჟანგბადს,** აღარიბებს შრომით ბაზარს, მმართველობით გარემოს ხდის დახურულსა და ჰერმეტულს;
- **იწვევს რეფორმების შეჩერებას/შენელებას, უთანასწორობის ზრდას;**
- **ნეგატიურად ცვლის რაციონალური ქცევის ნორმებს, ფასეულობათა სისტემას, მმართველობით პროფილს.**

„ვინ ვის იცნობს ფაქტორის“ პირობებში არ არის ჯანსაღი კონკურენცია. ცალკეული ანტრეპრენიორები და აქტორები აყალიბებენ თამაშის ახალ წესებს, რომლის არბიტრადაც თვითონ გვევლინებიან. შედეგად, ასეთი პირები, ქვეყანაში ქმნიან პროფესიონალი კადრებისა და რესურსების დეფიციტის განცდას, სხვებზე პრობლემების გადაბრალების ტენდენციას, მორალური პასუხისმგებლობის (სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად) აღების მმართველობით გარემოს.

აღნიშნული ფაქტორის ნეგატიური კრიტიკის მიუხედავად, პროცესი ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. მართალია, მისი მასშტაბების აღრიცხვა და ზუსტი სურათის წარმოჩენა შეუძლებელია, თუმცა ეს მასშტაბები პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის განვითარების შედეგებზე.

„ვინ ვის იცნობს ფაქტორი“ გახდა ერთგვარი ნორმა, რომლის ფესვები განხილული უნდა იქნას პოლიტიკური და საზოგადოების სოციალური სისტემის ასპექტში.

ბუნებრივია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალსაც და არაპროფესიონალსაც, თანამდებობის პირთა აღმავალ და დაღმავალ ნათესავსაც სჭირდება სამსახური, შემოსავალი, პროფესიული ზრდა-განვითარება, საზოგადოებაში აქტივობა და საკუთარი ადგილის დამკვიდრება. რეალურად, მწირი შრომის ბაზარი, ადამიანს უბიძგებს ნეპოტისტური პრივილეგიებით სარგებლობისკენ.

რეალობაა ისიც, რომ დემოკრატიული გარემოს ფორმირების პირობებ-შიც, კი პირის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ, გავრცელებული პრაქტიკაა ახლობელ-ნათესავისადმი პრივილეგირებული დამოკიდებულება (პირველ რიგში: მეუღლე, და/ძმა, დეიდაშვილი, ბიძაშვილი, მამიდაშვილი და სხვა).

ფაქტობრივად, საქართველოს მცირე მოსახლეობის პირობებში, „ნეპოტისტური პრივილეგიების“ ამოძირკვა დიდ გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, პრევენციის ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს: საკადრო პოლიტიკის საზოგადოებრივი მონიტორინგი, საჯარო აუდიტი, მმართველი პირის რეკომენდებულ კადრებზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში გავრცელებულ ტენდენციას წარმოადგენს მორალური პასუხისმგებლობა, მორალური წუხილი, მორალური გვერდში დგომა. ბუნებრივია მორალის მოთხოვნათა შესრულება სანქციონირდება მხოლოდ სულიერი ზემოქმედების ფორმებით (საზოგადოებრივი შეფასება, მოწონება ან გაკიცხვა) და არა სამართლებრივი პასუხისმგებლობით.

სპეციფიკური ფაქტორია ისიც, რომ ჩვენთან ყველაფერი „უცხოური“ ფასობს. მაგალითად, სტრატეგიული განვითარების გეგმებზე ძირითადად უცხოელი კონსულტანტები მუშაობენ, საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას აქცენტი კეთდება უცხოეთში კურსდამთავრებულებზე, პრობლემების იდენტიფიცირებას უცხოელი სპეციალისტებით ცდილობენ, თუმცა საბოლოოდ პრობლემების მოგვარება შიდა საკადრო რესურსით ხდება (რადგან საქართველოს საზოგადოებაზე უკეთ ლოკალური გამოწვევების მზა რეცეპტი არავინ იცის).

ქვეყანაში, ყურადსაღებ საკითხს წარმოადგენს მმართველობის ეფექტურობა, კვალიფიციური კადრების კარიერული ზრდის დაბალი შანსი, სახელმწიფო სტრუქტურებში დოქტორის ხარისხის მქონე პირების მცირე სიმცირე, სახელმწიფო პროგრამებისა და სტრატეგიების შესრულებაზე მორალური პასუხისმგებლობა და ა.შ. აღნიშნული გამოწვევების პასუხს წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას გათვალისწინებული განათ-ლების ცენზი.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლება წარმოადგენს პერსონალური და სოციალური განვითარების მამოძრავებელს. შესაბამისად,

საკადრო რესურსი უნდა გაძლიერდეს მეცნიერ-მკვლევარებით, რაც შექმნის ქვეყნის სწრაფი განვითარების პირობას. ამასთან, სამთავრობო კადრების მეცნიერ-მკვლევარებით დაკომპლექტებით:

- გაიზრდება ხელისუფლების შრომის ნაყოფიერება, მართვის ეფექტურობა, პოლიტიკური სისტემის მდგრადობა;
- მმართველობითი გადაწყვეტილებები გახდება მეცნიერულად დასაბუთებული;
- მიღწეული იქნება დაგეგმილი მართველობითი შედეგი;
- სტიმულირებული იქნება ნაციონალური ეკონომიკის ზრდა;
- პროგნოზირებადი გახდება ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

ხაზგასასმელია, რომ ყოველ პოლიტიკურ ცვლილებას თან სდევს საკადრო ცვლილებები, რაც ბუნებრივი პროცესია, თუმცა, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებისათვის, ცვლილებები ნეპოტისტური შედეგების არ უნდა იყოს.

გლობალური გამოწვევების პირობებში, იცვლება მმართველობითი გარემოს მოთხოვნები, „ქცევის წესები“, საკადრო პოლიტიკის ფორმირების პირობები. შესაბამისად, სახელმწიფო სისტემა საჭიროებს სტრუქტურულ რეფორმებს, ადმინისტრაციულ ტრანსფორმაციას, საკადრო კორექციებს. ამ გამოწვევების პასუხს წარმოადგენს მეცნიერ-მკვლევარებით დაკომპლექტებული სამთავრობო უწყებები.

შესაბამისად, ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სახელმწიფო სისტემა, რომლითაც საჯარო სტრუქტურებში დასაქმებული პირებისათვის განისაზღვრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურობაზე, პროგრესსა თუ რეგრესზე, ქმედებებსა და მიუღწეველ შედეგებზე.

არსებითია, რომ ნეპოტიზმის მასშტაბების შემცირება და აღმასრულებელი ორგანოების პასუხისმგებლობის როლის ზრდა მიზეზშედეგობრივ კავშირშია ქვეყნის მშენებლობასა და მდგრადი სახელმწიფო სისტემის შექმნასთან. ამიტომ, „ვინ ვის იცნობს“ ფაქტორის პრევენციის მიზნით, საჭიროა გაიზარდოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა საკადრო რესურსის მუშაობაზე, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, არაეფექტურ გეგმებსა და დაგვიანებულ პროცესებზე.

დაბოლოს, ქვეყანაში ქარიზმატული ლიდერებისა და ნოვატორული აზროვნების მმართველების დეფიციტის ფონზე საჭიროა ახალი პოლიტიკური საზოგადოების ფორმირება, რომელიც ძირითადად სტრატეგიული აზროვნების ინტელექტუალებითა და მეცნიერ-მკვლევარებით იქნება დაკომპლექტებული.

www.kvira.ge, 11 მაისი, 2015 წელი

2.19. მმართველობითი ეთიკა საქართველოში

ქვეყანაში, მეტ-ნაკლებად ეთიკური წონასწორობაა. დელიკატური ბალანსი მიღწეულია სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო ორგანოებს შორის. მოქალაქეები ფლობენ ინფორმაციას თუ რა მოეთხოვებათ, ბიზნეს ორგანიზაციები ფორმირდებიან თავიანთ ლიმიტებსა და შესაძლებლობებში, აღმასრულებელი ორგანოები აცნობიერებენ თავიანთ როლს, პოლიტიკური ინსტიტუციები ბაზრის რეგულირებას უზრუნველყოფენ ხელშემწყობი კანონებით, ხოლო დამრღვევებისთვის წესდება სანქციები.

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს მმართველობით გარემოში იმპლემენტირებული ეთიკური პრინციპების შეფასება.

კლასიკური გაგებით, ეთიკა არის იმ პრინციპების განსაზღვრა, მოქალაქეების მიერ მოქმედების სწორი და არასწორი გზის გასარჩევად.

დღეს, ხელისუფლების მოქმედი თუ ყოფილი წარმომადგენლების „მმართველობითი გადაწყვეტილებების“ ეფექტურობა საზოგადოებრივი და პოლიტიკური დებატების შუაგულშია.

ქართული საზოგადოება ორგანიზებული და ცივილიზებულია, რომელიც არასდროს არ ეთანხმება სოციალ-ეთიკური და კულტურული ღირებულებების იგნორირებას. ქვეყანაში, მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს მმართველობითი გადაწყვეტილებები, პოლიტიკური აქტორების გავლენა, როლი და სოციალ-ეთიკური პასუხისმგებლობა.

ზოგადად, მმართველობით გარემოში მოქმედებს ეთიკური აზროვნების 3 ძირითადი პრინციპი:

1. **პასუხისმგებლობა** (აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლები პასუხს აგებენ თავიან ქმედებებზე);
2. **ანგარიშვალდებულება** (აღმასრულებელი ორგანოები თავიანთი ქმედებების შედეგებით ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე);
3. **ვალდებულება** (პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების კონცეფციები ვრცელდება კანონის არეალში).

მთავრობაში, ეთიკური გადაწყვეტილებები ქმნის მმართველობით კულტურას, პასუხობს გრძელვადიან ინტერესებს, სტიმულირებს ვალდებულების, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობითი გარემოს შექმნას.

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილებით ფორმირდება მმართველობითი ეთიკური კულტურა, რაც გარანტირებს სწორ და სამართლიან ქცევას.

აღიარებულია, რომ ეთიკურ ქცევას არ გააჩნია ზედა ზღვარი. მისდამი ყურადღება იზრდება ეკონომიკური კეთილდღეობის დონისა და დემოკრატიული პროცესების პროპორციულად. ბოლო პერიოდში, აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. მიჩნეულია, რომ არაეთიკური გადაწყვეტილებები იწვევს არსებით დანახარჯებს, როგორიცაა: ფსიქოლოგიური, პირადი, ორგანიზაციული, საზოგადოებრივი.

მმართველობა განსაზღვრულია, როგორც სამართლებრივი ქცევათა და ნორმათა სისტემა. მართვა და ხელისუფლების კონფიგურაცია არსებითად სტიმულირებს ნაციონალური ეკონომიკის ზრდას და მძლავრი პოლიტიკური სისტემის შექმნას,

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვალდებულება, რომელიც პოლიტიკური სისტემის თვისებაა. პოლიტიკურ სივრცეში ხელისუფლების ყოფილ თუ მოქმედ წარმომადგენლებს უწევს სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მოქმედების ალტერნატიულ გზებს შორის არჩევანს წარმოადგენს. რა არის სწორი მორალური არჩევანი? ნებისმიერი გადაწყვეტილებები შეიძლება განისაჯოს სხვადასხვა ეთიკური პრინციპებით.

გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის უნარის მქონე ფაქტორები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მათ შორის მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ინტერნეტ-ტექნოლოგიები.

ნებისმიერი ტექნოლოგია წარმოადგენს ძალაუფლების ტექნოლოგიას, რასაც სარგებელი მოაქვს მათთვის, ვინც მასში კომპეტენტურია. ამიტომ, ბოლო პერიოდში ტექნოლოგიებისადმი ხელისუფლების ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზრდა.

2015 წლის 3 ივნისს, OGP-ის ევროპის რეგიონალურ კონფერენციაზე ცნობილი გახდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, ელექტრონული პეტიციების პორტალის შექმნის (ქვეყნის მმართველობაში საზოგადოების მონაწილეობის მიზნით) შესახებ, 5 ათასი მოქალაქის ხელმოწერის შემთხვევაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის დასაწყისში, მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შესწავლილი იქნა ელექტრონული მთავრობისა და ღია მმართველობის პროცესი საქართველოში. კვლევისას დადგინდა, რომ ინტერნეტ-მომხმარებელთა 35,4%-ის მოლოდინს წარმოადგენს სახელმწიფო მართვაში ჩართულობა (რაც საჭირო ხელმომწერთა რაოდენობას 145-ჯერ აღემატება). ასევე, კვლევისას გამოვლინდა მომხმარებელთა შემდეგი მოლოდინი, როგორიცაა: მთავრობის მიერ მოქალაქეებთან დაახლოების საჭიროება, სახელმწიფოს გამჭვირვალობის ზრდა, სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების ზრდა, გლობალური იმიჯის ზრდა და სხვა.

სახელმწიფო უწყებებში მნიშვნელოვანია ეფექტური გადაწყვეტილების მიღება და პრობლემების გადაჭრა კანონების "ნაცრისფერი" არეალის მიმართულებით, სადაც მოიაზრება ეთიკური პრინციპების დილემა და კანონიერი წესების დეფიციტი.

სახელმწიფოში, საზოგადოებრივი თანამშრომლობისათვის აუცილებელია მორალური თანხმობა (საკადრო გადაწყვეტილებებზე).

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო კანონიერი და პოლიტიკური გადაწყვეტილებებით უზრუნველყოფს ტექნოლოგიების სოციალურად მისაღებ შედეგებს, ინოვაციასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. მომავალში, ტექნოლოგიები გაზრდის მმართველობის კონტროლის განხორციელების მცდელობას, იმ მიზნით, რომ ერთის მხრივ მიღწეული იქნას ინოვაციასა და

კეთილდღეობის ბალანსი, ხოლო მეორეს მხრივ - საზოგადოებრივად სასურველ მიზნებს შორის ბალანსი.

ეთიკაში ნავარაუდებია, რომ მოქალაქე ზნეობის თავისუფალი წარმომადგენელია, რომელიც ფლობს არჩევანისა და კეთილდღეობის უფლებას. ასევე, მოქალაქე წარმოადგენს მთავრობას და მთავრობა წარმოადგენს მოქალაქეს. „მოქალაქეების კეთილდღეობისათვის“ საჭიროა:

- აღმასრულებელი უწყებების ქცევის პრინციპები, ჩამოყალიბდეს ეთიკურ კონტექსტში;
- ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება;
- საზოგადოებრივი ინსტიტუტების ეფექტური მართვა;
- მოქალაქეებთან „ნდობის სინდრომის“ შექმნა;
- ინიციატივების, პროგრამებისა და აქტივობების ზრდა;
- მართვაში ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების ჩართულობა.

მმართველობის ეფექტურობა, საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას გათვალისწინებული განათლების ცენზი, სახელმწიფო სტრუქტურებში დოქტორის ხარისხის მქონე პირების დასაქმება, კარიერული ზრდის შანსები, სახელმწიფო პროგრამებისა და სტრატეგიების შესრულებაზე ვალდებულების ზრდა ქმნის მძლავრ სახელმწიფო სისტემას.

შეჯამება. ამრიგად, სტატიაში შევეცადეთ, თეორიულ კონსტრუქციაში წარმოგვეჩინა ცალკეული ეთიკური პროცესები. იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებობდეს მძლავრი სახელმწიფო სისტემა, მაღალი დონის ეთიკური პასუხისმგებლობითა და კონტროლით.

სამწუხაროდ, სახელმწიფო პოლიტიკური გარემოში ბევრი ეთიკური პრობლემებია, რომელზეც უფრო მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი. საკითხის შეჯამების საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ:

- **ქვეყანაში, აღმასრულებელი ორგანოს ყოფილი თუ მოქმედი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილები თუ ქმედებები კოდიფიცირებული წესებით არ მიმდინარეობს. შესაბამისად, არ გვხვდება მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი კონსენსუსის მიღწევის წინასწარ დადგენილი ნორმები. ამიტომ, მთავრობა საჭიროებს ქცევის საერთო ეთიკური და სამართლებრივ ნორმებს, რაც განაპირობებს სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობას;**
- **ელექტრონული მთავრობის გარემოში, პასუხისმგებლობა მხოლოდ ეთიკურ სტანდარტებს ეყრდნობა, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის იურიდიულ პასუხისმგებლობასთან. შესაბამისად, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება, ძირითად შემთხვევაში, „პერსონალურ კომუნიკაციაზეა“ დამოკიდებული;**
- **მთავრობა პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე, ამისათვის განსაკუთრებული ანგარიშვალდებული დამოკიდებულება და ინტერაქ-ტიული კომუნიკაცია უნდა გააჩნდეს საზოგადოებრივ**

ჯგუფებთან (მეცნიერ-მკვლევარებთან, პროფესორებთან, ანალიტიკოსებთან);

- სოციალ-ეთიკური პასუხისმგებლობის ზრდისათვის უნდა გამკაცრდეს სამართლებრივი ნორმები. თუმცა, გარკვეული გადაწყვეტილებები უნდა განხორციელდეს ეთიკურ ჭრილში (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი ნივთებისა და ოქროს ნაკეთობების განკარგვა);
- „ღია მმართველობის“ პირობებში აღმასრულებელი ორგანოები უნდა დაინტერესდეს მეცნიერ-მკვლევართა კვლევებითა და სტრატეგიული გეგმებით, რომელიც შესაძლებელია სახელმწიფო მმართველობით საქმიანობაში იქნას გამოყენებული;
- ქვეყანაში საჭიროა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააფასოს მეცნიერ-მკვლევარის რესურსი, იმისათვის, რომ დაცული იქნას სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა;
- ქვეყანაში პოლიტიკა და სახელმწიფო სისტემა კარგია, მაგრამ მისი იმპლემენტაცია საჭიროებს უკეთესს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბიუჯეტის თანხების გახარჯვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ფული არის, ხოლო მისი „განმკარგავ-დამხარჯავის“ არარსებობის პრობლემაა (მაგალითად, რეგიონული ფონდის თანხები). როგორც ვიცით, აღმასრულებელი მთავრობა, რეგიონებ-თან მიმართე-ბაში ერთის მხრივ გვევლინება ცენტრალურ როლში, იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ახდენს მიზნების ფორმულირებას, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას და ა.შ. მეორეს მხრივ, რეგიონებს უწევს კონსულტაციას, ფინანსურ და ექსპერტულ მხარდა-ჭერას. შესაბამისად, რაციონალურ მარცვალს წარმოადგენს იმის თქმაც, რომ ბიუჯეტის თანხების ათვისებაში მუნიციპალიტეტებს უნდა დახმარებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითი რგოლები. ისინი ვალდებული იყვნენ, რეგიონების ხელშეწყობისათვის, მოეხდინათ რესურსებისა და ძალების კონცენტრირება (მაგ.: ადამიანური რესურსები, ფუნქციონალური სამსახურები), რაც ჯამში სახელმწიფო კეთილდღეობას შეუწყობდა ხელს;
- პოლიტიკურ სივრცეში არსებული მორალური პასუხისმგებლობა, მორალური წუხილი, მორალური მხარდაჭერა სანქციონირებული უნდა იქნას არა მხოლოდ სულიერი ზემოქმედების ფორმებით, არამედ სამართლებრივი პასუხისმგებლობით;
- აღიარებულია, რომ საზოგადოება ხელს უწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების თითოეულ წარმომადგენელს ვალდებულებების შესრულებაში, ღიაობის უზრუნველყოფაში, ეთიკური პრინციპების დაცვაში, თუ რა თქმა უნდა ხელისუფლება საზოგადოებას არ ესაუბრება „დისკრეციული უფლებებით“. სოციალური თანამშრომ-ლობა, ხელს უწყობს სახელმწიფო კეთილდღეობის მიღწევას;

- **დაბოლოს, შეიძლება დაისვას კითხვა, ვისურვებდით ცხოვრებას ისეთ პოლიტიკურ გარემოში, სადაც „პრინციპები“, რომელიც გვხდება, გახდება საზოგადოებრივი ორგანიზების პრინციპი?**

www.kvira.ge, 7 ივნისი, 2015 წელი

2.20. რატომ გაურბის საქართველოს ხელისუფლება პროფესიონალების წინა პლანზე წამოწევას?!

ქვეყანაში, დამკვიდრებული ტენდენციით, სახელმწიფო პრობლემები განპირობებულია „გლობალური ხასიათის ან უკეთეს შემთხვევაში სხვა ძალების მიერ ინიცირებული პროცესებით. მსგავსი „პრობლემების დაძლევას კი უზრუნველყოფენ:

- აუთსორსინგით (უცხოელი სპეციალისტების/ორგანიზაციების დაქირავებით);
- თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ხალხთან ერთად პრობლემების გადაჭრის გზების დასახვით (პრაქტიკულად მუდმივად გზების ძიებაში ვართ);
- „გადაბრალების პოლიტიკითა და განტევების ვაცის“ ძიებაში დროის გაყვანით;
- ქაოსური ინფორმაციული გარემოს შექმნით, როდესაც ხალხში, პოლიტიკური და სახელმწიფო სისტემებისადმი იქმნება გულგრილი დამოკიდებულება ;
- აქცენტების გადატანა „სხვა ქვეყნის დავალებების შესრულების“ პროცესებსა და ორიენტირებაზე ;
- „საზოგადოებაში, კადრებისა და პროფესიონალების დეფიციტზე საუბრით“. თითქოს არ გვყავს პროფესიონალი კადრი, ადგილობრივი სპეციალისტები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს, ქვეყანას საჭიროებს განათლების იმპორტს, უცხოური სპეციალის-ტების დაქირავებას და ა.შ. რეალურად კი ქვეყანაში, გვყავს პროფესიონალები, გვაქვს განათლების ექსპორტი, გაგვაჩნია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, წარმატებული მეცნიერებისა და ინტელექტუალების მრავალრიცხოვანი არმია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, აღმასრულებელი ხელისუფლების პროფილური და არაპროფილური ფუნქციები (სტრატეგიები, სამთავრობო პროგრამები) ხორციელდება აუთსორსინგით.

არსებითად მისასალმებელია საქართველოს ეკონომიკაში, სოლიდური წილით წარმოდგენილი უცხოური კაპიტალი და ინვესტიციები. ამასთან აღვნიშნავთ, რომ სუვერენული სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითი ფუნქციების იმპლემენტაცია უცხოელი

სპეციალისტების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით (თუ აუთსორსინგით), უნდა იყოს საზოგადოების განხილვისა და თანხმობის საგანი. იმ ფონზე, როდესაც მართველობის უნარის მქონე ინტელექტუალური რესურსი ქვეყანაში აუთვისებელია.

კითხვაზე რატომ უნდა მოხდეს სახელმწიფო მართვის ფუნქციების განხორციელება (პროფილურიც და არაპროფილური ფუნქციები) ქართველი სპეციალისტებისა და ქართული ორგანიზაციების (უცხოური კომპანიების ნაცვლად) მიერ?

პასუხი შეიძლება განვიხილოთ შემდეგი მიმართულებით, კერძოდ:

- იძულებითი ემიგრაციის მასშტაბების შემცირებისა და ქართული სულისკვეთების ამაღლებისათვის;
- საქართველოში, არსებული ინტელექტუალური პოტენციალის ათვისებისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის;
- სახელმწიფოს მიერ ინტელექტუალური, ორგანიზაციული და ფინანსური რესურსის ეფექტიანად გამოყენებისათვის. როგორც ვიცით, ქვეყანა, თითოეული სტუდენტის/კადრის სწავლებასა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ხარჯავს საკმაოდ სოლიდურ თანხებს, რომელიც ე.წ. „წყალში ჩაყრილი" თანხებია, რადგან ვერ ახდენს აღნიშნული რესურსის ეფექტიან გამოყენებას;
- სოციალური უთანასწორობის მინიმუმადე დაყვანის მიზნით. საქართველოს საბიუჯეტო სახსრები მაქსიმალურად უნდა მოხმარდეს ქართულ საზოგადოებას (ვგულისხმობთ, რომ აუთსორსინგით ფუნქციების გადაცემაც კი ქართულ ორგანიზაციებზე უნდა განხორციელდეს);
- სამთავრობო პროგრამებისა და სტრატეგიების შექმნა-შემუშავება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ. თუ აღნიშნული სფეროს სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი არ არსებობს, ხელი უნდა შეეწყოს ახალი ინსტიტუტის შექმნას (მაგალითად, როგორიცაა ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნას);
- დღეს, ბიზნესსა და სამეცნიერო საზოგადოებაში უფრო მაღალი დონის კადრებია, ვიდრე ხელისუფლებაში (არადა პირიქით უნდა იყოს). იმისათვის, რომ აღარ გვქონდეს სუსტი მმართველობითი შედეგები, საჭიროა ბოლო მოეღოს ახალგაზრდა მეცნიერებისა და ექსპერტების პოლიტიკური ინტერესებით „გადარჩევასა და იგნორირებას";

სახელმწიფოში, ვსაუბრობთ ევროპული ეკონომიკის მქონე ქვეყნის შექმნაზე, მაგრამ რეალურად:

- საზოგადოების ყურადღების გადატანა ხდება მეორეხარისხოვან პრობლემებზე. გვწამს, რომ ქვეყანაში, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს გააჩნიათ ქვეყნის განვითარების სურვილი. თუმცა რეალობა ცხადყოფს, რომ აღნიშნული პირების მზაობა, „ენერგია და რესურსი" მცირეა. შესაბამისად, სტრატეგიული

საკითხების ნაცვლად ქვეყანაში, აქცენტები „ზოგად საზოგადოებრივ საკითხებზე“ კეთდება. ჯამში, ფრაგმენტული და დაბალი შედეგებისაა: ეკონომიკური ზრდის, მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნის, პოლიტიკური მდგრადობის მიღწევის, რეგიონში მოწინავე როლის მიღწევის, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროცესი;

- სახელმწიფოს საკადრო პოლიტიკა არაეფექტიანია. ქვეყნის განვითარების გზას, რესურსს და კადრს სხვაგან ვეძებთ, სხვა ქვეყნებში. რეალურად კი საკუთარს ვერ ვხედავთ, არ ვიყენებთ და გასაქანს არ ვაძლევთ; სახელმწიფოს საკადრო პოლიტიკა იქმნება „ვინ ვის იცნობს ფაქტორის“ გავლენითა და „საერთოდ დიპლომი რა საჭიროას“ ფონზე. შესაბამისად, ქვეყანაში, სამთავრობო საკადრო პოლიტიკა არ ფასდება ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტებით, როგორიცაა: საკადრო რესურსის ხარისხი (ბაკალავრის, მაგისტრის თუ დოქტორის ხარისხი);
- სამთავრობო პროგრამები და სტრატეგიები დასახვეწია. ქვეყანაში, მცირეა ქართულ რეალობაზე მორგებული სტრატეგიები და პროგრამები. აღნიშნული სტრატეგიები არ ეყრდნობა მარკეტინგულ კვლევებს. მსგავსი მიდგომებით ბუნებრივია შედეგები ბუნდოვანია;
- მმართველობაში, საზოგადოებრივი აქტიურობის პრინციპი „წერე და იკითხეს“ მსგავსია. პლურალისტური საზოგადოების პირობებში ინტელექტუალის, მეცნიერის რაციონალური იდეა თუ რეკომენდაცია მიზანს ვერ აღწევს. თუ აღწევს, დამკვიდრებული ტენდენციაა მისი გადაკეთება და მისაკუთრება. ეთიკა ხომ კანონს არ არღვევს?! შედავება მხოლოდ წყალს ამღვრევს, რომლის შედეგი ისევ „პოლი-ტიკურ ცილისწამებად“ ფასდება (მადლიერება მაინც გამოხატე);
- მუდმივად საერთაშორისო შეფასებების მოლოდინში ვიმყოფებით. წლებია ველოდებით მაპ-ის მიღებას. თუ მაპ-ის კრიტერიუმები მიღწევადია, მაშინ ისედაც მივაღწიოდ. ისედაც ვაჩვენოთ პროგრესი და განვითარება რეფორმის პროცესში;
- პოლიტიკური სივრცე რესურსამოწურულია. დღეს, ყველა თანხმდება იმ საკითხზე, რომ ქვეყანა საჭიროებს ახალ ძალას, სუფთა წარსულისა და ენერგიის რესურსს. აღნიშნულ ძალასა და რესურსს სწორედ ახალგაზრდა თაობა წარმოადგენს. ახალგაზრდა თაობის ცოდნა ეფუძნება ერთიანი ევროპული სივრცის შესაბამის უმაღლეს განათლებას, ხოლო აზროვნება ეყრდნობა „ევროპული დემოკრატიის არქიტექტურას“. აღნიშნული მოცემულობა კი მნიშვნელოვნად ზრდის ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა როლს და მნიშვნელობას „პოლიტიკურად გაუფასურებულ“ გარემოში.

დასასრულს აღვნიშნავთ, საზოგადოებაში მცდარი შეხედულების პროპაგანდის შედეგად დამკვიდრდა, რომ თითქოს ქვეყნის მართვაში ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა ჩართვა რისკებთან და გაურკვევლობას-თანაა დაკავშირებული. აქვე დავძენთ, რომ იმაზე მეტი გაურკვევლობის

მიღწევა, რაც დღეს ქვეყანაშია, ძნელად წარმოსადგენია საერთოდ რომელიმე ახალმა ძალამ „შეძლოს“. არგუმენტირებულად აღვნიშნავთ, რომ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარის მმართვის უნარი და როლი პრაქტიკაში დადასტურებულია ყველა წამყვანი ქვეყნის მმართველობით შედეგებში .

ჯამში, ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა და ევროპული ეკონომიკის მქონე ქვეყნის შექმნა შესაძლებელია ახალი ენერგიისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების დახმარებით.

www.iverioni.com.ge, 11 აპრილი, 2016 წელი

2.21. რატომ არსებობს ადმინისტრაციული და პოლიტიკური ქაოსის საშიშროება?

ხალხის ხმა უხილავია, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის ძირითად ასპექტს, პოლიტიკური მიმართულებების მაჩვენებელს, კონტროლის ინსტრუმენტს და პოლიტიკური კულტურის ფორმირების მამოძრავებელ ძალას.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ხალხის ხმა სუსტდება, შედეგს წარმოადგენს: გამოწვევები სახელმწიფოს მართვაში; პრობლემები სოციალურ კეთილდღეობაში; შეფერხებები სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანად ფუნქციონირებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში; ეფექტიანობის შემცირება სახელმწიფო მმართველობაში; შეფერხებები სამთავრობო პროგრამებისა და რეფორმების გატარებაში; ჯამში, ადმინისტრაციული და პოლიტიკური ქაოსის სიმპტომები;

რა ქმნის პოლიტიკური ქაოსის სიმპტომებს?

პოლიტიკური ქაოსის სიმპტომებს წარმოქმნის შენიღბული არაეფექტიანი მმართველობა, პრობლემების „ლპობა“ (მოუგვარებლობა), გაბატონებული „საკადრო პოლიტიკა“, სახელმწიფო მართვაში მეცნიერ-მკვლევარების ჩართვის უგულებელყოფა, ქვეყნის ინერციით განვითარება, საზოგადოების კრიტიკა და მეცნიერ-მკვლევართა რეკომენდაციების იგნორირება.

ამასთან, პოლიტიკური პარტიების მიხედვით საზოგადოების ფრაგმენტაცია ძალიან ასუსტებს სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობასა და ერთსულოვნებას.

დღეს, ქართული პოლიტიკური კონტრასტი მოიცავს: ინფორმაციული ზეგავლენის ტექნოლოგიებს, „დაბრალება-ცილისწამების სცენარებს“, შანტაჟის ტექნიკას, ფულადი ინექციებით „დატბორილ“ ჯგუფებს, ნეგატიურ პოლიტიკურ კამპანიებს თუ სხვა მოძველებულ ტექნოლოგიებს.

არსებული პოლიტიკური სცენარები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, მიუთითებს, რომ ზოგიერთი ჯგუფი ფლობს საკმაოდ დიდ უფლებამოსილებას (ხალხის ნების გარეშე), ხოლო უფლებამოსილების მქონე პირები ვერ ახდენენ

უფლებამოსილების დელეგირებას, შედეგად ვიღებთ ადმინისტრაციული და პოლიტიკური ქაოსის სიმპტომებს. ქაოსი კი აღნიშნული ჯგუფებისათვის, ძალაუფლების მოძრაობაში მოყვანის კატალიზატორს წარმოადგენს.

სამწუხაროდ აღსანიშნავია სახელისუფლებო გარემოში არსებული ენდემური უთანხმოებები, რაც რადიკალური პოლიტიკური ცვლილებების მყარი არგუმენტია.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ფრაგმენტულ და არაკოორდინირებულ პოლიტიკური სივრცეში:

- პოლიტიკური სისტემის ჯგუფები შესაბამის გავლენას ვერ ახდენენ ეკონომიკურ აქტივობის ტემპზე, ხოლო გავლენის მომხდენი ძალისა და უნარის მქონე რესურსს, იმის შიშით, რომ მათ ჩაანაცვლებენ, ახშობენ და „წინ არ უშვებენ" (მაგალითად, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებს);
- ბუნდოვანია ჯანსაღი სახელმწიფოს მშენებლობის მომავალი;
- გაურკვეველია კარიერული წინსვლის გზები;
- პესიმისტურია ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მიღწევის ტემპი;
- ახალგაზრდა ოჯახისათვის, რთულია (ფაქტობრივად შეუძლებელია) უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა და პერმანენტული განვითარება;
- არ ხდება პოლიტიკური რეჟიმის რეფორმირება. არავის სურს ახალი რესურსის მოზიდვა;

არსებულ პოლიტიკური ქაოსში არ გვხდება ეთიკა და მორალი, წესი და სიტყვა. სირთულეს წარმოადგენს განსაზღვრო ახალი პოლიტიკური რესურსის პოტენციალი და ძალა, პოლიტიკური ენერგია და ქარიზმატული უნარ-ჩვევები, ეკონომიკურად ევროპული დონის ქვეყნის შემქმნელი რესურსი.

არსებითია აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკური კულტურის უნიკალურობის კონტრასტი მდგომარეობს შემდეგში:

- სახელმწიფო ვერ იყენებს მეცნიერ-მკვლევართა რესურსებს, იგნორირებას უკეთებს მათ კვლევებსა და რეკომენდაციებს;
- რესურსამოწურული პოლიტიკური ჯგუფების მიერ წარმოებს პოლიტიკური სტანდარტების განსაზღვრა (შედეგად კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება პოლიტიკური გარემო);
- ქვეყნის მართვა ხორციელდება პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსესუსის მიღწევის გარეშე (აქცენტები, სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ნაცვლად პოლიტიკური პარტიების გაძლიერებაზე კეთდება);
- ქვეყანაში ჩვეულ მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ ცალკეული პროცესები ვლინდება პოლიტიკურ კულტურაში, ხოლო სხვებისთვის ასეთივე პროცესები „გარკვეულ" წესებს არღვევს.

შეჯამება .ჯამში, ქვეყნის ინერციით განვითარების პირობებში, პროგნოზების გაკეთება რთული არაა, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, წელიწადში ან ორწელიწადში ერთხელ არჩევნები ტარდება. შედეგად,

ყოველთვის გვაქვს იგივე პოლიტიკური სახეები (მეტი გამოცდილებით), „უცვლელი ერთგული კადრები“, უცვლელი პარტიული ჯგუფები, უმუშევრობა ან 150-500 ლარიანი სამსახურები (მომატების პერსპექტივით), პრობლემების „ექსპერტული შეფასებები“ გლობალურ ფაქტორებზე გადაბრალებით, ფრაგმენტული აღშფოთებები (რეაგირების გარეშე), შვილების უკეთ დროში ცხოვრებაზე ოცნება (რადგან თვითონ ვერ ვაღწევთ), ფსიქოლოგიური პრობლემები, იძულებით ემიგრაციაში გამოსავლის პოვნა, რეფორმების გატარების მოლოდინი და თანმდევი შიში (პოლიტიკური მიზნების გამო).

ერთიანი და მძლავრი სახელმწიფო სისტემის ფორმირება ვერ მოხერხდება არსებული პოლიტიკური ბირთვით. ამისათვის, საჭიროა ახალი რესურსი და ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები.

დღეს, საზოგადოებას აღარ აინტერესებს ზოგადი ფრაზეოლოგიით საუბარი, მომავალი და გაურკვეველი პროექტების დაანონსება. უკვე დროა აღმასრულებელმა და საკანონმდებლო უწყებებმა დათვალოს გაკეთებული, გასაკეთებელი და გაუკეთებელი პროექტები.

საზოგადოება აქცენტებს აკეთებს მმართველობით შედეგებზე, კონკრეტულად გაწერილ პროგრამებსა და სამთავრობო გეგმებზე. მხოლოდ იმედის მომტანი სიტყვებით კი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია, ხოლო პოლიტიკური ფასი დაბალი.

შესაბამისად, აღნიშნული პროცესების ფონზე, იმედის მომცემია „საზოგადოებრივი კომისიის“ შექმნა, რომელიც მმართველობითი პროცესების მონიტორინგს განახორციელებს. ხარისხობრივად შეაფასებს ეფექტიან უწყებებს. ქვეყანას დაეხმარება უწყებების კოორდინაციასა და გამოწვევების დაძლევაში. დროულად გამოავლენს სუსტ რგოლებს და ხელს შეუწყობს მმართველობითი ეფექტიანობის ზრდას.

ამრიგად, ქვეყანაში თუ იგივე „სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა“ არ გვინდა რომ გვქონდეს, მაშინ პოლიტიკური რესურსი უნდა შეიცვალოს, საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი პოლიტიკური გარემოს ფორმირებას და ახალი პოლიტიკური ძალების ასპარეზზე წარმოჩენას. აღნიშნულ ძალებს კი ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები უნდა წარმოადგენდეს.

www.resonancedaily.com, 7 მაისი, 2016 წელი

2.22. უიმედობა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი

თანამედროვე გამოწვევების პირობებში, მთავრობა აქტიურად ცდილობს ქვეყნის განვითარებას, ახორციელებს რეფორმების 4 პუნქტიან გეგმას: ეკონომიკური რეფორმა, საჯარო მმართველობის რეფორმა, სივრცითი მოწყობისა და განათლების რეფორმა. რეგულაციებით, საბანკო სექტორისათვის ინსტრუმენტების წარმოდგენითა და ლარით ფასდადებით

ცდილობს ქვეყნის ეკონომიკაში ლარის პოზიციების განმტკიცებასა და ეკონომიკური აქტივობის წახალისებას .

ობიექტური იქნება აღინიშნოს, რომ დღევანდელი მთავრობა უფრო სოციალურია. მთავრობის მიდგომები და რესურსი მიმართულია (ბიუჯეტი, ჯანდაცვის პროგრამები) საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღებისაკენ.

დამაკმაყოფილებელია და კრიტიკას არ ექვემდებარება მთავრობის მიზნები და საზოგადოების კეთილდღეობის მომტანი ღონისძიებების გატარება,. რაც მთლიანობაში, მიმართულია გარკვეული პოზიტიური ძვრებისა და ერთგვარი განვითარების დინამიკის შექმნისაკენ .

ერთია პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს ძალისხმევა და სურვილი, მეორეა ამ ძალისხმევის შედეგი. ფაქტია, რომ ძალისხმევის მიუხედავად, ძველი მმართველობითი მიდგომები და პოლიტიკური მეთოდები არათუ შედეგებს, ოპტიმიზმის ილუზიასაც კი ვეღარ ქმნის.

სამწუხაროდ უნდა ითქვას ისიც, რომ მმართველობითი გარემო დინამიურად ვერ ვითარდება, პოლიტიკური გარემო განიცდის ადამიანური კაპიტალის ეროზიას, ადმინისტრაციული რესურსის შედეგები თეორიულად უფრო იგრძნობა ვიდრე პრაქტიკულად, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა იკლებს.

მმართველობითი და პოლიტიკური სივრცე განიცდის ძველი პოლიტიკის წნეხს, რაც ბლოკავს რეფორმებს და ადმინისტრაციულ ცვლილებებს.

აღნიშნულ ფონზე, ქვეყანაში უიმედობა გახდა პოლიტიკური ინსტრუმენტი. უიმედობით გაჯერდა სოციალური და ეკონომიკური გარემო.

ქვეყანაში უიმედობის ერთგვარი „ინდიკატორია“:

- მაღალი მიგრაცია, მაღალი დოლარიზაცია, დაბალი ეკონომიკური აქტივობა, არაპროგნოზირებადი სავალუტო კურსი, ახალგაზრდა ენერგიული კადრების უპერსპექტივო მომავალი, ახალგაზრდებისათვის უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის შესაძლებლობის არ ქონა, პერმანენტული განვითარების დაბალი პირობები;
- „უიმედობის სტატისტიკა“. ფაქტოლოგია აჩვენებს, რომ ერთ წელიწადში 49,7%-ით გაიზარდა უიმედო ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა. 2016 წლის დეკემბერში იანვართან შედარებით ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა გაიზარდა (437 112 000 ლარი,); ამავე პერიოდში 30%-ით გაიზარდა მოვალეთა რაოდენობა (186 285 ჩანაწერია რეგისტრირებული.); ხოლო 16,8%-ით გაიზარდა საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა (შეადგინა 476 084 ადამიანი) (წყარო: ommersant.ge, 2017Ꮴ.);
- მნიშვნელოვან საკითხებზე უფრო მეტი კითხვაა ვიდრე პასუხი. ამ ფონზე, სუსტია საზოგადოების კითხვებზე სათანადო რეაგირების, ინფორმირების, პოლიტიკური დარწმუნების ძალა. დაბალია პოლიტიკური ქარიზმა;
- ადმინისტრაციული და პოლიტიკური მმართველობა ფორმირდება ისევ

„გოსტის სტანდარტებით (Государственные стандарты (ГОСТ)“. ამ საკადრო პოლიტიკის ფონზე, თანამედროვე ქვეყნის მოწყობა (რომელიც ეფუძნება ISO სტანდარტებს) რამდენიმე ათეული წელი შეუძლებელი იქნება. ქვეყანაში მხოლოდ ბიზნეს გარემო ფორმირდება ISO სტანდარტებით, შესაბამისად აქვს მოგებაც, ზრდა-განვითარებაც და გლობალური აღიარებაც. კვლევები ადასტურებს, რომ ბიზნეს გარემო თავს არიდებს „ГОСТ-ის სტანდარტების საკადრო პოლიტიკას“.

- დღეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი სპექტრი ებრძვის „უიმედობას“, რომლის საფუძველიც გახდა: პრობლემების დაძლევის არასათანადო მიდგომები, პროგრამებსა და სტრატეგიებს წერენ უცხოელები, მმართველობით რეფორმებზე მხოლოდ ფიქრობენ და აანონსებენ, ეროვნული მოდელების შექმნის ნაცვლად გადმოაქვთ სხვადასხვა ქვეყნის მოდელები.

ამ ყველაფრის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ უცვლელია:

- მართვის მეთოდები და პოლიტიკური ტექნოლოგიები. საჯარო მმართველობის „რეფორმა“ უფრო ადგილმონაცვლეობაა ვიდრე ცვლილება. შესაბამისად, პოლიტიკა „ჩრდილავს“ ეკონომიკას და მის გამოცოცხლებაზე ქმედით გავლენას ვერ ახდენს;
- ადმინისტრაციული და პოლიტიკური გარემოს შედეგებზე პასუხისმგებლობა. სტრატეგიული გეგმები სრულდება თუ არ სრულდება პასუხისმგებლობა მაინც არავის ეკისრება;
- სახელმწიფო მმართველობის მწარმოებლურობის ტემპი. იგივე რესურსს, იგივე შედეგები მოაქვს. ქვეყანაში არსებობს ქარიზმატული და ენერგიული ლიდერების დეფიციტი. ამიტომაც, ვერ ხერხდება სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა ფენას შორის კომუნიკაცია და ინტეგრაცია;
- ეკონომიკური პოლიტიკის მიდგომები, რომელიც უიმედო სოციალურ-ეკონომიკური ფონს ქმნის. შესაბამისად, არაპროგნოზირებადია ეკონომიკური პრობლემების დაძლევის გზები;
- სახელმწიფო სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გარდაიქმნა ექსპერტებისა და მეცნიერ-მკვლევარების პლატფორმად (ამიტომ, მიღებული გადაწყვეტილებები, არ ეყრდნობა კვლევასა და ანალიზს, ხოლო შედეგები ბუნდოვანი და არაპროგნოზირებადია).
- ამ ყველაფრის მიზეზს წარმოადგენს პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს არა სურვილის ან ძალისხმევის უქონლობა, არამედ:
- გლობალური და ლოკალური გამოწვევების შესაბამისი მმართველობითი უნარ-ჩვევების დეფიციტი. გლობალური პოლიტიკოსების დეფიციტი;
- სუსტი მმართველობითი შესაძლებლობები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წარმოების არასათანადო მმართველობითი უნარი;

ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების არგუმენტირებისათვის მეცნიერული კვლევისა და ანალიზის უნარ-ჩვევების უქონლობა; რადგანაც, ახალს ვერ ქმნიან, არც ახალ ძალას აძლევენ ამის შესაძლებლობას;

- რეფორმის პროგრამების განხორციელების პრობლემა. ბოლო პერიოდში „განხორციელებულმა" რეფორმებმა კონკრეტული სფეროს არსებითი გარდაქმნა ვერ მოახდინა;
- სახელმწიფოს სისტემაა, სადაც მართვის წესები უცვლელია, საკადრო პოლიტიკა უცვლელია, გეგმების შესრულება არ არსებობს, ვალდებულებების შესრულებაზე პასუხს არავინ აგებს. ჩვენ გვინდა „პირობითად" 100 კმ/საათი სიჩქარით მოძრავი სახელმწიფო სისტემით დავეწიოთ (გასწრებაზე საუბარი ნაადრევია) ევროპული ტიპის ეკონომიკას, რომელიც მოძრაობს 5000კმ/საათით. თუმცა ყველამ იცის, რომ ვერ დავეწევით, მაგრამ საჯაროდ ამას არავინ აღიარებს. ეს თვითონ სისტემამაც იცის, იცის, რომ საკითხის გადაჭრის უნარი, ძალა და ქარიზმა არ გააჩნია. თუმცა, სისტემა იმდენად დაჟანგულია, ის ახალი მექანიზმის შექმნასაც ხელს ვერ უწყობს.

უიმედობის დაძლევის მიზნით საჭიროა სტრატეგიული ღონისძიებების გატარება, მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

- **წესების დადგენა და პასუხისმგებლობის გამკაცრება,** რომლითაც ადმინისტრაციული და პოლიტიკური პირი პასუხს აგებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროს განვითარებასა და გეგმების შესრულებაზე. კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგში არსებულ შედეგებზე მმართველობითი პასუხისმგებლობის გამკაცრებით, ხელფასის გამო თანამდებობაზე ყოფნის სურვილი აღარავის ექნება;
- **ქართული ეკონომიკური მოდელების შექმნა,** ნაციონალური ბიზნესის თავისებურებების გათვალისწინებით, კვლევასა და შედეგებზე დაფუძნებული მოდელი. სხვა ქვეყნის მოდელს მაშინ იღებ, როცა შენ მისი შექმნა არ შეგიძლია. სხვა ქვეყნის პროგრამას იმიტომ იღებ, შენ მისი შექმნისა და დამტკიცების უნარი არ გაქვს;
- **სისტემის შეცვლა.** ეკონომიკის არსებული ტემპით, არსებული ადმინისტრაციული და პოლიტიკური რესურსით, არსებული მექანიზმებით (როდესაც უცვლელია სისტემა, ხდება მხოლოდ გადაადგილება და იცვლება როლები) და მიდგომებით, შეუძლებელია არსებითი გავლენის მოხდენა. იგივე მეთოდებითა და მიდგომებით, უკეთეს შემთხვევაში იგივე ტემპი იქნება შენარჩუნებული;
- **მმართველობითი გარემოს რევოლუციური ცვლილებები.** ევოლუციით ქვეყანა ნელა მოძრაობს, ჩამორჩა განვითარებული ქვეყნების ფერხულს. რევოლუციური ცვლილებების გამტარებლისათვის გარემოს ფორმირება, მხოლოდ ეროვნული სულისკვეთების აქტორების იმედზეა. საჭიროა ლუსტრაციის შესახებ

კანონის მიღება;

- **ქვეყანამ უნდა აითვისოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საექსპორტო პოტენციალი,** სამხედრო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი, უმაღლესი განათლების საექსპორტო პოტენციალი, ქართული სათვისტომოს რესურსის საიმპორტო პოტენციალი. სწორედ, აღნიშნული ექსპორტი-იმპორტის პრაგმატიზმის პრიზმაში გაერთიანება შეუძლია ახალგაზრდა მეცნიერებს, ენერგიულ და ქარიზმატულ ლიდერებს;
- დასასრულს დავძენთ, რომ შედეგები, რომლის მიღებაც გვსურს (ევროპული ტიპის ეკონომიკა), მიღწევადია ლიდერების, ენერგიული, ქარიზმატული და ძლიერი ახალგაზრდების დახმარებით. პირებს, რომელთაც შეუძლიათ საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის დაჩქარება, ყველა კლასის, მსოფლმხედველობის, განსხვავებული პოლიტიკური ინტერესებისა და საზოგადოების ყოველი აქტიური წევრის ჩართვა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. და რომლებსაც ასევე, შეუძლია გლობალური პოლიტიკის წარმოება და გააჩნიათ ცვლილებების ენერგია.

www.kvira.ge, 25 იანვარი, 2017 წელი

2.23. რა შეეძლო გაეკეთებინა მთავრობას?!

საზოგადოება აცნობიერებს, რომ ეფექტიანი მმართველობა, საკადრო პოლიტიკა, სახელმწიფო სტრუქტურებში მეცნიერ-მკვლევარების რესურსი, სახელმწიფო პროგრამებისა და სტრატეგიების შესრულებაზე ვალდებულების ზრდა ქმნის მძლავრ სახელმწიფო სისტემას.

დღეს, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები აღმოცენებულია ძველი პოლიტიკის პრიზმაში. შესაბამისად, არსებული პოლიტიკური მიზნების მიღწევის მექანიზმები მოძველებულია.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, კითხვაზე, რა შეეძლო გაეკეთებინა მთავრობას, გამოვყოფთ შემდეგს:

1. **ქვეყანაში დაგვიანდა ინტერნეტ-ბაზრის პოტენციალის ათვისება.** "სტიმულირების მიზნით გამოყოფილი თანხები" საკმარისი არაა ახალი ბიზნეს მოდელების წარმოჩენის, პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური სარგებლის მიღებისათვის, რადგან არ ეყრდნობა კონკრეტულად გაწერილ გეგმებს (აღნიშნული საკითხის არგუმენტირებას რამდენიმე ათეული სტატია და რამდენიმე გადაცემა მივუძღვენით);
2. **ქვეყანაში დაგვიანდა საქართველოს უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება** (ვგულისხმობთ უმაღლესი განათლების ექსპორტზე ორიენტირებას);
3. **ქვეყანაში დაგვიანდა მეცნიერ-მკვლევარების რესურსის ათვისება.** გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური აქტივობის დაჩქარების

საფუძველი ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რესურსშია, რომლის პოტენციალი აუთვისებელია; ქვეყნაში სადაც, მრავალწახნაგოვანი გამოწვევებია არ წარმოებს არსებული გარემოს (დარგების) შეფასების, ანალიზისა და პროგნოზირებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-ტუტებისა და მეცნიერ-მკვლევარების რესურსის გამოყენება. ასევე, ახალი კვლევითი ინსტიტუტების შექმნა. მაგალითად, კვლევები ადას-ტურებს, რომ ქვეყანა საჭიროებს „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" შექმნას, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი. ჯამში, რესურსამოწურულ პოლიტიკურ გარემოში, მეცნიერ-მკვლევართა რესურსი იგნორირებულია „პოლიტიკური ამბიციებით" ;

არსებითია აღინიშნოს, რომ ჩვენი შეფასებები და წინადადებები არ ემსახურება კრიტიკას ან სისტემის მყიფე ადგილის წარმოჩენას.

ჩვენ მიზნად ვისახავთ, რომ ქვეყანაში შეუსწავლელი პრობლემების, კვლევის გარეშე წარმოჩენილი პროგრამებითა და გაუანალიზებელი პროცესების საფუძველზე არ განხორციელდეს მართვა, დაგეგმვა, ანალიზი და პროგნოზი, სტრატეგიებისა და პროგრამების შექმნა/განხორციელება. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში გარემოს განვითარების თუ დარგის განვითარების პროცესში (მაგალითად, ინტერნეტ-ბაზარი, ელექტრონული მთავრობის სისტემა) არ ხდება ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ შექმნილი სტრატეგიული გეგმების თუ წინადადებების გათვალისწინება (კვლევის საფუძველზე სტრატეგიის შექმნა, რომელიც დაეყრდნობა საჭიროებებისა და მდგომარეობის სრული სურათის ცოდნას);

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენი რეკომენდაციები ეფუძნება არგუმენტირებულ დასკვნებსა და ანალიზს. ხოლო რამდენად ითვალისწინებს მმართველობითი გარემო ასეთ რეკომენდაციებს, რამდენად აღიარებს მეცნიერ-მკვლევარის რესურსს, რამდენად უწევს ანგარიშს, ამის ნათელი ფაქტები ჩვენს მიერ წარმოჩენილი სფეროს „არსებულ მდგომარეობაშია" (თუმცა შეცვლილი და გადაკეთებული სახით გამოყენების ფაქტები ფიქსირდება).

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი პოლიტიკის ფონზე, ბუნებრივია, რთულია წარმოჩინდე, მითუმეტეს, როდესაც ემსახურები სახელმწიფო სისტემას და არა პოლიტიკურ სისტემას. იგნორირებული ხარ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისწრაფვი სახელმწიფო სისტემის გაძლიერებისაკენ მიმართული ინტელექტუალური პროდუქტების, რეკომენდაციების პაკეტისა და წინადადებების შექმნისკენ.

გულსატკენია, რომ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები აქცენტს აკეთებს მეცნიერ-მკვლევარებზე, რომელიც არის მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნის საფუძველი, ხოლო ჩვენთან ასეთი პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს.

საქართველო სასიცოცხლოდ საჭიროებს ქარიზმატულ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც გლობალური თუ ლოკალური გამოწვევების პირობებში:

ქუდზე კაცს გამოიყვანს, ხელში იარაღს (შრომის იარაღებს) ააღებინებს, „ქვეყანას ააგუგუნებს“, შეძლებს თამამი რეფორმების გატარებას და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. გახდება ეკონომიკური აქტივობის ზრდისა და საზოგადოების ერთიანობის სიმბოლო.

დაბოლოს, საქართველოში ევროპული ტიპის ეკონომიკის შექმნისათვის ოპტიმალურია ისეთი პოლიტიკური გარემოს ორგანიზების „პრინციპები“, სადაც, თუ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატს არ გააჩნია რესურსი და პოტენციალი (იგულისხმება კანონშემოქმედებითი, ქარიზმატული მმართველობითი უნარი, სტრატეგიული დაგეგმვის უნარი, საზოგადოების კოორდინაციის პოტენციალი, ინსტიტუციების ავტორიტეტის ზრდის რესურსი, პროგრამების შექმნისა და განხორციელების ძალა, რეფორმების გატარების ძალა) სამართლებრივი პასუხისმგებლობის „სიმკაცრის შიშით“ ვერ შეძლოს თანამდებობის დაკავება.

www.kvira.ge, 7 ივნისი, 2016 წელი

2.24. ქვეყანა საჭიროებს მმართველობით სტანდარტებს!

ეკონომიკა არის სიმდიდრისა და კეთილდღეობის შექმნა. რაც უფრო მეტია ეკონომიკური აქტივობა ბაზარზე, მით მეტი სიმდიდრე იქმნება და მეტად ბედნიერია ხალხი.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მთავრობის პოლიტიკას აქვს დადებითი ეკონომიკური ეფექტები, თუმცა დაბალი ზრდის ტემპი, „გვერდითი ეფექტები“ და არაპროგნოზირებადი შედეგები აჩვენებს გაურკვევლობასა და უიმედობას. მიზეზი ეკონომიკურ პოლიტიკასა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობაშია.

დღეს, საქართველოში, არსებული ეკონომიკურ პოლიტიკა წარმოდგენილია ზოგადი და ბუნდოვანი სტრატეგიული გეგმებით, ეფუძნება საერთაშორისო მოთხოვნების „შემყურე პოლიტიკას“, ეყრდნობა არაეფექტიან მმართველობით პროფილს, აკოპირებს სხვა ქვეყნების არსებულ მოდელებს. უნდა ითქვას, რომ ასეთი მოდელები წარმოდგენილია ცალკეული სეგმენტის ინდივიდუალიზებული ეკონომიკური ეფექტით, რაც ჯამში საზოგადოების ფართო ფენების ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაზე გავლენას ვერ ახდენს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების საფუძველი მმართველობით პროფილშია, რომელიც ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას ვერ ქმნის.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკასთან და საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. დღეს, ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ მმართველობითი გარემოს გარდაქმნით.

რეალობა ცხადყოფს, რომ საქართველოს პოლიტიკურ და მმართველობით გარემოში:

- **გაურკვევლობა უფრო მეტია ვიდრე შედეგი**. არსებულ პროცესებს აქვს უფრო პოპულიზმის ეფექტი, ვიდრე რადიკალური ცვლილებების;
- **ცალკეული სეგმენტის ინდივიდუალიზებულმა ეკონომიკურმა ეფექტებმა პოპულისტური გავლენა უფრო იქონია, ვიდრე რეალური.** ქვეყანაში რთულია დასახელდეს ისეთი სეგმენტები, რომლის ეკონომიკური კეთილდღეობა ისე გაიზარდა, რომ მივიღეთ საშუალო კლასის სეგმენტი (ცალკეული მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესებას არ ვგულისხმობ);
- **მმართველობითი სისტემის კონსტრუქცია არ მოიცავს: აკადემიურ რესურსს;** ლიდერებსა და ქარიზმატულ მმართველებს; გეგმების შემსრულებლებსა და სტრატეგიული აზროვნების მმართველებით პროფილს;
- **არ გვაქვს პოლიტიკური და მმართველობითი სტანდარტის შეფასების აღიარებული მიდგომები**. საზოგადოების ხშირი პროტესტის მიუხედავად, ვადის გასვლამდე „თავი ქუდში აქვთ". ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკაც მცირეა;
- **ახალი უწყებები უფრო „მარტივად" იქმნება, ვიდრე ახალი პროგრამა ან სტრატეგიული გეგმა.** შესაბამისად, საჯარო უწყებების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მათ კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროს განვითარებისათვის არსებული პროგრამები; თითოეულმა უწყებამ, წელიწადში ერთი შედეგიანი სახელმწიფო პროგრამა რომ გაატაროს, საზოგადოებისათვის რაციონალური გახდება საჯარო სტრუქტურების „შენახვა";
- **ჩვეულ პოლიტიკურ ნარატივად იქცა: ახალი კანონების დაანონსება და „შუა გზაში" მიტოვება**; დაგეგმილი პროექტების ნაწილობრივ შესრულება; პროექტის ჯერ დაწყება, ხოლო შემდეგ მოსალოდნელი შედეგების კვლევა და ანალიზი ;
- **მმართველობითი გარემოში, პასუხს არავინ აგებს არაეფექტიან მმართველობით რესურსზე, შეუსრულებელ გეგმებზე, საჯარო რესურსის არაეფექტიან აქტივობაზე, შეუსრულებელ პროგრამებ-ზე, დარგში არსებულ არახელსაყრელ ტენდენციებზე, არსებულ რეგრესზე, დაბალ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ბიუროკრატიისა და პოლიტიკის არაეფექტიანობაზე;**

არაეფექტიანი მმართველობის დრო უნდა დამთავრდეს. ქვეყანას არ გააჩნია იმის „ფუფუნება", რომ უყუროს იმ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს:

- **რომელთაც არც გლობალური გავლენა გააჩნია და არც ლოკალური;**
- **რომლის პოლიტიკურ სიტყვას ერის კონსოლიდაციის ძალა არ აქვს;**
- **ვინც ვერ ქმნის ეფექტიან მმართველობით გარემოს და შედეგიან ეკონომიკურ პოლიტიკას;**

- **რომლის საქმიანობა დადგენილი მმართველობითი ფუნქციების გარდა არ შემოიფარგლება რეფორმებით, ახალი პროგრამების შექმნით, დარგის განვითარების გეგმებით, სტარტეგიული აქტივობითა და ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების ფორმირებით.**

არსებითია ითქვას, რომ საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლებაზე საუბრობს მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

საქართველოს ეკონომიკა, მცირე მოცულობის გამო გვიჩვენებს, რომ:

- **ქვეყანა საჭიროებს ახალ პოლიტიკურ რესურსს**, პოლიტიკური ტრანსფორმაციის სტრატეგიას, ეკონომიკურ პოლიტიკას, სიღარიბის აღმოფხვრისა და ინდუსტრიული პოლიტიკის მოქმედების გეგმას;
- **ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები და სოციალური უთანასწორობა შეიძლება დაძლეული იქნას ახალი პოლიტიკით,** ახალი პოლიტიკური რესურსით, საზოგადოების აქტივიზების უნარის მქონე ლიდერებით (ძველი პოლიტიკოსების რებრენდინგის რესურსი იგივეს შედეგებს მოგვცემს, რაც წლების განმავლობაში გვაქვს);
- **სოციალური უთანასწორობა არის ქვეყნის დიდი პრობლემა,** სადაც ბუნებრივია დახმარებების ბიუჯეტი არასაკმარისია დახმარების მომლოდინე პირთა წრისათვის. ასეთ პირობებში, ვერც პოლიტიკური და მმართველობითი გარემო ვერ ქმნის სიღარიბის აღმოფხვრის ქმედით მექანიზმს; ვერ უზრუნველყოფს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც შეამცირებდა უმუშევრობას და გაზრდიდა ოჯახის შემოსავლებს;
- **სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები საჭიროებს პროგრამებს და გეგმებს,** რომელიც კონცენტრირებას მოახდენს: ახალ ეკონომიკურ და სტრატეგიულ ხედვებზე; განათლებასა და მეცნიერებაზე; აკადემიური რესურსის ათვისებაზე; ციფრულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე; სახელმწიფო სისტემის გაძლიერებისკენ მიმართულ პროგრამებსა და პროცესებზე;
- **ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა მიღწევადია პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს რადიკალურ გარდაქმნით.** ახალი პოლიტიკური და მმართველობითი რესურსის პირობებშია შესაძლებელი სოციალური უთანასწორობის შემცირება და პოლიტიკური დისბალანსის დაძლევა;
- **გაანალიზებას საჭიროებს აღმასრულებელი ხელისუფლების მიღწევები და შედეგები**, შეფასებას საჭიროებს მათი საქმიანობა (როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე). ამასთან, ანალიზი და შეფასება საჭიროა, როგორც მოქმედი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, ისე ყოფილი ხელისუფლების საქმიანობაც;

დაბოლოს, ქვეყანაში ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება შესაძლებელია ახალი პოლიტიკური და მმართველობითი ძალის ფორმირების

პირობებში, რომელიც არის არა ძველი პოლიტიკური ძალების მოდიფიკაცია, არამედ ახალი და სუფთა რესურსი: აკადემიური რესურსი, ანალიტიკოსები, ექსპერტები. პირები, რომელიც გამოირჩევიან სტრატეგიული აზროვნებით, ანალიზით, ნაშრომებით, შეფასებებით, მეცნიერული მიდგომებითა და საზოგადოების მხარდაჭერით.

www.radiotavisupleba.ge, 2 აგვისტო, 2017 წელი

2.25. „ოდეერის" ინსტიტუტი „ლუსტრაციის კანონმა" უნდა ჩაანაცვლოს!

ქვეყნის განვითარება „ოდეერის" ინსტიტუტის ფონზე რთულია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის კარგი იქნება „ოდეერის ინსტიტუტის" დამკვიდრების ნაცვლად ქვეყნის აღმავლობა „სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების" ბაზაზე ხდებოდეს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო საკადრო პოლიტიკის" გამოწვევის, ნეპოტიზმის, „ოდეერის ინსტიტუტის" (ოფიცერი უშიშროების საკითხებში, ОДР), არაეფექტიანი მმართველების, ბუნდოვანი სტრატეგიებისა და სუსტი სამთავრობო პროგრამების ფონზე, ქვეყანა მხოლოდ ინერციით ვითარდება.

შესაბამისად, თუ გვინდა, რომ ჯანსაღი და ეკონომიკურად ევროპული დონის ქვეყნის აშენება, საზოგადოებისათვის ნათელი და გამჭვირვალე უნდა გახდეს:

- ვინ აშენებს ქვეყანას (როგორია საკადრო რესურსი);
- ვინ მმართავს სახელმწიფოს უწყებებს ;
- რა მიზნებით არიან მმართველები მმართველობით სტრუქტურებში;
- როგორია სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების ბიოგრაფიული შტრიხები, პოლიტიკური ინტერესები და პოლიტიკურად დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ფაქტორები;

ყოველივე ზემოაღნიშნულს რომ პასუხი გაეცეს, საჭიროა „ლუსტრაციის კანონის" მიღება!

საზოგადოებაში პოპულარულია კითხვა „გვეშველება რამე"?

საშველი მდგომარეობს:

- **„ლუსტრაციის კანონის" მიღებაში;**
- **სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შრომის ნაყოფიერების სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფაში;**
- **აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის გამკაცრებაში. კერძოდ: მინისტრი მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებული დარგის განვითარება-ხელშეწყობაზე პასუხისმგე-**

ბელი უნდა იყოს (მაგალითად, მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების ცოდნის დონეზეც);

- **ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების გამოყენებაში. ქვეყნის განვითარება ძირითად უნდა ეფუძნებოდეს სამთავრობო პროგრამებს, და არა ვალებს და რესურსის გადინებას; ასევე, აუთვისებელ ეკონომიკურ რესურსებზე კონცენტრირებას ;**
- **ქვეყნის მმართველობაში მეცნიერ-მკვლევარების როლის ამაღლებაში; სახელმწიფო სტრატეგიების უზრუნველყოფაში ჩართული უნდა იქნას საქართველოს ინტელექტუალური რესურსი, კერძოდ მეცნიერ-მკვლევარები;**
- **ქვეყნის მართვის წონასწორობა უნდა ეფუძნებოდეს სამივე სექტორის თანაბარუფლებიან მართვას** (სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორი).

ფაქტია, რომ არსებული პოლიტიკური რესურსებისა და პოლიტიკური „ნდობის“ პირობებში, სახელმწიფოს განვითარების ტემპი დაბალია .

არსებითია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომლებიც ათწლეულებია სახელმწიფო პოლიტიკას ქმნიან, ასევე ქმნიან „საკადრო პოლიტიკას“. საკადრო პოლიტიკის შედეგებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საჭიროებს ახალ საკადრო რესურსს (რომელიც არ უნდა იყოს დაკომპლექტებული „არსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტიდან“). ასეთ რესურს ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები წარმოადგენს.

დღეს მიმდინარე პოლიტიკური ქაოსის პირობებში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანა საჭიროებს ახალ ენერგიასა და რესურსს. მსგავს ენერგიასა და რესურსს კი ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები ფლობენ.

საზოგადოებაც აცნობიერებს, რომ ქვეყნის პოლიტიკური სივრცე საჭიროებს ახალგაზრდა მეცნიერთა რესურსს, რომელსაც სასიცოცხლო პოლიტიკური ღირებულება გააჩნია.

რატომაა მნიშვნელოვანი ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების რესურსის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა?

- **„ჭკუა თავშია და არა ხანში“** (ოტია იოსელიანი). თუ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი არაფერს ქმნის, მიუხედავად ასაკისა, ფაქტობრივად უმოქმედობით ქვეყანას ვნებს, დარგისა და ერის განვითარებას აფერხებს, სახელმწიფო სისტემის მდგრადობას აზიანებს. აღნიშნული კი გავლენას ახდენს სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობის პროცესზე. ახალგაზრდას გააჩნია მეტი რესურსი, ენერგია და მოტივაცია. სურს თავის დამკვიდრება და მშენებლობა. არის თამამი (რეფორმების გატარების პროცესში) და ტექნოლოგიების ამთვისებელი ;
- **სახელმწიფოს მშენებლობაში ჩაერთვება „პატრონის არმქონე პირები“.** მსგავსი ახალგაზრდები თავისი შრომით, სწავლითა და რწმენით აღწევენ კარიერის „გარკვეულ საფეხურს“ (ნეპოტიზმის

გარეშე); უძლებენ ყოველგვარ გამოწვევას; ამასთან, არსებული პირების პოლიტიკა, მიმართულია „ჯანსაღი საკადრო პოლიტიკის წარმოებასა და მძლავრი სახელმწიფოს მშენებლობაზე (რადგან ანგარიშვალდებულება სახელმწიფოსა და საზოგადოების გარდა, არცერთ პიროვნებასთან არ გააჩნიათ);

- **საქართველო მდიდარია კეთილშობილი და ღირსეული მმართველების რესურსით, რომლის გამოყენება ვერ ხდება.** აღნიშნული მმართველები ორიენტირებული არიან მძლავრი სახელმწიფოს სისტემის შექმნაზე;
- **ახალგაზრდა მოტივირებულია შედეგებზე, განვითარებასა და მიღწევებზე**. მაშინ, როდესაც დამკვიდრებული ტენდენციები გვიჩვენებს, თუ პირი რესურსამოწურულია, არც სხვას (ახალგაზრდას) აძლევს გასაქანს;
- **შესაბამისად, სახელმწიფოს განვითარება საჭიროა ვანდოთ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებს, ინოვატორ, სტრატეგიული აზროვნებისა და ქარიზმატული უნარების მქონე პირებს ;**

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ქაოსის პირობებში, „მაღალი სტანდარტების" საზომი გაურკვეველია. შესაბამისად, დროა უკვე პოლიტიკური საზოგადოება წარმოდგეს „ახალგაზრდა სამეცნიერო ჯგუფით" , რომელიც „ლუსტრაციის კანონის" გატარებითა და ჯანსაღი საკადრო პოლიტიკის წარმოებით, ქვეყანას განავითარებას.

აღსანიშნავი ფაქტია, ისიც რომ ქვეყანას სჭირდება მძლავრი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტია (როგორც ფიზიკურ ისე კიბერ სივრცეში).

აღვნიშნავთ, რომ ქვეყანა საჭიროებს საზოგადოებრივ კომისიას, რომელიც შეაფასებს ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესს, შეაფასებს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შრომის ნაყოფიერებას, მონიტორინგს გაუწევს სამთავრობო პროგრამებისა და სტრატეგიების შესრულების პროცესს.

ჯამში, წინასაარჩევნო გარემო გვიჩვენებს, რომ ახალი პოლიტიკური ძალის შექმნისა და საზოგადოების ნდობის მოპოვების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფებს.

P.S. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სურს, მოესწროს ეკონომიკურად ევროპული დონის ქვეყანაში ცხოვრებას, ხელი შეუწყოს თავისი შვილების პერმანენტულ განვითარებას, არ გადაიხვეწონ ემიგრაციაში, გაამართლონ განათლებაში ჩადებული ინვესტიციები, მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება და საზოგადოებაში დამკვიდრება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია იმ სახელმწიფო სისტემის პირობებში, რომლის მართვა დაეფუძნება „ლუსტრაციის კანონსა" და ახალ პოლიტიკურ რესურსს - ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა პოლიტიკას.

www.iverioni.com.ge, 15 მარტი, 2016 წელი

2.26. რა გაზრდის პოლიტიკური სიტყვის ფასს?

ხელისუფლებისთვის 2016 წლის არჩევნები ერთგვარი ნაკიანი წელიწადია, ანუ, ეს ის სიტუაციაა, როცა ხელისუფლება განიცდის ხალხის საჭიროებას და არა ხალხი ხელისუფლების საჭიროებას.

საქართველოში, წელიწადში ან ორ წელიწადში ერთჯერ ტარდება არჩევნები: საპარლამენტო, საპრეზიდენტო, თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს ან მერის არჩევნები (1990 წლის შემდეგ, საქართველოში არჩევნები 23-ჯერ ჩატარდა).

პოლიტიკური ცვლილებების ეკონომიკური შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველო შეფასებულია საშუალოზე დაბალი ეკონომიკის მქონე ქვეყნად, რომლის მშპ-ი მხოლოდ 29,1 მლრდ ლარს შეადგენს.

სამწუხარო რეალობაა, რომ მთავრობის საკადრო რესურსების პირობებში არსებული ინსტრუმენტები, მართვის მეთოდები, ღონისძიებები და პროგრამები ვერ აღწევს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს. სამთავრობო გარემო მოქმედებს ინერციითა და საერთაშორისო მოთხოვნებით.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ არჩევნების შედეგად იზრდება:

- პოლიტიკური ინვესტიციების რაოდენობა;
- დაპირებების სიდიდე;
- საზოგადოების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებისა და ინსპირირების ფორმები;
- უცხოური და შიდა ინვესტიციები პოლიტიკურ კამპანიაში;
- პოლიტიკური ნდობის მოპოვების წამქეზებელი ფორმები და შთაგონების ინსტრუმენტები;
- სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი იმედები და მოლოდინი;
- პოლიტიკურ კამპანიაში ჩართულ პირთა შემოსავლები (მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში);
- ინფორმაციული პროპაგანდისა და აგრესიული რეკლამის ინტენსივობა;
- ყურადღების გამახვილება ყოფილი პოლიტიკოსების შეუცვლელ როლზე (გზა ხსნისა მხოლოდ მათშია).

თუ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე ხარ სიმართლე არ დაგეკარგება. ქვეყანაში დამკვიდრებულია ტენდენცია, რომ თუ თანამდებობაზე არ ხარ ან პოლიტიკურ პარტიას არ მიეკუთვნები, ან/და ფორმალური თუ არაფორმალური მმართველების მფარველობა არ გაგაჩნია პოლიტიკური გარემოს ყურადღებას ვერ იმსახურებენ. შესაბამისად, შენი სიტყვის „ფასიც“ დაბალია .

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, უფასურდება:

- პოლიტიკური სიტყვის ფასი;

- ინფორმაციული გარემოს ფასეულობა;
- „პოლიტიკურად სუფთა“ ინტელექტუალური კაპიტალი;
- საზოგადოების ოპტიმისტური მოლოდინი მოკლევადიან პერსპექტივაში;
- რესურსამოწურული პოლიტიკური გარემოს პოლიტიკური ღირებულება;

ბიზნეს სექტორის ორგანიზების პრინციპია იმ თანამშრომლების ახლით შეცვლა, რომელიც: დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს, ბიზნესისათვის სარგებელი არ მოაქვს, ბიზნესის ტემპს ფეხს ვერ უწყობს, შრომის ნაყოფიერება დაბალია. სახელმწიფო სექტორში ასეთი ორგანიზების პრინციპი არ არსებობს.

არსებითია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების აქტივობები არ ფასდება და არც იზომება ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა:

- ცალკეული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ეკონომიკური სარგებელი (მშპ-ში);
- ქვეყნის განვითარებაში თითოეული პირის პოლიტიკური აქტივობის შედეგები;
- დარგის განვითარებაში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების აქტივობის შედეგები;
- დასრულებული სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შედეგები;
- ეკონომიკური სტიმულირებისა და ეკონომიკის აღდგენის პროგრამების შედეგები;
- შემუშავებული სახელმწიფო პროგრამების ეკონომიკური ფასეულობა და სარგებელი;
- ეკონომიკური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკონომიკის აღდგენის პროგრამების შედეგები;
- ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროები;
- ახალი ბიზნეს-მოდელების წარმოჩენისა და დასაქმების ზრდის ხელშემწყობი პროგრამები;

ქვეყანაში, ერთგვარ სტერეოტიპად იქცა, ის ფაქტი, რომ ნებისმიერი იდეა თუ პროექტი, სანამ საქართველოში განხორციელდება აპრობირებული უნდა იყოს სხვა ქვეყნებში. „ახალ პროექტად“ მიიჩნევა ის, რომელიც მოწინავე ქვეყნებიდანაა გადმოღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას განიხილავენ, როგორც არაეფექტიან და გაურკვეველი მომავლის პროექტს. შესაბამისად, აღნიშნულ ფონზე, კვლევებზე დაფუძნებული, საქართველოს რეალობასა და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული პროექტების რიცხვი მცირეა. ფრაგმენტულია ქართული რესურსის გამოყენება სახელმწიფო პროექტების შემუშავებაში (განსაკუთრებით მეცნიერ-მკვლევარების პოტენციალი).

სახელმწიფო პროექტების შემუშავებაში ქართული სამეცნიერო რესურსის გამოყენების საჭიროება, ხაზგასმულია ელექტრონული მმართველო-

ბის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის პრინციპებ-ში. ინსტიტუტი მიმართულია სამთავრობო პრობლემების ფორმულირების, ეროვნულ ინტერესებზე მორგებული სტრატეგიული დაგეგმვისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაზე.

საქართველოს საზოგადოებისათვის, 2016 წლის არჩევნებში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკური კონტექსტი. აღნიშნულ კონტექსტში პოლიტიკური პარტიები შეფასდება შემდეგი კომპონენტებით:

- ეკონომიკური ზრდის მიღწევის სცენარი და განვითარების გზები;
- ეკონომიკური პოლიტიკის ვექტორი და ხედვები;
- სახელმწიფო განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და შემუშავებული გეგმები;
- სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობი პროგრამები;
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მოსალოდნელი სარგებელი;
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატების პროფესიული შედეგები და აქტივობები;
- პოლიტიკური შედეგების ეკონომიკური და არაეკონომიკური აქტივობები;
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატის სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციები;

საქართველოს საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ რესურსამოწურულ პოლიტიკურ სივრცეში ქართული პოლიტიკური გარემო საჭიროებს ახალ პოლიტიკურ ელიტას, ახალ პოლიტიკურ საზოგადოებას, რომელიც ფორმირებული იქნება მეცნიერ-მკვლევარებით.

შესაბამისად, პოლიტიკური სიტყვის ფასის ზრდა და საქართველოს განვითარება შესაძლებელია, მხოლოდ:

- ახალი პოლიტიკური რესურსით, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებითა და ინტელექტუალებით;
- პოლიტიკოსების ინტელექტუალური კაპიტალითა და მასებზე ზემოქმედების უნარით;
- რეფორმების გატარების სიმამაცით, პრობლემების გადაჭრის უნარით, კვლევებზე დაფუძნებული სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაძლებლობებით;
- გლობალურ და ლოკალურ გამოწვევებთან ადაპტაციის უნარის მქონე სახელმწიფო მოხელეებით;
- საქართველოს საზოგადოების გააქტიურებითა და გაორმაგებული ძალებით;
- გლობალური ზრდის მამოძრავებელი სტრატეგიებითა და გეგმებით;
- საქართველოს აუთვისებელი პოტენციალის ათვისებით;
- მთავრობის ეფექტიანი ბიუროკრატიული მექანიზმებითა და სამთავრობო ორგანოების სიდიდით;
- ინოვატორი, ქარიზმატული და „მკაცრი ხელის“ მმართველებით;

ჯამში, პოლიტიკური ცვლილებები გახდება იმის გარანტი, რომ ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, მოკლევადიან პერსპექტივაში შეძლოს:

- ეკონომიკურად ევროპული დონის ქვეყნის შექმნა;
- ნოვატორული აზროვნების მმართველობითი გარემოს ფორმირება;
- მძლავრი სახელმწიფო სისტემის ფორმირება;
- კოორდინირებული და ერთიანი საზოგადოების ფორმირება;
- სახელმწიფო მმართველობის ისეთი მექანიზმის შექმნა, როდესაც სამართლებრივი პასუხისმგებლობით განისაზღვრება არაეფექტიანი მართვა, უშედეგო რეფორმა, ჩავარდნილი პროგრამა, განუხორციელებელი სახელმწიფო პროექტი;
- პოლიტიკური გარემოს ფორმირება, სადაც აღარ იქნება ნეპოტიზმი და „ჩაკეტილი პოლიტიკური წრე". გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, წარმოჩინდა ახალი კანდიდატები, „დირექტივების გარეშე" მოხდება რეფორმების გატარება, გაჩნდება მმართველობაში სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების საჭიროება;
- სახელმწიფოს მართვა მოქალაქეების, კერძო და სახელმწიფო სექტორის თანაბარუფლებიანი მონაწილეობით ;

დაბოლოს, ეროვნული „პოლიტიკური სიტყვა" მოძრაობაში მოიყვანს საზოგადოებას, გააძლიერებს სახელმწიფო სისტემას, აამაღლებს საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და აქტივობას, გაზრდის ხელისუფლების ნდობას და მართვის ეფექტიანობას.

www.kvira.ge, 22 იანვარი, 2016 წელი

2.27. მძლავრი საზოგადოება ქმნის მდგრად სახელმწიფო სისტემას!

საქართველოს ძალა და სიძლიერე არის საზოგადოების ძლიერებაში. ძლიერი საზოგადოების საფუძველს ქმნის საშუალო კლასის ფორმირება, ახალგაზრდებისათვის პერმანენტული განვითარების პირობების შექმნა, ეროვნული განათლების ხარისხის დაფასება, ჯანსაღი იდეოლოგიის ფორმირება, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა, ეფექტიანი მართვა და ქარიზმატული ლიდერები, ინიციატივიანი საზოგადოებრივი ჯგუფების ზრდა და სახელმწიფოს მიერ მეცნიერ-მკვლევარების მართვაში ჩართულობა.

სამწუხაროდ, აღნიშნულ პროცესს ძველი პოლიტიკა უშლის ხელს. ძველი პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს მორალური კატასტროფა, საზოგადოების აქტივობის მინიმუმამდე დაცემა, შეფერხებული რეფორმები, პრობლემებზე შეუწყვეტელი საუბარი (პრობლემა კი კვლავ გაურკვეველია), ისევ პროექტებისა და იდეების მოძიებაზე საუბარი, ისევ დაპირება გრძელვადიან პერსპექტივაში, ისევ საგარეო რეკომენდაციებით არსებობა და ქვეყნის ინერციით ფორმირება.

ფაქტობრივად, ძველი პოლიტიკა ნიშნავს რომ ის მხოლოდ „თავისთავისთვისაა“. ამასთან, დამაჯერებლად იმოძღვრება. ხაზს უსვამს, რომ შეუცვლელია და ქართულმა სახელმწიფომ „მის გარშემო უნდა იბრუნოს“.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა დაბალი აქტიური როლი მოსახლეობის დასაქმების ზრდაში. ამაზე თვით უცხოელებიც გვითითებენ (იხილეთ იციკ მოშე, ისრაელს შეუძლია თვეში 5000 კადრი დაასაქმოს საქართველოდან, მაგრამ ამისთვის მთავრობის აქტიურობაა საჭირო. http://businesscontact.ge/ka/article/quotisraels-sheudzlia-tveshi-5-000-kadri-daasaqmos-saqartvelodan-magram-amistvis-mtavrobis-aqtiurobaa-sachiroquot/5219). ხაზგასასმელია, რომ არსებული უმუშევრობის პირობებში, თითოეული კაცის დასაქმება ქვეყნის უმთავრესი გამოწვევაა, ხოლო როცა საქმე ათასობით კაცის დასაქმებას ეხება, საკითხი რეზონანსულია.

პოლიტიკური აქტივობის ზრდის ფონზე, საზოგადოება საჭიროებს დასაბუთებულ პოლიტიკას, რომლითაც ახალ ქართულ პოლიტიკას შეუძლია:

- ძლიერი საშუალო კლასის შექმნა (კონკრეტული გეგმებით);
- მძლავრი საზოგადოების ჩამოყალიბება (კონკრეტული ინიციატივებით);
- მოსახლეობის შთაგონება და საზოგადოების გააქტიურების ინსპირირება ;
- დასაქმების ზრდა (ზოგადი ფრაზეოლოგიებსა და შეპირებების გარეშე);
- ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიებისა და ახალი პოლიტიკური გარემოს ფორმირება;
- კვლევით დასაბუთებული ეკონომიკური პროგრამებით, მკაფიოდ გაწერილი სტრატეგიებითა და კონკრეტული გეგმებით ქვეყნის განვითარება;

კვლევები ადასტურებს, რომ ერისათვის სანატრელია ახალი პოლიტიკური ძალა, ახალი პოლიტიკური ენერგია, ქვეყნის ტერიტორიული და საზოგადოების მთლიანობა. ლეგიტიმური ახალი პოლიტიკური ისტებლიშმენტი შეძლებს კერძო და სამოქალაქო საზოგადოებისათვის:

- გახდეს თავდაუზოგავი შრომის სახე;
- წარმოდგეს, როგორც ინოვაციის, იდეებისა და ახალი რესურსების წარმომჩენი წყარო:
- იქცეს ერის კოორდინატორად და საზოგადოების მამოძრავებელ ძალად;
- უმოკლეს ვადაში ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ნდობის რეგენერაციის მძლავრ სახელმწიფო მანქანად;
- წესად დაადგინოს სახელმწიფოს მშენებლობაში თითოეული ინტელექტუალური რესურსის (თითოეული მოქალაქის) ჩართვა და სახელმწიფოებრივი მიზნებით გამოყენება;

- გლობალური მოვლენების ფონზე, ქართული სათვისტომოების, პოლიტიკური დიპლომატიის, გეოპოლიტიკური ხელსაყრელობის გამოყენებით გლობალური პოლიტიკის წარმოება (საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ);
- სახელმწიფო სტრუქტურების საკადრო პოლიტიკის წარმოება: ცენზისა და ბაკალავრის, მაგისტრის თუ დოქტორის ხარისხის შეფასებით (იმისათვის რომ ახალგაზრდამ იცოდეს რისთვის უნდა ისწავლოს და ისწრაფვოს).

რეალურად ახალი პოლიტიკური გარემოს ფორმირების საფუძველი იმ საინიციატივო ჯგუფებსა და მეცნიერ-მკვლევარებშია, რომელიც დღეს შექმნილი სტრატეგიებით, გეგმებით, კვლევებით, რეკომენდაციებითა და წინადადებებით პოლიტიკური ფარდის მიღმა ემსახურება ქვეყანას და გარკვეული წვლილი შეაქვს კონკრეტული დარგის განვითარებაში.

ალნიშნული პოტენციალის მქონე ახალი პოლიტიკოსები, ახალი პოლიტიკის წარმოებით მიმართულია შექმნას საქართველოს სახელმწიფო სისტემა, რომელიც ყურადღების ფოკუსირებას მოახდენს:

- ახალი და მძლავრი სახელმწიფო სისტემის მშენებლობაზე;
- ახალგაზრდა ოჯახების სოციალურ და პერმანენტული განვითარების პირობების შექმნაზე (რაც გამოიხატება შეღავათიანი კრედიტები, სოციალური უზრუნველყოფის, ცოდნის დონის ზრდის, პერმანენტული განვითარების ხელშეწყობით);
- განსაკუთრებული შეღავათებითა და ლობირებით ქართული კაპიტალდაბანდებების ზრდას, ქართული ინვესტიციების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას, ქართული საინვესტიციო პროექტების რეალიზების ხელშეწყობაზე;
- გლობალური პოლიტიკის ფარგლებში, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ქართული საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის ინტერესების დაცვას; სათვისტომოების რესურსისა და შესაძლებლობების ათვისებაზე;
- სახელმწიფო სტრუქტურებში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის მონიტორინგის, კონტროლისა და აუდიტის გამკაცრებაზე;
- უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების აუთვისებელი რესურსის ათვისებაზე;
- მცირერიცხოვანი ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პროფესორ-მასწავლებელის სტატუსის ამაღლებაზე. ამ მიზნით, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დამატებით გამოიყოფა ფინანსური რესურსი (შრომის ანაზღაურების ზრდაზე, ბინათმშენებლობით უზრუნველყოფაზე, გრანტებისა და სტიპენდიების ზრდაზე);
- ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნის ხელშეწყობაზე.

კითხვაზე ეს სხვასაც შეეძლო თუ არა, პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მათ ჰქონდათ საკმარისი დრო, თავისი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობისა. „გამოცდილების“ შედეგებიდან გამოდინარე კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ახლა პოლიტიკური რესურსის საჭიროება.

ახლა საჭიროა საზოგადოებას ვაჩვენოთ საქართველოს რესურსი, საზოგადოებამ პრაქტიკულად იგრძნოს შრომის, სწავლისა და ქართული განათლების ხარისხის შედეგი ფაქტობრივად, პრობლემების კომპლექსური და მეცნიერული შესწავლით რეალურად მიღწევადია პრობლემების გადაჭრაც და მძლავრი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებაც.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მადლიერებას და ღრმა პატივისცემას გამოვხატავთ სახელმწიფოს უმაღლესი მმართველის, უმაღლესი ხელმძღვანელის, საერო ლიდერის მიმართ. გვჯერა ლეგიტიმური ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ძალისხმევის. პატივს მივაგებთ ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწის ძალისხმევას, ნებისმიერი ბიზნესმენისა თუ მოქალაქის სახელმწიფოებრივ აქტივობას. თუმცა, ამასთან სახელმწიფო სისტემის მიმართ გაგვაჩნია მნიშვნელოვანი წინადადებები და რეკომენდაციები. რომელთა ნაწილი გაჟღერებული გვაქვს მედია საშუალებებით.

დასასრულს ვიტყვით, ყველას გვაქვს უმთავრესი გამოწვევა, რომელიც არის მძლავრი საზოგადოების საფუძველზე - მძლავრი ქართული სახელმწიფო სისტემის შექმნა!

www.resonancedaily.com, 6 აგვისტო, 2016 წელი

2.28. ქართული საარჩევნო გარემოს პორტრეტი

მიმდინარე არჩევნები ცხადყოფს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ისეთი კანდიდატები შესთავაზა საზოგადოებას, რომლებსაც აქვთ პროფესიული გამოცდილება, სურთ მმართველობითი აქტივობა, ფლობენ გარკვეულ პოლიტიკურ ნიშას და სარგებლობენ საზოგადოებრივი ავტორიტეტით.

აღვნიშნავ, **საზოგადოებისათვის ცნობილია მათი მართვის ინსტრუმენტები, ეკონომიკური და პოლიტიკური აქტივობის შედეგები, სოციალური კეთილდღეობის მიღწევებისა და პროფესიული განვითარების მასშტაბები. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ქვეყანაში არის რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უიმედობა. ამიტომ დავძენ, რომ ქვეყნისათვის არასაკმარისია არსებული პოლიტიკური პოტენციალი, რადგან ეკონომიკურ ზრდას ვერ უზრუნველყოფს არაეფექტიანი მმართველობითი რესურსი, ხოლო განვითარების ჯეროვან მასშტაბებს ვერ ქმნის ძველი პოლიტიკური გარემო.**

აღსანიშნია ქართული პოლიტიკური გარემოს პორტრეტი:

- **ყველა პარტია „ერთმანეთს ჰგავს“ ჰიპერბოლური რიტორიკით, დაპირებებების ჰორიზონტებით, საარჩევნო ტექნოლოგიებით,**

ზოგადი გეგმებით და მიდგომებით, ძირითადი პრობლემებიდან ყურადღების გადატანის მანევრებით, პრობლემების გადაჭრის იდენტური გზებით, პოლიტიკური საძირკვლითა და რესურსით. როგორც NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლორა თორნტონმა აღნიშნა საქართველო დაიღალა ყველა პარტიისაგან;

- ეკონომიკური პრობლემების დაძლევის მიზნით, არსებული პოლიტიკური სპექტრი ვერ აჩვენებს ეფექტიან მმართველობას. არ გვხდება რეალურად ქმედითი ნაბიჯები და სტრატეგიული მიდგომები, რომელიც თუ პრობლემებს ვერ მოაგვარებდა, საზოგადოებას მაინც დაამშვიდებდა და იმედს ჩაუსახავდა;
- სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო, საზოგადოებას უჭირს მმართველობით და პოლიტიკურ გარემოზე გავლენის მოხდენა და სანქციებით ზემოქმედება. რაც ბუნებრივია აღნიშნულ გარემოს სასათბურე პირობებს უქმნის;
- რთულია შეაფასო რა იქნება ძველი მმართველობითი და პოლიტიკური გარემოს ქვეყნისათვის მიყენებული ზიანი (მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში). მათ მიერ არაეფექტიანი საკადრო პოლიტიკის სტიმულირება გამოიწვევს სოციალურ აფეთქებას და ქვეყანას მიიყვანს დიდ კონფრონტაციამდე;

შესაბამისად, კარგი იქნება მერობის კანდიდატებმა დაასაბუთონ:

- ხალხისაგან დაცარიელებულ ქვეყანაში, როგორ აპირებენ შემოთავაზებული ეკონომიკური პროგრამების (მიმართულებების) განხორციელებას. რეგიონებში რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო უფრო მაღალია მიგრაცია;
- შემოთავაზებული მიდგომები ახდენს თუ არა ხალხის მოთხოვნებისა და ნების ინტერპრეტირებას. გადაჭრის თუ არა მათი პროგრამები საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. რაში მდგომარეობს მათი პოლიტიკური მიმზიდველობა;
- მართვის როგორი პოლიტიკით აპირებენ ვალებისა და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას;
- ეკონომიკური პოლიტიკის მასშტაბები როგორი იქნება. ყველასთვის ცნობილია, რომ რაც უფრო იზრდება „პოლიტიკური კადრების მობილობა“, მით უფრო მცირდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის იმედი. ამასთან, რაც უფრო იზრდება ახალი სახეებისა და აკადემიური საზოგადების აქტივობა (რაც პროგრესის წინაპირობაა), მით უფრო იზრდება მათზე პოლიტიკური სისტემის ზეგავლენა;
- რა იქნება მათი მმართველობითი კრიტერიუმები და სტანდარტები. პოლიტიკური სისტემის დისკურსი ცხადყოფს, რომ როგორც ადრეულ პერიოდში თავადები ყმებს მალავდნენ ისე დღეს

„დამალულია“ ეკონომისტებიც, ახალგაზრდა ინტელექტუალური და აკადემიური რესურსიც. აღნიშნული რესურსის იგნორირების ფონზე იზრდება როგორც ეკონომიკური გარემოს პრობლემები, ისე ინტელექტუალური გარემოს სოციალური გამოწვევები;

საკითხის შეჯამების საფუძველზე აღსანიშნავია შემდეგი:

- **ქვეყანაში უნდა გაძლიერდეს აკადემიური რესურსის როლი და მნიშვნელობა**. როგორც მარტინ გროსმა აღნიშნა „ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მსოფლიოში, სადაც პოლიტიკამ შეცვალა ფილოსოფია“. **არსებული „პოლიტიკური ხმაურის“ ფონზე, აკადემიური რესურსის მიერ პოლიტიკური გარემოს ანალიზი და შეფასება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, ქვეყანაში სწორი მმართველობითი გარემოს ფორმირებისათვის**;
- **აკადემიურად „უნდა გასამართლდეს“ პოლიტიკური პროგრამები, გეგმები, დაპირებები.** საქართველოს ცვლილებებისა და განვითარებისათვის საჭიროა აკადემიური ტონი;
- **საზოგადოებას დიდხანს არ ეყოფა მორალური რესურსი, იმყოფებოდეს „ეკონომიკურ რეპრესიაში“,** რადგან აღნიშნულის მიზეზი არის არა ობიექტური ფაქტორები, არამედ ძველი პოლიტიკა და არაეფექტიანი მმართველობითი გარემო;
- **ყურადსაღებია პოლიტიკური ნდობის დეფიციტის ფონი.** პოლიტიკური კაბინეტით ამომრჩეველი ფასეულ გამოცდილებას ფლობს (აღნიშნული გამოცდილება მოიცავს: ხალხზე ზრუნვას, კომპეტენტურობას, მიღწეულ შედეგებს, ტრაიბალიზმს, პრობლემების გადაჭრის ძალისხმევას). როგორიცაა აღნიშნული გამოცდილება, ისეთია მათდამი ნდობაც;
- **ჯამში, საზოგადოებამ, ახალი პოლიტიკური გარემოს ფორმირების საფუძველზე უნდა შეცვალოს ქართული პოლიტიკური ისტორია.**

დასასრულს აღვნიშნავ, რომ პოლიტიკური გარემოს ფორმირება შესაძლებელია ახალი პოლიტიკური სიტყვით, ახალი პოლიტიკური რერურსით, ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიებით, დემაგოგიისა და დეზინფორმაციის დასრულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება საბოლოოდ დაკარგავს პოლიტიკურ რწმენას, პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობასა და უკეთესი მომავლის იმედს. თუმცა, **როგორც რიჩარდ ჰასენი აღნიშნავს, „დემაგოგიისა და დეზინფორმაციის ეპოქა წარმოიშობა თვით ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებიდან“.**

www.cbw.ge, **25 სექტემბერი, 2017 წელი**

2.29. კანდიდატების დაპირება უფრო მეტია, ვიდრე ამომრჩეველს სჯერა

2017 წლის 21 ოქტომბერს ხუთი თვითმმართველი ქალაქსა და 59 მუნიციპალიტეტი საკუთარ მერს და საკრებულოს აირჩევს. კანდიდატების წინასაარჩევნო დაპირებებიდან შეიძლება აღინიშნოს: სივრცითი მოწყობის საკითხები, ეკოლოგიური პრობლემები, ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური გამოწვევები, საპენსიო, დასაქმების და სხვა სოციალური საკითხები.

დასაჯერებელია, რომ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს სურს ხალხს შეუქმნას უკეთესი ცხოვრების პირობები, მოაწესრიგოს სატრანსპორტო სისტემა, გააუმჯობესოს სოციალური ფონი, მომსახურების სისტემა, ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური რისკების კრისტალიზაციისა და აღნიშნული სურვილების დასაბუთებისათვის საჭიროა კანდიდატებმა წარმოადგინოს განვითარების კონკრეტულად გაწერილი გეგმები და პროგრამები.

ამჟამად, კანდიდატების პოლიტიკური აქტივობის შეფასებისას შეიძლება აღინიშნოს, რომ: თითოეული მათგანი გამოირჩევა ქალაქის სიყვარულით, პატიოსნებით, ბიუჯეტის პატიოსნად განკარგვის სურვილებით, კარგი საარჩევნო სლოგანებით, აქტიურობითა და დამაჯერებელი საჯარო გამოსვლებით. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, საზოგადოებისათვის უცნობია ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა:

- ბიუჯეტის შევსების კონკრეტული მექანიზმები და ახალი არხები;
- ქალაქის, როგორც ბრენდის ინოვაციური კონცეფცია;
- გეგმა, როგორ გახდეს თვითმმართველი ქალაქის სტრუქტურა უფრო მოქნილი, ეფექტიანი, პროდუქტიული, მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი;
- ქალაქის განვითარების კონკრეტული გეგმა და კონცეფცია. პრობლემების თემატურად წარმოჩენა არ განსაზღვრავს კანდიდატის პოლიტიკურ დონეს;
- პრობლემების გადაჭრის კონკრეტული გზები და მექანიზმები, რაც ბუნებრივია განსაზღვრავს ქალაქში არსებული პრობლემების „სიღრმის“ შესახებ ინფორმირებას და ავლენს უპირატესობას;
- ქალაქის განვითარებას და საზოგადოების ოცნებების ასრულებას რამდენად უწყობს ხელს მათი რესურსი (სტრატეგიული უნარ-ჩვევები, პოლიტიკური ნდობა, ქარიზმა, ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამები, შექმნილი პროგრამები).

აღსანიშნია, რომ პოლიტიკურად მოძველებულია „წინადადებები“, მათ შორის - სოციალური ფონის გაუმჯობესება ბიუროკრატიის ოპტიმიზაციითა და მათი შენახვისათვის საჭირო თანხების შემცირების ხარჯებზე. უფრო უპრიანი იქნება აქცენტები გაკეთდეს და გეგმებით დასაბუთდეს ბიუჯეტის

შევსების ახალი გზები და წყაროები, რაც თავის მხრივ არსებული პრობლემების გადაჭრას უზრუნველყოფს.

ხაზგასასმელია, რომ ძველი პოლიტიკური „დერჟავის ტიტულებით“, მმართველობითი უფლებებისა და პრივილეგიების მოპოვება ვერ გახდება პოლიტიკური და მმართველობითი ძლიერების წინაპირობა. რაც ჯამში უარყოფითად ისახება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სისტემების მუშაობაზე.

ნებისმიერ პოლიტიკურ კონტექსტში არსებობს არსებითი პრობლემები. ამიტომ, იმისათვის, რომ პოლიტიკურმა კანდიდატებმა დაასაბუთონ, რომ არ არის პოპულისტური ლიდერი (მერი):

1. ***მიზანშეწონილია აქცენტები აიღონ მეცნიერებასა და ტექნოლოგიებზე. ყურადღება გაამახვილონ მომსახურების ექსპორტის ზრდაზე (კერძოდ: უმაღლესი განათლების, სარემონტო, სარეკლამო, სამედიცინო, საფინანსო მომსახურების ექსპორტი);***
2. ***სასურველია ფოკუსირება მოახდინონ კერძო ინვესტირების ზრდაზე ციფრულ ტექნოლოგიებში, განათლებაში, სპორტში, კულტურაში. აღნიშნული სფეროები ეკონომიკის მამოძრავებელი ძალებია;***
3. ***უმჯობესია დაგეგმონ და წარმოადგინონ ბიზნესის ინოვაციური შესაძლებლობების ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებები;***
4. ***პოლიტიკურად მომგებიანი იქნება წარმოადგინონ მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და სექტორების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშემწყობი პროგრამები და ღონისძიებები*** *(ინტელექტუალური წარმოებისა და მეცნიერების ხელშეწყობის ხარჯზე);*
5. ***საჭიროა გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე, საზოგადოებისათვის ნაჩვენები იქნას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის „მმართველობითი და პოლიტიკური რეფლექსები“;***
6. ***საჭიროა დაამტკიცონ, რომ წარმოადგენენ „საზოგადოებრივ ელჩს“ და არა პოლიტიკური სისტემის დანიშნულ კადრს; ქვეყანაში თუ პოლიტიკური აბორიგენიზმი არ დასრულდა, ჩვენი ეკონომიკური პრობლემები უსასრულო იქნება, რომლის დღევანდელი გამოძახილია „პატრონის გარეშე ვერაფერს მიაღწევ“;***

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ პოლიტიკურ სივრცეში, ჭადრაკის ფიგურების მსგავსად, „მოედანზე გვხდება“ იმ რესურსის ფიგურები, რომლის „სვლის“ შედეგიც და მასშტაბებიც წინასწარაა ცნობილი. შესაბამისად, სუბიექტების შეფასებაზე მეტად მნიშვნელოვანია აქცენტები გაკეთდეს არა ფიგურაზე, არამედ სისტემაზე, რომელიც ასეთ ფიგურას წარუდგენს საზოგადოებას.

პოლიტიკური ჰეგემონიის პირობებში, არსებული პოლიტიკა შენიღბული ეფექტიანობით წარმოდგება. არ ეფუძნება ფართო პოლიტიკურ

ნდობას და გლობალურ პოლიტიკას, ვერ ცდება ქვეყნის საზღვრებს, არ ქმნის ერში **ახალი და რჩეული პოლიტიკური ფენის წარმოჩენის პირობას**.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივ ასპარეზზე მყოფ დამოუკიდებელ პირებს (მეცნიერ-მკლევარებს, ინტელექტუალებს, ანალიტიკოსებს), რომელთაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული და აკადემიური პოტენციალი გააჩნიათ, პოლიტიკურ მოედანზე არ უკავიათ შესაბამისი ადგილი და ვერ ქმნიან პოლიტიკურ რეაქციას. ამიტომ, მათი წარმოჩენის ინიციატივა, საზოგადოებამ საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

დასასრულს დავძენ, რომ პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა კონკრეტული გეგმებითა და პროგრამებით პატივი უნდა სცენ საზოგადოებას, იმისათვის, რომ საბოლოოდ არ დაკარგონ ნდობა და არ წარმოქნას შესაბამისი ნაციონალური რეაქცია - პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობის დაკისრებით.

www.kvira.ge, 9 სექტემბერი, 2017 წელი

2.30. საქართველო საჭიროებს „მარშს პოლიტიკური ცვლილებებისათვის“

90-იანი წლების შემდგომ საქართველოში მრავალი ცვლილება განხორციელდა, შეიცვალა: განათლების სისტემა, ეკონომიკური სისტემა, ვალუტის კურსი, ინფრასტრუქტურა, ფასები, შეხედულებები, მოდა. ერთადერთი უცვლელი დარჩა პოლიტიკური სისტემა და გარემო. შედეგად, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ისმის ერთი და იგივე „ძველი პოლიტიკური მელოდიები“.

არსებითია ითქვას, რომ აღმასრულებელი უწყებების პოლიტიკა და სახელმწიფო მართვის ყველა დონე ჯეროვან გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკის სტიმულირებაზე, ვერ ქმნის ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას, დიდ გავლენას ვერ ახდენს ქართული ეკონომიკის მოცულობის ზრდაზე.

აღსანიშნავია არჩევნების თანმხლები უმნიშვნელო ცვლილებები, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც „პოლიტიკური გარემოს მაკიაჟი“, ვიდრე პოლიტიკური გარემოს ტრანსფორმაცია. ფაქტია, რომ ქვეყანაში ვერ განხორციელდა საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკური სივრცის ფორმირება.

სამწუხაროდ, არსებულმა პოლიტიკურმა სისტემამ ვერ უზრუნველყო მძლავრი მმართველობითი გარემოს ჩამოყალიბება და ვერ დაძლია ის პრობლემები, რომელიც ქვეყანაში ათწლეულებია არსებობს. შესაბამისად, ფართო საზოგადოებასთან ერთად, იმ მცირე სეგმენტისთვისაც აღარ არის სასარგებლო ის პოლიტიკური რესურსი, რომელთა წყალობითაც აღნიშნულ სეგმენტს აქვს სოციალური-ეკონომიკური კეთილდღეობა მოპოვებული. ამის მიზეზს განაპირობებს შემდეგი მოლოდინი:

- ***ძველი პოლიტიკური რესურსით იგივე ეკონომიკური შედეგები გვექნება;***
- ***ძველი პოლიტიკური რესურსი, რომელიც სტიმულირებს ეკონომიკას, განაპირობებს უთანასწორობას ზრდას მდიდრებსა და ღარიბებს შორის;***
- ***ძველი პოლიტიკური რესურსი და პოლიტიკა საზოგადოებას ამყოფებს ავარიულ სიტუაციაში;***
- ***ძველი პოლიტიკური რესურსი ახანგრძლივებს ძველი პოლიტიკის სიცოცხლისუნარიანობას, რომელთა მოქმედების რეპერტუარი დრომოჭმული და არაეფექტიანია*** *(გლობალური თუ ლოკალური საფრთხეებით საზოგადოებაში შიშის დანერგვა, ყურადღების გადატანა მეასე ხარისხოვან პრობლემებზე, ხელოვნური პოლიტიკური მოვლენების შექმნა, სამეცნიერო და ინტელექტუალური საზოგადოების იგნორირება) ;*
- ***ძველი პოლიტიკური რესურსით ვიღებთ იგივე ცხოვრების პირობებს, შემცირებულ შემოსავლებს, იგივე უპერსპექტივობას, ისევ ერთ ადგილზე ყოფნას და კვლავ წრეზე სიარულს;***
- ***ძველი პოლიტიკური რესურსი ზრდის მმართველობითი პროცესების აუთსორსინგს;***
- ***ძველი პოლიტიკური და მმართველობითი რესურსით არაპროგნოზირებადია მომავალი. ხელსაყრელი გარემო მხოლოდ ერთეული ადამიანებისათვისაა, ხოლო მთლიანი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ფონი არახელსაყრელი და არაპროგნოზირებადია. არსებული გარემო მაინც ყველასთვის არახელსაყრელია;***

ლოკალური და გლობალური პრობლემები, რომელსაც ქართული საზოგადოება აწყდება, სწრაფ გავლენას ახდენს ხალხის ცხოვრებაზე. სწრაფად ცვალებადი კლიმატი, ეკოლოგიური კრიზისი, საზოგადოების ეკონომიკური ჯანმრთელობის გაუარესება, ცუდი სოციალურ-ეკონომიკური ფონი, პოლიტიკური არამდგრადობა, ფინანსური პრობლემები, გლობალური პოლიტიკის გამოწვევები საჭიროებს ოპერატიულ რეაგირებას და გადაჭრას, კიდევ უფრო უარესი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა ამ ფონზე პოლიტიკა დაფუძნებულია ისეთ რესურსებზე, რომლის შედეგები დაბალი იქნება.

ძველი პოლიტიკური გარემო კარგი ბუნებისაა, თუმცა შეზღუდული ენერგიითა და ზღვრული შესაძლებლობებით. შესაბამისად, მათი პოლიტიკის შედეგია:

- **„დახურული წრის“ შენარჩუნება**. საზოგადოების გაღარიბების მიზეზია ძველი პოლიტიკურ გარემო, რომელსაც აღარ აქვთ: ადაპტირებისა და რეფორმის გატარების ძალა; არსებული გამოწვევების შესაბამისი რესურსი; რეფორმებისა და ცვლილებების უნარი; იციან,

რომ რეფორმის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, შესაბამისად მათ ხელში არსებული ძველი ინსტრუმენტებით ბლოკავენ რეფორმებს და რეფორმის გამტარებელ პირებს;

- **„სიღარიბის ხელფასი“.** საზოგადოების დიდი ნაწილის ხელფასი „ქმნის სიღარიბეს“, ხელფასის სიდიდე იმდენია, რომ სრულფასოვანი ცხოვრება შეუძლებელია. ასეულ ათასობით ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესება არაპროგნოზირებადია; ძველი პოლიტიკური გარემოს მიერ შექმნილი ეკონომიკა მცირეა, ხოლო ცხოვრების ფასი მაღალი;
- **„ზოგადი გეგმები“.** პოლიტიკური გარემოს მოღვაწეობის შედეგია ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი გეგმა და დაბალი ეკონომიკური ზრდა. ქვეყანაში არსებული ზოგადი გეგმების ფონზე ვერ ვაფასებთ მთავრობის ეფექტიანობას. შესაბამისად, მათი ვალდებულება და პასუხისმგებლობა ასევე ზოგადია. მანამ სანამ არ გვექნება კონკრეტულ გეგმებზე პასუხისმგებელი პოლიტიკური და ადმინისტრაციული გარემო, მანამ ჩვენი ცხოვრება დამოკიდებული იქნება კრედიტებზე, ვალებზე, უიმედობასა და ემიგრაციაზე.
- **„ზღვარგადასული ტრაიბალიზმი“.** ქვეყანაში ბატონობს პოლიტიკური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნეპოტიზმი, მემკვიდრეობითი ხასიათი აქვს ამა თუ იმ გვარების პოლიტიკურ ბატონობას;
- **„აზროვნების მართვა“.** დამკვიდრებული შეხედულებით თუ ძველ პოლიტიკურ სივრცეს არ შეუძლია ვერც სხვა შეძლებს. ამ მსოფლმხედველობით, პოლიტიკური რესურსი მუდმივად ინარჩუნებს არსებულ მდგომარეობას, სადაც ვერც თვითონ აკეთებენ ვერაფერს, არც სხვას აძლევენ „გასაქანს“; აღმაშფოთებელია, როდესაც ახდენენ საზოგადოების ყურადღების გადატანას „ხეებზე“, „პრეზიდენტთან უთანხმოებაზე“, გლობალურ გამოწვევებზე, ხოლო პირველხარისხოვან გამოწვევებს (ეკონომიკური პოლიტიკა, დაკარგული ტერიტორიები, ყოველდღიური ექსპანსია, მაღალი ემიგრაცია, სოციალური უიმედობა) ვერ აგვარებენ და ცდილობენ ჰერმეტულად მიჩქმალვას.

ჯამში, პოლიტიკური გარემოს ანალიზის ფონზე, ვასკვნით, რომ:

- **აუცილებელია მმართველობითი და პოლიტიკური გარემოს რეფორმა,** რომელიც ყველა რგოლს უნდა შეეხოს. მხოლოდ არსებული რესურსის სახეცვლილებითა და მოდიფიცირებით შედეგები უმნიშვნელო იქნება. პრაქტიკა ადასტურებს, რომ კარგი მართვითა და მცირე რესურსით შედეგი უფრო მიღწევადია, ხოლო ცუდი მართვითა და დიდი რესურსით შეუძლებელია;
- **ქვეყნის წარმატებული განვითარება დამოკიდებულია: ძლიერ ლიდერულ პოზიციებზე,** უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობიდან დაწყებული; ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამების შეუშავებასა და რეალიზებაზე; ქვეყნის განვითარებაში მეცნიერ-მკვლევართა რესურ-

სის გამოყენებაზე; ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისათვის, ციფრული ბაზრის განვითარების მხარდაჭერაზე.

დასასრულს აღვნიშნავ, რომ არაეფექტიანი ადმინისტრაციული და პოლიტიკური მმართველობითი შედეგებისადმი ხალხის პოლიტიკური ვერდიქტია „მარში პოლიტიკური ცვლილებებისათვის“.

www.interpressnews.ge, 22 ივნისი, 2017 წელი

2.31. ქართული „ეჭვების პოლიტიკა“

ეჭვების პოლიტიკა ფართოდ გავრცელებული ნარატივია, რომელიც შენარჩუნებულია ქართულ პოლიტიკურ ტრადიციებში, ავტორიტეტული და რეაქციული ასპექტების ფონზე.

ალსანიშნია ეჭვების საფრთხეები, რომელიც გონებისა და საზოგადოების არევის მოტივირებას ახდენს. თუმცა ისიც უნდა ალინიშნოს, რომ ეჭვები პოლიტიკაში შეიძლება იყოს სასარგებლო და ფასეული, ვიდრე ფიქსირებული აზრი და შეხედულება.

„ეჭვების პოლიტიკას“ კარგად იყენებს ძველი პოლიტიკური და მმართველობითი გარემო, რომელიც გარემოს მართავს „ეჭვებითა და ინტრიგის“ ინსტრუმენტებით.

კვლევები ადასტურებს , რომ როდესაც პოლიტიკური ნდობა მცირდება, ეჭვები იზრდება, რომლის შედეგია პოლიტიკური კრიზისი და ლეთარგიული პოლიტიკური გარემო.

ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკური ეჭვი საშიში იარაღია, რომელიც იაფი, მიზნობრივი და კარგად გათვლილი ინსტრუმენტია. მისი ეფექტიანობა დადასტურებულია თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. „ეჭვების“ ინსტრუმენტები ქმნის პირობებს, ადგილი ჰქონდეს:

- საზოგადოების ფრაგმენტაციასა და არაკოორდინირებულობას;
- პიროვნებების/ჯანსაღი ძალების დისკრედიტაციასა და იმიჯის დაცემას;
- ყურადღების გადატანას არამნიშვნელოვან საკითხებზე, რითაც იფარება მმართველობითი უუნარობა და უმექმედობა;
- „მიუღებელი სტანდარტების“ დამკვიდრებას;

ალიარებულია, რომ პირებს, რომელთაც ქვეყნის შენების პოტენციალი გააჩნია, შესწევთ უნარი გადაჭრან ეროვნული პრობლემები. თუმცა, მათ ადვილად პოულობენ „ეჭვის გამავრცელებლები“. განსაკუთრებით ბევრ ეჭვსა და უნდობლობას ამკვიდრებენ საქმის მკეთებელ და სტრატეგიული აზროვნების ახალგაზრდებზე. შედეგად, როგორც წესია ან გასაქანს არ აძლევენ ან „მოედნიდან გაჰყავთ“.

სამწუხაროდ, ძველი ქართული პოლიტიკა ცდილობს ეჭვებით კვებოს საზოგადოება, თავად კი აკადემიური იდეებითა და ინტელექტუალური რესურსით იკვებება. თუმცა სტრატეგიული აზროვნებისა და პოლიტიკური ქარიზმის დეფიციტის ფონზე, მაინც არსებითად ვერ ცვლის არსებულ მდგომარეობას.

ეჭვების ოსტატების გამოთქმით, „ერთი ან ორი ჩვეულებრივ საკმარისია ეჭვების დათესვისა და სასურველ ყურში მოხვედრისათვის“.

ხაზგასასმელი ფაქტია ისიც, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, უფრო მეტ პოლიტიკურ ეჭვს ქმნის, ვიდრე ნდობას. იმ ფონზე, რომ ეკონომიკურმა პოლიტიკამ მაღალშემოსავლიან სეგმენტს უკეთესი პირობები შეუქმნა ვიდრე საშუალო და დაბალშემოსავლიან სეგმენტს, გაიზარდა მთავრობის მიმართ საზოგადოების უნდობლობა და დისტანცია.

არსებითია აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების ფონზე, სახელმწიფო შესყიდვები და ტენდერების თემა გახდა კორუფციის, თავისუფლების პრინციპებისა და კანონმორჩილების საზომი. მაშინ, როდესაც აღნიშნულ თემაზე, ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ ჩნდება ეჭვები და კითხვის ნიშნები, საჭიროა:

- **საკითხის შესწავლის მიზნით სასწრაფოდ შეიქმნას საზოგადოებ-რივი კომისია** (რომელიც დაკომპლექტდება მოქალაქეებით, აკადემიური პირებით, ჟურნალისტებით, არსამთავრობო სექტორისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებით);
- **შესწავლილი იქნას ბოლო წლებში არსებული ტენდერების პროცესი;**
- **შეფასდეს ქართული პოლიტიკური სპექტრის** და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა ინტერპრეტაცია და **დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხებზე ;**
- **განისაზღვროს პოლიტიკური პასუხისმგებლობა;**

დაბოლოს, არსებული პოლიტიკური და მმართველობითი საკითხები გახდა ქვეყნის პოლიტიკური ბრენდინგის პრობლემა, რომელიც საჭიროებს რადიკალურ რეფორმებს. ამისათვის, ქვეყანაში საჭიროა:

- **პოლიტიკური გარემოს „კულტივირება“;**
- **ეკონომიკისა და პოლიტიკის კატალიზატორი პირების წარმოჩენა, რომლებიც საზოგადოებაში პოზიციონირებულია;** სამწუხაროდ „პოლიტიკური გარემოს შიშების“ გამო, ასეთი პირების ასპარეზი მცირეა და შეზღუდული.
- **პოლიტიკური და მმართველობითი გარემოს გარდაქმნა, „ტექნიკური კორექციები“, პოლიტიკურ და მმართველობით გარემოს ეროზიისაგან ვერ იხსნის.** როგორი ხარისხის სტრუქტურული ცვლილებებიც არ უნდა განხორციელდეს, პრაქტიკულად მაინც მთავარია პოლიტიკური და მმართველობითი რგოლის „პროფილი“:

დასასრულს დავძენ, რომ არსებობს ძველი სამართლებრივი ანდაზა: თუ თქვენ გაქვთ ფაქტები, რომელიც თქვენ მხარესაა, მოიტანეთ არგუმენტად, თუ თქვენ გაქვთ კანონი, რომელიც არის თქვენს მხარეს მოიტანეთ არგუმენტად, ხოლო თუ ისინი თქვენ არ გაქვთ, შეუტიეთ თვითმხილველს. ქართულ რეალობაში როდესაც თავდასხმა მეტია, ვიდრე ფაქტები ან მტკიცებულება, იზრდება ეჭვები.

www.kvira.ge, 17 დეკემბერი, 2017 წელი

2.32. რატი აბულაძის ინტერვიუ –IPN-ზე

საზოგადოებას აღარ აინტერესებს ზოგადი ფრაზეოლოგიით საუბარი, მომავალი და გაურკვეველი პროექტების დაანონსება

საზოგადოებამ იცის, მხოლოდ იმედის მომტანი სიტყვებით პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია, შესაბამისად ქართული პოლიტიკური „დაპირებების ფასი“ დაბალია

გლობალური და ლოკალური გამოწვევების მოთხოვნებიდან გამომდინარე ქვეყანა ახალ პოლიტიკასა და ახალ პოლიტიკურ რესურსს საჭიროებს

”სახელმწიფო ხალხისათვის” მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური ხედვები ღირებულია, თუმცა, არაინოვაციური. ამასთან, პარტიის „პოლიტიკური რესურსი“ ქართულ პოლიტიკურ გარემოში „იმედებს კლავს“

ვინაიდან და რადგანაც საზოგადოება პასუხისმგებელია არჩევნების შედეგებზე, ამიტომ პოლიტიკური დაპირებები უნდა გახდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რაც მაქსიმალურად შეამცირდება პოლიტიკურ ილუზიებს

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების ეკონომიკური პროგრამების რეალურ ღირებულებაზე, განხორციელების ალბათობაზე და განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის სავარაუდო ეფექტურობაზე ”ინტერპრესნიუსი” ეკონომიკის დოქტორს, პროფესორს, მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრს, რატი აბულაძეს ესაუბრა.

- ბატონო რატი, კარგად გვესმის რომ სამწუხაროდ, ჩვენში საკმაოდ დაბალი პოლიტიკური კულტურის, მათ შორის საარჩევნო კულტურის გამო ჩვენი საზოგადოება დიდი ყურადღებას არ აქცევს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრამებს, მაგრამ თქვენთან დაკავშირება მაინც, სწორედაც რომ პარტიების ეკონომიკურ პროგრამებზე სასაუბროდ გადავწყვიტეთ.

ვიდრე ამ რთულ თემაზე გადავიდოდეთ, იმის გათვალისწინებით რომ არჩევნებამდე არც თუ ისე დიდი დროა დარჩენილი და ჩვენმა ამომრჩეველმა ინფორმირებული და გაცნობიერებული არჩევანი 8 ოქტომბერს უნდა გააკეთოს, თქვენ როგორ შეაფასებდით და დაახასიათებდით არჩევნებში

მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოებულ საარჩევნო კამპანიებს?

- ქვეყნის პოლიტიკური სივრცე ქაოსურია, პოლიტიკური ეთიკა დაბალი, აკადემიზმი ნულის ტოლი, პოლიტიკური სიტყვა გაუფასურებული, ხალხის ხმა შესუსტებული. ყოველივე აღნიშნული წარმოდგენს პოლიტიკური კულტურის მამოძრავებელ ძალას.

სამწუხაროდ, საარჩევნო სუბიექტები წარმოდგენილია იმ პოლიტიკური გარემოს მიერ, რომლის ფესვები ღრმა და უნაყოფოა.

პოლიტიკური სუბიექტების ერთადერთ „კოზირს" წარმოადგენს ის, რომ ხანგრძლივად შემორჩნენ პოლიტიკურ სივრცეს. შესაბამისად, მათ მიერ წარმოებული საარჩევნო კამპანიები:

- ***ოპტიმისტური მოლოდინის ნაცვლად ხაზს უსვამს მომავლის ილუზიებს;***
- ***დაპირებების არგუმენტირებას ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული გეგმებითა და პროგრამებით;***
- ***არ გამოირჩევა საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური გააქტიურების მასტიმულირებელი მექანიზმებით;***
- ***წარმოდგენილი არაა სახელმწიფოებრივი სიახლეებით;***
- ***მოიცავენ რესურსამოწურული პოლიტიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ „ტრადიციულ გზავნილებს";***
- ***ჯამში, „ამბობს არაფერს, ძველი პოლიტიკური წესებით".***

ასეთ ფონზე, ბუნებრივია რთულია განსაზღვრო, ფლობენ თუ არა პოლიტიკური სუბიექტები სახელმწიფო მშენებლობისათვის საჭირო ინტელექტუალურ, მმართველობით თუ ორგანიზაციულ პოტენციალს.

ამიტომ, პოლიტიკური სუბიექტების „არააკადემიური სტილის" შედეგია პოლიტიკური პროცესებისადმი საზოგადოების ინდიფერენტულობა და დაბალი პოლიტიკური ნდობა.

- თქვენი მსჯელობის სტილიდან გამომდინარე, თქვენი აზრით, იმ სააგიტაციო მასალებიდან, პარტიების სარეკლამო რგოლებში გაბნეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გზავნილებიდან ყველაზე მეტად რა შეიძლება მოსწონებოდა, ან პირიქით, რას შეძლო გაეღიზიანებინა ჩვენი ამომრჩეველი?

- ხაზგასასმელია, რომ პარტიების სარეკლამო რგოლებში გაბნეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გზავნილები თითქმის ერთგვაროვანია. ზოგადად კარგი მოსასმენია ხელფასის მომატება, პენსიის ზრდა, ბიუჯეტის ზრდა, უმუშევრობის დაძლევა, სწრაფი განვითარება, უიმედობის დაძლევა, კეთილდღეობის ამაღლება, ფულის დარიგება და სხვა შთამბეჭდავი სარგებელი.

ამასთან, საზოგადოებისათვის უფრო კარგი მოსასმენი იქნებოდა ფაქტოლოგიით გამყარებული გზავნილები, როგორიცაა: „სამართალმა პური ჭამა", ნეპოტისტური პრივილეგიებით მთავრობაში „ცოლ-ქმარიც არ სარგებლობს", სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების „პასიურობა" კანონით დასჯადია და ა.შ.;

ფაქტია, რომ საზოგადოებას აღარ აინტერესებს ზოგადი ფრაზეოლოგიით საუბარი, მომავალი და გაურკვეველი პროექტების დაანონსება.

აღსანიშნავია, რომ პარტიების სარეკლამო რგოლები ემსახურება მხოლოდ „ნდობის სინდრომის“ შექმნას, რომელიც გამყარებული არ არის კონკრეტული გეგმებითა და პროგრამებით. შესაბამისად, სახელისუფლებო ბერკეტების მოპოვების შემთხვევაში, გეგმის არქონის გამო, ფაქტობრივად გაურკვეველია მეორე დღეს დაპირებების შესრულებას რა გზებით და საშუალებებით შეეცდებიან.

არსებითია აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოება აქცენტებს აკეთებს შედეგებზე, კონკრეტულად გაწერილ პროგრამებსა და სახელმწიფოებრივ გეგმებზე. საზოგადოებამ იცის, რომ მხოლოდ იმედის მომტანი სიტყვებით პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია, შესაბამისად ქართული პოლიტიკური „დაპირებების ფასი“ დაბალია.

- დროა თქვენთან დაკავშირების მთავარ მიზეზზე , ანუ არჩევნებში მონაწილე ძირითად პოლიტიკურ სუბიექტებად მიჩნეული პოლიტიკური პარტიების ეკონომიკური პროგრამების განხილვაზე გადავიდეთ. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატური, რეალიზებადი, განხორციელების შემთხვევაში ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს დღევანდელი ხელისუფლების, ანუ ”ქართული ოცნების” ეკონომიკური პროგრამა?

- აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების, ანუ ”ქართული ოცნების” ეკონომიკური პროგრამა უფრო პასუხისმგებლობითაა წარმოდგენილი ვიდრე სხვა პარტიის პროგრამები.

ამასთან, ”ქართულ ოცნებას” აქვს მორალური უფლება გააჟღეროს ისეთი პოლიტიკური გზავნილები, როგორიცაა: თავისუფლება, კეთილდღეობა, სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა, ადამიანის უფლებების დაცვა, მედიის თავისუფლება, დემოკრატიის განვითარება.

თუმცა, სწრაფი განვითარების დაპირება, კარიერული წინსვლის მოდელზე საუბარი, კონკრეტულ სფეროებში არსებული პროცესების კვლევა და შესწავლა, შესაბამისობაში არ არის მათ პოლიტიკურ რესურსთან. ასევე, არარაციონალურია, ისეთ საკითხებზე საუბარი როგორიცაა: სამოქალაქო სექტორთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით კონკრეტული პროგრამის თუ პროექტის შექმნა. წლების განმავლობაში, ასეთ პროგრამებს უცხოელები ქმნიდნენ, ხოლო ქართული საზოგადოების კოორდინაციის უნარი და ძალა დიდი ხანია არცერთ მმართველს არ უჩვენებია. ბოლოს, **ბიძინა ივანიშვილმა** აჩვენა.

სუბიექტური არ იქნება იმის თქმა, რომ ”ქართული ოცნების” ეკონომიკური პროგრამა შედარებით ადეკვატური და რეალიზებადია. თუმცა, აღნიშნულმა პარტიამ, პოლიტიკური და მმართველობითი რესურსის მფლობელობის მიუხედავად:

- საზოგადოებას პროგრამა დროულად ვერ წარუდგინა.
- პროგრამაში მოცემული დაპირებები ვერ განამტკიცა განვითარების კონკრეტული გეგმებითა და მექანიზმებით;

- დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა კონკრეტული დარგის რეფორმირების გზები და მოსალოდნელი შედეგი;
- მეცნიერების ხელშეწყობაზე საუბრისას, აქცენტი არ გაამახვილა მეცნიერ-მკვლევართა რესურსის ათვისებაზე (რეალურად მეცნიერ-მკვლევართა რესურსის ათვისება არ ხდება).

- ოპონენტები "ქართული ოცნების" ხელისუფლებას უნიათობაში, არაეფექტურობასა და არაკვალიფიციურობაში სდებენ ბრალს. ამას წინათ პრემიერი კვირიკაშვილი 2012-2016 წლებში შექმნილი 150 ახალი საწარმოს წარმომადგენლებს შეხვდა. მანამდე იყო ლარის კურსის უპრეცედენტო ვარდნა, და როგორც ხელისუფლება ირწმუნება ასევე უპრეცედენტო ინვესტიციები. თქვენ როგორ შეაფასებდით "ქართული ოცნების" მთავრობის ეკონომიკურ საქმიანობს და რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ "ქართული ოცნების" მთავრობა შეძლებს მის მიერ გაცხადებული ეკონომიკური პროგრამის განხორციელებას?

- აღვნიშნავთ ჩვენს მადლიერებას და პატივისცემას სახელმწიფოს უმაღლესი მმართველის, უმაღლესი ხელმძღვანელის, ლეგიტიმური ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ძალისხმევისადმი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ფორმირებულმა სახელმწიფო სისტემამ:

- გადამწყვეტი როლი ვერ შეასრულა ტრადიციად ქცეულ პოლიტიკურ გამოწვევებში;
- საჯარო სტრუქტურები ვერ დააკომპლექტა რეფორმების გატარების უნარის მქონე მოხელეებისაგან;
- ვერ შეძლო საზოგადოების კოორდინაცია და ეკონომიკური გააქტიურება;
- ვერ ითანამშრომლა მეცნიერ-მკვლევარებთან და საინიციატივო ჯგუფებთან;
- ვერ უზრუნველყო ქართული საზოგადოების რესურსის გამოყენება ქვეყნის მშენებლობაში .

სამწუხაროდ, სახელისუფლებო პოლიტიკური სპექტრისადმი საზოგადოების სკეპტიციზმის საფუძველია შემდეგი მოცემულობა:

- **ქვეყანაში პრობლემაა ის, რომ პრობლემა არავინ იცის.** შესაბამისად, პრობლემის გადაჭრაც ვერ ხერხდება. პრობლემის ზედაპირული ცოდნა კი არაფერს არ ნიშნავს.
- **ქვეყანა ცალკეული სფეროების განვითარების გეგმებისა და სტრატეგიების დეფიციტს განიცდის;**
- სამთავრობო პროგრამებისა და სტრატეგიების შექმნაზე მუშაობენ უცხოელი სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წესით, ასეთი პროექტების, პროგრამებისა თუ სტრატეგიების შექმნა სწორედ აღმასრულებელი უწყებების პრეროგა-ტივაა. ამიტომ, პროგრამებში აუცილებელია განიმარტოს,

ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში, პარტია ფლობს თუ არა შესაბამის ინტელექტუალურ, ორგანიზაციულ თუ მმართველობით პოტენციალს, სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად? თუ ისევ ბიუჯეტის ხარჯზე დაქირავებული უცხოელის სპეციალისტების დახმარებით ეცდებიან სახელმწიფო ამოცანების გადაჭრას?

- **მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის საჭიროებებიდან გამომდინარე, მთავრობა არ ქმნის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს**. მაგალითად, ხელი არ შეუწყვეს არცერთ ახალ კვლევითი ინსტიტუტის შექმნას (მათ შორის „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნას);
- **ქვეყანაში ევროპული ტიპის ეკონომიკის შექმნას ხელს უშლის ის ფაქტიც, რომ პოლიტიკური და მმართველობითი გარემო განიცდის აკადემიური რესურსის დეფიციტს.**

გამოვთქვამ იმედს რომ მთავრობა შეძლებს მის მიერ გაცხადებული ეკონომიკური პროგრამის განხორციელებას. ამის მიზეზი იქნება არა უშუალოდ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური რესურსი, არამედ „აკადემიური ჯარისკაცები“, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე მზრუნველი საზოგადოება. რა თქმა უნდა, პატრიოტი პოლიტიკოსებიც, ოპოზიციაც და პოზიციაც, რომელიც პოლიტიკური ფარდის მიღმა, პირადი პოლიტიკური და მერკანტილური ინტერესების გარეშე ემსახურება ქვეყანას.

- როგორ შეაფასებდით ”ნაციონალების” ეკონომიკურ პროგრამას? რით განსხვავდება იგი ხელისუფლების ეკონომიკური პროგრამისაგან, ეკონომიკური პროგრამის მაგალითზე რაზე აქვთ ნათქვამი ”ნაციონალებს” მათი ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილებიდან? თქვენი აზრით, რატომ და რამდენად ლოგიკურად? და რამდენად რეალიზებადია მათი ეკონომიკური პროგრამა?

- ბუნებრივია, ”ნაციმოძრაობამ” ქართულ პოლიტიკაში „თავის კვალი“ დატოვა. დღეს პარტია ასოცირდება პოლიტიკურ კონტრასტთან, ინფორმაციული ზეგავლენის ტექნოლოგიებთან, „დაბრალება-ცილისწამების სცენარებთან“, ინფორმაციული ქაოსისა და ფულადი ინექციებით „დატბორვის“ კამპანიასთან. ასევე, სხვა მოძველებულ პოლიტიკურ ტექნოლოგიებთან.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც მმართველობის პერიოდში აღნიშნავდნენ, საქართველოს ეკონომიკა ახლაც საჭიროებს ახალ სისხლს, ახალ ენერგიას, ახალ პოლიტიკას, ახალ ტექნოლოგიებსა და რესურსს. ამ მიმართულებით, ”ნაცმოძრაობის” ეკონომიკური პროგრამა და რესურსი ვერცერთ მოთხოვნას ველარ აკმაყოფილებს.

- პაატა ბურჭულაძის ”სახელმწიფო ხალხისათვის” ეკონომიკური პროგრამა რით განსხვავდება ”ქართული ოცნებისა” და ”ნაციონალების” ეკონომიკური პროგრამებისაგან? რამდენად ღირებულია ზურაბ ჯაფარიძისა და გიორგი ვაშაძის ეკონომიკური ხედვები, ჰპოვეს მათ ასახვა თუ არა პ. ბურჭულაძის პარტიის ეკონომიკურ პროგრამაში?

- როდესაც პოლიტიკური პარტიების ეკონომიკურ პროგრამებს ვეცნობით, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური ჯგუფები არ ფლობენ ინფორმაციას სხვის პროგრამებზე. იგულისხმება საჯარო ინფორმაცია. ფაქტობრივად, ხელწერა ერთი და იგივეა. შედეგად, ყველა პოლიტიკური „პროგრამის სარჩულს“ წარმოადგენს არსებული „ბიუჯეტის უკეთ გახარჯვა“.

ყურადსაღებია, ბიუჯეტის შემცირების პირობა თუ გადასახადების შემცირების ზრახვები. შიდა და გარე ვალების პირობებში, სოციალური უთანასწორობის თუ დაბალი შემოსავლების მქონე ერზე ზრუნვის მექანიზმები კი ლოგიკურ მსჯელობას მოკლებულია.

ფაქტობრივად, აღნიშნული პოლიტიკური ჯგუფი საუბრობს იმ საკითხებზე, რომლის რეალიზებაც ისედაც ხდება. საბედნიეროდ, სახელმწიფო ეხმარება გაჭირვებულ მოსახლეობას (შესაძლებლობლობისამებრ), ხელს უწყობს სტუდენტებს, აწარმოებს უცხოური ინვესტიციების წახალისებას, ამცირებს ბიუროკრატიულ ხარჯებს და ა.შ. შესაბამისად, ამ მიმართულებით, პოლიტიკური სუბიექტების მიერ გაჟღერებული დაპირებები, აღიქმება როგორც ხელისუფლების პოლიტიკური კურსის გაგრძელება და არა როგორც სიახლე.

ჯამში, ”სახელმწიფო ხალხისათვის” მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური ხედვები ღირებულია, თუმცა, არაინოვაციური. ამასთან, პარტიის „პოლიტიკური რესურსი“ ქართულ პოლიტიკურ გარემოში „იმედებს კლავს“.

- ძნელია არ დაეთანხმო ექსპერტთა ჯგუფს, რომელთა აზრით, არჩევნებში მონაწილე გარკვეულ პოლიტიკური ჯგუფების ეკონომიკური პროგრამებს და საარჩევნო რიტორიკას ნაწილობრივ საბჭოური, საბაზრო ეკონომიკაზე გადასული ქვეყნისათვის ნაწილობრივ გაუგებარი ელფერი დაკრავს. ამგვარ საინტერესო პროექტად თქვენ რომელი პარტიების თუ სრულად ეკონომიკურ პროგრამას არა, პროექტს გამოარჩევდით და თვლით რომ მისი განხორციელება, აუცილებელია?

- ძველი პოლიტიკა იმსახურებს მადლიერებასა და პატივისცემას. დღეს, ძველი პოლიტიკა მოცემულია განსაზღვრული პოლიტიკური ტრადიციებითა და ადათებით. ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გლობალური და ლოკალური გამოწვევების მოთხოვნებიდან გამომდინარე ქვეყანა ახალ პოლიტიკასა და ახალ პოლიტიკურ რესურსს საჭიროებს. ხოლო ცალკეულ პარტიაში ახალგაზრდა პოლიტიკური სახეების წარმოდგენამ, მხოლოდ უმნიშვნელოდ შეცვალა ქართული პოლიტიკური ეკოსისტემა.

აღსანიშნავია, ისიც რომ ქვეყანაში მხოლოდ ძველი პოლიტიკური ისტებლიშმენტი იწონებს არსებულ პოლიტიკას, ეთანხმება ვადაგასულ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, აგიტაცია-პროპაგანდით ცდილობს რესურსამოწურული პოლიტიკის პოზიციონირებას, იგნორირებას უკეთებს ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების პოლიტიზაციასა და მართვაში ჩართულობას, საზოგადოებრივ აზრს ყურადღებას აქცევს რეზონანსულობის მიხედვით.

ქართულ პოლიტიკურ არენაზე საინტერესო იქნება იმ პოლიტიკური პარტიის პროგრამა. სადაც ყურადღება იქნებოდა გამახვილებული შემდეგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე:

- სახელმწიფოს განვითარების „ლოკომოტივი“ დარგი;
- ბიუჯეტის შევსების დამატებითი წყაროები და გზები;
- ქვეყნის აუთვისებელი რესურსების წარმოჩენა, ქვეყნის პროგრესისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის სტრატეგიები და გეგმები;
- საშინაო და საგარეო ვალების გასტუმრების გზები;
- ქართული საკადრო რესურსის ეფექტიანად გამოყენების მიდგომები;
- გლობალური და ლოკალური გამოწვევების პრევენციის მექანიზმები; ტრანსნაციონალური კომპანიების შესაძლებლობებთან შედარებით სამამულო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშემწყობი მექანიზმები;

სამწუხაროდ, არჩევნებში მონაწილე სუბიექტები საზოგადოებაში ქმნიან ერთგვარ არარეალურ მოლოდინსა და შეხედულებას, რომ ქვეყნის განვითარება მოკლე დროში ვერ მოხერხდება. სხვა ქვეყნების მაგალითზე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს განვითარებისა და ალმშენებლობის მიღწევა შესაძლებელია მოკლე დროში, თუ სახელმწიფო სწორად დაგეგმავს სტრატეგიებს, მიზნობრივად აითვისებს საზოგადოების პოტენციალს, ეფექტიანად გამოიყენებს ინსტრუმენტებსა და მონაცემებს.

ჯამში, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამა ფაქტობრივად არ გვხდება, თუმცა ქართული ოცნების პროგრამა, გაცილებით მეტ აკადემიურობას აჩვენებს კონკურენტებთან შედარებით.

- ფაქტია, რომ არც ერთი პარტია არ ამბობს თუ რის ხარჯზე აპირებს პენსიების გაზრდას. თქვენი აზრით, რატომ? რას შეიძლება ეს ნიშნავდეს და რას შეიძლება ნიშნავდეს ის, რომ ”ნაციონალები” - 50 ათასი მოქალაქის დასაქმებას გვპირდებიან, ”ქართული ოცნება” 200 ათას სამუშაო ადგილს გვპირდება, სხვები კი დუმილს ამჯობინებენ? და კიდევ, რამდენად რეალისტურია 200 ათასი სამუშაო ადგილის გაჩენა?და რა შეძლება ნიშნავდეს ის, რომ ”ოცნება” ამომრჩეველს პენსიის ზრდას არ პირდება?

რესურსამოწურულ პოლიტიკურ სივრცეში, პოლიტიკური მიზნების მიღწევის, ბიუჯეტის ზრდა, დასაქმების ზრდა, ეკონომიკის ზრდა, პენსიებისა და ხელფასების მომატება, და ა.შ. გზები ისეთივე გაურკვეველია, როგორც პოლიტიკური დაპირებებით მოსალოდნელი შედეგი. შესაბამისად:

- კითხვები არის არამხოლოდ რის გაკეთებას აპირებენ, არამედ რისი გაკეთების შესაძლებლობა აქვს პარტიას, ფინანსური, ორგანიზაციული, ინტელექტუალური, სტრატეგიული და ა.შ.;
- როდესაც ასახელებენ ბიუჯეტის, პენსიის, ხელფასის თუ დასაქმების ზრდას, ამას არგუმენტირებულად ვერავინ ასაბუთებს, რადგან პოლიტიკური ეკოსისტემა გამოფიტულია. მხოლოდ საერო ლიდერების პოტენციალი, ქვეყნის განვითარებისათვის საკმარისი არ არის;
- ხარჯების ოპტიმიზაციის საფუძველზე თეორიულად პენსიების ზრდა შესაძლებელია, თუ საჯარო მოხელეებს უხელფასოდ ვამუშავებთ;

- გადასახადების შემცირებით, ბიუჯეტი დივერსიფიცირებული არ არის ახალი შემოსავლებითა და ეკონომიკური აქტივობით. ეჭვს იწვევს გადასახადების შემცირებით დასაქმების ზრდაზე საუბარი, რადგან შიდა „ინვესტირების შიშია“;
- მმართველობითი პროფილი ასოცირდება „ექსპერტთა და სტრატეგიული საკითხების მცოდნე პირთა“ იმპორტის ზრდაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართულ პოლიტიკურ ტრადიციას მიკუთვნებული შეხედულება „ქართულმა საზოგადოებამ უნდა იაქ-ტიუროს“ სამართლიანობის აღდგენისას, კონკრეტულ პრეცენდენტების რეაგირებაზე, პრევენციის ღონისძიებებზე, დაგეგმვასა თუ პროგრამების შექმნაზე. შესაბამისად, მმართველობითი სტილის ფონზე, საზოგადოებას აინტერესებს პოლიტიკურ სუბიექტებს რა ფუნქციისათვის ვირჩევთ?

შთამბეჭდავია ”ქართული ოცნების” მიერ 4 წელიწადში 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნის დაპირება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევართა რაოდენობა შეადგენს 241600 კაცს (12%), კარგი იქნება უმუშევრობის პროგნოზირებადი დონე კავშირში იყოს ეკონომიკის ზრდის შესაბამის დონესთან.

მართალია „ქართული ოცნება“ პენსიის ზრდაზე არ საუბრობს, თუმცა ხაზგასმით საუბრობს საპენსიო რეფორმასა და რეფორმის შედეგად მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტზე. ფაქტია, რომ რეფორმირების საჭიროება პირდაპირ კავშირშია რეფორმის გამტარებელი პირების არსებობასთან. სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურები განიცდის რეფორმების გამტარებელ და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ამღებ პირთა დეფიციტს. ზოგიერთ სფეროში რეფორმის კონცეფცია გვაქვს, ხოლო მისი გამტარებელი ჯერ კიდევ ვერ გამოჩნდა.

- გასაგებია რომ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას პოლიტიკოსები იმაზე მეტად იტყუებიან, როგორც მონადირეები ნადირობის შემდეგ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ეკონომიკურ პროგრამებზე საუბრისას არის ისეთი ეკონომიკური იდეები, რომლის განხორციელება ქვეყანას ნამდვილად წაადგებოდა. ასეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეგმებად თქვენ რომელს მიიჩნევდით?

ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტიკური პლატფორმა განიცდის რევოლუციური ეკონომიკური იდეების მქონე პოლიტიკური სუბიექტებისა და პარტიების დეფიციტს. ეს კი პირდაპირ კავშირშია ევროპული ტიპის ეკონომიკის ფორმირებისა და პოლიტიკური დაპირებების შესრულებასთან.

„პოლიტიკოსის ტყუილის“ სტერეოტიპის დანგრევის საფუძველია აქტიური პოლიტიკის წარმოება (დაარა პარტიული ინტერესების წარმოება), ეფექტიანი ეკონომიკური გეგმების განხორციელება, ლოკალური პრობლემების დაძლევა, საზოგადოების კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარების მიღწევა.

კვლევები ცხადყოფს, რომ არსებული პარტიების რესურსი ჯეროვნად ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ხოლო პროგრამები არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა:

- **გეოსტრატეგიული პოლიტიკა;** გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიღების გზები; პოსტკონფლიქტური იმიჯის დაძლევისა და მეზობელ ქვეყანასთან დაძაბულობის შემცირების ღონისძიებები;
- **ქვეყნის აუთვისებელი რესურსის ათვისება.** მაგალითად ინტერნეტ-ბაზარი; ქვეყანაში ელექტრონული ბიზნესის განვითარებისა და ინტერ-ნეტ-ბიზნესმენების კლასის ფორმირების ხელშეწყობა;
- **გლობალური საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმოება.** უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება, უმაღლესი განათლების საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება;
- **უცხოეთში მყოფი ქართული სათვისტომოების სახელმწიფოებრივი მიზნებით გამოყენება;**
- **ახალგაზრდა ოჯახის პერმანენტული განვითარების ხელშემწყობი პროგრამა;**
- **ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო ინსტრუმენტების, სტრატეგიებისა და მონაცემების ფორმირება;**
- **სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნა, მეცნიერ-მკვლევართა რესურსის ათვისება;**
- **დიფერენცირებული დაბეგვრის სისტემა;**
- **„ლუსტრაციის კანონის“ მიღება ;**
- **საქართველოს ძალა და სიძლიერე არის საზოგადოების ძლიერებაში.**

ვინაიდან და რადგანაც საზოგადოება პასუხისმგებელია არჩევნების შედეგებზე, ამიტომ პოლიტიკური დაპირებები უნდა გახდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რაც მაქსიმალურად შეამცირებდა პოლიტიკურ ილუზიებს.

www.interpressnews.ge, 12 სექტემბერი, 2017 წელი

2.33. მთავრობის PR აქტივობა სუსტია

გამჭვირვალობის ეპოქაში, საქართველოს მთავრობის საქმიანობა დემონსტრირებს საჯარო მსახურებას, საკუთარი თავით დაინტერესებულ ბიუროკრატიას, პოლარიზაციასა და მოუქნელ მართვას. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები ვერ ქმნის კომუნიკაციას პოლიტიკურად არასასურველ ჯგუფებთან და ეფექტურად ემსახურება საკუთარ ამბიციას,

რეალურ დროში, კომუნიკაციის ძალასა და მთავრობის „ვირტუალურ მანდატს“ უნდა ფლობდეს სახელმწიფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრუქტურები. მათ უნდა შექმნან მთავრობის იდეალიზირებული ხედვა, შეამცირონ ინფორმაციული ქაოსი, სახელმწიფო მონაცემებს შემატონ სანდოობა და ნამდვილობა, აწარმოონ ინფორმაციული პოლიტიკა და საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტიური ღონისძიებები.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა არის დემოკრატიული, საზოგადოებრივ აზრს არ აქვს ბუნებრივი და სასურველი როლი, არ მიიღწევა სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, არ ჩანს ხელისუფლების ძალისხმევის შედეგები, სოციალური ორიენტირები და ეკონომიკური კეთილდღეობის მასშტაბები არის დაბალი. ამ ფონზე, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს მხოლოდ პოპულისტურ ციფრებსა და პოლარიზებულ საქმის მდგომარეობას.

სახელმწიფო პიარ საქმიანობა და პროპაგანდისტული ინიციატივები ქმედით გავლენას ვერ ახდენს საზოგადოებრივი აქტივობის, კომუნიკაციის ზრდის, პოლიტიკურ განხილვებში „არასასურველი აზრის" ჩართვის (მხოლოდ მხარდამჭერი სიტყვებით ქვეყანა არ შენდება), საკუთარი საზოგადოებისა (მეცნიერების, ექსპერტების, სპეციალისტების) და ქვეყანაში არსებული რესურსის ათვისებაზე.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობა პირდაპირკავშირშია სახელმწიფო ინსტიტუტების იმიჯთან და რეპუტაციასთან, რადგანაც აღნიშნულ პირთა კომუნიკაცია, პოლიტიკური აქტივობა და ეკონომიკური ტრაექტორია არ ქმნის შედეგს. უშედეგო მმართველობა სახელმწიფო ინსტიტუტების იმიჯსაც ვერ ამაღლებს. ეს კი სამართლებრივ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.

სამწუხაროდ, ქვეყანაში დამკვიდრდა აზრი, რომ ექსპერტი ხარ, მეცნიერი, პროფესორი, ჟურნალისტი, სამოქალაქო თუ კერძო სექტორის წარმომადგენელი, ისაუბრე რამდენიც გინდა „ყურს არავინ იბერტყავს". მართალია, ხელისუფლება იკვლევს და აანალიზებს საზოგადოებრივ აზრს, თუმცა რეაგირება არაეფექტიანია, ხოლო შედეგი არის მორალური წუხილი და მორალური მხარდაჭერა. პასუხისმგებლობაც კი მორალურია, რადგან ქვეყანაში ჯერ არავის აუღია პასუხისმგებლობა შეუსრულებელ გეგმებზე, განხორციელებული პროგრამების ცუდ შედეგებზე, დაგვიანებულ ნაბიჯებზე, არაეთიკურ ქცევასა და არანორმატიული ლექსიკის გამოყენებაზე.

დღეს, საზოგადოების არცერთი ჯგუფი არ არის დარჩენილი, რომელსაც ეკონომიკური მომავლის შიში არ ჰქონდეს. ამ ფონზე პრობლემები გვაქვს იმედის მომცემი ინფორმაციის, აკადემიური შეფასებების, საკომუნიკაციო აქტივობის. პროგნოზების სიზუსტის, სახელმწიფო ინსტიტუტების რეპუტაციის, საზოგადოებასთან შეთანხმებითი ძალისხმევისა და პოლიტიკური ურთიერთგაგების მონახვის მიმართულებით.

საგანგაშოა მთავრობის PR აქტივობა გლობალურ პოლიტიკურ არენაზეც, რომლის „ნაყოფია" ევროკავშირის ქვეყნებთან მიღწეული უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების შესახებ გაჟღერებული ინფორმაცია.

დაბოლოს, საკითხის შეჯამების სახის უნდა აღინიშნოს, რომ გამოსავალი არის სახელმწიფო ინსტიტუტების რესტრუქტუ-რიზაციის, რეფორმებისა და პროგრამების გატარების, მმართველობითი პასუხისმგებლობის გამკაცრების, ახალი ენერგიისა და ახალი პოლიტიკური რესურსის ფორმირებაში.

www.interpressnews.ge, 9 მარტი, 2018 წელი

2.34. ქვეყნის მართვის სტილი "ირონიულია"

ხელისუფლების განცხადებებით ქვეყანა ვითარდება, იზრდები ეკონომიკა, უმჯობესდება სოციალური ფონი და მაღლდება მართვის ეფექტიანობა. აღნიშნულ განცხადებებს ამყარებს შთამბეჭდავი ციფრები და ოპტიმისტური პროგნოზები. თუმცა, ფაქტოლოგია ადასტურებს, რომ გვაქვს პესიმისტური ეკონომიკური რეალობა, პოლარიზებული გარემო, მართვის არაეფექტიანი ფონი, გაურკვეველი პოლიტიკური იდეოლოგია და პოპულისტური მიდგომები.

სამწუხაროდ, პოლიტიკური გარემოს ინიციატივები ჯეროვან გავლენას ვერ ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ვერც მთავრობა ახერხებს ნდობის განმტკიცებას, ვერც საკომუნიკაციო აქტივობით ახდენს გავლენას საზოგადოებაზე, არც განხორციელებულმა აქტივობები ქმნის ისეთ „საბრუნებელ მოედანს", რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ზრდისა და განვითარების შესაძლებლობის მომცემი იქნება.

არსებითია აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ინტერესი გამოხატა ბიზნეს სექტორის ხელშეწყობის მიმართულებით. ბიზნეს სექტორმაც კარგად „მიიღო ხელშეწმყობი ინიციატივები". ამასთან, ფინანსური სექტორისათვის შექმნილმა „სასათბურე პირობებმა" მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა ქვეყანა.

ფაქტობრივად, ქვეყანაში ფორმირდება ირონიული სტილის მართვა, რაც გამოიხატება შემდეგში:

- ქვეყანაში არსებულ მმართველობით გამოწვევებს „უპირისპირებენ" ტრენინგებს, სემინარებსა და ლექციებს (მმართველობითი გარემოს გარდაქმნის ნაცვლად). აღსანიშნია, რომ როდესაც სახელმწიფო პირს არ გააჩნია პრობლემების მართვის რესურსი და უნარ-ჩვევები, მას აღარც ტრენინგი შველის და აღარც ლექციები;
- ბალანსი ირღვევა სავალდებულო და ნებაყოფლობით პოლიტიკური ღონისძიებებს შორის. აღმასრულებელი და საკანონმდებლო უწყების წარმომადგენლები საუბრობენ პრობლემებზე, მაშინ როდესაც აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მექანიზმები მხოლოდ მათ გააჩნიათ. მაშინ როდესაც ქვეყანაში გაირკვა „ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი", ქვეყანაში არ შექმნილა სამთავრობო და საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის ხელშემშლელ ფაქტორებს. რა აზრი აქვს ინიციატივებს, სამთავრობო ღონისძიებებსა და მიდგომებს, თუ ქვეყნის ეკონომიკური გარემოს ძირითადი მუხრუჭები გასანეიტრალებელია;
- მმართველობითი აქტივობები ფასდება მინიმალური მოთხოვნებით ან საერთოდ არ ფასდება (შესაბამისად შედეგებიც მინიმალურია); ქვეყანაში არსებული მმართველობითი და პოლიტიკური რესურსი, ვერც თვითონ ქმნის შედეგეს, არც სხვას აძლევს გასაქანს. სამწუხაროდ,

განვითარებადი და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების ფონზე, საზოგადოებაც ვერ ვფლობთ „ცვლილებების ბერკეტს“;

- ქვეყანაში „აზრი არ აქვს“ საინიციატივო აქტივობას. საკომუნიკაციო აქტივობა მხოლოდ მართველი პირების „პირად შესაძლებლობებზე“ აგებული, და არა სახელმწიფო საჭიროებებზე (ამიტომაც გვაქვს ქრონიკული პრობლემები). ცალკეული უწყების შემთხვევაში ფუჭად იხარჯება დრო და ენერგია (მაგალითად, დარიგებული ვაშლები); სამწუხაროდ, სახელმწიფოს ინსიტუტების პროფილიდან „ამოვარდნილი“ ინიციატივები აქვეითებს სახელმწიფო ინსტიტუტების იმიჯს;
- ჯამში, მმართველობით პროფილს ეფექტიანად გამოსდის პროფესიონალების, ინტელექტუალური და აკადემიური რესურსის „პარალიზება“. თუმცა შემდეგ თვითონაც „წვალობენ“ მართვის პროცესში და საზოგადოებაც (თანამშრომლებიც) გაწვალებული ჰყავთ.

ბუნებრივია საზოგადოება ზომავს მისთვის ფასეულს. ანაალიზებს ცხოვრების დონეს. აფასებს შედეგებს და განხორციელებულ მიდგომებს. შესაბამისად, ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ციფრებსა და ინიციატივებზე საუბარს სჯობია მთავრობამ ისაუბროს პროგრამებსა და რეფორმებზე, მათ შედეგებზე, ასევე საზოგადოების მოტივირების საკითხებზე.

მართალია სტატისტიკა პოზიტიურია, თუმცა აღნიშნული ციფრები სტრატეგიულ მოცემულობას არ ქმნის. გაურკვეველია ქვეყანას „როდის გადაუვლის“ რეალური პროგრესის ტალღა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანა საჭიროებს სწრაფ და რადიკალურ ცვლილებებს.

უდაოდ მისასალმებელია ფინანსთა მინისტრის განცხადებები, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას საპარლამენტო კომისია ბანკების საქმიანობის შესწავლის მიზნით - არის თუ არა ქართული საბანკო სისტემა ეკონომიკის მუხრუჭი.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანას სჭირდება საზოგადოებრივი კომისიის შექმნა მმართველობითი საქმიანობისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეფასების მიზნით (ბოლო 15 წლის მართველობითი საქმიანობის შესწავლისათვის). საზოგადოებამ არა მხოლოდ არჩვენებში უნდა შეაფასოს მთავრობის საქმიანობა, არამედ არჩვენებამდეც. იმისათვის, რომ ქართულ საზოგადოებას ზუსტი და ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ქვეყნის მმართველობით შედეგებსა და მათ პროფილზე.

http://www.gmtv.ge, 18 აპრილი, 2018 წელი

მესამე ნაწილი. მეცნიერ-მკვლევარების როლი სახელმწიფოს აღმშენებლობაში

3.1. უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი აუთვისებელია

დღეს, საზოგადოების ძირითად ინტერესს წარმოადგენს ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება და ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი რესურსების წარმოჩენა. აღნიშნულ ფონზე შეიძლება აღვნიშნოთ უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი.

რეალობა ცხადყოფს, რომ უმაღლესი განათლება საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთი რესურსია, რომლის ეკონომიკური პოტენციალიც აუთვისებელია.

მოცემული სტატიით წარმოჩენილია, ქვეყნისათვის, უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი.

შეზღუდული რესურსების პირობებში, ხელისუფლების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ისეთი ფუნდამენტური მიზნების მიღწევა, როგორიცაა: სიღარიბის შემცირება, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, უთანასწორობის შემცირება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის ამაღლება, სოციალური უსაფრთხოების მიღწევა და სხვა. აღნიშნული გამოწვევების გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს სწორედ უმაღლესი განათლება და მეცნიერება ასრულებს (World Bank).

უმაღლესი განათლება დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდაზე, ხალხის ცხოვრების ხარისხსა და განვითარებაზე. იგი გვევლინება ინოვაციის, პროგრესისა და სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის მამოძრავებელ ძალად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის მიერ მნიშვნელოვანი ინვესტირება სწორედ განათლებაში ხორციელდება. ამის პარალელურად, სახელმწიფოს მიერ უმაღლეს განათლებაში ჩადებული კაპიტალიც მიზანს ყოველთვის აღწევს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი მსოფლიოში

კვლევები ადასტურებს, რომ უმაღლესი განათლება, მეცნიერება და ადამიანური კაპიტალი ეკონომიკის ზრდის „პლატფორმას“ წარმოადგენს. ეს პლატფორმა სახელმწიფო მიერ განათლებასა და სწავლებაში ინვესტირებით იქმნება. განვითარებად ქვეყნებში, პიროვნების განათლების ყოველი 1 წელი მის შემოსავალს 10 %-ით ზრდის (World Bank).

ნიშანდობლივია აღვნიშნოთ ეკონომიკის მრავალფეროვანი შემოსავლები, რომელიც უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის

ხარჯზე ფორმირდება. კერძოდ: უნივერსიტეტების შემოსავლები ფორმირდება ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების მიერ სწავლის გადასახადით, სუბსიდიებით, გრანტებით, კონსულტაციებით, ტრენინგებით, ინვესტიციებითა და როალტის შემოსავლებით. უცხოელი სტუდენტების ხარჯზე ფორმირებული ეკონომიკის შემოსავლებიდან შეიძლება გამოვყოთ: სწავლის საფასური, წიგნების შესყიდვაზე გაწეული დანახარჯი, ყოველდღიური ცხოვრებისა და სხვა დისკრეციული ხარჯი. ასევე, შემოსავლები ფორმირდება კონფერენ-ციების, საზაფხულო სკოლების, კვლევების, გამომცემლობის, საფოსტო და საკურიერო მომსახურების, საავიაციო ტრანსპორტის, სადაზღვევო მომსახურების, სამართლებრივი და სხვა მომსახურების საფუძველზე.

თავის მხრივ, უცხოელი სტუდენტები, მოქალაქეებისა და ბიზნეს ორგანიზაციებისათვის (განსაკუთრებით მცირე ბიზნესისათვის) საარსებო წყაროს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ უცხოელი სტუდენტები ამდიდრებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, კულტურას, ენას.

მსოფლიოში, 2008 წლის ფინანსური კრიზის პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი სტუდენტების მობილობა, დასაქმების ბაზრის მოთხოვნები და განათლების ხარისხი, საგანმანათლებლო პროდუქტებსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯი (შეადგინა 4,4 ტრლნ დოლარი, 2012). არსებითად გაიზარდა უმაღლესი განათლების მომსახურების ექსპორტი, ქვეყნები ორიენტირებული გახდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე (WENR, 2015).

OECD კვლევის თანახმად, უცხოელი სტუდენტების რაოდენობის 83% რეგისტრირებულია 20 ქვეყნებში. საერთაშორისო უმაღლესი განათლების ბაზარზე, ყველაზე მსხვილ მოთამაშეებს წარმოადგენს: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, გერმანია, საფრანგეთი და ასხვა (IIE.org).

უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის ასახვისათვის შეიძლება განხილული იქნას რამდენიმე ქვეყანა:

- ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ში უცხოელი სტუდენტების რაოდენობამ 886,052 კაცი შეადგინა, შესაბამისად აშშ-ის ეკონომიკაში უცხოელი სტუდენტების მიერ იქმნება 26,8 მლრდ დოლარი და 340 ათასი სამუშაო ადგილი (NAFSA, 2014);
- კანადა. კანადის ეკონომიკაში, უცხოელი სტუდენტების მიერ იქნება 8 მლრდ დოლარის შემოსავალი და 81 ათასი სამუშაო ადგილი (univcan.ca);
- დიდი ბრიტანეთი. ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სექტორი ეკონომიკაში 73,1 მლრდ ფუნტ სტერლინგის პროდუქციას და 757,268 (სრული განაკვეთის) სამუშაო ადგილს გენერირებს. მშპ-ში, მხოლოდ უნივერსიტეტები 39,9 მლრდ ფუნტ სტერლინგს გენერირებს. ბრიტანეთის უნივერსიტეტებში, უცხოელი სტუდენტების რაოდენობამ 435,235 კაცი შეადგინა, ხოლო უმაღლესი განათლების წვლილი საქმიან ტურიზმის მიმართულებით 136 მლნ ფუნტ სტერლინგზე მეტია (Universities UK)).

უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი საქართველოში

საქართველოში, უმაღლესი განათლების სექტორი საყურადღებო ინდუსტრიაა, რომელსაც საკმაოდ დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია.

ქართული უმაღლესი განათლების სექტორის მდგრადობა და მიმზიდველობა, პროფესორ-მასწავლებლების პროფესიონალიზმი და უნივერსიტეტების მაღალი აკადემიური დონე ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის ძალისხმევის გააქტიურებას, სტიმულირებს ახალგაზრდებში გრძელვადიან საგანმანათლებლო პროგრამებისა და მეცნიერებისადმი ინტერესს.

ბოლო ათწლეულში, გაიზარდა უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისად გაიზარდა უნივერსიტეტების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომ, აღნიშნული მიმართულება გახდა ქართული ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი, ბიუჯეტის შევსების წყარო და დასაქმების ზრდის საშუალება.

დღეს, საქართველოს 73 კერძო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღრიცხულია 64 ქვეყნის 4780 უცხოელი სტუდენტი [მათ შორის ლიდერობს; აზერბაიჯანი (1372 სტუდენტი), ერაყი (657), თურქეთი (492), ინდოეთი (1104), ირანი (39), ნიგერი (335- კერძო დაწესებულებები). ნიგერია (143 -სახელმწიფო დაწესებულებები), რუსეთის ფედერაცია (157), შრი-ლანკა (219)].

საქასტატის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკაში (29,2 მლრდ ლარი) განათლების წილი 1,3 მლრდ ლარამდეა (Geostat, 2015). რაც შეეხება საერთაშორისო განათლებას, უცხოელი სტუდენტების განათლებასთან დაკავშირებული მომსახურებასა და დისკრეციულ ხარჯს, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ინფორმაციით, 59,7 მლნ ლარს შეადგენს (კრედიტი 7,6 მლნ, ხოლო დებეტი 67,3 მლნ ლარი, როგორც ტურიზმში-განათლების ხარჯები)(სებ, 2015).

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში საერთაშორისო უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის შესახებ მწირი სტატისტიკური ინფორმაციაა. ამიტომ, ამ ეტაპზე საქართველოს უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის სრული სურათის ასახვისას „ფრაგმენტული მონაცემით“ შემოვიფარგლებით.

შეჯამება. ქვეყანაში უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის სრულად ათვისებისათვის, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს სამეცნიერო ეკოსისტემის მთავარ გამოწვევაზე: პროფესორ-მასწავლებლების არაჯეროვანი შრომის ანაზღაურებასა და მცირე დაფინანსებაზე.

უდაოა, რომ მეცნიერებაში შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში არ იქმნება კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქტები, ქვეყანა ვერ იყენებს თავის სამეცნიერო პოტენციალს, არ ფლობს სათანადო ადგილს გლობალურ რეიტინგებში, სამეცნიერო სამყაროში მცირეა სამეცნიერო კვლევების წარმოებისა და შრომების შექმნის წილი.

ლოკალური გამოწვევების ფონზე, მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები, სტრატეგიული მიდგომებისა და შეზღუდული რესურსების გამოყენების ალტერნატივებს შორის არჩევანი, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ეკონომიკური და საზოგადოებრივი სარგებლის მიღებას.

ამიტომ, უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის ათვისებისათვის საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სათვისტომოებისა და ემიგრანტების საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერით, საელჩოების აქტივობითა და ძალისხმევით მეტი ფოკუსირება მოხდეს უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე;
- უნდა გააქტიურდეს საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო გარემოსადმი მთავრობის მიდგომები და ინიციატივები, უნდა გახდეს შედეგის მომტანი, რაც გაზრდის, როგორც სახელმწიფოს რეპუტაციას, ისე ეკონომიკურ შემოსავლებს;
- ქვეყნისათვის განათლების პრიორიტეტულობა უნდა გამოისახოს აკადემიური სექტორის ფინანსური უზრუნველყოფით, მეცნიერების დაფინანსების ზრდით, სახელმწიფო სტრუქტურებში მეცნიერების როლის გააქტიურებით;
- სამთავრობო წყაროებიდან უნდა მოხდეს პროფესორ-მასწავლებლების სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა, რაც საკვანძო როლს შეასრულებს მათი მოტივაციისა და აქტივობის ზრდაში, უმაღლესი განათლების ხარისხისა და აკადემიური სისტემის განვითარებაში. ამისათვის, კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურების ზრდის მიზნით, ბიუჯეტიდან დამატებით უნდა გამოიყოს 50 მლნ ლარი. აღნიშნული თანხით თითოეული პროფესორ-მასწავლებლის არსებული ხელფასი, საშუალოდ 500 ლარის ოდენობით გაიზრდება (ეს არის ის მინიმალური ძალისხმევა, რომლის პოტენციალი და განხორციელების შესაძლებლობა ბიუჯეტს გააჩნია);
- სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს ახალგაზრდა მეცნიერების კეთილდღეობის უზრუნველმყოფი ღონისძიებები (მაგალითად, გამოყოფილი იქნას გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი საკრედიტო ხაზი; ფინანსურად წახალისდეს ახალგაზრდების შემოქმედებითობა, ახალი პროგრამების შემუშავება, ავტორობა, ინოვაცია);
- ამრიგად, ქართული უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის ათვისებისათვის, საჭიროა აღმასრულებელმა ორგანოებმა, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებით, ხელი შეუწყოს: უმაღლესი განათლების ექსპორტს, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, საქმიან ტურიზმში განათლების პოტენციალის წარმოჩენას.

- დასასრულს, საკითხის შეჯამების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენის პროცესი უზრუნველყოფს, როგორც ეკონომიკის, დასაქმების, აკადემიური სექტორისა და სახელმწიფო იმიჯის ზრდას, ისე ძლიერი სახელმწიფოს სისტემის ჩამოყალიბებასა და ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

www.kvira.ge, 4 მაისი, 2015 წელი

3.2. მეცნიერ-მკვლევარებთან (არ) თანამშრომლობის შედეგები საქართველოში!

მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ 30 მაისს (2016 წლის) გამოქვეყნებულ წერილზე (ქართულ პოლიტიკას გლობალური გავლენა არ გააჩნია! წყარო: http://kvira.ge/?p=258482), სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველომ გლობალური პოლიტიკის ფარგლებში უნდა განახორციელოს „იძულებით ემიგრაციაში მყოფი პირების უფლებების დაცვა, ხოლო საერთაშორისო ბაზრებ-ზე კი ქართული ბიზნეს ორგანიზაციების ლობირება", მყისიერი რეაგირება მოხდა და 24 საათში დაანონსდა საქართველოს საელჩოებში კომერციული ატაშეების დანიშვნის გადაწყვეტილება(წყარო:http://www.2030.news/index.php?newsid=7603).

არსებითია აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია პრობლემების თუ გამოწვევების გადაჭრა ახალი სტრუქტურის, უწყების თუ ბიუროკრატიული მექანიზმის შექმნით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური პოლიტიკის ფარგლებში, საჭიროა არა კომერციული ატაშის ადგილების შექმნა (აღნიშნულ ფუნქციას აკრედიტებული ელჩებიც თავს კარგადართმევენ, ხოლო ახალი ადგილების დამატება ბიუროკრატიის ზრდის გარდა ეკონომიკური ეფექტი არ ექნება), არამედ მაღალი რანგის, გლობალური იმიჯის მქონე პოლიტიკოსის მიერ მოცემული საკითხის კოორდინაცია და რეაგირების მექანიზმების ფორმირებაა. პროცესების მართვისათვის, კი საჭიროა მხოლოდ ეფექტიანი კომუნიკაციის ქსელი (ინტერნეტი, ვებ-საიტი, ცხელი ხაზი, ოპერატორის 24 საათიანი მუშაობა) .

თუ დავაკონკრეტებთ, ქართულ ბიზნეს ორგანიზაციებს, პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების გლობალური პოლიტიკური წონა და მყისიერი რეზონანსი შველის.

პოლიტიკის ეპიზოდებიდან მკაფიოდ გვახსოვს, რომ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა ბიძინა ივანიშვილის იყო. თუმცა, ქვეყანაში მთავარი აქტორების გავლენის გამო აღნიშნული იდეის ავტორობა სხვაგვარად (სხვა აქტორის ავტორობით) გაჟღერდა. მოცემული ტენდენცია დღემდე გრძელდება. შესაბამისად, ჩვენც არ გვაქვს სურვილი ვინმეს ვუმტკიცოთ, რომელი იდეის ავტორები ვართ და რომელი რეკომენდაციები უდევს საფუძვლად ცალკეული მმართველების დაანონსებულ ინიციატივებს.

არჩევნების წინ ინიციატივების დაანონსება და მასზე მუშაობის დაწყება ბადებს ლეგიტიმურ კითხვას, მანამდე რატომ არ გაკეთდა? შესაბამისად, კარგი იქნება აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის წინასწარ განისაზღვროს ვალდებულებების შეუსრულებლობის განმსაზღვრელი პასუხისმგებლობა, შედეგების მიღწევის მაჩვენებლები, განვითარების კრიტერიუმები და ვექტორები.

დღეს, ევროკავშირის დირექტივებისა და სამუშაო დავალებების „ამოწურვის" შემდეგ, ბუნებრივია რესურსამოწურულ პოლიტიკურ გარემოს სურს განვითარების ვექტორებისა და იდეების წყაროები. აღნიშნულ წყაროდ წარმოჩენილი იქნა ქვეყანაში იგნორირებული მეცნიერ-მკვლევართა პოტენციალისა და რესურსის ათვისების საკითხი. შესაბამისად, დღეს მეცნიერ-მკვლევარების მიერ შექმნილი შრომების, სტრატეგიებსა და პროგრამების ათვისების პროცესი მიმდინარეობს ფარულად, „მოდიფიცირებული სახით".

ფაქტია, რომ ქართველ მეცნიერ-მკვლევარებთან ართანამშრომლობის ფარგლებში, აღმასრულებელი უწყებები ისედაც ითვალისწინებენ მათ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

ჯამში, ჩვენ გულწრფელად გვიხარია, რომ ქვეყანაში ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინების მსგავსად, ქვეყანაში აქტიურად ხორციელდება მეცნიერ-მკვლევარების რეკომენდაციებისა და წინადადებების გათვალისწინება (თუმცა, ამას საჯაროდ არავინ აღიარებს) .

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური გლობალური პოლიტიკა საჭიროა განათლებაშიც, კერძოდ:

- ჩვენს მოსაზღვრე რეგიონებში, სხვა ქვეყნების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დღემდე ფუნქციონირებს სკოლები, სადაც სწავლა ქართულ ენაზე ხდება (მაგალითად, აზერბაიჯანი). სამწუხაროდ, აღნიშნული სკოლები განიცდიან ქართული სახელმძღვანელოების დეფიციტს, ხოლო პრობლემის გადაჭრა „პოლტიკური ჩარევის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, იქნებ ამჯერად გამოიტანონ დამუშავებული ინიციატივები და გადაჭრან აღნიშნული პრობლემები;
- ყველასათვის ცნობილია, რომ უცხოეთში არსებობს საკვირაო სკოლები და სასწავლო ცენტრები, სადაც ემიგრაციაში მყოფი პირების შვილები სწავლა-განათლებას იღებენ. ქართული გლობალური პოლიტიკის ფარგლებში კარგი იქნებოდა შემდეგი საგანმანათლებლო ინიციატივები: შესაბამისი სასწავლო პროგრამებითა და ლიტერა-ტურით უზრუნველყოფა. ასევე ეროვნული პროპაგანდისტული ლიტერატურის მიწოდება. ამით, გაადვილდება ქართული ფესვების მქონე თანამემამულეების დაბრუნებისა და ინტეგრაციის პროცესი.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ გამოქვეყნებული შრომები, ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები ემსახურება:

- სახელმწიფოს კეთილდღეობაში წვლილის შეტანას;
- მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნას და მის გარშემო საზოგადოების კოორდინირებას;

- მეცნიერ-მკვლევარების როლის ზრდას. მათ შეუძლიათ თამამი რეფორმების გატარება და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება;
- გლობალური თუ ლოკალური გამოწვევების პირობებში, ეკონომიკური აქტივობის ზრდასა და საზოგადობის ერთიანობას;
- ახალი პოლიტიკისა და ახალი პოლიტიკური ჯგუფის ფორმირებას, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა საფუძველზე იქნება ფორმირებული.

www.kvira.ge, 1 ივნისი, 2016 წელი

3.3. მძლავრი სახელმწიფოს სისტემა მეცნიერ-მკვლევარებისაგან იქმნება

ქართული სახელმწიფო სისტემის ძლიერებისათვის საჭიროა ეფექტიანი პოლიტიკა, ადამიანური რესურსი (მეცნიერ-მკვლევარები), ინსტრუმენტები და ინფორმაცია, სტრატეგიები და დეტალურად გაწერილი გეგმები, განახლებული რესურსები და ახალი ტექნოლოგიები.

სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში:

- **უცვლელია პოლიტიკური ტექნოლოგიები და რესურსები.** კერძოდ: მოძველებულია პოლიტიკური ტექნოლოგიები, საარჩევნო ტექნიკა, დაპირების დამაჯერებლობის მცდელობა, უცვლელია ქვეყნის განვითარების "სურვილების ვარიაციები". იცვლება მხოლოდ „ხმის ტემბრი და დაპირებების მასშტაბები";
- **თითქმის უცვლელია პოლიტიკური სახეები, ხოლო კონკრეტული „ახალი სახე", „ძველი სახის შთამომავალია";**
- **ბუნდოვანია პოლიტკორექტულობა, როგორც პოლიტიკოსებისათვის, ისე საზოგადოებისათვის;**
- **პოლიტიკური დებატები, უფრო იდეოლოგიური ხასიათისაა, და არა პოლიტიკური ტექნოლოგიებით, სახელმწიფოს განვითარების გეგმებითა თუ სტრატეგიებით კონკურენციის პროცესი;**
- **ფაქტობრივად, ქართული პოლიტიკა დგას ძველი პოლიტიკის სადარაჯოზე;**

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური გარემო საჭიროებს:

- **სახელმწიფოს სტრატეგიული საჭიროებების შესაბამის, გლობალური პოლიტიკური ალღოსა და უნარების მქონე ახალ პოლიტიკოსებს;**
- **პოლიტიკური და მმართველობითი წინსვლის გეგმებსა და პროგრამებს, საზოგადოების მაღალი ნდობისა და მხარდამჭერის მქონე პოლიტიკური ჯგუფების ფორმირებას;**

- **პოლიტიკური და ადმინისტრაციული სივრცის შევსებას - ინტელექტუალური, ორგანიზაციული, დაგეგმვის, ანალიზისა და პროგნოზის უნარების მქონე რესურსით;**
- **ქართული კაპიტალით ქართული პოლიტიკის შექმნას. აღნიშნული მიდგომით მხოლოდ ქართულ საზოგადოებასთან ხარ ანგარიშვალდებული. რაც ქართული საქმის კეთების გარანტიაა;**
- **მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნას.** აღნიშნული მოცემულობა ქართული ბიზნესის, სახელმწიფო პროგრესის, საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის, გლობალურ პოლიტიკაში სათანადო ადგილის დამკვიდრების გარანტიაა;

კვლევები ადასტურებს, რომ ძლიერი სახელმწიფო სისტემის საფუძველია ძლიერი ადამიანური რესურსი. შესაბამისად, პოლიტიკურ სივრცეში :

- სახელმწიფო მოხელეობის მსურველი პირები უნდა წარმოჩინდეს გეგმებით, ანალიტიკური უნარ-ჩვევებითა და პოლიტიკური მართვის პოტენციალით;
- საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სახელმწიფო მოხელეობის მსურველი პირის „ადგილი“, ფუნქცია და საჭიროება პოლიტიკურ სივრცეში;
- საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს, არჩევნებში მონაწილე პირს რისი გაკეთების უნარი გააჩნია და რა პოტენციურ შედეგებს უნდა ველოდებით მისგან;
- საზოგადოებას აინტერესებს არჩევნებში მონაწილე პირი პოლიტიკაში მოსვლით, შეძლებს „სხვების დახმარებით“ პოლიტიკის კეთებას თუ თვითონ ფლობს ჯეროვან ინტელექტუალურ რესურსს პოლიტიკის კეთებისათვის;
- თუ არჩევნებში მონაწილე პირის „პოლიტიკური პოტენციალი“ არის მხოლოდ ფინანსებში, ან პროფესიულ კავშირებში, ან მხოლოდ ცნობადობაში, ან კარგ მეგობრობასა და გვარიშვილობაში, სახელმწიფოს სისტემის ძლიერების მიღწევა კვლავ „ოცნებად დარჩება“;
- ჯამში, დაბალი „პოლიტიკური პოტენციალის“ რესურსი, ქართულ პოლიტიკურ გარემოში მხოლოდ „იმედებს კლავს“.

ფაქტია, რომ ქართულ სახელმწიფოს სჭირდება:

- ***ახალი პოლიტიკური წესრიგი და ჰორიზონტები;***
- ***გლობალურ კონფრონტაციულ გარემოში პოლიტიკური გავლენის ზრდა;***
- ***ქვეყნის აუთვისებელი რესურსის წარმოჩენა;***
- ***ბიზნეს გარემოს გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება;***
- ***ქართული კაპიტალდაბანდებებისა და შიდა ინვესტირების ხელშემწყობი პროგრამები.***

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მძლავრი სახელმწიფო სისტემის ფორმირებას უნდა უზრუნველყოფდეს მეცნიერ-მკვლევარების რესურსით დაკომპლექტებული პოლიტიკური ჯგუფები. აღნიშნული მიდგომით მიღწეული იქნება:

- სახელმწიფოებრივი იდეების გენერირება და სტრატეგიული განვითარება;
- დარგის კომპლექსური კვლევისა და ანალიზის საფუძველზე განვითარების სწორი ვექტორების განსაზღვრა და პროგნოზირება;
- საზოგადოების კოორდინირება და პოლიტიკური მობილიზება, სახელმწიფო ძლიერების განმტკიცება;
- კარიერული წინსვლის ღია წესისა და პროფესიული კონკურენციის ჯანსაღი მასშტაბების შექმნა. განათლებისა და ცენზის უპირატესობის დამკვიდრება;
- სახელმწიფოებრივი მშენებლობის შესაძლებლობების მქონე პირებისათვის პოტენციალის რეალიზების პლატფორმის ფორმირება;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნით, ერის კულტურული და ეკონომიკური ჰორიზონტების გაცოცხლება;
- საზოგადოებისა და ბიზნესის საჭიროებების შესაბამისი გარემოს ფორმირება;
- ქართული კაპიტალის დაბანდებისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება;

არსებითია აღინიშნოს, რომ საზოგადოების კეთილდღეობისა და სახელმწიფოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მთავრობის მიერ მეცნიერ-მკვლევართა რესურსის რაციონალურ გამოყენებასთან. ასევე, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ზრდასთან, რომლის შედეგად ქვეყანაში გაიზრდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და გლობალური კონკურენტუნარიანობის პროდუქციის წარმოება.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა პოლიტიკური აქცენტები მიმართულია საზოგადოების იმ ფენაზე (რაც ჯამში მოსახლეობის 85%-ია):

- რომლის ხმა არ ისმის;
- რომლებიც უმაღლესი განათლების ხარისხისა და მეცნიერული უნარ-ჩვევების მიუხედავად საარსებო მინიმუმს ვერ იკმაყოფილებენ;
- რომელთა დიპლომი, ხარისხის და ცენზი ემსახურება მხოლოდ მორალურ კმაყოფილებას (პრაქტიკაში რეალიზების ნაცვლად);
- რომელთა კარიერული წინსვლა, განათლებისა და პროფესიონალიზმის მიუხედავად ფაქტობრივად გამორიცხულია;
- რომელთაც სურთ ქვეყნის აღმშენებლობაში წვლილის შეტანა და ამის პლატფორმა არ გააჩნიათ;
- რომლებიც მიუხედავად დიდი მონდომებისა, შრომისა და გარჯისა

შვილ-მომავალს ვერაფერს უკეთებენ და მხოლოდ მომავლის იმედად არიან დარჩენილნი;

- ახალგაზრდა ინტელექტუალებისაკენ, რომელთაც პროფესიული წინსვლა და განვითარების პერსპექტივა (მთავრობაში ახლობელ-ნაცნობების პროტექციის არ ქონის გამო) დაბალია;

ღრმად მწამს, რომ წინ ვერაფერი აღუდგება ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა პოლიტიკური რესურსის წარმოჩენას (ჯანსაღი მისწრაფებებიდან გამომდინარე), ქვეყნის მშენებლობაში წვლილის შეტანას, გულწრფელი ძალისხმევით საზოგადოების კოორდინირებას და ერთიანობას, მთლიანობაში მძლავრი სახელმწიფოს შექმნასა და რეგიონში მოწინავე როლის მოპოვებას.

ჯამში, ქვეყნის საკადრო გამოწვევების პირობებში, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების რესურსს აქვს პოტენციალი მიღწეული იქნას :

- მმართველობითი უნარ-ჩვევების მქონე რესურსის დეფიციტის აღმოფხვრა;
- სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების მქონე პირთა დეფიციტის შევსება;
- კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების კომპლექსურად მცოდნე პირთა დეფიციტის დაძლევა;
- დარგის განვითარების მიზნით სამთავრობო პროგრამების (ხარჯის ზრდა არ იგულისხმება) შემუშავების უნარ -ჩვევების მქონე მცირე ჯგუფის კადრებით გამდიდრება;
- სახელმწიფო სისტემის მდგრადობა.

გაზეთი “ვერსია”, 10-12 ივნისი, 2016 წელი

3.4. მეცნიერების ხელშეწყობის გარეშე საქართველო ბუნებრივ ინერციაშია

გლობალურ კონფრონტაციულ გარემოში, ქვეყანაში, მუდმივად საუბრობენ საკადრო ცვლილებების აუცილებლობაზე, კადრების დეფიციტზე, სახელმწიფო სექტორში მაღალკვალიფიური კადრების მოტივატორ დანამატებ-სა და პრემიებზე. ამასთან, პრობლემების გადაჭრის გზად განათლების გაღრმა-ვებას, სტრატეგიების შემუშავებასა და რეფორმების გატარებას განიხილავენ.

სახელმწიფო მართვაში, მეცნიერ-მკვლევარებისა და დოქტორის ხარისხის მქონე კადრების არარსებობის (ძალიან ცოტაა მათი რაოდენობა) გამო:

- დროულად არ მუშავდება სახელმწიფო პროგრამები, ხოლო შემუშავებული და განხორციელებული პროექტების შედეგების მასშტაბები მცირეა;
- თვალსაჩინო არ არის მათი გავლენა საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე;
- არადამაკმაყოფილებელია რეფორმების შედეგები.

- ვლინდება არაეფექტური მართვის მეთოდები;
- ადგილი აქვს პროექტების შეფერხებას;
- რთულია მომავალ პერსპექტივებზე საუბარი, ოპტიმისტური პროგნოზების დადგენა და შეფასებების გაკეთება.

რეალობა ცხადყოფს, რომ ქართული პოლიტიკური და სამთავრობო გარემო საჭიროებს ახალ საკადრო რესურს, როგორიცაა მეცნიერ-მკვლევარები.

თანამედროვე საქართველოში, ნებისმიერი მოქალაქისათვის აქტუალური საკითხია ქვეყნის განვითარება, ნაციონალური კონკურენტუნარიანობა, პოლიტიკური მდგრადობა, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში აღნიშნული პროცესები შესამჩნევია, თუმცა მცირე მასშტაბებში.

საზოგადოება საჭიროებს რეფორმებს, განვითარების გეგმებს, ზრდად სტატისტიკას, ოპტიმისტურ პროგნოზებს, პროგრესისა და ინოვაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს. აღნიშნული პროცესები, ძირითადად, პოლიტიკური არჩევნების თანხმლებ ოპტიმისტურ მოლოდინს წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას გარანტირებს. პრაქტიკუ-ლად კი, ოპტიმისტური მოლოდინის ნაცვლად მომავლის ილუზიად რჩება.

დღეს, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებში ინტეგრირებულია მეცნიერების, განათლების, ტექნოლოგიების, ინოვაციების განვითარება. შესაბამისად, საზოგადოების ფართო სპექტრისათვის მისაწვდომია სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა. წარჩინებული აბიტურიენტები და სტუდენტები, როგორც სახელმწიფოსგან ისე უმაღლესი სასწავლებლისგან მხადაჭერილია ფინანსურად. ქვეყანაში, შესაძლებელია სრულფასოვანი განათლების მიღება, აკადემიური და პროფესიული ზრდა.

ქართული სამეცნიერო ეკოსისტემა მოიცავს წარმატებით ფუნქციონირებად სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებლებს, ეფექტურ მენეჯმენტს, ეფექტიან საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას.

მსოფლიოში, ქართული სამეცნიერო საზოგადოება მოწინავეა პროფესიონალიზმის, ცოდნის დონის, აქტივობის, კვლევა-ძიების, ინფორმაციულობის, ინტელექტის, ღირსების, კეთილშობილების მხრივ.

არსებითია აღინიშნოს სახელმწიფოს ძალისხმევა ქვეყანაში მეცნიერე-ბის ხელშეწყობის მიმართულებით, კერძოდ: 2014 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მეცნიერების ხელშეწყობისათ-ვის გამოყოფილი ჰქონდა 49,7 მლნ ლარი (9 თვის მონაცემებით ნაჩვენებია მხოლოდ 17,8 მლნ ლარი), ხოლო 2015 წლის ბიუჯეტში, მეცნიერების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხები გაიზარდა 10,7 მლნ-ით და შეადგინა 60,4 მლნ ლარი. ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში, სამეცნიერო კვლევითი მიმართულებების დაფინანსებისათვის, დამატებით გამოყოფილი იქნა 33,5 მლნ ლარი (წყარო: www.mof.ge).

ზემოაღნიშნული ტენდენციის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მეცნიერ-მკვლევარებს, დოქტორის ხარისხის მქონე პირებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- არ ხდება მათი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება;
- არ ხდება მათი ჩართვა სახელმწიფო სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებაში;
- სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ზრდას;
- არასაკმარისია მეცნიერებასა და განათლებაში სახელმწიფოს ინვესტირება, სამეცნიერო საზოგადოებისათვის არასაკმარისია სახელმწიფო სტიმულები და საგრანტო რესურსები;
- დაბალია პროფესორ-მასწავლებლის შემოსავლები, შრომის ანაზღაურება;
- მცირეა მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა;
- მეცნიერ-მკვლევარის არსებული ფინანსური მხარდაჭერა „კარგი პოზიტიური ფონის" შექმნას ემსახურება.

ხაზგასასმელია აღინიშნოს, რომ ქვეყანაში, „შრომის ანაზღაურების ზრდის" ტენდენციის კვალობაზე (2013 წელს ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი დაფინანსება გაიზარდა 269 მლნ ლარით და შეადგინა 1,318 მლნ ლარი), მთავრობაში „ლობიზმის" არ ქონის გამო უცვლელი დარჩა პროფესორ-მასწავლებლის შრომის ანაზღაურება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანას ჰყავს 8276 პროფესორ-მასწავლებელი, სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლების ხელფასების ზრდის მიზნით საჭიროა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოს 50 მლნ ლარი. აღნიშნული წარმოადგენს მინიმალურ დანამატს, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესორ-მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებას და აქტივობის ზრდას. შესაბამისად, მეცნიერებაში ფულის დაბანდებითა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლების ფინანსური მხარდაჭერით, სახელმწიფო იმაზე მეტ სარგებელსა (ფინანსურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა) და ეკონომიკურ ეფექტს მიიღებს, ვიდრე, რომელიმე სფეროს წახალისებით.

მაგალითად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური ეფექტის არგუმენტად შეიძლება განხილული იქნას მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (აშშ), რომლის კურსდამთავრებულებმა დააფუძნეს 25800 აქტიური კომპანია, დაასაქმეს 3,3 მლნ კაცი, ხოლო საერთო შემოსავალმა შეადგინა 2 ტრლნ დოლარი (სტატისტიკა წარმოებულია უნივერსიტეტის ისტორიის მანძილზე) (წყარო: isgtw.org).

მსოფლიოში, საერთაშორისო რეიტინგების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამთავრობო და სხვა წყაროებიდან ფლობენ მნიშვნელოვან ფონდებს. ასევე, აკადემიური პირების კეთილდღეობა

საკვანძო როლს ასრულებს ხარისხისა და აკადემიური სისტემის განვითარებაში (UNESCO, 2009).

უდაოა, რომ სახელმწიფოს მიერ მეცნიერ-მკვლევარის ფინანსური მხარდაჭერა და „დაფასება" მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია:

- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან;
- საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდასთან;
- ეფექტიანი მართვის სისტემის შექმნასთან;
- სამთავრობო უწყებებთან კომუნიკაციის ამაღლებასთან;
- ინოვაციასთან, პროგრესთან;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასთან;
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასთან;
- ქვეყნის წინსვლასა და განვითარებასთან.

მეცნიერების ხელშეწყობა ცვლის ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, იწვევს მდგრად განვითარებას, ამცირებს სიღარიბეს, ქმნის მომავალი განვითარების ფუნდამენტს, ამაღლებს მწარმოებლურობას.

აღიარებულია, რომ მეცნიერებისა და განათლების განვითარების საფუძველზე ყალიბდება რეალობა, სადაც ხელისუფლებას სჭირდება ხალხი, და არა ხალხს ხელისუფლება.

გლობალური გამოწვევების პირობებში, ქვეყანამ ძირითადი აქცენტი უნდა გააკეთოს არა მხოლოდ გარე რესურსებზე, არამედ შიდა რესურსების (ადამიანური, ტექნოლოგიური, ბუნებრივი, ფინანსური რესურსი) წარმოჩენასა და ათვისებაზე. ქვეყნის პროგრესისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ძირითადი ფოკუსირება უნდა მოახდინოს არსებული რესურსების გამოყენებაზე. აღნიშნული რესურსების წარმოჩენისათვის საჭიროა ყურადღების გამახვილება მეცნიერ-მკვლევართა შრომებზე, წარმოებულ კვლევებზე, მათ რეკომენდაციებზე.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ „ღია მმართველობის" პირობებში საზოგადოებისათვის უცნობია აინტერესებს თუ არა ვინმეს სამეცნიერო შრომები ან თუ აინტერესებს საჯაროდ არავინ აღიარებს ვისი შრომის პროდუქტს იყენებს თავის მმართველობით საქმიანობაში.

ქვეყანაში მუდმივად საუბრობენ საკადრო პრობლემებზე, თუმცა ცნობილი არ არის კონკრეტულად რომელი სფერო განიცდის კადრების დეფიციტს. ასევე, გაანალიზებული არ არის საკადრო რესურსების რაოდენობა, უცნობია დარგების მიხედვით უცხოელ სპეციალისტების მოზიდვაზე გაწეული ყოველწლიური ხარჯი, უცნობია ადამიანური კაპიტალის სრული ბაზის შექმნისათვის საჭირო ფინანსური რესურსის რაოდენობა და დრო.

როგორც ცნობილია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები უმაღლესი განათლების მქონე პირებს წარმოადგენენ (ყოველშემთხვევაში ასე უნდა იყოს). მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისარგებლეს ყოველმხრივი და ხარისხიანი განათლებით, მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო და კვლევით

საქმიანობაში. უდაოა, რომ ქვეყანაში კადრების სამჭედლოს წარმოადგენს უნივერსიტეტი, სადაც სწავლობენ, ვითარდებიან, იძენენ ცოდნას, ეუფლებიან ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს, მორალურ პრინციპებს, აცნობიერებენ ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას. აღნიშნულის ფონზე, ქვეყანაში დასაქმებული პირების მხრიდან მუდმივად არის მსჯელობა არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, კვალიფიციური კადრების დეფიციტზე და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში გვყავს კვალიფიციური კადრები, სათანადო პოტენციალის მქონე სპეციალისტები. აღნიშნულ პირებს კი მეცნიერ-მკვლევარები და დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტები წარმოადგენს.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში აქცენტი კეთდება უცხოეთში უმაღლესდამთავრებულ კადრების უპირატესობაზე, რითაც არათანაბარ პირობებში დგება ადგილობრივი უმაღლეს დამთავრებული. თუ გავითვალისწინებთ ქართველი პროფესორ-მასწავლებლის მაღალ პროფესიონალიზმს, მეცნიერ-მკვლევარების უნარ-ჩვევებს, საქართველოში არსებული სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობას, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ პრობლემა არის მიდგომა, ეროვნული უნივერსიტეტების კადრების აღიარება და დაფასება, რადგან ქართული უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებული სტუდენტ-ახალგაზრდების ცოდნის დონე, ადგილობრივი გარემოს ფლობა, მოქნილობა, ინფორმაციულობა საკმაოდ მაღალია (შედარებით უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პირები, რომლებიც უცხოურ გარემოს არიან მორგებულნი).

სამწუხაროდ, სახელმწიფო სექტორის საკადრო პოლიტიკის „მოწინავე რესურს“ დოქტორის ხარისხის მქონე პირები არ წარმოადგენს.

მეცნიერ-მკვლევარებისა და აკადემიური პირების სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფასების გარეშე, მეცნიერებაში შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში არ იქმნება კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქტები, ქვეყანა ვერ იყენებს თავის სამეცნიერო პოტენციალს, არ ფლობს სათანადო ადგილს გლობალურ რეიტინგებში, სამეცნიერო სამყაროში მცირეა სამეცნიერო კვლევების წარმოებისა და შრომების შექმნის წილი.

ქვეყანაში, არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ფასწარმოქმნის პოლიტიკის პირობებში, რთულია ახალგაზრდა ოჯახმა (მეცნიერის თუ არამეცნიერის) „ვინმეს“ ხელშეწყობის გარეშე შეძლოს „ფეხზე წამოდგომა“, პერმანენტული განვითარება, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა. ამასთან, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობაც ეკონომიკურად და ფინანსურად არამიმზიდველი საქმიანობაა. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებისათვის რამდენიმე ათეული მილიონი არასაკმარისია.

შესაბამისად, იმისათვის, რომ შევაჩეროთ დოქტორის ხარისხის მქონე კადრების გადინება, არ მოხდეს შრომის ბაზრის „გაღარიბება“, საკადრო დეფიციტი, განვითარების ტემპის შემცირება და სხვა უარყოფითი პროცესები,

საჭიროა ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერ-მკვლევარებს შეექმნას სათანადო პირობები, კერძოდ:

- **უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, სახელმწიფომ მთავარი როლი უნდა შეასრულოს მეცნიერ-მკვლევარის საქმიანობის სტიმულირების,** საზღვარგარეთ მივლინებების, კვლევების წარმოების წახალისების, საგრანტო დაფინანსების, ნაშრომების გამოცემის დაფინანსების მიმართულებით;
- **სახელმწიფოს დაფინანსებით უნდა გაიზარდოს კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ხელფასები ;**
- **პროფესორ-მასწავლებელი ჩართული უნდა იქნეს სახელმწიფო სტრატეგიებსა და მართვის პროცესში;**
- **პროფესორ-მასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აქტივობის სტიმულირებისათვის, სახელმწიფოს მიერ პრივილეგირებულ მდგომარეობაში უნდა იყოს გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტით სარგებლობისა და საჯარო სამსახურებში მმართველობით საქმიანობაში ჩართვის მიმართულებით;**
- **სახელმწიფოს მმართველობით რგოლში უნდა გამოიყოს შტატი** (სახელმწიფო უწყებებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს) მეცნიერ-მკვლევართათვის. სადაც პრიორიტეტი დოქტორის ხარისხის მქონე პირებსაც უნდა მიენიჭოს;
- **შრომით ბაზარზე, ახალგაზრდა-პროფესორ მასწავლებლების კონკურენტული მდგომარეობის ამაღლებისათვის ხელი უნდა შეეწყოს მეცნიერის საზღვარგარეთ სამეცნიერო-გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასა და ჩართულობას;**
- ქვეყნის **პოლიტიკური გარემო, რომელიც დღეს საკადრო დეფიციტს განიცდის, უნდა შეივსოს მეცნიერ-მკვლევარებითა და დოქტორის ხარისხის მქონე პირებით;**

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო და სახელმწიფო სექტორმა გაიაზროს მეცნიერების როლი, სამეცნიერო კვლევების გავლენა, სასწავლო - სამეცნიერო სისტემის ფასეულობა და სარგებელი, მეცნიერ-მკვლევარების წვლილი ეკონომიკაში, მეცნიერების მნიშვნელობა ინსტიტუციურ განვითარებაში. შესაბამისად:

- სახელმწიფოს მიერ მეცნიერ-მკვლევარის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ფოკუსირება შექმნის პირობას, რათა სამეცნიერო, კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა იყოს მართებულად დაფასებული და წახალისებული, რაც გამოიწვევს პროგრესსა და მომავალ განვითარებას;
- სახელმწიფო სტრატეგიები აიგება კვლევის პლატფორმასა და პრაქტიკაზე. დარგის დაგეგმვა მოხდება, როგორც საზღვარგარეთის

ქვეყნების პრინციპებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ისე კომპლექსურ კვლევებზე, ანალიზსა და არსებულ რეალობაზე დაყრდნობით;

- სახელმწიფო სექტორში, დოქტორის ხარსხის მქონე მეცნიერ-მკვლევარების დასაქმებით, საერთაშორისო ხელშეკრულებების (მაგალითად, ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება) გაფორმების გარეშეც განხორციელდება პროექტები, ქმედითი ღონისძიებები და ინიციატივები; საზოგადოების მოთხოვნების წინმსწრებად, დროულად შესრულდება ვალდებულებები; შესწავლილი იქნება პრობლემების სრული სპექტრი; გამოვლენილი იქნება ეკონომიკური კეთილდღეობისათვის საჭირო რესურსები, განსაზღვრული იქნება განვითარების რესურსები;
- სამთავრობო პროცესებში მეცნიერ-მკვლევარების ჩართვით, ყურადღება გამახვილდება არამხოლოდ დაგეგმილ პროექტებზე, ასევე, განხორციელებული პროექტების შედეგებსა და მასშტაბებზე, პასუხისმგებელ პირებსა და უწყებებზე, რაც ოფიციალურად, საჯაროდ ეცნობება საზოგადოებას;
- მთავრობის მიერ სამეცნიერო გარემოს ხელშეწყობითა და ინვესტირებით მიღწეული იქნება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა;
- სახელმწიფო სტრუქტურის მიერ მეცნიერ-მკვლევარის დაფასებით, კორპორაციული სექტორიც გაითავისებს ამ პოტენციალს, რაც უმნიშვნელოვანესი სარგებლის მომტანი იქნება სამივე სექტორისთვის (სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორისთვის);
- თუ, სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული გახდება 8,3 ათასი პროფესორ-მასწავლებლისა და მეცნიერ-მკვლევარის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათი ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფის საფუძველზე მივიღებთ თანამედროვე, კონკურენტუნარიან და განვითარებულ ქვეყანას.

www.kvira.ge, 25 იანვარი, 2015 წელი

3.5. ინტერნეტ-გარემოს განვითარებისათვის საჭიროა კვლევითი ინსტიტუტის შექმნა

საქართველოს გამოწვევებისა და საზოგადოების საჭიროებების შესაბამის, ასევე მსოფლიოში აპრობირებულ პროექტს წარმოადგენს „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ იმპლემენტირება (შემდგომში ინსტიტუტი). პროექტი ეფუძნება ქართულ რეალობას, მორგებულია საზოგადოების მოთხოვნებზე, არგუმენტირებულია კვლევებით და მიმართულია სახელმწიფოს კეთილდღეობისაკენ.

განვითარებად ქვეყნებში დამკვიდრებული ტენდენციიდან გამომდინარე, პროექტმა რომ სახელმწიფოს ყურადღება მიიქციოს, აპრობირებული და გადმოღებული უნდა იყოს განვითარებული ქვეყნებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მას განიხილავენ, როგორც არაეფექტიან და გაურკვეველი მომავლის მქონე პროექტს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" ანალოგები განიხილება, როგორც სამთავრობო დაფინანსების, ისე უნივერსიტეტების ბაზაზე არსებული ინსტიტუტები. მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ: აშშ-ის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ესტონეთის, ინდოეთის, რუმინეთის და სხვა ქვეყნების სახელმწიფო სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.

საქართველოს საზოგადოება აცნობიერებს, რომ ქვეყანა საჭიროებს არა ცალკეული ქვეყნების საჭიროებებზე მორგებული პროექტების გადმოღებას, არამედ საქართველოს რეალობის, სოციალურ-ისტორიული თავისებურებების, სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებისა და არსებული პოტენციალის შესაბამისი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

სწორედ ასეთ პროექტს წარმოდგენს „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი", რომლის შექმნა ნაკარნახებია გლობალური და ლოკალური გამოწვევებით.

განვითარებულ ქვეყნებში, ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი წარმოდგენილია მრავალფეროვანი ფასეულობით, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კერძო და სახელმწიფო სექტორთან .

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში მოქმედებს ტექნოლოგიური ცენტრები, ლაბორატორიები, ელექტრონული მომსახურების განვითარების სახელმწიფო უწყებები. თუმცა, ინსტიტუტი ერთ-ერთი უალტერნატივო სამეცნიერო-გარემოა, სადაც ახალგაზრდა სამეცნიერო რესურსია მობილიზებული, ხოლო საქმიანობა მოიცავს:

- ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის განსაზღვრა;
- ინტერნეტ-ბაზრის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ინტერნეტის მაგისტრალური და ლოკალური ინფრასტრუქტურის მონიტორინგი;
- ელექტრონული მმართველობის სტრატეგიული განვითარება;
- ციფრული ბაზრის განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება;
- ციფრული პრობლემების ეკონომიკური ანალიზის განხორციელება;
- კვლევებზე დაფუძნებული სტრატეგიული გეგმებისა და მიმართულებების განსაზღვრა;
- ციფრული გარემოს ანალიზი;
- განათლების სისტემის ხარისხის ხელშეწყობა;
- მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული შედეგების პროგნოზირება.

არსებითია აღინიშნოს, რომ ინსტიტუტი, როგორც ელექტრონული მმართველობის განვითარების სტრატეგიული ცენტრი, მმართველთა ინოვაციური ინიციატივებისა და სახელმწიფოს განვითარების პროგრამების იმპლემენტაციას უწყობს ხელს.

ქვეყანაში, ინსტიტუტის დაფუძნებით შეიქმნება ელექტრონული მმართველობის სტრატეგიული დაგეგმვის ცენტრი, რომლის მთავარი მიმართულებებია:

- **ციფრული გარემო**: კიბერსაფრთხეებისა და კიბერტერორიზმის პრევენციის მექანიზმები; ციფრული გარემოს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ელექტრონული კომერციის განვითარება; ინტერნეტ-საზოგადოების განვითარება; ელექტრონული დემოკრატიის განვითარება; ინტერნეტ-მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- **სამეცნიერო გარემო:** მეცნიერ-მკვლევართა პოტენციალის გამოყენება სახელმწიფოს მშენებლობაში; განათლების რეფორმების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა როლის ზრდა მმართველობაში; საქართველოს მეცნიერ-მკვლევართა გაერთიანება და კოორდინირება; უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა;
- **სტრატეგიული დაგეგმვის გარემო:** ელექტრონული მმართველობის სტრატეგიული დაგეგმვა და პროგნოზირება; გლობალური და ლოკალური ციფრული გამოწვევების ფორმულირება და რეკომენდაციების წარდგენა; ციფრული სახელმწიფოს კვლევები და განვითარების პროექტები; ციფრული ეკონომიკის განვითარების პროგრამები; ციფრული ეკონომიკური გარემოს ანალიზი და პროგნოზი; პოლიტიკური ვებ-სფეროს ანალიზი; სახელმწიფოს საკონსულტაციო პლატფორმა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინსიტიტუტი წარმოდგენილია ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა პოტენციალის რეალიზებისა და სახელმწიფოებრივი აქტივობის სივრცედ. აღნიშნულ სივრცეში, მეცნიერ-მკვლევართა და ანალიტიკოსთა პლატფორმები ფორმირებულია დამოუკიდებელი აზროვნების, ინოვაციების, თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარების, კვლევების, კონსულტაციებისა და რჩევების წარდგენის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გარდა, ინსტიტუტი ორიენტირებულია კერძო და სახელმწიფო უწყებების ციფრული საჭიროებების შესწავლასა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრაზე.

კვლევითი ინსიტიტუტი პოზიციონირებულია, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების პლატფორმა, რომელიც სამეცნიერო კვლევებით, სტრატეგიული დაგეგმვით, კონსულტაციებითა და ანალიზით ხელს უწყობს რაციონალური და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას.

თავის მხრივ, ინსტიტუტის პლატფორმისა და მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფის ძირითადი საქმიანობა:

- არ გულისხმობს ციფრული სახელმწიფოს განვითარების მიზნით ზოგადი ფრაზებისა და თეორიული კონსტრუქციის პროგრამების წარდგენას. ინსტიტუტი, კვლევებზე დაფუძნებული სტრატეგიული გეგმებით, განვითარების პროგრამებითა და სამოქმედო ღონისძიებებით, ხელს უწყობს სახელმწიფოს განვითარებას;
- მოიცავს საქართველოს რეალობისა და საჭიროებების შესაბამისი ციფრული ქვეყნის მოწყობის მოდელების შექმნასა და იმპლემენტირებას (ციფრული განვითარების უცხოური მოდელების გადმოღების ნაცვლად);
- მიმართულია ინტერნეტ გარემოს განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისაკენ, რომელიც უნდა შეფასდეს არამხოლოდ აპლიკაციებითა და ტექნოლოგიური კომპონენტებით, არამედ სტრატეგიული პოლიტიკითა და სახელმწიფო პროგრამებით;
- ორიენტირებულია ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა ხელშეწყობისა და უმაღლესი განათლების საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების პროცესზე (ლოკალურ და გლობალურ სივრცეში);
- წარმოდგება მრავალფეროვანი სახელმწიფოებრივი სარგებლით, რომლის მომსახურება, კვლევა და კონსულტაცია შეუფასებელია. თავის მხრივ, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა გაერთიანება და „დარაზმვა“ მიმართულია ციფრული სახელმწიფოს კეთილდღეობის, სტრატეგიული კვლევებისა და დაგეგმვის, პროგნოზირებისა და ექსპერტული შეფასებების, ციფრული გამოწვევების პრევენციის საჭიროებების უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, ინსტიტუტის საქმიანობის დაფინანსება განხილული არ უნდა იქნას, როგორც კიდევ ერთი საბიუჯეტო ხარჯი;

ჯამში, „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ ორინტირებულია სახელმწიფოს ციფრული გამოწვევების კვლევასა და საფრთხეების წარმოჩენაზე. ასევე, გლობალური და ლოკალური ციფრული პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახვის, განვითარების მოქმედებათა პროგრამის განსაზღვრის, პოტენციალისა და შესაძლებლობების წარმოჩენის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის მიზნით კონკრეტული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების წარმოდგენაზე.

დაბოლოს, ინსტიტუტი, ბაზური საბიუჯეტო დაფინანსებისა და არსებული სამეცნიერო პოტენციალის პირობებში, გახდება სახელმწიფოს მშენებლობის ხელშემწყობი უწყება, რომლის შექმნა თანაბრად ფასეული და მომგებიანი იქნება სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორისათვის.

www.kvira.ge, 9 თებერვალი, 2016 წელი

3.6. რატომ საჭიროებს საქართველო „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არსებობას“

დღეს, ყველა მოქალაქეს სურს საქართველო იხილოს, როგორც რეგიონული ლიდერი, მსოფლიო მოთხოვნების კვალდაკვალ განვითარებული, კონკურენტუნარიანი და მძლავრი სახელმწიფო.

ქვეყნის ძირითად გამოწვევებად სახელდება სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების პრობლემები, ციფრული უთანასწორობა, პოლიტიკური რყევები, არაეფექტიანი სტრატეგიები, საკადრო პოლიტიკა, სამთავრობო კადრების შრომის ნაყოფიერება, ქარიზმატული ლიდერებისა და ნოვატორული აზროვნების მმართველების დეფიციტი.

მოკლევადიან პერიოდში, აღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში შეიქმნას „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“.

კვლევითი ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია ციფრული სახელმწიფოს შექმნის, მოქალაქეების ციფრული გამოწვევების დადგენის, ელექტრონული მმართველობის სფეროში სამთავრობო პრობლემების ფორმულირების, ეროვნულ ინტერესებზე მორგებული სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც:

- ციფრული სახელმწიფოს განვითარების ხელშემწყობი ინსტიტუტი;
- მეცნიერთა და ანალიტიკური ჯგუფების ფორმირების პლატფორმა;
- სახელმწიფო მრჩეველთა ინსტიტუტი;
- სახელმწიფო მარკეტინგული კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუტი;
- ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა მხარდამჭერი ჯგუფი;
- საზოგადოებრივი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას;
- უცხოეთში მყოფი ქართული სამეცნიერო რესურსის გამოყენებისა და ქვეყნის მშენებლობაში ჩართვის პლატფორმა;
- საზოგადოებრივი ფორუმი და იდეების დარგობრივი ინკუბატორი;
- საქართველოში მეცნიერ-მკვლევართა გარემოს ხელშეწყობის ლობისტური ორგანიზაცია;
- განათლების ექსპორტ-იმპორტის ხელშემწყობი ინსტიტუტი;

კვლევითი ინსტიტუტი ორიენტირებული იქნება:

- ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-ბაზრის განვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზრის შემუშავებაზე;
- ელექტრონული ბიზნესისა და კიბერ-გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესების ფორმირებაზე;
- ციფრული საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობაზე; ქვეყანაში

ციფრული პროცესების კვლევაზე;
- ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსისა და რეგიონული რეიტინგის შედგენასა და განსაზღვრაზე;
- ქართული უმაღლესი განათლების ექსპორტის ზრდაზე;
- უმაღლესი განათლების სრულყოფის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე;
- საქართველოს შრომის ბაზრისათვის მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ რეკომენდაციების წარდგენაზე;

სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი მოიცავს შემდეგ მიზნებსა და ამოცანებს:
- ელექტრონული მართვის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
- ელექტრონული მართვის სფეროში პრაქტიკულ საქმიანობას;
- სტრატეგიული მრჩევლის როლს. ელექტრონული მმართველობის განვითარების მიზნით სტრატეგიების შექმნას, განხორციელებასა და მონიტორინგს;
- მეცნიერ-მკვლევართა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის ზრდის მიზნით ლობისტურ საქმიანობას;
- მოქალაქეების შესახებ არსებული პერსონიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრას; კერძო და სახელმწიფო სექტორთან ერთობლივი თანამშრომლობით მონიტორინგს;
- ინტერნეტ-ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის პროგრამების შემუშავებასა და განვითარების გეგმების დასახვას;
- ელექტრონული დემოკრატიის ფორმირებასა და დაცვას;
- ციფრული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეროვნული სტრატეგიისა და ინფრასტრუქტურის დაცვის სტრატეგიული გეგმების შემუშავებასა და განხორციელების ხელშეწყობას;
- კიბერპოლიტიკის სტანდარტებისა და ინსტრუქციების განსაზღვრას, კიბერკონფიგურაციის მართვის კონტროლს, რეაგირების მექანიზმების მონიტორინგს;

კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნებით მიღებული საზოგადოებრივი სარგებელი

ელექტრონული მმართველობის ინსტიტუტი მოწოდებულია:
- შეისწავლოს სახელმწიფოს ძირითადი გამოწვევები და დასახოს გამოწვევების გადაჭრის კონკრეტული გზები;
- მეცნიერ-მკვლევარების ჩართულობით უზრუნველყოს სახელმწიფოს პროგრამების ეკონომიკური ანალიზი;
- შეაფასოს საზოგადოებრივი საჭიროებები და დასახოს ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის გზები ;

- განსაზღვროს სახელმწიფოს ძირითადი რესურსი (მათ შორის ინტერნეტ-ბაზრის);
- დასახოს ელექტრონული მართვის სფეროს განვითარების გეგმები;
- მოკლევადიან პერსპექტივაში გაანალიზოს მიმდინარე პროცესები;
- სამეცნიერო კაპიტალის გამოყენებით დასახოს რესურსამოწურული გარემოსა და ქვეყნის განვითარების გზები.

ინსტიტუტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქვეყნის აუთვისებელი პოტენციალისა და რესურსების წარმოჩენას, მათ შორის:

- ინტერნეტ-ბაზრის პოტენციალი;
- ინტერნეტ-ბიზნეს გარემოს სარგებელი;
- მეცნიერ-მკვლევარების რესურსი;
- ელექტრონული მმართველობის დანერგვით საჯარო მმართველობითი გარემოს ტრანსფორმაცია და მართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის ზრდით მიღებული ეკონომიკური სარგებელი;
- უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი (საექსპორტო პოტენციალი);

ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არსებობით უზრუნველყოფილი იქნება :

- კვლევებით არგუმენტირებული სახელმწიფო პროგრამები და სტრატეგიები (ე-მართვის სფეროში);
- სახელმწიფოს არსებული სტრატეგიების ანალიზი და განვითარების რეკომენდაციები;
- ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის იმპლემენტაცია;
- სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორის ურთიერთქმედების უზრუნველმყოფი ღონისძიებები;
- სამეცნიერო და საზოგადოებრივი აქტივობით, ელექტრონული მთავრობის დანერგვისათვის, სტრუქტურის ცვლილებებისა და რეფორმირების პროცესი;
- ელექტრონული მთავრობის ხელშემწყობი სტიმულირების ღონისძიებები;
- სახელმწიფოს განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების წარმოჩენა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა;
- ანგარიშვალდებულებიანი მმართველობითი გარემო, სადაც მმართველობითი გადაწყვეტილებები მიიღება საზოგადოების სამივე სექტორის თანაბარუფლებიანი მონაწილეობით (სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორის ურთიერთქმედებით).

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფინანსების წყაროები

ხოლო კითხვაზე ბიუჯეტის რომელი წყაროებით უნდა დაფინანსდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა , პასუხი არის ინტერნეტ-ბაზრის

პოტენციალისა და უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ხარჯზე მიღებული ბიუჯეტის შემოსავლები. ასევე, ელექტრონული მართვით მიღებული ეკონომია.

ამ მიზნით, საჭიროა მხოლოდ ლეგიტიმაცია, ხოლო შემდეგ ინსტიტუტი სახელმწიფოს წარუდგენს ქვეყნის ციფრული განვითარების, აუთვისებელი პოტენციალის ათვისების გეგმებსა და სტრატეგიას.

სახელმწიფო მართველობაში მეცნიერ-მკვლევარების განსაკუთრებული როლი:

- მეცნიერ-მკვლევარებს გააჩნიათ ქვეყნის განვითარების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა;
- მეცნიერ-მკვლევარების კომპეტენცია და უნარ-ჩვევები დარგის განვითარება-ხელშეწყობის შესაძლებლობას იძლევა;
- მეცნიერ-მკვლევარები წარმოადგენენ „პოლიტიკურად სუფთა“ რესურსს;
- მეცნიერ-მკვლევარები ფლობენ აუდიტორიასთან და საზო-გადოებასთან ურთიერთობის ფართო გამოცდილებას;
- ისინი ღრმად იცნობენ სახელმწიფოს საკვაძო საკითხებს, გააჩნიათ საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება, „დანამატებისა და პრემიების“გარეშეც ემსახურებიან სახელმწიფოს (თავის საქმეს), ავითარებენ ქართულ სახელმწიფოებრიობას;
- მეცნიერ-მკვლევარი ხელს უწყობენ იდეების გენერირებს, შეუძლიათ საკითხის კვლევა და ანალიზი, იცნობენ საზოგადოების საჭიროებებს, შეუძლიათ სტრატეგიების შემუშავება და დარგის სტრატეგიული განვითარება;

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ ანალოგები მრავალრიცხოვანია, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარებისა და ინტელექტუალური რესურსის პლატფორმა იქნება პირველი, რომლის შექმნით აღმასრულებელ ხელისუფლებას აღარ დასჭირდება „ექსპერტთა და სტრატეგიული საკითხების მცოდნე პირთა“ იმპორტი. ფაქტობრივად, სახელმწიფოს ინსტიტუციური საჭიროებების გამოვლენა და გადაჭრის გზების დასახვა, კვლევების ჩატარება, უცხოელ ექსპერტ-მკვლევართა ნაცვლად, ადგილობრივი მეცნიერ-მკვლევარებით გახდება შესაძლებელი.

არსებითია, რომ ბოლო ათწლეულში, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა პირველი პრეცენდენტი იქნება, რაც დაადასტურებს სამეცნიერო გარემოზე ზრუნვას, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა ხელშეწყობას, კონკურენტუნარიანი უმაღლესი განათლების სისტემის ფორმირებას, საზოგადოების კოორდი-ნირების ძალისხმევას, თანამედროვე მოთხოვნებისა და ჯანსაღი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიმართული გადაწყვეტილებების უზრუნველყოფას.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტრატეგიული მიზნები:

1. ***სტრატეგიული მიზანი:*** *ციფრული ეკონომიკის განვითარება. ინტერნეტ-ბიზნესისა და ინტერნეტ-ბაზრის განვითარება. ინტერნეტ-ბაზრის აუთვისებელი პოტენციალის ათვისება და ციფრული ეკონომიკის შემოსავლების გენერირება;*
2. ***სტრატეგიული მიზანი:*** *ინფორმაციული საზოგადოებისა და ელექტრონული დემოკრატიის ფორმირება. პროცესი, როგორც განვითარების ინერცია. ქვეყნის მართვა საზოგადოების, კერძო და სახელმწიფო სექტორის ერთობლივი მონაწილეობით.*
3. ***სტრატეგიული მიზანი:*** *ელექტრონული მთავრობის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება. კიბერარმიის, კიბერპატრულისა და კიბერრეზერვის შექმნის ხელშეწყობა. კიბერთავდასხმებისა და კიბერკატასტროფის რეგენერაციის (აღდგენის) გეგმების შემუშავება;*
4. ***სტრატეგიული მიზანი:*** *ინტეგრირებული მთავრობის ჩამოყალიბება; მმართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის ამაღლება. საჯარო მმართველობის ტრასფორმაცია. ინოვატორი მართველობითი გარემოს შექმნა. მთავრობისადმი ნდობის განმტკიცება.*
5. ***სტრატეგიული მიზანი:*** *მეცნიერ-მკვლევართა განვითარების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება. სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ფინანსური მხარდაჭერა, იმიჯის ამაღლება, განათლების ცენზის მნიშვნელობის ამაღლება, რესურსამოწყრული პოლიტიკური გარემოს შევსება სამეცნიერო რესურსით, სახელმწიფო მართვაში მეცნიერ-მკვლევარის როლის ზრდა.*

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ ანალოგები მრავალრიცხოვანია.

ინსტიტუტი ხელს შეუწყობს საზოგადოების კოორდინირებასა და მობილიზებას, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოსთვის ენერგიული და ქარიზმატული პირების წინსვლა-განვითარებას.

ჯამში, კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარებისა და ინტელექტუალური რესურსის პლატფორმა იქნება პირველი, რომლის შექმნით აღმასრულებელ ხელისუფლებას აღარ დასჭირდება „ექსპერტთა და სტრატეგიული საკითხების მცოდნე პირთა“ იმპორტი. ფაქტობრივად, სახელმწიფოს ინსტიტუციური საჭიროებების გამოვლენა და გადაჭრის გზების დასახვა, კვლევების ჩატარება უცხოელ ექსპერტ-მკვლევართა ნაცვლად ადგილობრივი მეცნიერ-მკვლევარებით გახდება შესაძლებელი.

დაბოლოს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნით, მთავრობა დაამტკიცებს:

- ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე ორიენტირებას, მათ

შორის: ელექტრონული ბიზნესის, ელექტრონული მთავრობისა და ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებას ქვეყანაში;

- ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მშენებლობაში მეცნიერების ინტეგრირებას;
- ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა ლობისტური ჯგუფის ჩამოყალიბებას;
- შექმნის ჯანსაღი, პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშემწყობი გადაწყვეტილებების მიღების პრეცედენტს;
- შექმნის მართვაში ჩართულობის, საზოგადოების კოორდინირების, სამეცნიერო რესურსის გამოყენების უმნიშვნელოვანეს პრეცენდენტს;
- შექმნის ნოვატორული აზროვნების მმართველობით გარემოს.

www.iverioni.com.ge, 30 დეკემბერი, 2015 წელი

3.7. საქართველოს გამოწვევების დაძლევის გზა მეცნიერებაზე გადის

საქართველოს საზოგადოებამ იცის, რომ ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია რეფორმების გატარება, მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესი, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების როლის ზრდა, მდგრადი განვითარებისა და ჯანსაღი გარემოს უზრუნველმყოფი პროცესების განხორციელება.

აღიარებულია, რომ გლობალური და ლოკალური პრობლემების დაძლევის გზა, მეცნიერების განვითარებაზე გადის. შესაბამისად, ციფრული საქართველოს ძირითადი გამოწვევების დაძლევის, პოტენციალის გამოვლენის, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების, სამეცნიერო გარემოს გაძლიერების მიზნით საჭიროა არსებობდეს „ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი".

კვლევითი ინსტიტუტი ორიენტირებულია ახალგაზრდა სამეცნიერო ელიტის ჩამოყალიბებაზე. კვლევითი ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია ციფრული სახელმწიფოს შექმნის, მოქალაქეების ციფრული გამოწვევების დადგენის, ელექტრონული მმართველობის სფეროში სამთავრობო პრობლემების ფორმულირების, ეროვნულ ინტერესებზე მორგებული სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც:

- ციფრული სახელმწიფოს განვითარების ხელშემწყობი ინსტიტუტი;
- მეცნიერთა და ანალიტიკური ჯგუფების ფორმირების პლატფორმა;
- სახელმწიფო მრჩეველთა ინსტიტუტი;
- სახელმწიფო მარკეტინგული კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუტი;
- ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა მხარდამჭერი ჯგუფი;

- საზოგადოებრივი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ამაღლებას;
- უცხოეთში მყოფი ქართული სამეცნიერო რესურსის გამოყენებისა და ქვეყნის მშენებლობაში ჩართვის პლატფორმა;
- საზოგადოებრივი ფორუმი და იდეების დარგობრივი ინკუბატორი;
- საქართველოში მეცნიერ-მკვლევართა გარემოს ხელშეწყობის ლობისტური ორგანიზაცია;
- განათლების ექსპორტ-იმპორტის ხელშემწყობი ინსტიტუტი;

სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი მოიცავს შემდეგ მიზნებსა და ამოცანებს:

- ელექტრონული მართვის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
- ელექტრონული მართვის სფეროში პრაქტიკულ საქმიანობას;
- სტრატეგიული მრჩევლის როლს. ელექტრონული მმართველობის განვითარების მიზნით სტრატეგიების შექმნას, განხორციელებასა და მონიტორინგს;
- მეცნიერ-მკვლევართა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის ზრდის მიზნით ლობისტურ საქმიანობას;
- მოქალაქეების შესახებ არსებული პერსონიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრას; კერძო და სახელმწიფო სექტორთან ერთობლივი თანამშრომლობით მონიტორინგს;
- ინტერნეტბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის პროგრამების შემუშავებასა და განვითარების გეგმების დასახვას;
- ელექტრონული დემოკრატიის ფორმირებასა და დაცვას;
- ციფრული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეროვნული სტრატეგიისა და ინფრასტრუქტურის დაცვის სტრატეგიული გეგმების შემუშავებასა და განხორციელების ხელშეწყობას;
- კიბერპოლიტიკის სტანდარტებისა და ინსტრუქციების განსაზღვრას, კიბერკონფიგურაციის მართვის კონტროლს, რეაგირების მექანიზმების მონიტორინგს;

კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნებით მიღებული საზოგადოებრივი სარგებელი

საქართველოში, ელექტრონული მმართველობის ინსტიტუტი მოწოდებულია:

- შეისწავლოს სახელმწიფოს ძირითადი გამოწვევები და დასახოს გამოწვევების გადაჭრის კონკრეტული გზები;
- მეცნიერ-მკვლევარების ჩართულობით უზრუნველყოს სახელმწიფოს პროგრამების ეკონომიკური ანალიზი;
- შეაფასოს საზოგადოებრივი საჭიროებები და დასახოს ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის გზები ;

- განსაზღვროს სახელმწიფოს ძირითადი რესურსი (მათ შორის ინტერნეტ-ბაზრის);
- დასახოს ელექტრონული მართვის სფეროს განვითარების გეგმები;
- მოკლევადიან პერსპექტივაში გაანალიზოს მიმდინარე პროცესები;
- სამეცნიერო კაპიტალის გამოყენებით დასახოს რესურსამოწურული გარემოსა და ქვეყნის განვითარების გზები.

ინსტიტუტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქვეყნის აუთვისებელი პოტენციალისა და რესურსების წარმოჩენას, მათ შორის:

- **ინტერნეტბაზრის პოტენციალი;**
- **ინტერნეტ ბიზნესგარემოს სარგებელი;**
- **მეცნიერ-მკვლევარების რესურსი;**
- **ელექტრონული მმართველობის დანერგვით საჯარო მმართველობითი გარემოს ტრანსფორმაცია და მართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის ზრდით მიღებული ეკონომიკური სარგებელი;**
- **უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი (საექსპორტო პოტენციალი);**

პრაქტიკული მიზნებით, კვლევითი ინსტიტუტი შექმნის ჯანსაღი სახელმწიფოს მშენებლობის ხელშემწყობ პლატფორმას, რომელიც:

- ხელს შეუწყობს ისეთ იდეოლოგიურ პროპაგანდას, რომ სახელმწიფო სექტორის საკადრო პოლიტიკის „მოწინავე რესურსი“ გახდეს დოქტორის ხარისხის მქონე პირები;
- ქვეყანაში დაამკვიდრებს სავალდებულო პრაქტიკას, იმისათვის, რომ სახელმწიფოს მმართველობით რგოლში გამოიყოს შტატი მეცნიერ-მკვლევართათვის. ასევე, საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას, პრიორიტეტი დოქტორის ხარისხის მქონე პირებს მიენიჭოს;
- დღეს, როდესაც საუბრობენ, რომ სახელმწიფო სექტორი საჭიროებს მეცნიერ-მკვლევართა დახმარებასა და მხარდაჭერას, სწორედ დახმარება იქნება ის, რომ რესურსამოწურული პოლიტიკური გარემოს შევსება მოხდება მეცნიერ-მკვლევარებით (ამ ფორმით ქვეყანასაც დაეხმარებიან და მეცნიერებსაც);
- ხელს შეუწყობს სახელმწიფოს განვითარებას, რეფორმების გატარებას, პროგრამების შემუშავებასა და სტრატეგიების ჩამოყალიბებას. იმისათვის, რომ ქვეყნის განვითარების ინდიკატორი არ იყოს საერთაშორისო დირექტივებისა და „დავალებების“ შესრულება;
- მეცნიერ-ანალიტიკოსთა ჯგუფების შექმნით, უზრუნველყოფს განვითარების პროგრამების შემუშავებას, კვლევებზე დაფუძნებული სტრატეგიების შექმნას, საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულებას, ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და რეფორმების გატარებას, ელექტრონული მმართველობითი გარემოს სამართლებრივ უზრუნველყოფას;

- ლოკომოტივის ფუნქციას შეასრულებს სახელმწიფო სექტორში მეცნიერების როლისა და გავლენის ამაღლების მიმართულებით;
- საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან შერჩეული ახალგაზრდა, პროდუქტიული, ინოვატორი და აქტიური მეცნიერ-მკვლევართა დაკომპლექტებით, უზრუნველყოფს სამთავრობო გარემოს შევსებას, საკადრო რესურსის გამდიდრებას, ქარიზმატული ლიდერებითა და ნოვატორული აზროვნების მმართველების წარმოჩენას;
- გახდება ერთგვარი მაკონტროლებელი, იმისათვის, რომ მთავრობის საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას გათვალისწინებული იქნას განათლების ცენზი, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმდეს დოქტორის ხარისხის მქონე პირები, ქვეყანაში რეალურად შეიქმნას კარიერული ზრდის სისტემა, სახელმწიფო პროგრამებისა და სტრატეგიების შესრულება ნაკარნახები იქნას სამართლებრივი ვალდებულებით;
- გახდება ჯანსაღი საზოგადოებრივი ორგანიზების რესურსი, რაც იქნება მძლავრი სახელმწიფო სისტემის შექმნის გარანტი;
- ხელს შეუწყობს პროფესორ-მასწავლებლის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნას. აღნიშნული კი გამოიხატება გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტით სარგებლობით, საჯარო სამსახურებში მმართველობით საქმიანობაში ჩართვის, ახალგაზრდა და უბინაო მეცნიერთათვის ბინათმშენებლობის საკითხების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაში.

www.resonancedaily.com, 11 იანვარი, 2016 წელი

3.8. პოლიტიკური გარემო აკადემიური უნდა იყოს!

საქართველოს პოლიტიკური სივრცე აკადემიურ რესურს, მეცნიერულ მიდგომებსა და მეთოდებს საჭიროებს. პოლიტიკაში აკადემიური მიდგომების დამკვიდრება შეამცირებს კონფლიქტებს, „ლანძღვა-გინებას“, მუშტი-კრივს, ცილისწამებასა და ჟარგონულ ლექსიკას.

ქვეყანაში, მოქალაქეთა 99,7 % განათლებულია (წერა-კითხვის მცოდნეა). შესაბამისად, ხელისუფლებამ საზოგადოებასთან ურთიერთობა და პოლიტიკური კომუნიკაცია უნდა აწარმოოს აკადემიურ ენაზე!

ყველამ ვიცით, რომ პრობლემებზე საუბარი ადვილია, რეფორმის შექმნაზე „საუბარი“ კიდევ უფრო ადვილი, თუმცა, რეფორმის გატარება, შედეგის მიღება, გეოსტრატეგიული მიზნების მიღწევა მხოლოდ ახალი პოლიტიკური ძალისა და ქარიზმატული მმართველების პირობებშია შესაძლებელი.

არსებული გამოწვევების შესაბამისად, მიზანშეწონილია დამკვიდრდეს სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების პრაქტიკა. კერძოდ: საზოგადოებრივმა კომისიამ (დაკომპლექტებული სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებით) უნდა შეაფასოს:

- სახელმწიფოს სტრატეგია, გეოპოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა;
- სტრატეგიით დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლები;
- სახელმწიფოს განვითარებისთვის დასახული გზები და პრაქტიკული ინსტრუმენტები;
- შესრულებული (თუ შეუსრულებელი) სამთავრობო გეგმები, გეგმების შესრულების პროცესი და სასურველი შედეგები;
- სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით წარმოდგენილი ინიციატივები;
- ხელისუფლების პოლიტიკის შედეგები. პოლიტიკით სტიმულირებული შედეგები, ბიზნესის მასშტაბები, ეკონომიკური აქტივობა, ბიუჯეტის ზრდა, ინოვაცია და პროგრესი;
- გავლენის მომხდენი და მორალურად თავსებადი დემოკრატიული წესები.
- გამოწვევების შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტიანობა;
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პართა საქმიანობა (ყოველწლიურად). შეფასება უნდა გამოიხატებოდეს არა მხოლოდ „კრიტიკის ქარცეცხლით" ან მორალური წუხილით, არამედ, სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით;

გლობალური გეოპოლიტიკური სტრუქტურის ცვლილებების პირობებში, პოლიტიკური ისტებლიშმენტი, კვლავ ლოკალური პოლიტიკური გამოწვევების განხილვა-გადაჭრაშია. შესაბამისად, ყურადღების მიღმა რჩება ისეთი გლობალური საკითხები, როგორიცაა:

- გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიღების გზები (საქართველოსთვის);
- გეოგრაფიული დომინანტური როლის ზრდის პროცესები და ღონისძიებები;
- გეოსტრატეგიული მიზნების ფორმირება და მიზნის მიღწევის გეგმები.

არსებითია აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ სივრცეში აქტუალურია არჩევნების შემდგომი პერიოდის რეფორმების დაანონსება. მიგვაჩნია, რომ შესაბამისმა აქტორებმა, არჩევნებამდე განსახორციელებული პროექტების შეუსრულებლობა დაასაბუთოს, ხოლო მომავალში გასაკეთებელი ისედაც ცნობილია. ამით, არჩევნების შემდგომ მოსულ ახალ ძალას, დაუსაბუთებელი და ირაციონალური პროცესები „ხელს აღარ შეუშლის".

ამჟამინდელი მთავრობა აანონსებს ისეთ საკითხებს, რომელიც უფრო მეორე და მესამეხარისხოვანი პრობლემებია, მაშინ როდესაც ცალკეულ

სფეროში, არსებობს ნომერ პირველი ხარისხის პრობლემები, რომლის დროულად მოგვარება და დაძლევა უფრო მნიშვნელოვანია.

ხაზგასასმელია, რომ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რესურსზე დაფუძნებული, პოლიტიკური საზოგადოება შექმნის ტენდენციას, სადაც:

- გათვალისწინებული იქნება საზოგადოების დასაბუთებული კრიტიკა, მეცნიერ-მკვლევართა რეკომენდაციები, პოლიტიკურად არასასურველი ხასიათის შეფასებები;
- საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის ზრდა პოზიტიურ გავლენას მოახდენს ეროვნული ვალუტის გამყარებასა და პოლიტიკური გარემოსადმი ნდობის ამაღლებაზე;
- პოლიტიკურ გამოწვევებზე რეაგირება არ იქნება ზოგადი პოლიტიკური ფრაზებით, ახალი ტერმინოლოგიითა და დამაჯერებელი სიტყვების გაჟღერებით მოცული. წინასწარ შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული ანტიკრიზისული გეგმები და განვითარების სტრატეგიები შექმნის მდგრად გარემოს (თავის მხრივ, მათი კორექტირება და შეფასება მუდმივად განხორციელდება საზოგადოების მიერ);
- ეკონომიკური აქტივობის დაჩქარების საფუძველი გახდება ახალი პოლიტიკური ძალა (ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებით დაკომპლექტებული), სახელმწიფო პროგრამები, ნოვატორულ ეკონომიკური პოლიტიკა, სტრუქტურული რეფორმები, აუთვისებელი ეკონომიკური რესურსი;
- პოლიტიკური პარტია შეფასდეს განათლების ცენზის მქონე პირთა პროდუქტიულობით, დარგების განვითარების სტრატეგიებითა და პროგრამებით, ახალგაზრდა სამეცნიერო რესურსით;

ახალი პოლიტიკური ძალა ორიენტირებულია შექმნას:

- **ახალგაზრდა ოჯახებისთვის სოციალურ-ეკონომიკურად ხელშემწყობი გარემო;**
- **ინსტიტუციების, ხარისხისა და განათლების ცენზის დაფასების გარემო;**
- **ეკონომიკური აქტივობის შესაძლებლობების გარემო;**
- **პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პოტენციალის რეალიზების გარემო;**
- **კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობების გარემო;**
- **კარიერული წინსვლისა და თანაბარუფლებიანი ზრდის გარემო;**

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ საქართველო ვაზის სამშობლო და ღვინის აკვანია. **საქართველოს პოლიტიკურ გარემოს, როგორც ღვინოს აქვს სათავეში პკე (ობი). იმისათვის, რომ ქვეყანაში დაგემოვნდეს „ქართული**

ღვინო", პოლიტიკური რესურსი და ახალგაზრდა ძალა, საჭიროა ამ ობის (პკეს) მოცლა - ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება. ახალი პოლიტიკური რესურსი კი მოგვცემს ქართული პოლიტიკის აუთვისებელი ფასეულობების წარმოჩენის შესაძლებლობას (ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა პოტენციალის საფუძველზე).

www.postalioni.com, 14 თებერვალი, 2016 წელი

3.9. "სოციალური ქსელი ჩემი აკადემიური პორტფოლიოა"- ინტერვიუ რატი აბულაძესთან

მომხმარებელთა პირადი პროფილები მფლობელთა ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს. ასევე, ინტერესებსა და შეხედულებებს. ამას აფიშირებს ფოტოები, ცხადყოფს მეგობართაქსელი, მუსიკისა და ვიდეოს განყოფილება. ადამიანის კონკრეტულ განწყობას, შეხედულებასა და მისწრაფებას განსაზღვრავს კონკრეტული სურათის თუ წინადადების „დალაიქებაც". ეს ინფორმაცია ინდივიდის ფსიქო–სოციალური პორტრეტის აგებისა და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, შეიძლება გამოყენებული იქნას მარკეტინგული მიზნებით, სპეცსამსახურებისა თუ პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრის მიზნით", – აცხადებს ჩემი რესპონდენტი, რომლისთვისაც სოციალური ქსელი ერთგვარი „აკადემიური პორტფოლიოც" არის. „კიბერ კვირას" დღევანდელი სტუმარი მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი რატი აბულაძეა.

თანამედროვე საზოგადოებრივი ტენდენციების მსგავსად, მეც ვსარგელობს Facebook -ით, Twitter-ით, LinkedIn-ით, აქტიურად ვიყენებ YouTube-სა და ბლოგს.

საზოგადოდ, სოციალური ქსელების გამოყენების მოტივს პირადი თუ პროფესიული ქსელის გაფართოება წარმოადგენს. კონტენტის (ტექსტი, ვიდეო, ფოტო) პოვნა და განხილვა. აგრეთვე, ინფორმაციის შექმნა და გაზიარება.

რეალურად, სოციალურ ქსელი წარმოდგენს ჩემს „აკადემიურ პორტფოლიოს". აღნიშნულის გარდა, მას ვიყენებ კომუნიკაციის, ინფორმირების, კომერციის, გართობის, სამეცნიერო და საერთაშორისო კონტაქტების დამყარების მიზნით. ასევე, საზოგადოების ფართო მასებისათვის კვლევითი და სამეცნიერო შრომების წარდგენისა და გაცნობისათვის.

აღვნიშნავ, რომ სოციალურ ქსელებს განვიხილავ, როგორც სოციალური ურთიერთობების ორგანიზაციის ინსტრუმენტს. თანხვედრი ინტერესებით, ძველი მეგობრების ძიებისა და ახალი მეგობრების შეძენისთვის. აგრეთვე, მას განვიხილავ მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთობების შექმნისათვის, სამუშაოს ძიებისა და საქმიანი კონტაქტების დამყარებისთვის.

-თვლით რომ სოციალური ქსელი დღეს ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად იქცა?

სოციალური ქსელი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტრუმენტია, რომელმაც მოიპოვა სიახლეების დადგომისთანავე გადმოცემის, ინფორმირებისა და სწრაფი გავრცელების სახელი. იგი გახდა მასობრივი საკომუნიკაციო გარემო, მასობრივი ინფორმაციის ნაკადი, ინტერაქტიული ნავიგაციური საშუალება (ონლაინ დახმარება), რომლის მეშვეობით საქმიანობა და აქტივობა გამჭვირვალე, ზუსტი და ობიექტურია.

პრაქტიკულად, სოციალური ქსელი ფართო აუდიტორიასთან ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს, რომლის მეშვეობით ინფორმაცია სწრაფად და მყისიერად ვრცელდება.

ფაქტია, რომ სოციალური ქსელები ყველაზე ეფექტიანად ახდენს სოციუმის ხმის ცირკულირებას და ინფორმაციის გავრცელებას ვირუსული სინდიცირების სახით.

აღნიშნული ტექნოლოგიური რესურსი არის იაფი, არაფორმალური, დაბლიდან მაღლა კო-მუნიკაციის საშუალება, ინფორმაციის სწრაფი და ეფექტიანი გავრცელების საშუალებაა.

-როგორ ფიქრობთ, რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ყველა სოციალურ ქსელს შორის საქართველოში ყველაზე მეტად ფეისბუქს მოიხმარენ?

სოციალური ქსელის ფენომენის ყველაზე პოპულარული ფორმა Facebook-ია, რომელიც ინოვაციური და ინტერაქტიული პლატფორმაა.

მსოფლიო ტენდენციების მსგავსად, საქართველოშიც ფართოდ გავრცელებულია Facebook, რაც განპირობებულია მოხმარების სიმარტივით, მარტივი კონსტრუქციით, დიდი საკომუნიკაციო პოტენციალით, ინფორმაციის გავრცელების სისწრაფითა და მრავალფეროვანი სოციალური მიზნებით, ენის ინტერფეისის დანერგვით და სხვა უპირატესი მაჩვენებლებით.

Facebook-ის სოციალურ განზომილება, საზოგადოებას აწვდის პერსონალური შეხედულებისა და ემოციური შედგენილობის კონტენტს, მოქალაქეებს პერსონალურობისა და ფასეულობის წარმოჩენის, მედიის ყურადღების ზრდის, დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებისა და ინტერესების შესაბამისად იძლევა სიტყვით მიმართვის შესაძლებლობას.

არსებითია აღინიშნოს, რომ სოციალური ქსელი (Facebook) წარმოადგენს:

- კომერციის ეფექტიან ინსტრუმენტს;
- ახალ ბიზნეს მოდელს, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის მიზნების რეალიზებას;
- პოპულარულ ონლაინ მედია საშუალებას, პლატფორმას და ინსტრუმენტს;
- შერჩეულ აუდიტორიასთან მარკეტინგული შეტყობინების გაგზავნის იაფ არხს. სოციალური ქსელის მარკეტინგი და რეკლამირება იაფი და ინვარიანტულია გაგზავნილი წერილების რაოდენობასთან მიმართებაში.

- პროდუქტის/მომსახურების გაყიდვისა და ბიზნეს საქმიანობის ხელსაყრელ ელექტრონული კომერციის პლატფორმას;
- დაბალი ხარჯებით მომხმარებლის ნდობის მოპოვების, ბრენდის აგების, დაგეგმვისა და კოორდინაციის ბიზნეს პლატფორმას;
- მომხმარებლების აზრის, მრწამსის, აღქმის, ფასეულობის, რეაქციების, ემოციების შესწავლისა და ანალიზის იაფ ინსტრუმენტს.

- 10 ქულიანი სისტემიდან სოციალური ქსელების უსაფრთხოებას როგორ შეაფასებდით?

ქვეყანაში სოციალური ქსელების უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს: ტექნოლოგიური ცოდნა, ინტერნეტ-წიგნიერება, სამართლებრივი და საკანონმდებლო რეგულირება, კიბერ პრედენტებზე რეაგირების ჯგუფების არსებობა, კიბერპატრულისა და კიბერ სამართალდამცავი ორგანოების არსებობა.

ამასთან, საქართველოს სოციალური ქსელის გარემო შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი მიმართულებით:

- ტექნოლოგიური ცოდნის დეფიციტის ფონზე მაღალია პირადი ინფორმაციის დაკარგვა და გამოაშკარავება;
- სუსტია სოციალურ ქსელის ფასეულობისა და სარგებლის შეცნობა;
- იზრდება არამართალ და არარეალურ ადამიანთან შეხვედრის ალბათობა;
- მცირდება ბიზნესისა და საქმიანობისადმი ნდობა;
- იზრდება სიზუსტის ილუზია;
- მცირდება ინფორმაციული გაზიარებისა და პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა;
- იზრდება ინტელექტუალური საკუთრებისა და პირადი მონაცემების დაკარგვის საფრთხე.

საზოგადოების დიდი ნაწილი მაქსიმალურად ვერ იყენებს სოციალური ქსელის ვებგვერდების მეთოდებსა და შესაძლებლობებს დაბალი მოტივაციის, ონლაინ ჩვევების უქონლობის, სოციალური უთანასწორობის, ტექნოლოგიური დაშვებისა და ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო.

ქვეყანაში არ გვაქვს საერთაშორისო დონეზე უნიფიცირებული წესებისა და სოციალური ქსელის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტები.

ყოველივე აღნიშნული ზრდის სოციალური ქსელის მომხმარებელთა საფრთხის რისკებს და საშუალო დონეზე ამცირებს სოციალური ქსელების უსაფრთხოებას.

– რისკებზე საუბრობდით, როგორ ფიქრობთ, არსებულ პირობებში, პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, რა ტიპის მასალის გავრცელებისგან უნდა შეიკავონ თავი სოციალური ქსელის მომხმარებლებმა?

-გარდა იმისა, რომ სოციალურ ქსელს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, ის საფრთხის შემცველ გარემოსაც წარმოადგენს. ინფორმაციის ფართომასშტაბიანი გადაცემა და მიღება, ადამიანების ქცევის დინამიკის განსაზღვრა, დროში პროფილის ევოლუციის შეფასების შესაძლებლობა, ადამიანური კომუნიკაციების მასშტაბი წარმოადგენს ქსელის მისტიკურ რიტმს, რომელიც გარკვეულ ფასეულობასთან ერთად სასარგებლოა „სხვადასხვა კურსით" მოტივირებული სახიფათო ჯგუფებისათვის.

სოციალური ქსელი წარმოადგენს საფრთხის შემცველი შეტყობინებების, ფოტოების, სექსუალური დემაგოგიის, ჭორებისა და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისა და სხვა კრიმინალური რისკების გარემოს.

ამ ფონზე ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება გახდეს ჰაკერების თუ „ ინფორმაციაზე მონადირე" პირთა სამიზნე.

ჩვენ, ვცხოვრობთ „გამჭვირვალე" ეპოქაში. პერსონალურ ინფორმაციას „გასცემს" სოციალურ ქსელში ნებისმიერი აქტივობა, კავშირი, კონტაქტი, "ლაიქი", ტექსტი, შეფასება, პოსტი თუ პროფილის ცვლილება. მიმაჩნია ყოველ ადამიანს გააჩნია სოციალური ქსელის გამოყენების კონკრეტული მიზანი. ამ მიზნის შესაბამისად, ახორციელებს კონკრეტულ ინტერნეტაქტივობას.

– საზღვარგარეთ მიღებული პრაქტიკაა, როდესაც სოციალურ ქსელებში მომხმარებლების აქტივობებს სპეცსამსახურების თანამშრომლები სწავლობენ. რა გსმენიათ ამის შესახებ, თუ შეგიძლიათ გვიამბოთ, როგორ ხდება სოციალური ქსელის მეშვეობით ადამიანის ხასიათის შესწავლა? რა ინფორმაციას იყენებენ ამისთვის?

-კვლევები ადასტურებს, რომ მომხმარებელთა პირადი პროფილები მფლობელთა ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს. ასევე, ინტერესებსა და შეხედულებებს. ამას აფიშირებს ფოტოები, ცხადყოფს მეგობართა ქსელი, მუსიკისა და ვიდეოს განყოფილება. ადამიანის კონკრეტულ განწყობას, შეხედულებასა და მისწრაფებას განსაზღვრავს კონკრეტული სურათის თუ წინადადების „დალაიქებაც". ყოველივე აღნიშნული, ინდივიდის ფსიქო-სოციალური პორტრეტის აგებისა და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, აღნიშნულ მონაცემი შეიძლება გამოყენებული იქნას მარკეტინგული მიზნებით, სპეცსამსახურებისა თუ პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული ადამიანის შესწავლა სხვადასხვა მიზნით (მარკეტინგული, პოლიტიკური, სპეცსამსახურების თუ რომანტიკული მიზნებით), განაპირობებს ის მიდგომები, რასაც სამიზნე პირის კვლევას ემსახურება. მაგალითად, ინტერნეტმომხმარებლების მიერ სოციალურ ქსელებში ინდივიდუალობის ასახვა და პროფილის ინტერესების დემონსტრირება თვითპრეზენტაციისა და საკუთარი თავის წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა, რაც მარკეტინგული საქმიანობის ხელშეწყობას უზრუნველყოფს. ჯამში, სოციალური ქსელი საზოგადოებრივი პულსის მონიტორინგისა და რეალური დროის რეჟიმში მარკეტინგული დაზვერვის შესაძლებლობას იძლევა.

– ოდესმე თუ ჰქონია ვინმეს თქვენი პირადი სოციალური სივრცის დარღვევის მცდელობა? თუ ასეა როგორ განვითარდა მოვლენები?

-სოციალურ ქსელში ყოველთვის არსებობს პირადი სოციალური სივრცის დარღვევის რისკი. რაც განპირობებულია მრავალფეროვანი ვირუსებით, მავნე პროგრამებით, ფიშინგითა და ჯაშუშური პროგრამების არსებობით. ამასთან, სოციალური ქსელებს იყენებენ " პჰარმინგ "-სათვის. ამ დროს, გიგზავნიან ვებ-ლინკებს. მათი გააქტიურების (დაკლიკების) შემთხვევაში გადამისამართება ხდება განსხვავებული დანიშნულების მისამართის ვებგვერდზე, სადაც ადამიანი შესაძლოა ჰაკერის სამიზნე გახდეს.

რამდენადაც, კიბერსივრცე „გაჯერებულია" საფრთხის შემცველი პროგრამებით, პროცესებითა თუ ადამიანებით, რეაგარებაც ადეკვატური უნდა იყოს. ინტერნეტმომხმარებელი პირადი კიბერსივრცის დაცვას უნდა ეცადოს როგორც საკუთარი ძალისხმევით, ასევე, გამოიყენოს სპეციალისტების მომსახურება ან შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მოახდინოს მკაცრი სამართლებრივი რეაგირება.

-გქონიათ შემთხვევა, როდესაც უცხო პირს თქვენთვის სოციალური ქსელით, მუქარის ან შეურაცხყოფის შემცველი შეტყობინება გამოეგზავნოს? როგორი იყო თქვენი რეაქცია, ზოგადად როგორ მოქმედებთ ასეთი ტიპის შეტყობინებების მიღებისას?

-პერსონალურად, ყველა ადამიანს ვაფასებ და სათანადო პატივს ვცემ. საჯარო აქტიურობით, კრიტიკას და დამოკიდებულებას გამოვხატავ მხოლოდ სისტემის მიმართ (და არა პერსონების მიმართ), ამასთან ვაფასებ და პატივს ვცემ სისტემის ქოლგის ქვეშ თუ მის გარეთ მყოფ პირებს (მათი უზღვავი შრომა და ვალდებულების შესრულება დასაფასებელია). ამასთან, მიმაჩნია, რომ საქართველოში გვყავს ჯანსაღი საზოგადოება, გვაქვს ჯანსაღი საკომუნიკაციო გარემო, არსებობს რაციონალური კრიტიკა თუ პროფესიული შეფასება. მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ, სადაც ჩემი ძალისხმევა ემსახურება ქვეყნის შენებას, ნეგატიური პროცესების მინიმუმადე დაყვანას, ღირსებასა და კეთილშობილებას. ამდენად, მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ნებისმიერი „პროცესი" შეურაცხყოფამდე არ მივიდეს, რომ სათანადო რეაგირება არ გახდეს საჭირო.

-დღეს, ხშირად ისმის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალურ ქსელში მიყენებული შეურაცხყოფა დასჯადი გახდეს. თქვენ რას ფიქრობთ, რამდენად რეალურია ასეთი კანონის დაწესება?

-თეორიულად, სოციალური ქსელის ვებგვერდზე ნებისმიერი ინფორმაცია არის პრეზუმფციული, საზოგადოებრივი და ყველგან გავრცელებული.

ბუნებრივია, რომ "კიბერხულიგნობა", შეურაცხმყოფელი ლექსიკა თუ ავაზაკური ქცევა საფრთხეს უქმნის ნებისმიერი ადამიანის პირად ცხოვრებას, ეჭვქვეშ აყენებს მის კეთილსინდისიერებასა და იმიჯს. შესაბამისად, კანონი უნდა იცავდეს ნებისმიერ ადამიანს როგორც ფიზიკურ გარემოში, ისე კიბერ გარემოში. შეურაცხყოფა ყველგან შეურაცხყოფაა.

ფაქტია, რომ სოციალური ქსელი მისაწვდომია, როგორც კანონმორჩილი ადამიანებისათვის, ისე კანონდამრღვევებისათვის. ამიტომ, ყველა ადამიანი, სახელმწიფო პირი იქნება თუ რიგითი მოქალაქე უნდა იყოს დაცული როგორც ფიზიკურ გარემოში, ისე კიბერგარემოში. იმისათვის, რომ აღნიშნულმა პროცესებმა "ფესვები არ გაიდგას", ქაოსი და ნეგატიური პროცესები არ მივიღოთ, უნდა გატარდეს მკაცრი სამართლებრივი რეგულირება. სოციალური ქსელი, როგორც სოციალური ცვლილებების ტექნოლოგიური კატალიზატორი აუცილებლად საჭიროებს ნორმატიულ-სამართლებრივ რეგულირებას.

– თქვენი აზრით უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც ინტერნეტში დეზინფორმაციის და გავრცელებას აღკვეთდა?

-ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კიბერსივრცეში დეზინფორმაცია, პორნოგრაფია, აზარტული თამაშები, შეურაცხმყოფელი წერილობითი გამოთქმები და გრაფიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომერციული საკითხები საჭიროებს საკანონმდებლო და სამართლებრივ რეგულაციას.

თუ ეს არ მოხდება ადგილი ექნება „თვითრეგულირების პროცესს", რომელიც შეამცირებს პოლიტიკურ ნდობას, გაზრდის საფრთხეებს და ჯამში გაცილებით დიდ ზიანს მოუტანს სახელმწიფოს.

-რამდენიმე ხნის წინ, გვქონდა ერთი, საკმაოდ საინტერესო სტატია ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვა-გავრცელებასთან დაკავშირებით. თქვენ როგორც ექსპერტი როგორ ფიქრობთ, რა ზომები უნდა გატარდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად და შესაძლოა თუ არა მისი პრევენცია?

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო აქტიურად იბრძვის ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ. გასათვალისწინებელია, რომ ამ მიზნით აქტიურად იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა:

- ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმების ფორმირება. ქმნის კიბერპატრულსა და კიბერჯარს. იღებს ინტერნეტ-კანონებს. ამკაცრებს სამართლებრივ რეგულირებას. თვალყურს ადევნებს ნაციონალურ კიბერსივრცეში არსებულ პროცესებს;
- საზოგადოებასთან თანამშრომლობა. მაგალითად, სკოლა, მშობელი და ინტერნეტ პროვაიდერები ერთობლივი ძალისხმევით ებრძვიან ბავშვისათვის არასურველი კონტენტის გავრცელებას. ამ მიმართულებით სკოლა ატარებს აღმზრდელობით გაკვეთილებს, მშობელი ბავშვისათვის მავნე კონტენტის აღმოჩენის შემთხვევაში მყისიერად აცნობებს სკოლას, ხოლო სკოლა საქმის კურსში აყენებს ინტერნეტ პროვაიდერს, რომელიც თავის მხრივ ბლოკავს და შლის ასეთ კონტენტს. თავის მხრივ ინტერნეტპროვაიდერიც ეძებს და აღმოჩენის შემთხვევაში შლის ან ბლოკავს ასეთ მავნე კონტენტს, პორნოგრაფიას, ცუდ მულტფილმებს თუ სხვა ნეგატიურ მასალას;
- საინიციატივო ჯგუფების ძალისხმევის ხელშეწყობა პორნოგრაფიასთან ბრძოლის მიზნით (გრანტებით, დაფინანსებით). კერძოდ:

პროფესიული ჯგუფები, საკუთარი ძალისხმევით ებრძვის ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელებას, სპამს, უკანონო ინციდენტებს. აღმოჩენის შემთხვევაში მყისიერ რეაგირებას ახდენს კერძო (ინტერნეტ-პროვაიდერი) და სახელმწიფო სექტორთან (კიბერპატრული) თანამშრომლობით;
- ინტერნეტ-პროვაიდერებთან თანამშრომლობა. მათთან კოორდინაციით ბლოკავს არასასურველ საიტებს, შლის კონტენტს;

– სწორად მიგაჩნიათ ბავშვებისთვის მიუღებელი, შინაარსის შემცველი მასალის და ვებგვერდების დაბლოკვა? შეგიძლიათ დაგვისახელოთ ის ქვეყნები სადაც უკვე არის ასეთი პრაქტიკა?

ყველა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოქმედებს აღნიშნული პრაქტიკა. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:
- აშშ-ში მოქმედებს ინტერნეტრეგულირებისა და კონტროლის საკანონმდებლო მოდელი სახელწოდებით “არასრულწლოვანთა კერძო ცხოვრების დაცვის აქტი”. (მოდელი ინტერნეტში ბავშვების (13 წლამდე) მუშაობის რეგულირებისა და ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფისათვის ახდენს web-რესურსების აუცილებელ კლასი-ფიკაციასა და ფილტრაციას);
- ევროკავშირის დოკუმენტში “არაკანონიერი და საზიანო კონტენტი ინტერნეტში” (Illegal and Harmful Content on the Internet) შეჯამებულია ინტერნეტ-საფრთხეები, რომელიც აუცილებლად საჭიროებს რეგულირებას. საფრთხეებს წარმოადგენს: არასრულწლოვანთა დაცვა (შეურაცხმყოფელი ფორმები, ძალადობა, პორნოგრაფია); ადამიანთა ღირსებების დაცვა (რასობრივი შუღლი ან რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზება); ინფორმაციული უსაფრთხოება, პირადი ცხოვრების დაცვა, რეპუტაციის დაცვა (ცილისწამება, არაკანონიერი რეკლამა); ეკონომიკური უსაფრთხოება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ეროვნული უსაფრთხოება;
- ევროპის საზოგადოება, სპეციალურ ფილტრებს იყენებს მავნე კონტენტის (საბავშო პორნოგრაფიის, რასიზმის, ტერორიზმის, სიძულვილის გაღვივების მიმართულებით) ცენტრალიზებული გაცხრილვის სახით. ფილტრაცია ხდება დიფამაციის კანონის საფუძველზეც;
- საბავშვო პორნოგრაფიისა და მასთან დაკავშირებული ცნობადი “ლოგოტიპების” აღმოჩენისათვის, გლობალრი უსაფრთხოების პოტენციალის ამაღლებისათვის მოქმედებს ინტერნაციონალური ალიანსი The Virtual Global Task Force, რომლის მისიას წარმოადგენს სოციალურ მედიასა და სხვა ინტერნეტ-არხებში ონლაინ საუბრების მიზნობრივი, 24 საათიანი მოსმენა;
- საფრთხეების პრევენციის მიზნით ქვეყანების უმრავლესობა აშკარად (მაგალითად, ვენესუელა) თუ ფარულად (ინფორმაციული დაბლოკვით)

მიზანშეწონილად იყენებს ინტერნეტცენზურას, როგორც სახელმწიფოს მართვის შემადგენელ კომპონენტს, სადაც რეგულირების სახელი და მექანიზმი რაციონალიზებულია;
- ბავშვთა პორნოგრაფიის ფილტრაციასა და კონტროლს ახორციელებს საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, დანია, ისრაელი, სინგაპური, იტალია, კანადა და სხვა ქვეყნები;
- ინტერნეტის მკაცრ ცენზურას (ბავშვთა პორნოგრაფია, პოლიტიკა, დისიდენტური აქტივობა და სხვა) ახორციელებს ჩინეთი, კუბა, ეგვიპტე, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, მიანმარი (ექს-ბირმა), სირია, საუდის არაბეთი, ტუნისი, თურქმენეთი, უზბეკეთი , ვიეტნამი და სხვა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-ცენზურა არ უნდა ზღუდავდეს დემოკრატიას.

ჯამში, აღვნიშნავ, რომ სოციალური ქსელი ცვლის ყველა წესს, რომლის ინტერპრეტირება არსებულ კონტექსტში რთულია.

www.cyber.kvira.ge, 15 იანვარი, 2017 წელი

3.10. პერსონა - რატი აბულაძე

„მეცნიერება და უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე ეს ჩემი ცხოვრებაა...“

„მაქვს 11 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლებლებში. ვმუშაობდი სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურებში. ვარ თურქეთის სახელმწიფოს სტიპენდიის მფლობელი. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მეშვეობით ახალგაზრდა მეცნიერთა პრეზიდენტის გრანტის მფლობელი, რომლის ფარგლებში ჩავატარეთ კვლევა, გამოვეცით ნაშრომი და გარკვეულწილად ვთქვით სათქმელი დღევანდელ პირობებში.“ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რატი აბულაძე.

-როგორ აირჩიეთ პროფესია?

-ეკონომისტის პრობლემა ქვეყანაში ყოველთვის არსებობდა. გარდა ამისა, ეს იყო ცვლილებების პერიოდი, 90-იანი წლების დასაწყისი, როცა ყოველდღიურად გვესმოდა ეკონომიკური გამოწვევები, სოციალური კეთილდღეობის მოგვარება, მაგრამ არ ვიცოდით ეს პრობლემები როგორ მოგვეგვარებინა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტორმა განაპირობა კომერციისა და ეკონომიკის ფაკულტეტის არჩევა და 1996 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. წარმატებით დავამთავრე ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ასპირანტურა. ასევე ვსწავლობდი დოქტორანტურაშიც.

ჩემთვის სტიმულის და ემოციების აღმძვრელი იყო, როდესაც შესაძლებლობა მომეცა გარკვეული წვლილი შემეტანა ამ სფეროს განვითარებაში. მითუმეტეს, რომ ამის დიდი სურვილიც და მიზნებიც მქონდა.

-თუმცა ალბათ, იყო გარკვეული პრობლემებიც და გამოწვევებიც?

-ჩვენი ყოველდღიური გარემო, მიზნისკენ სწრაფვა ყოველთვის პრობლემებთან არის დაკავშირებული. მე დიდი სურვილი მქონდა სამეცნიერო მიმართულებით წავსულიყავი, სახელმწიფო სტრუქტურებში მემუშავა და ეს შევძელი. ვიმაღლებდი ცოდნასაც და პრაქტიკასაც. გამოწვევები არის ყველა საფეხურზე, მაგრამ ეს კარგია, იმიტომ, რომ გვაძლიერებს, გარკვეულ ცოდნას გვძენს, გამოცდილებას გვაძლევს, ეს ერთგვარი ცხოვრებაა, რომელშიც ვითარდებით და აღმოვცენდებით, როგორც სასარგებლო რესურსი ოჯახისთვის და ქვეყნისთვის. პიროვნების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია გამოწვევებიც და წარმატებებიც. მე ვიტყვი, რომ ორივე მქონდა. მქონდა გარკვეული წარუმატებლობებიც მაგრამ, მთლიანობაში მიმაჩნია, რომ ტყუილად არ ვცხოვრობ. ვიბრძვი და მინდა გარკვეული წვლილი შევიტანო ამ ქვეყნის მშენებლობაში. ჩემს საქმიანობას აზრი ჰქონდეს. ეს ყველაფერი კი შრომით და რწმენით მიიღწევა. მე ვთვლი, რომ არჩევანში არ შევცდი.

-არაერთი ნაშრომის ავტორი ხართ...

-დიახ, ვცდილობ, მეცნიერებაშიც გარკვეული წვლილი შევიტანო, რაც იმაში გამოიხატება, რომ ვარ დაახლოებით 60-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. მათ შორის ოთხი წიგნის, ორი მონოგრაფიის და ორი სახელმძღვანელოს, რომელიც სასწავლო დაწესებულებებში შეგვაქვს. ვცდილობთ სტუდენტები აქტიურად ჩავრთოთ, რაც მათთვის ერთგვარი სტიმულია. სწორედ ამ გზით ვფორმირდებით შესაბამის სამეცნიერო წრედ. ეს არის ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებსაც გვინდა, თუნდაც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გარკვეული წვლილი შევიტანოთ როგორც მეცნიერებაში, ისე ქვეყნის განვითარებაში.

-მეცნიერება...

-მე ვიტყოდი, რომ ამ არსებული პლატფორმის პირობებზე საუკეთესო მდგომარეობაშია. მეცნიერება პროგრესირებადია, რომელიც არ ჩანს. მართალია არასათანადო სტიმული და ფინანსური მდგომარეობაა, თუმცა სახელმწიფო ნელ-ნელა ცდილობს დაეხმაროს და შეძლებისდაგვარად ბიუჯეტსაც ზრდის. რა თქმა უნდა, თუ მათთვის უფრო მეტი ხელის შეწყობა იქნება, ეს ისევ და ისევ ქვეყანას მოუტანს სარგებელს. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში მესამედზე მეტი არის უმაღლეს საგანმანათლებლო პირთა წრე და მეცნიერთა პროგრესი ძალიან დიდია. ჩვენთან მეცნიერების ხელშეწყობაზე და მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი ცოტა გვიან დაიწყო. სამწუხაროდ, ზოგიერთ სფეროში კვლევითი-სამეცნიერო დაწესებულებებიც არ გვაქვს. კარგი იქნება თუ პროფესორ-მასწავლებლებს სათანადო ფინანსური მხარდაჭერა ექნებათ. სამწუხაროდ, არ ხდება მათი პოტენციალის გამოყენებაც. მეცნიერებს შესაბამის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში არ რთავენ, არადა ეს განვითარებისთვის გვჭირდება.

-საქართველოში ყველგან და ყველაფერში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას ცდილობენ...

-საზღვარგარეთის ქვეყნების მოდელი იქაურ გამოცდილებაზეა მორგებული. ზოგადი თეორიების აქ გადმოტანა, რა თქმა უნდა კარგია, როცა არაფერი არ გაქვს და ამით რაღაცას შექმნი, მაგრამ თუ გვინდა შედეგი მივიღოთ, ნებისმიერი რეფორმა რეალურად უნდა ეყრდნობოდეს არსებულ საჭიროებებს. ასე ვაკეთებთ ჩვენ მეცნიერები და მკვლევარები. ჯერ ვიკვლევთ, ვსწავლობთ, როგორც მეორად მონაცემებს ისე პირველადს, ვსწავლობთ, როგორც სხვა, ისე ჩვენი ქვეყნების გამოცდილებას, შემდეგ ვწერთ და ვაქვეყნებთ.

ჩემი აზრით, არსებულ სიტუაციაში ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული სხვა სფეროებთან შედარებით, უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეა. შედარებით უფრო პროგრესირებადია, გარემოა შექმნილი და საკადრო პოტენციალია ისეთი, რომელიც სახელმწიფოს სრულად, ჯერ არ გამოუყენებია.

- მუშაობთ ექვს უმაღლეს სასწავლებელში...

-სახელმწიფო სტრუქტურები ძალიან ახლოს არის ჩემს პერსონასთან. მიყვარს და იქ მუშაობა ჩემთვის ერთგვარი ცხოვრების აზრია. მადლიერი ვარ იმ ხალხის, ვინც ნდობა გამომიცხადა და მომცეს იქ მუშაობის საშუალება. მაგრამ მეცნიერება და უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე ეს ჩემი ცხოვრებაა. ჩემთვის სტუდენტებთან ურთიერთობა საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანია. საკუთარი თავის რეალიზების და ცოდნის გადაცემის, შემდეგ შედეგის მიღება, მთელი კმაყოფილებაა, ფასეულობაა, რომლის გარეშეც ძალიან გამიჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა-ძიებასაც დიდ დროს ვუთმობ, რთულია სტუდენტებთან ურთიერთობის პროცესს მოვწყდე.

www.kvira.ge, 11 მარტი, 2015 წელი

P.S. **რატი აბულაძე** – არის ეკონომიკის დოქტორი (**PhD**), საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 180 სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატია. არის 6 წიგნის ავტორი, 31 საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე.

რატი აბულაძე არჩეულია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და საქართველოს მეცნიერთა საბჭოს წევრად. არჩეულია უცხოური ჟურნალებისა და საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო და სარედაქციო კოლეგიაში.

რატი აბულაძე არის თურქეთის სახელმწიფოს სტიპენდიანტი, ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის მფლობელი, აჭარის აკადემიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს "უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში გამარჯვებული.

რატი აბულაძე წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის კვლევითი აკადემიის (EGRA) დამფუძნებელს. მუშაობდა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში. საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში (9 უნივერსიტეტში) ჩართული იყო სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობდა სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მუშაობდა აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობზე. მონაწილეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს ყველა პროცესსა და კომპონენტში. ყოველწლიურად მართავდა აკადემიურ პრეზენტაციებს.

© აბულაძე რ., პოლიტიკური ცვლილებების დროა. ელექტრონული მმართველობის კვლევითი აკადემია. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი. 2018. გვ.250

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018